რობერტ ლუკასი

საბაზრო ეკონომიკა

პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა

პირველი გამოცემა

ფინანსთა სამინისტროს გამომცემლობა

თბილისი, 1997

წიგნი დაწერილია ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის, ნობელის პრემიის ლაურეატის რ. ლუკასის მიერ, რომელშიც საინტერესოდ და უაღრესად გასაგები ენით მოთხრობილია საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრობლემები, გაშუქებულია ის უმთავრესი ბერკეტები და მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც მართავენ თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობას. იგი განკუთვნილია ეკონომისტებისათვის, სტუდენტებისა და საბაზრო ეკონომიკით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

მთარგმნელი მადლობას უხდის საქართველოს ფინანსთა მინისტრს ბატონ **დავით იაკობიძეს** და სამინისტროს თანამშრომლებს წიგნის გამოცემის საქმეში გაწეული დახმარებისათვის.

რედაქტორი — **რომან გოცირიძე**

მთარგმნელის ღვინათქმა

ჭკუიან კაცს უთქვამს-თუ ადამიანისთვის ნამდვილად გსურს დახმარება, თევზის მირთმევას ჯობს თევზაობა ასწავლო. თევზის მიტანა ხომ ერთჯერადი აქტია, ერთხელ შეექცევი და მორჩა; ეს მაშინ, როცა მეთევზეს მთელი სიცოცხლის მანძილზე შეუძლია ისარგებლოს შენგან შეძენილი ცოდნით.

დღევანდელი საქართველოს არსებობა და ცხოვრება უხდება მისთვის უჩვეულო გარემოში: მთელი სამოცდაათი წლის მანძილზე ქვეყანა ცხოვრობდა ისეთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში, როცა საწარმოს ხელმძღვანელისათვის საჭირო არ იყო საწარმოს აუცილებლად მოგებით ემუშავა, რადგან დანაკლისს დიდი საბჭოთა იმპერიის მონათესავე დარგების საწარმოები ფარავდნენ. სულაც არ იყო საჭირო ბანკირს სცოდნოდა თუ რა სავალუტო კურსი იყო ქვეყანაში; სიტყვა „ბირჟა" თბილისის პლეხანოვის ან რუსთაველის პროსპექტებზე უსაქმური ახალგაზრდების თავშეყრის ადგილად აღიქმებოდა და ასე შემდეგ.

ახლა ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ახლებურად ცხოვრება უწევთ— იმუშაონ საბაზრო ეკონომიკის კანონებითა და პრინციპებით. ასეთ ვითარებაში წამგებიანი საწარმო ფეხს ვერ აუწყობს ქვეყანას და კოტრდება. წარმოუდგენელია ბანკირი, რომელიც ყოველდღიურად არ ეცნობოდეს სავალუტო კურს და არ იყენებდეს სავალუტო ოპერაციებში; ბირჟაზე კი, როგორც უმუშევართა დასაქმება ხდება, ასევე ვალუტისა და პროდუქციის ყიდვა- გაყიდვის პროცესი მიმდინარეობს.

ყველა ეს და კიდევ სხვა მრავალი ეკონომიკური კატეგორია უაღრესად მარტივი და გასაგები ენით, პრაქტიკული ანალიზის საფუძველზე განხილული და გაშუქებულია წინამდებარე წიგნში „საბაზრო ეკონომიკა", რომელიც დაწერილია ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის რობერტ ლუკასის მიერ. წიგნი ინგლისურ ენაზეა დაწერილი (ხოლო იგი თარგმნილია პოლონური ენიდან) და ეძღვნება საბაზრო მეურნეობის განვითარების საკითხებს. ამ პრობლემებზე დაწერილი სხვა წიგნებისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ მარტივი და გასაგები ენით ავტორი გვიხსნის იმ ძირითად ეკონომიკურ მექანიზმებს, რომელთა განხორციელებაც უხდება ყველა ქვეყანას, რომელიც მბრძანებლურ—გეგმიური მეურნეობიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადადის.

ცნობილი ეკონომისტი, ვილნიუსის უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორი იონას ჩიჩინკასი წერს, რომ ეს არის ყველაზე კარგი წიგნი იმ წიგნებს შორის, რომელიც ამ თემაზე დაწერილა. წიგნმა მოწონება დაიმსახურა აგრეთვე ქართული

გაზეთების: „ბანკი+“, „ფინანსები“, „სარანგის“ და „თბილისის უწყებანის“ მკითხველებშიც, სადაც მისი ნაწყვეტები იბეჭდებოდა.

როგორც ავტორი შესავალში მიუთითებს, წიგნი დაწერილია:

სტუდენტებისათვის, რომელთაც სურთ გაერკვნენ საბაზრო ეკონომიკის პრობლემებში;

ბიზნესმენებისათვის, რომელთაც ყოველდღიურ საქმიანობაში აუცილებლად სჭირდებათ და ეკალებათ წიგნში განხილული საკითხების ცოდნა;

და საერთოდ, ყველა იმ ადამიანისათვის, რომელიც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის მომავლით.

ახლა ორიოდე სიტყვა წიგნის ავტორის, როგორც ადამიანის შესახებ: რ.ლუკასის ცხოვრების ერთი დეტალი, რომელიც სწორედ ნობელის პრემიის მიღებას უკავშირდება, ნათლად გვიჩვენებს, რომ რ. ლუკასი არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, არამედ ნამდვილი ჯენტლმენიცაა. ზუსტად 7 წლის წინათ ქ.ჩიკაგოს მოქალაქემ, ვინმე რიტა ლუკასმა გადაწყვიტა ცოლ-ქმრული კავშირი გაეწყვიტა ამავე ქალაქის მკვიდრთან, ეკონომისტ რობერტ ლუკასთან. გაფორმდა შესაბამისი დოკუმენტიც ოჯახის ქონების გაყოფაზე...

ეს დოკუმენტი არ გამოირჩეოდა სხვა ანალოგიური დოკუმენტებისაგან, გარდა ერთი პუნქტისა, რომელიც თავად ქალბატონმა რიტამ შეიტანა. პუნქტი არაჩვეულებრივად, ექსტრავაგანტურადაც კი გამოიყურებოდა. ამის თანახმად, „ცოლი იღებს 50 პროცენტს ნობელის ნებისმიერი პრემიისაგან, რომელიც მიეკუთვნება მის მეუღლეს“. ამ უჩვეულო პუნქტის მოქმედების ვადა გრძელდებოდა 1995 წლის 31 დეკემბრამდე. განქორწინების წელს ვერავინ ვერ იტყოდა დაბეჯითებით, თუ რატომ შეიტანა ასეთი პუნქტი ამ დოკუმენტში ქ—მა რიტამ, უნდოდა დაეცინა ყოფილი ქმრისათვის, თუ ნამდვილად სწამდა მისი გენიალურობისა. რა თქმა უნდა, უკანასკნელი ვარაუდი უფრო ტკბილად ესალბუნებოდა რობერტის თავმოყვარეობას. იგი დათანხმდა ხელი მოეწერა ამ ექსტრავაგანტურ აქტზე.

1995 წლის დეკემბერს, ამ პუნქტის მოქმედების ვადის გასვლამდე სულ რაღაც რამდენიმე დღით ადრე, უკვე არა ვინმე რობერტი, არამედ გამოჩენილი ეკონომისტი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, დაჯილდოვდა ნობელის პრემიით ეკონომიკის დარგში. პრემიის ფულადი გამოხატულება მილიონი დოლარი იყო. მაგრამ შეთანხმება ფულზე ძვირფასია. ნობელის პრემიის ლაურეატი რობერტ ლუკასი არ დამცირებულა იქამდე, რომ სასამართლო პროცესი დაეწყოთ და

დაუყოვნებლივ მიუთვალა ნახევარი მილიონი შორსმჭვრეტელ ყოფილ მეუღლეს. რაც შეეხება თავად რიტას, მის წინდახედულობას საკმაოდ სოლიდური სტატისტიკური საფუძველი ჰქონდა, რადგან ჩიკაგოს უნივერსიტეტის 8 პროფესორია დაჯილდოვებული ამ დიდი, პრესტიჟული პრემიით ეკონომიკის სფეროში.

ვფიქრობთ, ქართველი ეკონომისტები და არა მარტო ეკონომისტები, დიდი ინტერესით გაეცნობიან ამ წიგნის ქართულ თარგმანს. მით უფრო, რომ სწორედ წელს შესრულდა 100 წლისთავი დიდი შვედი მეცნიერის, მეწარმისა და მეცენატის ალფრედ ნობელის მიერ აღნიშნული პრემიის დაარსებიდან.

ამბროსი გრიშიკაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი

1

რას წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკა?

სიმდიდრის განაწილება, წარმოება და დეფიციტი

ამ ქვეყნად არ არსებობს დოლათის ის რაოდენობა, რომ ყოველმა ადამიანმა მიიღოს იმდენი, რამდენიც მოესურვება. ზოგი ამტკიცებს, რომ ყველაფერ ამაში დამნაშავეა რეკლამა, რაც ადამიანებში აღვიძებს სიხარბეს და რომ ყველას ყველაფერი ექნება საკმარისად, მდიდრები რომ გაცილებით ნაკლებად გაუმაძღარნი იყვნენ, ხოლო რეკლამა ადამიანებს არ აქეზებდეს—შეიძინონ მეტი და მეტი რაოდენობის საქონელი. არავითარი არგუმენტი არ არსებობს, რაც ამ თეზისის სამართლიანობას დაამტკიცებდა. რამდენიმე წლის წინ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთ მიზანს— კომუნიზმის აშენებას ქადაგებდა რეკლამა, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეს იგი უკვე აღარავის აღარ სურს. სამაგიეროდ, არ არსებობდა არავითარი რეკლამა ევროპული საქონლისა, მაგრამ საბჭოთა მოქალაქეებს მასზე ყოველთვის ძალიან დიდი მოთხოვნილება ჰქონდათ. ვინაიდან არ არსებობს იმდენი დოლათი, რომ მან დააკმაყოფილოს ადამიანთა მოთხოვნილებები, უნდა არსებობდეს სისტემა, რის საშუალებითაც ეს პრობლემა მოგვარდებოდა.

- საბაზრო ეკონომიკა არის სახელდობრ ის სისტემა რომლის მეშვეობითაც გადაწყდება, თუ წარმოებული მატერიალური დოლათიდან ვის რა შეხვდეს.

საბაზრო ეკონომიკა არ არის ერთადერთი სისტემა, რომელიც კი ჩვენ შეიძლება წარმოვიდგინოთ. კომუნისტურ სისტემაში გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ შექმნილი მატერიალური დოლათის ვის რა ნაწილი უნდა შეხვედროდა, იღებდა მთავრობა და პარტიული აპარატი. თუ კი ამ სისტემის პირობებში მცხოვრები ადამიანები

იქნებოდნენ სათნონი და უბრალონი, დოლათის გაყოფა მოხდებოდა თანახმად მოთხოვნილებებისა. მაგრამ, როგორც თქვა ერთხელ ტროცკიმ, „იგი, ვინც ყოფს სახალხო დოლათს, იშვიათად ივიწყებს საკუთარ თავს“. ეჭვი არაა, რომ თუ გდრ—ის მცხოვრებთ წაკითხული ექნებოდათ ტროცკი, ნაკლებად გაუკვირდებოდათ ის, თუ როგორი ფუფუნების პირობებში უცხოვრიათ თურმე მათ კომუნისტ ლიდერებს.

- ცენტრალიზებული დაგეგმვა ეყრდნობოდა ძირითადად იმას, რომ ისინი, ვინც წყვეტდნენ, თუ ვის რა და რამდენი მიეღო, უფრო მეტად იმაზე ზრუნავდნენ, რომ თავად და თაეიანთ ახლობლებს გაცილებით მეტი შეხვედროდათ.

წარმოება

- საბაზრო ეკონომიკა არ არის სისტემა, რომელიც იმას სწყვეტს, თუ ვინ რა აწარმოოს.

საბაზრო ეკონომიკა აძლევს ადამიანებს სტიმულს, რათა მათ მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რა აკეთონ. წარმოიდგინე, რომ ხარ როლანდ რეიგანი და შეგიძლია ყოველკვირეულად 100.000 დოლარი გამოიმუშაო იმაში, რომ წარმოსთქვა საზეიმო სიტყვა რომელიმე შეხვედრაზე ანდა გამოიმუშაო 100 დოლარი ყოველკვირეულად იმაში, რომ მისცე მსურველებს ინგლისურის გაკვეთილები. რა თქმა უნდა, რეიგანი პირველ ვარიანტს მისცემდა უპირატესობას.

- საბაზრო ეკონომიკა დახმარებას გვიწევს შევადაროთ, თუ რამდენიმე შესაძლო გადაწყვეტილებიდან, რომელი უფრო სასარგებლო იქნება ჩვენთვის.

საწარმო უშვებს პროდუქციას ან ეწევა მომსახურებას. იგი თავად წყვეტს იმას, თუ რაში დააბანდოს მატერიალური, ფინანსური, თუ შრომითი რესურსები. ამასთან:

- საბაზრო ეკონომიკა არ არის სისტემა, რომლის პირობებშიც ფირმა წყვეტდეს, თუ წარმოებული მატერიალური დოლათიდან ვინ რა მიიღოს.

აღმოსავლეთ გერმანული ავტოქარხანა „ტრაბანტი“ დიდხანს ცდილობდა ნებისმიერი გზით გაეგრძელებინა არსებობა; მაგრამ ბოლოს მაინც საჭირო გახდა მისი დახურვა, რადგან არავის არ სურდა შეეძინა

„ტრაბანტები“, მაშინ, როდესაც შეეძლოთ „ვოლვოს“, „ფორდის“ თუ „ფიატის“ ყიდვა. მომხმარებლებმა, რომელთაც უარყვეს ავტომანქანა „ტრაბანტი“, ხელი შეუწყეს ამ ქარხნის გაკოტრებას.

- საბაზრო ეკონომიკის სისტემის პირობებში მომხმარებელნი, ხარჯავენ რა თავიანთ ფულად დანაზოგებს, ამით ისინი წყვეტენ, თუ ფირმამ რა აწარმოოს.

- ასეთ შემთხვევაში ფულის ხარჯვა ნიშნავს არჩევნებში ხმის მიცემას; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ადამიანები ხმას აძლევენ ნაწარმს და არა პოლიტიკურ პარტიას. ამასთან, საბაზრო ეკონომიკის „დემოკრატიულობა“ იმაში გამოიხატება, რომ ვინც უფრო მდიდარია, მით უფრო მეტი ხმები შეუძლია მიიღოს.

ბიზნესი უაღრესად უბრალო საქმეა. იგი დაფუძნებულია იმაზე, რომ გაყიდო საქონელი თუ მომსახურება იმაზე გაცილებით ძვირად, ვიდრე დაგიჯდა მისი წარმოება. განსხვავება დანახარჯებსა და ფასს შორის განსაზღვრავს შემოსავლის სიდიდეს. ნივთებს, რომელთა წარმოებაც დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან, მეტი ფასი აქვთ. თუ ფირმა ვერ შეძლებს თავისი ნაწარმი გაყიდოს უფრო ძვირად, ვიდრე მისი წარმოება დაუჯდა, მალე გაკოტრდება. აი, სახელდობრ ეს დაემართა ზემოთ ნახსენებ ქარხანას, რომელიც „ტრაბანტებს“ აწარმოებდა.

ფირმები ცდილობენ ბაზარზე ის საქონელი გაიტანონ, რომელზეც მოთხოვნილებაა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ფირმის მფლობელებს სურთ მოგების მიღება. მათ იციან აგრეთვე, რომ თუ ვერ შეძლებენ საქონლის გაყიდვას, მაშინ შესაძლოა ფირმა გაკოტრდეს და ისინი მთელ ფულს დაკარგავენ. თუ გამოუშვებენ ისეთი ხარისხის ნაწარმს, როგორიც ავტომობილის „ტრაბანტი“ იყო, ფირმის მეპატრონენი აუცილებლად „დაიწვებიან“.

ფირმაში დასაქმებულ ადამიანებსაც სურთ ჰქონდეთ ფული, რათა მათაც შეეძლოთ რაიმეს ყიდვა. თუ ცუდად იმუშავებენ, მაშინ მათი ფირმა გაკოტრდება ან მათ სამსახურიდან გაანთავისუფლებენ. მუშები ისევე ჰყიდიან ფირმაზე თავიანთ სამუშაო დროს, როგორც ფირმა მიჰყიდის მომხმარებელთ თავის ნაწარმს.

კონკურენცია

საბაზრო ეკონომიკას არ შეუძლია ნორმალური ფუნქციონირება კონკურენციით გარეშე. კონკურენცია ეფუძნება იმას, რომ ჩვეულებრივ

არსებობს რამდენიმე ფირმა, რომელიც ცდილობს გაყიდოს განსაზღვრული საქონელი და თვითეულს სურს მიიღოს მოგება. მომხმარებელთა უფლება კი გულისხმობს იმას, რომ თუ არ მოეწონებათ შემოთავაზებული საქონელი, მათ შეუძლიათ სხვა შეიძინონ.

- „ტრაბანტი" მოქმედებდა კონკურენციის არ არსებობის პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ავტომანქანები ძალზე უხარისხო იყო და კლიენტებს არჩევის საშუალება არა ჰქონდათ, იძულებულები იყვნენ შეგუებოდნენ მოძველებულ ტექნოლოგიას და მის შესაძენად რიგში დგომასაც კი.

- როდესაც ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემაში რეფორმები დაიწყო, პარტიულმა ნომენკლატურამ საზღვარგარეთული ლიცენზიები შეუძინა ფირმებს, რომლებსაც თავად ჰქმნიდა და რომლის მფლობელიც თავადვე იყო. კონკურენციის არ არსებობის პირობებში მათ უღიდესი მოგება მიიღეს. ოღონდ, ამჟამად ეს ფირმები აღარ არიან ძველებურად რენტაბელურნი, რადგან კონკურენტები გამოუჩნდათ სხვა იმპორტიორების მხრიდან.

- გეგმიური მეურნეობის მოქმედებისას, კონკურენციული „მფლანგველობის" არარსებობა კომუნისტების მიერ დადებით მომენტად იყო მიჩნეული. მაგრამ თუ არ არის კონკურენცია, მაშინ მონოპოლიას შეუძლია თავის კლიენტებს მოეპყროს როგორც არარაობას და რითიც და როგორც სურს ისე გაუმასპინძლდეს. კლიენტის ყველაზე ძლიერი დაცვის იარაღია მიეცეს მას საშუალება შეიძინოს ალტერნატიული საქონელი.

კონკურენცია არეგულირებს სხვადასხვა საწარმოს მოგებასა და ფასებს. თუ ფირმა იღებს დიდ მოგებას იმით, რომ ჰყიდის საქონელს გაცილებით მეტ ფასში, ვიდრე მისი წარმოება უჯდება, მაშინ ბაზარზე შემოვლენ სხვა ფირმები ანალოგიური ნაწარმით და ისინი მოინდომებენ თავიანთ წილ მოგებას. ეს კი თავის მხრივ აუცილებლივ გამოიწვევს ფასების შემცირებას.

თუ ფასები დიდი ხნით დაეცემა ღირებულების ქვევით, მაშინ ზოგიერთი ფირმა დაიხურება და შეწყვეტს მოქმედებას, შემცირდება კონკურენციული წნეხიც, რაც თავის მხრივ კვლავ გამოიწვევს ფასების აწევას. ახალი, კონკურენციული ფირმების შემოსვლა ბაზარზე და უხეიროდ მომუშავე ფირმების დახურვა ან გაკოტრება ბაზრის ნამდვილი მიზანია. კონკურენციის წინაშე ადამიანის მუდმივი შიში არის საბაზრო ეკონომიკის თანამდევი აუცილებელი ატრიბუტი; ეს აიძულებს

საწარმოებს მუდმივად სწავლობდნენ იმას, თუ რას ელოდება მათგან მომხმარებელი და უშეებდეს სახელდობრ ასეთ საქონელს.



სარგებლობა კონკურენციიდან

ხარჯები

პროდუქციის საწარმოებლად გაწეულ ხარჯებში შედის ყველაფერი ის, რაც უნდა გაღაიხადოს სამეურნეო სუბიექტმა. საწარმო დიდ ყურადღებას უნდა უთმობდეს დანახარჯების ანალიზს. თუ რომელიმე ფირმის მიერ გაწეული დანახარჯები აღემატება კონკურენციის დანახარჯებს, მაშინ, მან რომ შესძლოს ნაწარმს დიდი ფასი დაადოს, უნდა გამოუშვას უკეთესი პროდუქცია. არჩევანის შესაძლებლობა მაღალხარისხიან ძვირფას საქონელსა და იაფფასიან, თუმცა უხარისხო საქონელს შორის ხელსაყრელია მომხმარებლისათვის. სამაგიეროდ მომხმარებელი უყოყმანოდ უარყოფს უხარისხო მაღალფასიან საქონელს. გეგმიურ ეკონომიკის პირობებში არავის არ აწუხებდა დანახარჯები, რადგან მაშინ არ არსებობდა კონკურენციული ღაწოლა, რაც მწარმოებელთ აიძულებდა დანახარჯების შემცირებას. ამით იყო გამოწვეული ის, რომ ბევრ საწარმოს სარეალიზაციოდ გამოჰქონდა უხარისხო საქონელი, რომლის საწარმოებლადაც დიდძალი ხარჯები იყო გაწეული. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არსებული ბევრი დღევანდელი პრობლემა სწორედ აქედან გამომდინარეობს: მაგალითად, ფოტოგრაფიული ფირმა „პრაქტიკას“ მიერ დამზადებული აპარატების დამზადების ღირებულება აღემატებოდა იმ ფასებს, რა ფასადაც ეს პროდუქცია შეეძლო გაეყიდა ამ აღმოსავლეთგერმანულ ფირმას. როგორც კი გერმანია გაერთიანდა, ეს ფირმაც დაიხურა.

ალტერნატიული ხარჯები

დანახარჯების სხვა ტიპს წარმოადგენს ე.წ. ალტერნატიული ხარჯები. ამ ცნების თანახმად:

- ალტერნატიული ხარჯები არის განსხვავება იმ დანახარჯებს შორის, რაც გაწეულია ნედლეულისა და მასალების, ფინანსური და შრომითი რესურსების ხარჯვაში, როგორც რეალურად გამოყენებასა და მათ უკეთესად ათვისებას შორის.

გაფრთხილების სიტყვა:
ეკონომისტები დიდი სიამაყით უსვამენ ხაზს ცნება ალტერნატიული ხარჯების მნიშვნელობას ხშირად იმიტომ,რომ ადამიანთა უმეტესობამ არ იცის, რას ნიშნავს ეს. და მართლაც: თუმცა შეიძლება მიახლოებით ვილაპარაკოთ ალტერნატიულ ხარჯებზე, მაგრამ მათი ზუსტად გამოთვლა ძალზე რთულ საქმეს წარმოადგენს. მაგალითად, როგორი იქნება ალტერნატიული ხარჯები გზის კიდევ ერთი დამატებითი კილომეტრის გაყვანისა? ძალზე ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, თუ ფულის გახარჯვის სხვა მიმართულება ზუსტად ისეთივე იქნება, როგორიც ჩვენ გვინდოდა.


კერძო საკუთრება

საბაზრო მეურნეობა კერძო საკუთრებას ეფუძნება. კერძო საკუთრების პრინციპი კი იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენო ის საგანი, რომელიც შენია და ასევე თავისუფლად იყიდო ან გაყიდო სხვა საგნები; ეს მხოლოდ შენი ნებაა.

- კერძო საკუთრება ადამიანებს აძლევს მუშაობის სტიმულს, და ასევე უღვიძებს მათ იმის სურვილს, რომ მზრუნველობით მოეკიდონ იმ საგანს, რაზეც პასუხს აგებენ ან რაც უშუალოდ მათია.

კომუნისტებს მიაჩნდათ, რომ კერძო საკუთრება ბოროტებაა და რომ მატერიალური დოვლათი ყველას უნდა ეკუთვნოდეს. ოღონდ არავინ არ ზრუნავდა ამისათვის, და არც არავის აწუხებდა იმ საწარმოს ბედი, სადაც იგი მუშაობდა.
ეკონომისტები ხშირად ხუმრობენ, რომ ძროხები არიან „მემარჯვენეები“, ხოლო მარცვლეული -„მემარცხენეა“. ეს იქიდან გამომდინა-

რეობს, რომ ძროხების მოვლა არ არის მაღალეფექტური, თუ ისინი იმ გლეხის კერძო საკუთრება არ არის, ვინც მას უვლის. სამაგიეროდ, შეიძლება მარცვლეულის უხვი მოსავლის მიღება, თუ მუშებს კარგად აუნაზღაურებ შრომას. შესაბამისად, ასკვნიან ისინი, „მემარცხენეა“ წარმოების საშუალებები, რომლებიც კარგად ეგუებიან საკუთრების სოციალისტურ სისტემას; სამაგიეროდ „მემარჯვენეა“ წარმოების საშუალებები, რომელთა გამოყენებაც მაღალეფექტურია მხოლოდ კერძო საკუთრების პირობებში. მაგრამ ამ სქემის მიხედვითაც მარცვლეულიც ისევე „მემარჯვენეა“, რაღგანაც ცნობილია, თუ რამდენად უფრო ეფექტური იყო მარცვლეულის წარმოება კერძო საკუთრების პირობებში, ვიდრე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. თუ ჩვენ საკუთარი ფირმა გვაქვს, დღენიადაგ იმის შესახებ ვფიქრობთ, რათა კონკურენციულ ბრძოლაში დამარცხებული არ აღმოვჩნდეთ. უნდა ვიცოდეთ, რომ თუ გამოშვებული პროდუქციის ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა ფასი, ხარისხი და სხვა, არა თუ არ უსწრებს, არამედ ჩამორჩება კიდეც კონკურენტული პროდუქციის შესაბამის პარამეტრებს, მაშინ დიდი განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდებით.



კერძო საკუთრება

ტექნიკური პროგრესი

კერძო საკუთრება აუცილებელი პირობაა ტექნიკური პროგრესისა. ტექნიკა კი არის მეცნიერების ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოყენების შედეგი. მეურნეობის სოციალისტური სისტემა ცნობილი იყო თავისი მეცნიერული მიღწევებით. მაგრამ ძნელი იქნება თუნდაც ერთი დარგის დასახელებაც კი, სადაც ამ ცოდნის ტექნიკაში განიყოთება წარმატებით განხორციელებულიყოს; ერთადერთ გამონაკლისი იყო სამხედრო ტექნიკა, რომლის წარმოებასაც კომუნისტები ყოველთვის უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ, თუმცა ამ დარგშიც დასავლეთი უღიდეს კონკურენციას უწევდა მათ. პრაქტიკაში ახალი ტექნიკის დანერგვა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და რადგანაც არ არსებობდა არავითარი სტიმულები ამისათვის, სახელმწიფო საწარმოები მათ დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. კერძო საწარმოები კი იძულებული არიან იზრუნონ ამ საქმეზე, რადგან ამაზეა უშუალოდ დამოკიდებული მათი წარმატება.

ფასები

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასი წარმოადგენს მთავარ ინფორმაციულ სიგნალებს. ბაზრის ნორმალური მოქმედებისათვის ფირმებს საშუალება უნდა პქონდეთ თავად განსაზღვრონ ფასი საკუთარ პროდუქციაზე, ხოლო მომხმარებელს უფლება და საშუალება— შეიძინოს ამ ფასად ესა თუ ის საქონელი ან უარი თქვას მის შესყიდვაზე. ცხადია, არსებობს გამონაკლისიც, განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც არ არის კონკურენცია. თავისუფალი ფასების დაუწესებლად შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ მომხმარებლისათვის ისეთი უსარგებლო სიტუაცია, როგორიცაა რიგები.

მთავრობა

საბაზრო მეურნეობის პირობებში მთავრობა ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იგი უზრუნველყოფს ცალკეულ მწარმოებელთა შორის დადებული კონტრაქტების უპირობო შესრულებას,* პირობების დამრღვევეთა დასჯას, და ასევე იცავს კერძო მესაკუთრის უფლებებს. მაგალითად, თუ გააკეთებინებ ფანჯარას და არ მოისურვებ

* ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ძალზე იშვიათია კონტრაქტების დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, 1994 წელს კანადაში საზეიმოდ აღნიშნეს კონტრაქტების დაურღვეველობის ასი წლისთავი. ცნობილია, რომ ბოლო სასამართლო პროცესი ამ ქვეყანაში, რომელიც კონტრაქტის დარღვევას მიე ძღვნა, გაიმართა 1894 წელს (მთარგ.).

მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებული ფასის გადახდას, მაშინ შენ გემუქრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. შენ შესაძლოა დაისაჯო სხეულყარადაც – მაგალითად, ჩაგიტეხონ ფანჯარა. პირველი შესაძლებლობა არის ერთადერთი სწორი მოქმედება ცივილიზებულ საზოგადოებაში. თუ ადამიანები არ იქნებიან ვალდებულნი დაიცვან დადებული შეთანხმებები, მაშინ ყოველთვის გამარჯვებული დარჩება უხეში ძალა. თუ პოლიცია ვერ შეძლებს დაიცვას ჩემი სახლი, მაშინ უმჯობესია საერთოდ არ წავიდე სამსახურში და დავრჩე სახლში, რათა დაიცვა იგი.

საბაზრო მეურნეობას ხშირად ადარებენ ჯუნგლებს, საღაც გაბატონებულია დარვინის პრინციპი, რისი მიხედვითაც გადარჩება მხოლოდ ის, ვისაც აქვს კარგად გამომუშავებული შეგუების უნარი. სინამდვილეში კანონების არსებობა არის იმის გარანტია, რომ მთავრობა ისეთნაირად უნდა მოქმედებდეს, რომ დაცული იყოს როგორც ძლიერის, ასევე სუსტის ინტერესები და ასევე დაიცვას ყველა ადამიანის საკუთრება.


- შავი ბაზრის წარმომადგენლები ხშირად ხღუდავენ კონკურენციას უხეში ძალის გამოყენებით. იმ ქვეყნებში, საღაც სწვავენ იმის მაღაზიებს, ვინც შეეცდება და კონკურენციას გაუწევს მაფიას, ანდა მათ გვამებს პოულობენ მდინარეში, საბაზრო მეურნეობა არც ეფექტურია და არც მიმზიდველი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მთავრობის მოწოდება უნდა გახდეს აგრეთვე იმის შემოწმებაც, რომ ის საქონელი თუ მომსახურება, რომელთა მიწოდებაც ბაზრისათვის ხდება მცირე მოცულობებით, არის თუ არა საკმარისი ყველა მოქალაქისათვის და განსაკუთრებით მათთვის, ვისაც უჭირთ მისი შეძენა. საბაზრო ეკონომიკა ხომ განსაკუთრებით იმ ადამიანებისათვის არის სასარგებლო, ვისაც აქვს საკმაო ფული, ვიდრე მათთვის, ვინც ფულის უკმარისობას განიცდის.

- ავადმყოფ ანდა ღარიბ ადამიანებს უჭირთ სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ასეთი ადამიანების სამედიცინო მომსახურება.

- ანდა განათლება ღარიბი ხალხის შვილებისათვის ხომ ისეთივე აუცილებელია, როგორც მდიდრებისათვის. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც კი, რათა აამაღლოს თავისი მოქალაქეების ინტელექტუალური პოტენციალი, მთავრობა დაინტერესებული უნდა იყოს გაიღოს მნიშვნელოვანი დოტაციები განათლებული მომავალი თაობის აღსაზრდელად.

მთავრობის როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში არის ძალზე პრობლემური საკითხი. მაგრამ ის, რაზეც არავინ არ დაობს, არის საკუთრების დაცვა და ადამიანების იძულება, რათა მათ არ დაარღვიონ დადებული ხელშეკრულებები. ეკონომისტთა უმეტესობა თვლის, რომ მთავრობა ამაზე არ უნდა გაჩერდეს, მაგრამ კამათის საგანია ის, თუ კერძოდ, რა უნდა გააკეთოს მან ამას გარდა.



სარგებლობა გადასახადებიდან

არჩევანის თავისუფლება

საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი ელემენტია დებულება, რომ ყოველ ადამიანს უნდა შეეძლოს თავისუფლად განსაზღვროს ის, თუ სად იმუშაოს და რა იყიდოს. ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკის სფეროში მილტონ ფრიდმანმა, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ამ უდიდესმა დამცველმა, დაწერა დიდებული წიგნი „თავისუფალი არჩევანის წინაშე“, რომელიც გახდა იმის მანიფესტი, რაც მიჩნეულია საბაზრო ეკონომიკის საფუძველთა— საფუძვლად.

არგუმენტები ცენტრალიზებული დაგეგმვის სასარგებლოდ

ცენტრალიზებულ დაგეგმვის აპოლოგეტები, რომლებიც ჯერ კიდევ მრავლად არიან და რომელთაც ძლიერი ნოსტალგია აქვთ ცენტრალიზებული დაგეგმვისადმი, თავიანთ პოზიციებს შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებენ:

1. პროდუქციის სახეობათა განსაზღვრა ხდება ცენტრალური ხელისუფლების და არა ცალკეული მეწარმეების მიერ, რომლებიც მხოლოდ ბაზრის მოთხოვნებს უწევენ ანგარიშს. ცენტრალური ორგანოების მოხელეებს შეუძლიათ მოგვცენ გარანტია, რომ ყველა აუცილებელი საგანი საჭირო რაოდენობით იქნება წარმოებული, იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილდეს ყოველი მოქალაქის მოთხოვნილება. სინამდვილეში, ეს არგუმენტი გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ ეს მოხელეები შეზღუდული არიან თავიანთ შესაძლებლობებში, რადგან ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემის პირობებში შეუძლებელია საკმარისი რაოდენობის მატერიალური დოვლათის წარმოება. გამოდის, რომ ცენტრალური ორგანოების წარმომადგენლები მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის იბრძვიან. დემოკრატიული სისტემის არსებობის დროსაც კი არ არიან ცენტრალური ორგანოების მუშაკები კარგად ინფორმირებულნი; თუ სინამდვილეში რაზეა ყველაზე მეტი მოთხოვნილება მოსახლეობის მხრიდან.
2. მომავალი უსაფრთხოა, რადგან დაგეგმილია. ეს არგუმენტიც მოკლებულია დამაჯერებლობას, რადგან გეგმები, როგორც წესი, იყო არარეალური და ძირითადში განუხორციელებელი. რანაირად იქნება მუშაობა წამგებიან თუ დაბალრენტაბელურ საწარმოში უსაფრთხო? ცენტრალიზებულ დაგეგმვას, თუნდაც რომ რეალური ყოფილიყო იგი, არ შეეძლო მხედველობაში მიეღო გაუთვალისწინებელი შემთხვევები.
3. თავიდან იქნებოდა აცილებელი კონკურენციის დიდი დანახარჯები. ეს არგუმენტი უგულვებელყოფს იმ ფაქტს, რომ სამაგიეროდ კონკურენციას მოაქვს უდიდესი სარგებელი. იგი უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის სხვადასხვაგვარ შესაძლებლობებს, რომელთა შორის მათ არჩევანის შესაძლებლობა ეძლევა. საბაზრო ეკონომიკა გამოიყენებს რა კონკურენციას, ამით იგი აღიარებს, რომ არავინ არ იცის, თუ რა არის უმჯობესი. ამის შემფასებელი მხოლოდ მომხმარებელია.

ბევრი საწარმოს გაკოტრება, რომლებიც მოქმედებდნენ ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში და რომლებიც ახლა ღაღვნენ კონკურენციის პირისპირ, უკვე ნათლად გვარწმუნებენ იმაში, თუ რამდენად კარგი მსაჯულები არიან მოიხმარებელნი. აქედან ჩანს, აგრეთვე, რომ კონკურენციის პირობებში კერძო ფირმების მიერ წარმოებული პროდუქტები გაცილებით უკეთესია.

4. მუშაკებს არავინ უწევს ექსპლუატაციას და წარმოებული ღოვლათი შესაძლებელია განაწილდეს მათი ინტერესების შესაბამისად. ექსპლუატაცია ნიშნავს, რომ ადამიანებს უხდიან ნაკლებს, ვიდრე მათი შრომის ღირებულება შეადგენს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამ აზრით ყოველი სახის შრომის დახარჯვა სასარგებლოა, რამეთუ მუშაკები თავიანთ შრომას კაპიტალისტებს ლამაზი თვალებისათვის როდი სჩუქნიან და თუ ვინმე დარწმუნებულია, რომ ამაში რაღაც არის ცუდი, შესაძლებელია მისი გაღარწმუნება მხოლოდ ერთი მეთოდით: საჭიროა ყურაღღება მიექცეს იმას, რომ კაპიტალიზმი ადამიანებს გაცილებით მეტ რწმენას უნერგავს საკუთარ ძალებში და მატებს ღირსების გრძნობას, უქმნის მას უფრო უსაფრთხო პირობებს, გაცილებით გამართულ გარემო პირობებს და უფრო დიდ ანაზღაურებას, ვიდრე ის სისტემა, რომლის საფუძველში ჩადებული უნდა ყოფილიყო მშრომელებისაღმი სამსახური. როგორც ფრიდრიხ ჰაიეკი, ცნობილი ავსტრიელი ეკონომისტი და სოციალიზმის მოწინააღმღეგე ამბობდა: „არაექსპლოატირებულ პინდუსად ყოფნას, ნამდვილად სჯობს იყო ექსპლოატირებული პინდუსი...“

შეჯამება:

ეკონომიკური სისტემა განსაზღვრავს ღოვლათის წარმოებისა და განაწილების წესებს.

საბაზრო ეკონომიკა არის:

- სისტემა, რომელიც განსაზღვრავს, ვინ რა უნდა მიიღოს;
- იმ სტიმულების სქემა, რომლითაც აიძულებენ მეწარმეებს აწარმოონ ის, რისთვისაც ადამიანები ფულს გადაიხდიან.

საბაზრო ეკონომიკის საფუძველია კერძო საკუთრება, რომელიც კერძო პირებსა თუ ფირმებს საშუალებას აძლევს:

- ფლობდნენ კაპიტალსა და წარმოების საშუალებებს და იღებდნენ გადაწყვეტილებებს, თუ რაში გამოიყენონ ისინი;
- ეცადონ, რაც შეიძლება უკეთ, საკუთარი შეხედულებით გამოიყენონ მათთვის კუთვნილი ქონება.

შეკითხვები განსჯისათვის:

1.1. როგორ მოიქცევი რესტორანში, თუ შენიშნე ფასები მითითებული არ იქნება?

1.2. რა მოხდებოდა, თუ რესტორანში ყველას უფასოდ გაუმასპინძლდებოდნენ?

1.3. რისთვის სჭირდება ხელისუფლებას კერძო საკუთრების უფლების დაცვა?

1.4. თუ ღვას შენობა, იქ საღაც თქვენ ცხოვრობთ, რომლის პატრონიც უცნობია, რა მოუვიდა მას? რატომ? როგორ ფიქრობთ, რა დაემართება სახლს, რომელსაც პატრონი არა ჰყავს?

1.5. ვის ქონდა საკუთრების უფლება ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში?

2

მოთხოვნა

შესავალი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოთხოვნა უდიდეს როლს ასრულებს. მოთხოვნასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც კერძო პირი, კოოპერატივი, ფირმა, თუ სახელმწიფო საწარმო რაიმე საქონელს ყიდულობს. მოთხოვნა იმაში გამოიხატება, რომ ადამიანებს სჭირდებათ გარკვეული საქონელი და მზად არიან მასში ფული გადაიხადონ. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას ახდენს მომხმარებელი, ხოლო მომხმარებელია ყოველი ადამიანი, ვინც ფულს იხდის.

ამ წიგნის ნებისმიერ მკითხველს ალბათ ექნება სურვილი ბინა ჰქონდეს ქალაქის ცენტრში, რათა მისთვის მოსახერხებელი ყოფილიყო ქალაქის ნებისმიერ ადგილზე დროული მისვლა. დავარქვათ ამას მოთხოვნა – ოცნება. ეკონომისტები ამგვარ მოთხოვნას არ შეისწავლიან –მათ საქმე აქვთ რეალურ მოთხოვნასთან.

რეალური მოთხოვნა ფულით არის განსაზღვრული. მაგალითად, იმის თქმით, „ძალიან მინდა ავტომანქანა, მოკლე ხანში ვაპირებ მის ყიდვას“ – გამოიხატება მოთხოვნა. სხვაგვარად ეს უბრალო ოცნება იქნებოდა: „როგორ მინდა მქონდეს მანქანა...“. ეკონომისტები, როგორც პრაქტიკული ხალხი, დაინტერესებულნი არიან მხოლოდ რეალური მოთხოვნით.

სხვადასხვა ადამიანების მოთხოვნებზე – შეიძინონ გარკვეული საქონელი თუ გადაიხადონ ფული რომელიმე სახის მომსახურებაზე, გადამწყვეტ გავლენას ახდენს მხოლოდ ორი პირობა. კერძოდ:

– გემოვნება, რომელიც მათ აიძულებს მიიღონ გადაწყვეტილება რაიმეს შეძენის შესახებ;
– მათი ქონებრივი შესაძლებლობა*.

* გეგმური ეკონომიკის პირობებში ეს უკანასკნელი გულისხმობს აგრეთვე პიროვნების სიახლოვის ხარისხს მმართველ პარტიასთან. ეს უადვილებს მას საქონლის შეძენას.

განვიხილოთ რომელიმე ადამიანის, მაგალითად, სიგარეტზე წარმოქმნილი მოთხოვნა. პირველი პირობის შესრულება ცხადია, იმაზეა დამოკიდებული, პიროვნება ეწევა სიგარეტს თუ არა; თუ ეწევა – რამდენად ხშირად და რომელი სახის სიგარეტი უყვარს მას განსაკუთრებით. ამის დაღგენით ჩვენ გავარკვევთ აგრეთვე მის გემოვნებასაც.

მეორე პირობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი სიგარეტის შეძენა შეუძლია მას თავისი ფულადი შესაძლებლობებით: დღეში ერთი კოლოფის, კვირაში ორის, თუ წელიწადში 20—ის.

თუ ჩვენ გვსურს დავადგინოთ სიგარეტზე მოთხოვნის დონე, მანამდე, ვიდრე შევეკითხებოდეთ მომხმარებელს, თუ რამდენი სიგარეტის კოლოფის შეძენა სურს, ჯერ მას სიგარეტის ფასი უნდა შევატყობინოთ. და, ვინაიდან ეკონომისტები სწავლობენ რეალურ მოთხოვნას, ანუ აღგენენ იმას, თუ რამდენი ადამიანი მოისურვებს ამ სიგარეტების ყიდვას, მოთხოვნა ყოველთვის გაგებული უნდა იყოს, როგორც მისი სიდიდე გარკვეული ფასების პირობებში. ამის დაღგენა შესაძლებელია გამოკითხვით, კერძოდ, ადამიანებისათვის იმის კითხვით, თუ რამდენ კოლოფ სიგარეტს შეიძენენ ისინი დადგენილი ფასის პირობებში.


მაგალითად, გვინდა განვსაზღვროთ მოთხოვნა 1 ცალ კვერცხზე 1000 ზლოტის* ფასის პირობებში. შესაბამისად ვეკითხებით მომხმარებელს, თუ რამდენი ამ ფასიანი კვერცხის შეძენას გადაწყვეტდა, ვთქვათ, კვირის მანძილზე. (დავუშვათ, რომ პასუხად მივიღეთ ხუთი). ეს ჩვენ შეგვიძლია შემდეგნაირად გრაფიკული სახით გამოვსახოთ. (იხ. ნახაზი 1)

ყურადღება მიეაქციოთ იმას, რომ მოთხოვნის მოცულობა განპირობებულია კვირის მანძილზე რეალიზებული პროდუქციის რიცხოვნობით. მოთხოვნა განისაზღვრება რეალიზებული პროდუქციის მოთხოვნილების რაოდენობით გარკვეულ დროში – ეს შესაძლებელია იყოს საათი, თვე, წელი თუ მთელი სიცოცხლე.

ახლა დაფიქრდი, თუ რა ფაქტორები ახდენდნენ გავლენას შენს მიერ საქონლის ყიდვისას. შეგიძლია განსაზღვრო რომელიმე კონკრეტული საქონელი, რომელზედაც შენი მოთხოვნა განსაზღვრულია წელიწადით, დღით, ასაკით, ჯანმრთელობით, ხასიათით, ფასით?

---

* წიგნის კითხვისას მკითხველი შეამჩნევს, რომ ავტორი ხშირად მიმართავს პოლონეთის მაგალითს. საქმე იმაში გახლავთ, რომ რ.ლუკასი მიწვეული იყო ამ ქვეყანაში, როგორც ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში. ეს წიგნი სპეციალურად პოლონეთის (და მის მაგალითზე საერთოდ პოსტკომუნისტური ქვეყნების) ეკონომიკური პრობლემების გასაშუქებლად დაიწერა. (მთარგმ.)



სადაც:
P – ფასი ათას ზლოტებში
q/t – კვერცხის რაოდენობა, რომელსაც კვირის მანძილზე შეიძენენ
P1 – 1000 ზლოტი
Q1 – 5 ცალი კვერცხი კვირაში

ნახ. 1. მოთხოვნის მოცულობის დამოკიდებულება ფასებზე.

ჩამოწერე ცალკეული სახეები (ვთქვათ, კინოში წასვლა, ნაყინის ყიდვა, პოლიკლინიკაში მისვლა, კოსტიუმის შეძენა და ა.შ.) ამგვარად, სახეზეა ეკონომიკური კატეგორიებით განსაზღვრული შენი ხასიათის ანალიზი.


მოთხოვნის მრუდი

მოთხოვნის მრუდი არის მეთოდი, წარმოვადგინოთ მოთხოვნის რეალური მოცულობა არა მხოლოდ ერთი ფასის, არამედ რამდენიმე სახის ფასის არსებობისას; ახლა სცადე უპასუხო შემდეგ შეკითხვას: "რამდენ ბანანს შეიძენდი თვეში შემდეგი ფასების არსებობისას?"...

ქვევით წარმოდგენილია მოთხოვნის ცხრილი:

1კგ. ბანანის ფასი ზლოტებში	თვის განმავ. ვაყიდ. პროდუქცია (კგ)
5	10
10	5
15	4
20	3
25	2
30	1

მოცემული მაჩვენებლები ქმნიან ინდივიდუალური მოთხოვნის მრუდს და გვაძლევენ ძალიან უბრალო პრინციპის ილუსტრაციას: რაც უფრო ძვირია საქონელი, მით უფრო ნაკლებს ყიდულობენ მას და პირიქით. მოთხოვნის მრუდი წარმოადგენს ფასებით განსაზღვრულ მოთხოვნის სიდიდეს და პასუხს იძლევა კითხვაზე: „რამდენ საქონელს შეიძენდი მოცემული ფასის პირობებში?“




p – ფასი ათას ზლოტებში
q/t–კვირის მანძილზე შეძენილი პროდუქციის რაოდენობა
ნახ. 2. მოთხოვნის მრუდი

ინდივიდუალური და საბაზრო მოთხოვნის მრუდი

მოთხოვნის მრუდმა შეიძლება ასახოს ცალკეული ინდივიდების, ადამიანთა ჯგუფების ან ბაზარზე მყოფი ყველა მომხმარებლის მოთხოვნა. ინდივიდუალური და მთელი ბაზრის მოთხოვნათა მრუდებს შორის ურთიერთდამოკიდებულება მოცემულია შემდეგ ნახაზებზე:

მთელი ბაზრის მოთხოვნათა მრუდი წარმოადგენს ჯამს ინდივიდუალური მოთხოვნათა მრუდებისა.



p-ფასი ათას ზლოტებში კვირის მანძილზე
q/t-შეძენილი საქონელთა რაოდენობა
ორი ერთმანეთზე დადებული მრუდი d1 ქმნის მრუდ d2–ს
ნახ. 3. ერთმანეთს დადებული მოთხოვნათა მრუდები

მოთხოვნის მრუდის ადგილგადანაცვლება

მოთხოვნის მრუდი წარმოადგენს საქონლის რაოდენობას, რომელთა შეძენაც სურთ ადამიანებს სხვადასხვა ფასების პირობებში და დროის განსაზღვრულ პერიოდში. დროის გასვლასთან ერთად ეს პირობებიც განიცდის ცვლილებებს. გაეცნოთ შემდეგ ცალკეულ შეხედულებებს: ქვემოთ მოყვანილი პირველი შეხედულება შეიძლება გამოთქვას ბიზნესმენმა: „ადრე ვცდილობდი გადამემალა ჩემი სიმდიდრე, მაგრამ ახლა შემიძლია შევიძინო ძვირფასი ავტომობილი, რომელიც ჩემს სიმდიდრეს გამოაჩენს“.


ასეთი მოსაზრება კი მდიდარმა მეცნიერმა შეიძლება წარმოთქვას: „თუ ცხელი დღე იქნება, ვიყიდი ნაყინს, რაც არ უნდა ძვირი ღირდეს, ხოლო თუ ეცივება, მაინც არ შევჭამ მას, თუნდაც მუქთად მომცენ“. მასვე შეიძლება გამოთქვას შემდეგი აზრი: „ახლა არაფრით აღარ ვიყიდი ამ გაქუცულ ჯინსებს, რადგან უკვე აღარაა მოდაში. რა მნიშვნელობა აქვს, რომ ძალზე იაფია“.

ახლა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა სახეს მიიღებდა მოთხოვნის მრუდი უკრაინაში ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ, ანდა ტურიზმი იუგოსლავიაში მას შემდეგ, რაც კომუნისტებმა სლოვენიასა და ხორვატიას შეუტიეს 1991 წელს. ორივე ამ შემთხვევაში მოთხოვნის მრუდი ადგილს შეინაცვლებდა, რაც გარკვეული მიზეზებით იქნებოდა გამოწვეული; კერძოდ:

—გარე პირობების შეცვლით, ან

—კომუნისტების შეხედულებებით.

მოთხოვნის ცვლილება სიტუაციაში, როდესაც ფასები არ იცვლება, ცხადია, გამოიწვევს მთელი მოთხოვნის მრუდის ცვლილებას. რათა წარმოვიდგინოთ მოთხოვნის ახალი დონე, საჭიროა მისი ხელახლა დახაზვა. იგი წარმოდგენილია მე-4 ნახაზის სახით



p - ფასი ათას ზლოტებში

q/t-კვირის მანძილზე შესყიდული პროდუქციის რაოდენობა

ერთი და იგივე ფასების პირობებში მრუდი d1 შეესაბამება მოთხოვნის დაბალ, ხოლო მრუდი d2 — მოთხოვნის მაღალ დონეს.

ნახ. 4. მოთხოვნის მრუდის ადგილგადანაცვლება

საკითხი იმის შესახებ, თუ რა რაოდენობით საქონელს შეიძენდა მომხმარებელი ერთი და იგივე ფასების არსებობის პირობებში, როდესაც მოთხოვნა მცირდება ანდა მატულობს, ცოტა უცნაურია, ვინაიდან სინამდვილეში ფასები ან იზრდება, ან მცირდება. IV თავში, სადაც ჩვენ გავაანალიზებთ კავშირებს მიწოდებასა და მოთხოვნას შორის სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე, შევიტყობთ, თუ რატომ არის საჭირო ცალკ-ცალკე იქნას განხილული მოთხოვნა და მიწოდება.

პრეფერენცია* და სარგებლიანობა

ადამიანის მოთხოვნებს განსაზღვრავენ მისი პრეფერენცია და ქონებრივი შესაძლებლობები. ამასთან,ეკონომისტებისათვის დიდ სიძნელეებს ქმნის იმის განსაზღვრა, თუ კერძოდ, რა აყალიბებს ადამიანთა პრეფერენციას. ამ საკითხში ისინი ძირითადად ეყრდნობიან ძველ, ამასთან დისკრედიტირებულ უტილიტარიზმის** ფილოსოფიას.

- ეკონომიკის მეცნიერების ენით შესაძლებელია ბედნიერების ნაცვლად ვიხმაროთ სარგებლიანობა. სარგებლიანობა არის ბედნიერების ეკონომიკური გამოხატულება.

შეკითხვაზე, თუ რატომ იყიდა ეს და არა სხვა ავტომანქანა, ეკონომისტი გიპასუხებთ, რომ ამ ავტომანქანის შეძენაზე გახარჯული ფულის ყოველ ერთეულს მოაქვს გაცილებით მეტი სარგებლობა, ვიდრე სხვა რამეში მის გახარჯვას. ამრიგად, იგი ხმარობს ტერმინს „სარგებლობას“იმის აღსანიშნავად, რა ნიშნის მიხედვით ამჯობინებენ ადამიანები შეიძინონ ეს თუ ის საქონელი.

ეკონომისტები აკეთებენ დასკვნას, რომ თუ ვინმე ყიდულობს მეტსა და მეტ ერთსა და იგივე საქონელს, მაშინ ყოველ შემდეგ საქონელს მოაქვს გაცილებით ნაკლები სარგებლობა, ვიდრე მის წინ შეძენილ საქონელს. დავუშვათ, რომ შევიძინეთ ავტომანქანა „მერსედესი“ და შენაძენმა მოგგვარა უდიდესი ბედნიერების შეგრძნება. შემდეგ შეიძინეთ მეორე ასეთივე ავტომანქანა, რამაც უფრო გაგვახარა;

*პრეფერენცია – (ლათ. prefepe – უპირატესობის მინიჭება) – უპირატესობა, შეღავათი.

** უტილიტარიზმი –(ლათ. utilitas სარგებლიანობა)–ადამიანის მისწრაფება ყოველ თავის მოქმედებაში იხელმძღვანელოს სარგებლიანობის პრინციპით. ამ ფილოსოფიური მოძღვრების თანახმად, თავისი გემოვნების და სურვილების მიხედვით მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ადამიანს ბედნიერად ხდის. იგი ხომ ყველა თავის მოქმედებაში ეგოისტური ზრახვებით ხელმძღვანელობს.

შემდეგ შესაძე, მეოთხე და ა.შ. ამგვარად ვიყიდეთ ასი „მერსედესი". ცხადია, რომ როგორი ეგოისტური ხასიათიც არ უნდა გვქონდეს, ყოველი შემდგომი ავტომანქანა გაცილებით ნაკლებ სიხარულს მოგვანიჭებს. ეკონომისტების ენაზე ამას ჰქვია სარგებლიანობის უკიდურეს საზღვრამდე შემცირება.

- სარგებლიანობის უკიდურეს საზღვრამდე შემცირების თეორიის თანახმად, ყოველ შემდგომ საქონელს მოაქვს გაცილებით ნაკლები სარგებლიანობა, ვიდრე მის წინას.

ეკონომიკაში ძალიან მნიშვნელოვანია სარგებლიანობის უკიდურეს საზღვრამდე შემცირების მცნება. მიჯნის გამყოფად აქ ადამიანის ქცევა ითვლება. ეკონომისტი ცდილობს ამ ქცევის ცვლილების ახსნას. უკიდურეს, საზღვრამდე შემცირებულ საქონლად ითვლება ბოლოს შეძენილი საქონელი. დავუშვათ, რომ ვიყიდეთ 10 კგ. შაქარი. უკიდურესი საქონელი ამ შემთხვევაში იქნება მეათე კილოგრამი, ვინაიდან ყიდულობ 0-10 კგ-ს და არც ერთ გრამს მეტს. ეკონომისტები ცდილობენ ახსნან, თუ შაქრის ყიდვის დროს რატომ ჩერდება ადამიანი 10 კგ-ზე და არ ყიდულობს ამ პროდუქტს გაცილებით მეტი ან ნაკლები ოდენობით.

სარგებლიანობის ცნებასთან დაკავშირებული პრობლემები

უტილიტარიზმი არის თეორიული კონცეფცია, რაც ვერ აკავებს ეკონომისტებს მას მიმართონ, როდესაც ივი ძალზე სასარგებლო ხდება ეკონომიკაში ბევრი მოვლენის ასახსნელად. ოღონდ გარკვეული პრობლემაა ის ფაქტი, რომ შეუძლებელია სარგებლიანობა გაიზომოს, ანდა რამეს შევადაროთ. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ სოსისის შეჭმა მას უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე სხვა ვინმეს, ან რომ ვაშლის ჭამა უფრო სასარგებლოა, ვიდრე გაზეთის წაკითხვა? ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ შესაძლოა ადამიანების გემოვნების ერთგვარ წესრიგში მოყვანა (გემოვნებისათვის იერარქიული სისტემის მიცემა), თუკი მათ ქცევას დავაკვირდებით. მაგალითად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მავანს უფრო მოსწონს ვაშლი, ვიდრე ნაყინი, თუკი შევისწავლით იმას, თუ რას უფრო ყიდულობს ივი; ეს მართლაც ასეა, მაგრამ ამით ვერ აგხსნით ადამიანების ქცევას მათი პრეფერენციის საფუძველზე. თუ პრეფერენცია ახსნილი იქნება ადამიანის ქცევის საფუძველზე, ხოლო ქცევა არის პრეფერენციის კონსეკვენცია, ეს მაინც ვერ გვაძლევს სარგებლიანობის მცნების გაგების გასაღებს და თავად იდეა აწყდება გამოუვალ ლაბირინთს ანდა უნდა აიხსნას სხვა

ღამატებითი არგუმენტებით. როდესაც ჩვენ საკუთარ გამოცდილებას ვაანალიზებთ, ძალზე ძნელია ყველაფერი ჩვენი ეგოიზმით ავხსნათ, თუმცა უეჭველია, არის ბევრი რამ ისეთი, რომელთა ინტერპრეტაციაც შესაძლებელია, როგორც ეგოიზმის შედეგი. უტილიტარისტებმა შესაძლებელია ამტკიცონ, რომ მას, ვინც რისკავდა ციხეში ჩაჯდომით და მაინც უშვებდა იატაკქვეშა ლიტერატურას, არსებითად ამოძრავებდა ეგოისტური მოტივები. მაგრამ მათ არ შეუძლიათ უარყონ არგუმენტები, (რომელთა მიმართაც ბევრი არაეკონომისტი ინსტინქტურად იხრება), რომ არსებობს კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა ქცევას.

ეკონომისტები თავს იცავენ რაციონალურობის საკმაოდ უჩვეულო დეფინიციის გამოყენებით, რომლის მიხედვითაც „რაციონალური არსება მიისწრაფის მაქსიმალური სარგებლიანობისაკენ". ამტკიცებენ იმასაც, რომ ადამიანები, რომლებიც არ ხელმძღვანელობენ სარგებლიანობის მოტივით, არიან ირაციონალურნი ან გიჟები. მათი დეფინიციის თანახმად ეს სწორი, თუმცა არა საკმაო არგუმენტია, რომელიც შესაძლოა გამოვიყენოთ კონსტრუქციული დავისას.

მიუხედავად ასეთი არსებითი სისუსტისა, შეუძლებელია უგულვებელვყოთ თეორია, ვინაიდან უტალიტარიზმის იდეაზე დაფუძნებულ ეკონომიკას ბევრი რამის ახსნა შეუძლია. ოღონდაც ძალზე ფრთხილად უნდა მოვეპყრათ თეორიას, რომელიც ყველაფრის ახსნას ცდილობს სარგებლიანობის კატეგორიებით.

შემოსავლების ეფექტი

რა უდებს საზღვარს შენს მიერ შეძენილი საქონლის რაოდენობას? ავიღოთ "მერსედესების" ყიდვის მაგალითი. შენს მიერ შეძენილი თითქმის ყველა საქონელი შემოსაზღვრულია შემოსავლებით; მაგრამ აბსოლუტურად ყველაფერი? ბევრი ადამიანისათვის იაფფასიანი ნივთების შეძენის შესაძლებლობა, ისეთების, როგორებიცაა ასანთი ან გაზეთი, არ არის შემოსაზღვრული შემოსავლებით. ყოველდღიურად გაზეთის ყიდვა, რომელიც ეთქვათ, 200 000 ზლოტი ღირს, არ უნდა იყოს იმ ადამიანების შემოსავლებით შემოსაზღვრული, რომელთა წლიური ხელფასისათვის ეს თანხა ძალზე უმნიშვნელოა.

- შემოსავლების ეფექტი ეფუძნება იმას, რომ რაც უფრო ძვირია საქონელი, მით უფრო ძნელად შესაძენია იგი და ადამიანებიც მას ნაკლები რაოდენობით ყიდულობენ.

Cateris paribus

ეს ლათინური გამოთქმა ნიშნავს შემდეგს: „სხვა დანარჩენი უცვლელი რჩება"; როდესაც ზემოთ ნახსენები მაგალითების დროს ვუშვებდით ფასების გადიდებას, ჩვენ ვგულისხმობდით, რომ სხვა დანარჩენი ეკონომიკური მოვლენები უცვლელი რჩებოდა, ვცდილობდით იზოლირებულად განგვეხილა ის ეფექტი, რომლის შესწავლაც ჩვენ გვაინტერესებდა. და ეს არის პრინციპულად გვერდის აქცა სინამდვილიდან, რასაც მოსდევს მნიშვნელოვანი შედეგები და რომელთაც შემდეგ თავებში განვიხილავთ.

ჩანაცვლებადი და კომპლემენტარული საქონელი

ზოგიერთი საქონლის რეალიზაცია დამოკიდებულია სხვა საქონლის გაყიდვაზე. შეიძლება უამრავი ასეთი მაგალითის დასახელება. რომელი საქონლის გაყიდვას მოითხოვს პარალელურად ისეთი პროდუქციის გაყიდვა, როგორიცაა ბენზინი, თასმები, კომპიუტერის პრინტერი და სხვა?*

ასეთ საქონელს ეწოდება კომპლემენტარული, ანუ საქონელი, რომელთა რეალიზაციაც დამოკიდებულია სხვა პროდუქციის გაყიდვაზე. ამ წიგნის მკითხველი, რომელსაც განზრახული აქვს ხელი მოკიდოს ბიზნესს, დიდ სარგებელს ნახავდა, თუკი დროს არ დაზოგავდა და შეისწავლიდა კომპლემენტარულ საქონელზე მოთხოვნის გადიდებას. ბოლო ბანებში, მაგალითად, პოლონეთში სწრაფი ტემპებით მატულობს ტელეფაქსების რეალიზაცია. ამ დანადგარების უმეტესობა თავის სამოქმედოდ მოითხოვს სპეციალური ქაღალდის გამოყენებას. იმ დრომდე, ვიდრე ეს წიგნი დღის სინათლეს ნახავდა, შესაძლოა ვინმე მოკიდებს ხელს ტელეფაქსებისათვის ქაღალდის რეალიზაციას, რაც მას უეჭველად დიდ მოგებას მოუტანდა.

ჩანაცვლების ეფექტი

სუბსტიტუტები** ბიზნესმენების დიდი თავის ტეხის საგანს შეადგენს. შემცვლელი არის საგანი, რომლის გამოყენებაც შეიძლება იმის სანაცვლოდ, რომელსაც ყიდულობ. აბა ახლა დავფიქრდეთ, მაგალითად, რომელმა გაზეთმა შეიძლება შეცვალოს გაზეთი

---

* მანქანების, ფეხსაცმელების, კომპიუტერების.

** სუბსტიტუტი — (ლათ. substitatus შემცვლელი). 1. პირი, რომელიც ცვლის მეორე პირს, 2. შემცვლელი, ანუ ახალი სამრეწველო პროდუქტი, რომელიც ცვლის არსებულს. მაგალითად, ხინთეთიკური კაუჩუკი ცვლის ნატურალურ კაუჩუკს; სუბსტიტუტები იმით განსხვავდება სუროგატებისაგან, რომ ისინი შეიცავენ ყველა ან თითქმის ყველა იმ ძირითად თვისებებს, რაც აქვს იმ პროდუქტებს, რომლებიც სუბსტიტუტებმა უნდა შეცვალონ.

„ვიბორჩა?“, რომელი საგანი იქნება ავტომანქანა „მერსედესის“ შემცვლელი? თუ არსებობს ისეთი საგანი, რომელსაც არ პქონდეს სუბსტიტუტები?

როდესაც მატულობს იმ საქონლის ფასი, რომელსაც აქვს შემცვლელები, მაშინ ადამიანები ცდილობენ იყიდონ მისი სუბსტიტუტები. (მაგალითად, საქართველოში როდესაც ძალიან გაძვირდა კარაქი და ზეთი, ხალხმა მარგარინის ყიდვა და მისი მოხმარება დაიწყო ზემოთ აღნიშნული პროდუქტების ნაცვლად —მთარგ.).

მოთხოვნაზე ფასის ელასტიურობა

ელასტიურობა არის მოთხოვნის მგრძნობიარობა მოცემული საქონლის ფასზე. იგი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ შემდეგი ტოლობის სახით: მოთხოვნაზე ფასის ელასტიურობა უდრის მოთხოვნის მოცულობის გაღიდების პროცენტის შეფარდებას ფასების ცვლილების პროცენტზე;

მწარმოებლები უდიდეს ყურადღებას აქცევენ მოთხოვნის ელასტიურობას მათ მიერ სარეალიზაციოდ გატანილ პროდუქტზე. თუ ელასტურობა 1—ზე ნაკლებია, მაშინ ამბობენ, რომ მოთხოვნა არაელასტურია, რაც ნიშნავს, რომ იგი ძალიან მგრძნობიარეა ფასებზე. რა მოსდის წარმოებას, როდესაც მოთხოვნა მის პროდუქტზე არის არაელასტიური?* და რა მდგომარეობაში იყო იგი, როდესაც იყო ელასტიური?**. ძნელი არაა წინასწარ განსჭვრიტო მოთხოვნაზე ფასების ელასტიურობა. აი, ის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომლებიც გავლენას ახდენს ელასტიურობაზე:

საქონელი წარმოადგენს ფუფუნების, თუ პირველი მოთხოვნილების საგანს (მოთხოვნა რესტორნის კერძებზე გაცილებით უფრო ელასტურია, ვიდრე პურზე).

— არის თუ არა საქონელი კომპლემენტარული სხვა საქონელთან მიმართებაში (ადამიანები, რომელთაც აქვთ კომპიუტერები, იყიდიან დისკეტებს მაშინაც კი, როდესაც ისინი გაძვირდება)

— თუ არსებობს ადვილად ხელმისაწვდომი შემცვლელები (რაც უფრო მეტია სუბსტიტუტები, მით მეტია ელასტიურობა).

— დროის მონაკვეთი, რომლის დროსაც იზომება ელასტიურობა (70-იან წლებში მოთხოვნა ენერგიაზე იყო გაცილებით

* როდესაც ხაწარმო გაადიდებს პროდუქციის ფასებს, მატულობს მისი საერთო შემოსავლებიც.


** თუ ფასები შემცირდება, ხოლო რეალიზაციის მოცულობა უფრო მაღალი ტემპებით გაიზრდება, ვიდრე ფასების შემცირების ტემპები, მაშინ მთლიანი შემოსავალი გაცილებით იმატებს. ოღონდ გავიხსოვდეს, რომ შემოსავალი იგივე არ არის, რაც მოგება.

ელასტიური, მაგრამ 1973 წელს, როდესაც ფასები უფრო მეტად გაიზარდა, არ მომხდარა უფრო დიდი ცვლილებები, რადგანაც ადამიანებს ჰქონდათ დრო შეგუებისათვის).

— განსაზღვრულია წრე (ელასტიურობა მთელი კატეგორია კვების პროდუქტების ფასებზე იქნება გაცილებით მცირე, ვიდრე ელასტიურობა მოთხოვნისა ცალკეულ განსაზღვრულ პროდუქტებზე, ვთქვათ, კერცხზე).

ნეიტრალური მრუდი და ბიუჯეტის ხაზი.

ნეიტრალური მრუდი (ic) არის დიაგრამა,რაც გამოსახავს საქონლის სხვადასხვა კომბინაციას რომლებიც ადამიანებს ჰგვრიან თანაბარ ბედნიერების განცდას, ანუ მათთვის მოაქვთ თანაბარი სარგებელი. წერტილიდან (0,0) რაც უფრო დაშორებით მღებარეობს მრუდი, მით უფრო მაღლია სარგებლიანობის დონე, რომელსაც იგი შეესაბამება. ვინაიდან ყოველი ადამიანი ნატრობს იყოს მაქსიმალურად ბედნიერი, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ ყოველ ადამიანს სურს ნეიტრალურ მრუდზე „იმყოფებოდეს" წერტილიდან (0,0)—დან რაც შეიძლება დაშორებით. თუ გავიხსენებთ უკიდურესი სარგებლიანობის მრუდის შემცირების წესს, შეგვიძლია დავუშვათ, რომ ნეიტრალურ მრუდს ექნება ისეთი სახე, როგორც ეს წარმოდგენილია ნახაზ 5—ზე.



qb—კვირის მანძილზე შეძენილი ბანანების რაოდენობა
qo—კვირის მანძილზე შეძენილი ფორთოხლების რაოდენობა
ic1 მრუდი შეესაბამება სარგებლიანობის უფრო დაბალ დონეს,ვიდრე მრუდი ic2.

ნახ. 5. ნეიტრალური მრუდი

ეს იმიტომ ხდება, რომ როდესაც მომხმარებელი ყიდულობს ბევრ ფორთოხალს ამას იგი აღწევს ბანანების მოხმარების შემცირების ხარჯზე—და პირიქით.რაც უფრო მეტს ყიდულობ რაიმე საქონელს, მით უფრო მცირდება შენთვის პროდუქციის დამატებითი ერთეულის მნიშვნელობა.*

ნეიტრალური მრუდი განსაზღვრავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს შენთვის საქონელთა სხვადასხვა კომბინაციას, თუმცა აქედან როდი გამომდინარეობს ის, თუ საქონლის რა რაოდენობის შესყიდვას შესძლებ.ასეთი ანალიზისათვის საჭირო ხდება ბიუჯეტის ხაზის გამოთვლაც.

ბიუჯეტის ხაზი (BI). დაუშვათ, რომ შენს განკარგულებაში არის 100.000 ზლოტი და არჩევანს აკეთებ ფორთოხალსა და ბანანს შორის. შევთანხმდეთ იმაში, რომ ფორთოხალი და ბანანი არის ის ერთადერთი საქონელი, რომელთა შესყიდვაც გინდა და აგრეთვე იმაშიც, რომ 1 კილოგრამი ბანანი ღირს 20.000 ზლოტი, ხოლო ფორთოხალი 10.000 ზლოტი. ეს ნიშნავს, რომ შენი არჩევანი შეზღუდულია შემოსავლებით. არჩევანის შედეგებს ექნება ცხრილში მოცემული სახე:**

	ფორთოხალი	ბანანი
1 შესაძლებლობა	10	0
2 შესაძლებლობა	8	1
3 შესაძლებლობა	6	2
4 შესაძლებლობა	4	3
5 შესაძლებლობა	2	4
6 შესაძლებლობა	0	5

* ეს გვეხმარება გავიგოთ, თუ რატომ ხდება, რომ წყალი, (რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია სიცოცხლისათვის) იაფია, ხოლო ბრილიანტი, (რომელიც თითქმის უსარგებლოა), ძალზე ძვირი. ადამიანების უმრავლესობას გაცილებით მეტი წყალი აქვს, ვიდრე სჭირდება; ამიტომ არის იგი ასე იაფი. თუკი მათ ექნებოდათ მხოლოდ ერთი ლიტრი წყალი დღეში, იგი იქნებოდა ძალზე ძვირი. სხვაგვარ ხიტუაციასთან გვაქვს საქმე ბრილიანტის შემთხვევაში. თუკი თვითეულ ადამიანს ექნებოდა უთვალავი ბრილიანტი, ყოველი შემდეგი ბრილიანტი არ ეღირებოდა ასე ძვირი. სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორია საქონლის ღირებულება.


** ცხადია, შეიძლება არ დაეხარჯოთ მთელი ფული—ამ შემთხვევაში შესაძლებლობების რაოდენობა ძალზე გაიზრდებოდა.

გრაფიკულად ეს დამოკიდებულება შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ბიუჯეტის ხაზის დახმარებით. იგი მოცემულია ნახ. 6-ის სახით. გაშავებული ადგილი სქემაზე და თავად ხაზი მიუთითებს შესყიდული პროდუქციის ისეთ კომბინაციას,როგორიც შესაძლებელია აღნიშნულ შემთხვევაში.

რაც უფრო დიდია შემოსავლები, მით უფრო დაშორებულია ხაზი ღერძს. თუმცა ეს არ გვაძლევს იმის დამტკიცების საშუალებას, თუ სინამდვილეში როგორ კომბინაციას ამჯობინებს ადამიანი, რომლის ქცევის ანალიზსაც ჩვენ ვაკეთებთ. ამ მიზნით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე ნეიტრალური მრუდი ისევე, როგორც ბიუჯეტის ხაზი. დავხაზოთ ბიუჯეტის ხაზი, შემდეგ გამოვიყენოთ უტილიტალიზმის ის დებულება, რომ ადამიანებს სურთ აღმოჩნდნენ ნეიტრალურ მრუდზე ღერძიდან რაც შეიძლება დაშორებით; ამასთან მრუდი არ უნდა გადასცდეს ბიუჯეტის მიერ შემოსაზღვრულ სივრცეს. ეს იქნება ნეიტრალური მრუდი, რომელსაც გადაკვეთს ბიუჯეტის ხაზი.

ბიუჯეტის ხაზის დახრის კუთხის ცვლილება მიანიშნებს ჩვენთვის სასურველი საქონლის ფასების შედარებით ცვლილებას.

ბიუჯეტის ხაზის პარალელური გადანაცვლება მიანიშნებს რეალური შემოსავლების ცვლილებებს. ბიუჯეტის ხაზისა და ნეიტრალური მრუდის ერთად გამოსახვა წარმოდგენას გვიქმნის მოცემული მომხმარებლის მიერ გაკეთებულ კონკრეტულ არჩევანზე.



db—კვირის მანძილზე შესყიდული ბანანების რაოდენობა.
do—კვირის მანძილზე შესყიდული ფორთოხლების რაოდენობა.

ნახ. 6 ბიუჯეტის ხაზი

ბიუჯეტის ხაზი BL1 და BL3 პარალელურებია; ამასთან BL3 შეესაბამება შემოსავლების უმაღლეს დონეს: მრუდი BL2 არის ძლიერ დახრილი. იგი წარმოადგენს ბიუჯეტის ხაზს ბანანზე უმცირესი ფასისა და ფორთოხალზე ფასების უცვლელობის პირობებში.

ცენტრალიზებულ დაგეგმვასთან შედარება

ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემისას მომხმარებელი არ იყო ანგარიშგასაწევი ფიგურა. ღირსებით აღჭურვილნი იყვნენ მხოლოდ ისინი, ვისაც შეეძლოთ გადაეწყვიტათ,თუ რისი წარმოება იყო საჭირო და რისი- არა.

ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემა ეფუძნებოდა დაშვებას, რომ მგეგმავმა „იცის უკეთ“, რომ ადამიანთა ზოგიერთი მოთხოვნილება (ბინა, მეცნიერება, ინვენსტიციები მძიმე მრეწველობაში)- ანუ მოთხოვნილებები, რომლებიც მიჩნეულია ძირითადად, იყო უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ფუფუნების საგნებსა თუ იმ საგნებზე, რომლებიც პირველი მოთხოვნილების საგნები არ არის.

ცენტრალიზებული დაგეგმვის მესვეურები ხედავდნენ, რომ არ ძალუძდათ ადამიანების დაკმაყოფილება ყოველივე იმით, რაზეც მათი მხრიდან დიდი მოთხოვნილება არსებობდა. ამიტომ ხსნიდნენ მაღაზიებს, რომლებშიც მტკიცე ვალუტაში იყიდებოდა ძვირფასი საქონელი. იმავდროულად პირველადი მოთხოვნილების საქონელზე ფასები კლავე დაბალი რჩებოდა. ძალიან ხშირად ფულად ფორმაში გამოხატულ ფასს არავითარი გავლენა არა ჰქონდა იმაზე, თუ ვინ რის შეძენას შესძლებდა; ამისათვის მთავარი მეთოდი იყო სპეციალურ მაღაზიებში ვაჭრობის უფლების მოპოვება. ამ მიზანს ემსახურებოდა პარტიული კონტაქტები, იერარქიის არსებული სისტემა და მოქრთამვის გაბატონებული პრაქტიკა. ოფიციალური ფასის გადახდა საკმარისი არ იყო. როგორ ფიქრობთ,— მოთხოვნის მრუდის საფუძველზე,— როგორ მოიქცევიან მომხმარებელნი, თუ ფასები ნამდვილად ძალზე დაბალი იქნება?

შეჯამება:

მოთხოვნის მრუდი წარმოდგენას გვაძლევს მომხმარებლის ეფექტური მოთხოვნის შესახებ სხვადასხვა ფასების პირობებში. ბიუჯეტის ხაზი აჩვენებს, თუ რა სახის საქონლის შეძენა შეუძლია მომხმარებელს.

ნეიტრალური მრუდი აჩვენებს მოხმარების სხვადასხვა მოდელს, რომელიც მომხმარებელს ანიჭებს მსგავს სიამოვნებას ან ბედნიერების შეგრძნებას.

შემოსავლის ეფექტი იმას ეფუძნება, რომ იმისდა კვალობაზე, თუ როგორ ძვირდება საქონელი, ადამიანები თანდათან ნაკლები რაოდენობით შეიძენენ მათ და პირიქით.

ჩანაცვლების ეფექტი იმას ეყრდნობა, რომ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ძვირდება საქონელი, ადამიანები ყიდულობენ მათ შემცვლელებს და — პირიქით.

ელასტიურობა განსაზღვრავს მოთხოვნის მგრძნობიარობის ზომას ან ფასების ცვლილებასთან დაკავშირებულ სხვა ცვლილებებს.

შეკითხვები განსჯისათვის:

2.1. რატომ აქვს მოთხოვნის მრუდს დაცემის ტენდენცია? თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ სიტუაცია, როდესაც ასე არ იქნება?

2.2. აბა ჩამოთვალეთ თქვენს მიერ ნაყიდი პროდუქცია, რომელზედაც მოთხოვნა ელასტიურია ან პირიქით? რითია ეს გამოწვეული?

როგორ ფიქრობთ, რა სახეს მიიღებს მოთხოვნის შერეული ელასტიურობა ძირითადი და შემცვლელ საქონელზე?

2.3. გაარკვიეთ ბიუჯეტის ხაზისა და ნეიტრალური მრუდის ცნებები და აგრეთვე უპასუხეთ შეკითხვას, თუ როგორ შეიძლება მისი გამოყენება მომხმარებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საილუსტრაციოდ?

2.5. რას განიცდის ბიუჯეტის ხაზი, თუ ღერძზე წარმოდგენილ ერთ—ერთ საქონელზე ფასები შეიცვლება?

2.6. რა ახდენს ყველაზე დიდ გავლენას ცალკეული მომხმარებლის არჩევანზე? თუ შესძლებთ სარგებლობის კატეგორიების მიხედვით წარმოადგინოთ ადამიანთა ქცევები?

2.7. ეთქვათ, გაქვთ დაკვალება შაი ზღვის პოპულარულ სანაპიროზე. გაანალიზოთ მოთხოვნის მრუდი სასტუმროს ოთახზე. ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემის სტანდარტული პრაქტიკა იყო შემდეგი ფასების დადგენა:

კატეგორია	ოთახის ნომერი
კომპარტიის წევრებისათვის	თითქმის მუქთად
კომუნისტების ახლობელთათვის	ძალზე იაფად
საბჭოთა ოფიციალური წრეებისათვის	იაფად
უცხოელი ცნობილი კომუნისტებისათვის	იაფად
სოციალისტური ქვეყნების რიგითი ადამიანებისათვის	საშუალო ფასები (დიდი ხნის ლოდინის შემდეგ)
კაპიტალისტი „ტურისტებისათვის"	ძალზე ძვირად

უპასუხეთ შეკითხვას, თუ არის ასეთი ფასები გონივრული? რა შედეგები ექნება ასეთ პრინციპებს?

3

მიწოდება და წარმოების ხარჯები

შესავალი

მიწოდების თეორიამ უნდა მოიძიოს პასუხები კითხვებზე, თუ რა და რატომ იწარმოება; გაიხსენეთ ყველა ის ბოლოდროინდელი სიტუაციები, როდესაც ფული დახარჯეთ ყველა იმ შემთხვევებში ვიღაცამ რაღაც აწარმოა, რისი შეძენაც შენ მოინდომე. რატომ?

როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე გადაიყვნენ, მაღაზიებში გაჩნდა საქონელი მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. რატომ იყვნენ მაგალითად, აზიის ქვეყნები დაინტერესებული იქ საქონელი წაეღოთ სარეალიზაციოდ? რატომ ცდილობდნენ საქონლის რეალიზაცია სახელდობრ იქ მოეხდინათ და არა სადმე სხვაგან?


- საბაზრო ეკონომიკის სისტემაში ადამიანები აწარმოებენ საქონელს, რათა ფული გამოიმუშაონ.

მიწოდების თეორიის თანახმად არსებობს საწარმო, რომლის მიზანიცაა მოგების მიღება საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს თეორია მაქსიმალურად მუშაობს. გაზეთები საესეა რეკლამებით, რაშიც ხალხი ფულს იხდის, რათა სამაგიეროდ მოგება ნახონ მათ მიერ რეკლამირებული საქონლის რეალიზაციიდან. ხუთი წლის უკან ეს რეკლამები გაცილებით ნაკლები იყო. რეკლამების რიცხვის გადიდება საბაზრო ეკონომიკის განვითარების ნათელი დადასტურებაა.

არსებობს აგრეთვე საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების არასაბაზრო ბერკეტები; ბევრ მდიდარ საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვა, განათლება და სატრანსპორტო მომსახურება გარკვეული მოსაზრებებით სუბსიდირდება სახელმწიფოს მიერ. ამის მიზეზები არსებობს და ჩვენ მათზე ქვემოთ შევჩერდებით.

რა მეთოდებით ადგენენ ფირმები ფარმოების მოცულობებს?

წარმოიდგინე, რომ ხარ გლეხის სრულწლოვანი ვაჟი ან ქალიშვილი და გადაწყვიტე მოაწყო კერცხმდებელი ქათმების ფერმა. იცი, რომ კერცხის საბაზრო ფასი 600 ზლოტია. იმავე მეთოდით, რა მეთოდითაც ჩვენ განვსაზღვრეთ მოთხოვნის მოცულობები აღნიშნული ფასის პირობებში, ახლა უნდა განვსაზღვროთ მიწოდების მოცულობები — თუკი ნამდვილად შეიძლება ამ ფასად გაიყიდოს კერცხი. როგორც გლეხის შვილს, გარდა სასკოლო დავალებებისა, გაქვს უამრავი სხვა მოვალეობებიც. ის, რომ არ შეგიძლია მთელი დრო ქათმების მოვლას მოანდომო, რადგან ასეთ შემთხვევაში იძულებული იქნებოდი უარი გეთქვა მრავალ სხვა საქმეზე. ამიტომ გადაწყვეტ, რომ შესძლებ მოუარო იმდენ ქათამს, რამდენიც შენ მოგიტანს ყოველდღიურად ოც კერცხს. ამრიგად, შენ უკვე შეგიძლია ნაცნობი ხერხებით გრაფიკულად გამოსახო მიწოდების მრუდი:



სადაც: P- ფასია
q/t-კვირის მანძილზე მიღებული პროდუქცია
Q1P1-5 ცალი კერცხი, თვითეული 600 ზლოტად
Q2P2-100 ცალი კერცხი, თითოეული 2000 ზლოტად

ნახ. 7. მიწოდების მრუდი


როგორი უნდა იყოს მიწოდება, რომ კერცხი გაციცლებით იაფი ღირდეს? დაეუშვათ, რომ ერთი კერცხის გაყიდვა შეიძლება 300 ზლოტად. ცხადია, არსებობს გარკვეული დანახარჯები პროდუქციის საწარმოებლად: კერძოდ, მას უნდა მიუძღვნა ბევრი თავისუფალი დრო, გამოკვებო ქათმები, აუშენო მათ საქათმე, რათა ჰქონდეთ თავის შეფარების საშუალება ღამით და ასევე თავი დაიცვან მტაცებელი ცხოველებისაგან. მცირე ფასის არსებობის დროს პროდუქციის წარმოების (ამ შემთხვევაში — კერცხის) სტიმულები

გაცილებით მცირეა, რის გამოც გეყოლება გაცილებით ნაკლები რაოდენობის ქათამი და შენი ფერმა მხოლოდ რამდენიმე კვერცხს მოგცემს დღეში.

ახლა დავუშვათ, რომ ფასმა გაცილებით მოიმატა და კვერცხის ფასი გახდა 2000 ზლოტი. ამ შემთხვევაში მათი წარმოება გახდება მშვენიერი ბიზნესი; გლეხის ვაჟი არ მოისურვებს ხელიდან გაუშვას ასეთი „ოქროს“ კვერცხები, და გადაწყვეტს აწარმოოს ყოველღღიურად 100 კვერცხი. იგი ანგარიშს არ უწევს მას, რომ უნდა აღგეს დილაუთენია, გარდა ამისა, თავის მეზობლებსაც კი ხელფასს გადაუხდის იმაში, რომ მის სახლში არ ყოფნის დროს ქათმებს მიხედონ. მამამისი, რომელიც მიწათმოქმედია, შენიშნავს რა ასეთ კარგ ბიზნესს, გაანთავისუფლებს ვაჟს ყველა სხვა ვალდებულებისაგან, რათა მან მეტი დრო დაუთმოს ქათმებს და აწარმოოს გაცილებით მეტი რაოდენობის კვერცხი.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ მიწოდების მრუდი, და როგორც ქვემოთ მოტანილ ნახაზზე ჩანს, მას აღმავალი სახე ექნება. რატომ? იმიტომ, რომ ფასების ზრდასთან ერთად პროდუქციის წარმოება თანდათან უფრო მომგებიანი გახდება; იმ შემთხვევაში კი, როდესაც ფასები ეცემა, თანდათან ნაკლებ შემოსავლიანი ხდება მისი წარმოება.

რომ გავიგოთ მიწოდების თეორიის არსი, კარგად უნდა გავიცნობიეროთ, რომ ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების დაწყების უმთავრესი მიზანი მოგების მიღებაა.



p-ფასი ათას ზლოტებში

q/t-წარმოებული კვერცხის რაოდენობა კვირის განმავლობაში

ფასების მოცემულ მყარ მდგომარეობაში S2 შეესაბამება მიწოდების მოცულობების გადიდებას, ხოლო S1- მის შემცირებას.

ნახ. 8. მიწოდების მრუდები

მიწოდების მრუდის ადგილმდებარეობის ცვლილება

საქონლის რაოდენობა, რომლის ყიდვაც განსაზღვრული აქვთ ადამიანებს, შეიძლება შეიცვალოს, მიუხედავად იმისა, რომ არ შეცვლილა მისი ფასი. იგივე შეიძლება დაემართოს მიწოდებასაც. ამ მოვლენის მთავარი მიზეზია პრინციპული ცვლილებები წარმოების დანახარჯებში, რაც იმასთან არის დაკავშირებული, რომ შეიცვალა ფასები იმ ნედლეულსა და მასალებზე, რომლებიც საჭიროა პროდუქციის საწარმოებლად.

დავუშვათ, რომ აღმოჩენილი იქნა ახალი მეთოდი, რომლის საშუალებითაც, პროდუქციის საწარმოებლად გაწეული ხარჯების შეუცვლელად, მაგალითად, გენური ინჟინერიის მიღწევების გამოყენებით, შესაძლებელია ის, რომ ქათამი დადებს კვირაში ორი კვერცხით მეტს, ვიდრე ადრე დებდა. ასეთ შემთხვევაში მიწოდების მრუდი გადაიხრება მარჯვნივ, რადგან ყოველი კვერცხი მის მწარმოებელს გაცილებით მეტ მოგებას მისცემს.

- მიწოდების მრუდის მარჯვნივ გადახრა ნიშნავს იმას, რომ მიმწოდებელს სურს გაყიდოს გაცილებით მეტი პროდუქცია იგივე ფასებში.

დავუშვათ, რომ მთავრობამ შემოიღო კანონი, რომლის მიხედვითაც გარკვეული სახის პროდუქციის საწარმოებლად ფირმებისათვის ნებართვის გაცემაზე მკაცრი კონტროლი დაწესდა. ეს კანონი გაადიდებს პროდუქციის წარმოების დანახარჯებს იმის და მიუხედავად, საზოგადოება კორუმპირებულია თუ არა. ინსპექტორების ვიზიტის გამო ირღვევა შრომის რიტმი, საჭირო ხდება დამატებითი რევიზია, საჭირო გახდება დამატებითი მოსამსახურის აყვანა, რომელიც შეამოწმებს, დაცულია თუ არა ფირმაში ამ კანონის მოთხოვნები, საჭირო იქნება აგრეთვე ინსპექტორებს მისცენ ქრთამი მათი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად და ა.შ.


- მიწოდების მრუდის მარცხნივ გადახრა მოასწავებს, რომ მწარმოებლები კმაყოფილნი არ არიან წარმოების შედეგებით დადგენილი ფასების პირობებში და სარეალიზაციოდ გამოაქვთ გაცილებით ნაკლები რაოდენობის საქონელი, ვიდრე აქამდე.

წარმოების ფაქტორები

ყოველი საქონელი თუ მომსახურება წარმოიშვება წარმოების ხუთი ფაქტორის გამოყენებით. ესენია:

—მიწა — ყველაფრის წარმოება გარკვეულ ტერიტორიაზე ხდება;

— სამუშაო ძალა — ვიღაცამ უნდა შეასრულოს სამუშაო;
— კაპიტალი — ეს განსაზღვრება ძირითადად ეხება მანქანა—იარაღებს;
— ნედლეული — ყოველი ნივთი რაღაცისაგან უნდა გაკეთდეს; მომსახურებაც კი ნედლეულს მოითხოვს;
— მწარმოებლური ინიციატივა— ეს ცნება შედარებით განუსაზღვრელია; აქ იგულისხმება მაგალითად, ორგანიზაციული წარმოსახვა და უნარი, რომელიც საშუალებას აძლევს მის მფლობელს წარმოების მოწყობისა ოთხი ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მოძრაობაში მოყვანით.



b-კარაქის წარმოების მოცულობები წლის განმავლობაში
g-რევოლვერების წარმოების მოცულობები წლის განმავლობაში

წარმოების შესაძლებლობების მრუდი წარმოადგენს კარაქისა და რევოლვერების წარმოების სხვადასხვა შესაძლებლობებს ერთი და იგი სახსრებით.

ნახ. 9. წარმოებითი შესაძლებლობების მრუდი.


ეს ფაქტორები გამოყენებული არიან საწარმოო შესაძლებლობების მრუდის შესადგენად (ინგ. production possibility frontier-PPF) საწარმოო შესაძლებლობების მრუდის ცნებას არაფერი საერთო არა აქვს საწარმოს გაანგარიშებებთან თავისი მოსალოდნელი მოგების შეფასებისათვის, რომელსაც შეიძლება მიაღწიოს პროდუქციის წარმოების თუ მომსახურებიდან. საწარმოო შესაძლებლობების მრუდი განსაზღვრავს, რისი წარმოებაა შესაძლებელი მეურნეობაში არსებული საშუალებების გამოყენებით. ეს ცნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური სისტემის მოქმედების ხარისხის შეფასებაში, რადგან საშუალებას გვაძლევს წინასწარ განვჭვრიტოთ, როგორ სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს მეურნეობა იმ სიტუაციასთან შედარებით, რომელშიც სინამდვილეში იმყოფება.

მე-9 ნახ. წარმოადგენს საწარმოო შესაძლებლობის მრუდს რეველერებისა და კარაჭისათვის; იგი გამოხატავს უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას შორის არჩევნის სიმბოლოს, რომლის წინაშეც დგება ყოველი საზოგადოება.

დანახარჯები

არსებობს გარკვეული ზღვარი, სადამდეც შესაძლოა დაეცეს ფასები. როდესაც ფასები ეცემა გარკვეულ ზღვარს ქვემოთ, პროდუქციის წარმოება ხდება არახელსაყრელი და შესაბამისად ეცემა მიწოდებაც, რადგან ფირმები ამცირებენ წარმოების მოცულობებს. ეს საზღვრები საწარმოს გრძელი და მოკლე ვადიანი დანახარჯების შედეგია. არსებობს დანახარჯთა რამდენიმე სახე.

მთლიანი დანახარჯები - ეს ისეთი დანახარჯებია, რომელშიც გაერთიანებულია აბსოლუტურად ყველა სახის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასა თუ მომსახურებასთან. წარმოების გაფართოებასთან ერთად მატულობს აგრეთვე მთლიანი დანახარჯებიც. თუკი ყოველთვის დიდი რაოდენობის პროდუქციის წარმოება უფრო ადვილი დაგვიჯდებოდა, ვიდრე მცირე პარტიისა, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ ყველა საწარმო მოინდომებდა ეწარმოებინა უფრო მეტი რაოდენობის პროდუქცია, რისი შედეგიც იქნებოდა ჭარბწარმოება. მთლიანი დანახარჯების მრუდი წარმოდგენილია მე-10 ნახ-ზე.



c- დანახარჯები ათას ხლოტებში

q/t- მოცემული დროის განმავლობაში წარმოებული ერთეული პროდუქტის რაოდენობა.

წარმოების მთლიანი დანახარჯები მატულობს წარმოების საერთო დონესთან ერთად.

ნახ. 10. მთლიანი დანახარჯები


მუდმივი დანახარჯები (ხშირად საერთო დანახარჯებსაც უწოდებენ) არ ექვემდებარება ცვლილებებს, როდესაც წარმოების

მოცულობები მატულობს ან მცირდება. მაგალითად, ბევრი ფირმისათვის მუდმივი დანახარჯები არის გადასახადი შენობისათვის და ა.შ.

ცვალებადი დანახარჯები იზრდება წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად. რესტორნებში სურსათზე დანახარჯები მიეკუთვნებიან ცვალებად დანახარჯებს, ვინაიდან რაც უფრო მეტი კერძის რეალიზაცია ხდება, მით უფრო იმატებს დანახარჯები სურსათზე.

ზღვრული დანახარჯებია ის ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის დამატებითი პარტიის წარმოებასთან. ზღვრულ დანახარჯებში შედის იმ დამატებითი მასალების ღირებულება, რომლებიც გამოყენებულია პროდუქციის ბოლო პარტიის საწარმოებლად.

რესტორნის მაგალითში ზღვრულ დანახარჯებია დანახარჯები დამატებითი კერძის მოსამზადებლად, როგორც პროდუქტების, ისე ენერგიის სახით. თუკი მზარეული დასაქმებული იქნებოდა მოცემულ სალამოზე, მაშინ ამასთან დაკავშირებული დანახარჯები ჩაითვლებოდა მუდმივ (საერთო) დანახარჯებად, ვინაიდან იგი შრომის ანაზღაურებას მიიღებდა მიუხედავად იმისა, მოამზადებდა თუ არა ამ დამატებით კერძს.



C—დანახარჯები ათას ზლოტებში

q/t —განსაზღვრულ დროში წარმოებული ერთეული პროდუქტის რაოდენობა ცვალებადი დანახარჯები დიდდება წარმოების მოცულობებთან ერთად, ხოლო მუდმივი დანახარჯები ცვლილებას არ ექვემდებარება.

ნახ. 11 მუდმივი და ცვალებადი დანახარჯები.


ზღვრული დანახარჯები მატულობს წარმოების გაღიდებასთან ერთად, როდესაც თანდათან უფრო მეტი პროდუქცია იწარმოება ერთი და იგივე მუდმივი დანახარჯების საფუძველზე. თუ წარმოების ერთი ფაქტორი მაინც არის გაჩერებული მუდმივ დონეზე, აღმოჩნდება,

რომ წარმოების გაღიდება დამატებითი დაბანდებების ხარჯზე თანდათან ნაკლებ შედეგებს იძლევა. დავუშვათ, რომ გვაქვს მინდორი, სადაც ვთესავთ მარცვლეულს და ნორმალურ პირობებში მოგვყავს 1000 კგ ხორბალი. თუკი, ვთქვათ, ისეთ პოლიტიკას განვახორციელებთ, როგორსაც მიმართავს ევროკავშირი*, ხორბლის ფასი გაცილებით იმატებს, მაშინ ჩვენ გადავწყვეტთ, რომ გავაღიღოთ წარმოების მოცულობა და გამოვიყენოთ შექმნილი სიტუაცია. ერთ—ერთი მეთოდი იქნებოდა მოსავლიანობის ორჯერ გადიდება მაღალხარისხოვანი თესლის და კარგი მინერალური სასუქების გამოყენებით. ფასების კიდევ უფრო გადიდების შემთხვევაში, შეგვეძლო აგვეშენებინა სათბური, რათა მინდორი მთელი წლის მანძილზე გამოგვეყენებინა. შეგვეძლო აგრეთვე შუქი გაგვეყვანა და გვემუშავა ღამითაც. შეგვეძლო დაგვექირაებინა დამატებითი მუშახელი და ასევე შეგვეძინა დიდი რაოდენობის მანქანა—იარაღები. ყველა ამ შემთხვევაში ზღვრული დანახარჯები გაიზრდებოდა, რაც იმის მიმანიშნებელი იქნებოდა, რომ ყოველი შემდგომი კილოგრამი ხორბალი ეღირებოდა გაცილებით მეტი, ვიდრე მისი წინა კილოგრამი. მოგების შემცირების კანონი, რომელიც არსებითად სხვაგვარად ფორმულირებული უკიდურესი დანახარჯების გადიდების კანონია, ამტკიცებს, რომ თუ მატულობს რაოდენობა ერთი—ერთი რესურსისა, ვთქვათ მიწის, სხვა ფაქტორების უცვლელად დატოვების პირობებში, დამატებითი პროდუქცია, მოყვანილი მიწის ყოველ ერთეულზე, იქნება გაცილებით ნაკლები. ცნება „მოკლე ვადა“ გამოიყენება იმ პერიოდის აღსანიშნავად, რომლის დროსაც შეუძლებელია წარმოების მასშტაბების გადიდება ან რომლის განმავლობაშიც წარმოების ერთ—ერთი ფაქტორი რჩება უცვლელი.

საშუალო დანახარჯები ის დანახარჯებია ერთეულ პროდუქციაზე, რომელიც მიიღება მთელი დანახარჯების გაყოფით წარმოებული პროდუქციის მთელ რაოდენობაზე. წარმოების მასშტაბების მატებასთან ერთად მოკლევადიანი საშუალო დანახარჯების მრუდი თავდაპირველად ეცემა, რაც მასშტაბების ეკონომიის გამოვლენის შედეგია. შემდეგში, როდესაც გამოჩნდება მასშტაბების დისეკონომია, დაიწყება მისი გადიდება. უკიდურესი დანახარჯების მოკლევადიანი მრუდი უჩვენებს, თუ როგორია პროდუქციის დანახარჯები წარმოებული პროდუქციის ყოველ დამატებით ერთეულზე. ისინი

* ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა განხილული იქნება ბოლო თავში. მისი მთავარი მიზანია ხურსათზე ფასების გადიდება, რაც გაუმჯობესებს გლეხების ცხოვრებას, მაგრამ გაუარესებს სხვა ადამიანების ცხოვრების პირობებს, რომლებსაც თანდათან უფრო მეტი სახსრების გაღება მოუწევთ ხურსათის შესაძენად.

მატულობს მოგების შემცირების პარალელურად, როდესაც ზღვრული დანახარჯები საშუალო დანახარჯებზე ნაკლებია, პროდუქციის დამატებით ერთეულების წარმოება იწვევს საშუალო დანახარჯების შემცირებას. ეს ნიშნავს, რომ საშუალო დანახარჯები უნდა შემცირდეს და პირიქით: როდესაც ზღვრული დანახარჯები საშუალო დანახარჯებზე უფრო მეტია, წარმოების საშუალო დანახარჯებიც უნდა გადიდდეს. ამრიგად, ზღვრული დანახარჯების მრუდი ყოველთვის გადაკვეთავს საშუალო დანახარჯების მრუდს ყველაზე ქვედა წერტილში. (იხ.ნახ. 12.).



c– დანახარჯები ათას ზლოტებში;

q/t– დროის მოცემულ პერიოდში წარმოებული პროდუქციის ერთეულთა რაოდენობა

წარმოების გადიდებასთან ერთად საშუალო დანახარჯები თავდაპირველად მცირდება, ხოლო შემდეგ მატულობს. ზღვრული დანახარჯები იმატებს წარმოების გადიდებასთან ერთად.

ნახ. 12. ზღვრული და საშუალო დანახარჯების მრუდები

გრძელვადიანი საშუალო დანახარჯები დამოკიდებულია წარმოების დონეზე; წარმოების გარკვეულ დონეზე საწარმო იყენებს მასშტაბების ეკონომიას. ცნება „გრძელი ვადა" გამოიყენება იმ დროის მიმართ, რომლის განმავლობაშიც წარმოების ყველა ფაქტორი შეიძლება შეიცვალოს. ყველა გრძელვადიანი დანახარჯი შეესაბამება მოკლევადიანი დანახარჯების მრუდის ქვედა ზღვარს, რომელიც გამოხატავს წარმოების დონეს. გრძელვადიან პერიოდში ფირმა უნდა ცდილობდეს თავი აარიდოს მასშტაბების დისეკონომიას, წარმოების ყველა ფაქტორის მაქსიმალურად ეფექტური გამოყენების გზით. თეორიული თვალსაზრისით მასშტაბების დისეკონომიას შესაძლოა მაშინ ჰქონდეს ადგილი, როდესაც დაშვებული იქნება ბარკვეული შეცდომები წარმოების ორგანიზაციაში, რის შედეგად ცუდად ორგანიზებული ფირმა დამარცხდება კონკურენტიულ ბრძოლაში და გაკოტრდება.

მიწოდების ელასტიურობა

მიწოდების ელასტიურობა მიწოდების მგრძნობიარობაა ფასების ცვლილებებზე. ეს ნიშნავს, რომ:

მიწოდების ელასტიურობა უდრის მიწოდების მოცულობების პროცენტულ ცვლილებებს გაყოფილს ფასების პროცენტულ ცვლილებებზე.

მიწოდების ელასტიურობა შემდეგი მთავარი ფაქტორებით განისაზღვრება:

1. ფირმის მარაგების* სიდიდით. მარაგების სიმრავლის შემთხვევაში ფირმას შეუძლია სწრაფი რეაგირება მოახდინოს ფასებზე.
2. პერიოდით, რომლითაც გაკეთდა ანალიზი. რაც უფრო გრძელია ეს პერიოდი, მით უფრო დიდია შესაძლებლობა მიმწოდებლებმა შეცვალონ მიწოდებული პროდუქციის რაოდენობა ფასების ცვლილების საპასუხოდ.
3. ფირმის პოტენციური ძალით. თუ ფირმა მუშაობს მაქსიმალური ძალისხმევით, მაშინ მას არაფერი არ შეუძლია გააკეთოს იმისათვის, რათა კიდევ უფრო გაზარდოს წარმოებული პროდუქციის მოცულობა. თუ ფირმას შეუძლია აწარმოოს უფრო მეტი რაოდენობის პროდუქცია — მაგალითად, იმუშაოს ღამითაც, როდესაც სამუშაო ძალა ძვირია, ფასების მომატების შემთხვევაში შეუძლია გაადიდოს წარმოება.

მასშტაბების ეკონომია

მასშტაბების ეკონომია გვიჩვენებს, რომ პროდუქციის მოცულობის ზრდასთან ერთად მცირდება ერთეული პროდუქციის წარმოების დანახარჯები.

მასშტაბების ეკონომია გვეხმარება გავაანალიზოთ ფირმის განვითარების მიზეზები. საწარმო უნდა ცდილობდეს ზღვრული დანახარჯების შემცირებას, რაზედაც გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი:

1. მუდმივი დანახარჯები — ბევრი სახეობის პროდუქცია მოითხოვს დიდ ინვესტიციებს კვლევითი სამუშაოებისათვის, ტექნოლოგიების შემუშავებისა და ასევე მანქანებისა და მოწყობილობების შეძენისათვის — ყველა ესენი მუდმივი დანახარჯებია. საშუალო დანახარჯები შეიძლება შევამციროთ

* მარაგები (რომელსაც უწოდებენ აგრეთვე ინვენტარს) არის ფირმის ის პროდუქცია, რომელიც არ გაყიდულა.

ისეთ დონემდე, რომ საქონლის ფასები კონკურენტული გახდეს. ცხადია, ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მუდმივი დანახარჯები გახდება გავრცობილი, ანუ როდესაც მისი საშუალებით იწარმოება დიდი რაოდენობის პროდუქცია. თითქმის ყველა ფართო მასშტაბის პროდუქცია ამ წესს ექვემდებარება. ავტომანქანები, ფართო მოხმარების საგნები — მაგალითად, ჩაიდანი თუ მაცივარი, — პრინციპში არ არსებობს საგანი, რომლის წარმოებაზე გაწეული ხარჯების შემცირებაც შეუძლებელი იყოს, თუკი მისი წარმოების მასშტაბები გადიდდება. დიდი ტირაჟით გამოცემული წიგნის ერთი ეგზემპლიარის საშუალო დანახარჯი შესაძლებელია გახდეს ძალზე მიახლოებული ზღვრულ დანახარჯთან, რადგან დაბეჭდვის მომზადებისათვის გაწეული ხარჯები დანაწევრდება ბევრ ეგზემპლიარზე. დიდი ტირაჟის დროს ზღვრული დანახარჯები ოდნავ გადააჭარბებს ქაღალდის ღირებულებას.

2. მასშტაბების ტექნოლოგიური ეკონომია — მძლავრ ფირმებს საშუალება აქვთ დიდი თანხები დააბანდონ განვითარებასა და კვლევებზე, მაშინ როდესაც მცირე ფირმები ყოველივე ამას მოკლებული არიან.
3. რეკლამა — იგი ხდება ძალიან შედეგიანი მთელი ქვეყნისა თუ საერთაშორისო დონეზე, როდესაც საწარმოს აქვს თავისი განყოფილებები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში; პოლონურ ფირმებს, HORTEX თუ Pevex—ს შეუძლიათ სარეკლამო ინფორმაციები გაავრცელონ მთელი ქვეყნის მასშტაბითა თუ პოლონეთის ტელევიზიით, ვინაიდან ფილიალები აქვთ მთელს პოლონეთში. Sony-ის შეუძლია თავისი რეკლამა გააერცელოს MTV თუ CNN*—ის საშუალებით. Pevex -სათვის ეს თანხების უაზრო ხარჯვა იქნებოდა, ვინაიდან CNN და MTV მაყურებელთა უმეტესობას, ამ ფირმის მაღაზიებში საქონლის შეძენის არავითარი შესაძლებლობა არა აქვთ.
4. მწარმოებლურობის მინიმალური დონე —ტექნიკური მოწყობილობების გამოყენების უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით მათმა სხვადასხვა სახეებმა სხვადასხვა სიჩქარით უნდა იმუშაონ. დავუშვათ, რომ ფაბრიკა აწარმოებს ისეთ პროდუქციას, რომელიც მოითხოვს ლითონის ნაკეთობის გატარებას 3 სხვადასხვა დაზგაზე, ამასთან, ერთ მათგანს შეუძლია დღეში სამი ასეთი ნაკეთობის დამუშავება, მეორეს — ოთხის, ხოლო სხვას — ექვსის. თუკი ფაბრიკას ექნებოდა

* საერთაშორისო რადიოსა და ტელეხალგურები.

შესაძლებლობა დაეგეგმა წარმოების მოცულობები ისე, რომ რიცხვი 12 გამეორებულიყო მრავალჯერ, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მას შეეძინა იმდენი მანქანა, რომ ყველა მათგანი მაქსიმალურად ყოფილიყო გამოყენებული. მაგრამ თუ მოთხოვნა მხოლოდ დღეში 6 ცალზეა, მაშინ შეუძლებელი გახდება ამ ტექნიკის სრული გამოყენება.

5. დაფინანსება — მსხვილ საწარმოებს, როგორც წესი, აქვთ შესაძლებლობა მიიზიდონ სესხები გაცილებით მცირე დანახარჯებით, ვიდრე წვრილ საწარმოებს. ჟმას ისინი ძირითადად იმით აღწევენ, რომ მათთვის ხელმისაწვდომია დაფინანსების ისეთი წყაროები, როგორებიცაა აქციებისა თუ ობლიგაციების ემისია.* გარდა ამისა, ბანკები სთელიან, რომ ტრანსაქცია** დიდ საწარმოებთან გაცილებით ნაკლებ რისკთანაა დაკავშირებული.

6. პერსონალი — ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში დიდმა ფირმებმა თავისთან დასაქმებულ პერსონალს შეუძლია შესთავაზოს გამოცდილების მიღების და განათლების დონის ამაღლების უკეთესი პირობები, თუმცა ამ მოვლენას არა აქვს საყოველთაო გავრცელება. გარდა ამისა, დიდი ფირმებისათვის საკუთარი მუშებისაგან მომსახურების ორგანიზაცია იქნება გაცილებით იაფი, ვიდრე გარე კონტრაგენტების სამსახურის გამოყენება,

მასშტაბების დისეკონომია

დიდი ფირმები შესაძლოა ფლობდნენ მეტისმეტად გაბერილ ბიუროკრატიულ აპარატს, რომელიც ამასთან მცირე ეფექტურობით მოქმედებს. მათ დიდი სიძნელეები ექმნებათ აგრეთვე თავიანთი მუშაკებისათვის მატერიალური სტიმულირების სფეროში და სხვა. ასე რომ, იყო დიდი — ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს.


სოციალისტებს ყოველთვის ხიბლავდა წარმოების დიდი მასშტაბები და უგულებელყოფდნენ მის უარყოფით მხარეებს. მათი ყურადღება ყოველთვის სახელმწიფო მონოპოლიებისკენ იყო გადატანილი. სოციალისტები ვარაუდობდნენ, რომ სარგებელს ნახავდნენ

---

* დაფინანსება აქციებისა და ობლიგაციების საშუალებით განხილული იქნება შემდეგ, 8 და 9 თავებში. თუ ფირმა მოქალაქეებს სთავაზობს მოგების წილს ნაღდი ფულის სანაცვლოდ, ეს მიხთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. ობლიგაციების ემისია არის გრძელვადიანი სესხის ნაირსახეობა. დაფინანსების ეს მეთოდი ხელმისაწვდომია მხოლოდ დიდი ფირმებისათვის.

** ტრანსაქცია — ხელშეკრულება.

მასშტაბების ეკონომიის შედეგად. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოგებით მომუშავე ფირმა მხოლოდ იმიტომ ვითარდება, რომ ეფექტურად მუშაობს. მას მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია ისარგებლოს მასშტაბების ეკონომიით. გიგანტური საწარმოების აშენება და იმისათვის ლოდინი, რომ ისინი ეფექტური იქნებიან (როგორც ამას სოციალისტები აკეთებდნენ), უგუნურობა იყო და მხედველობიდან უშვებდა როგორც მასშტაბების დისეკონომიას, ასევე მონოპოლიის მავნე გავლენასა და კონკურენციის არარსებობას.



c— დანახარჯები ათას ზლოტებში

q/t— მოცემული დროის მანძილზე წარმოებული ერთეული პროდუქტები

წარმოების მოცულობის მატებასთან ერთად საშუალო დანახარჯები მცირდება წარმოების იმ პერიოდში, როცა მიიღწევა მასშტაბების ეკონომია. წარმოების იმ პერიოდში კი, როდესაც ადგილი აქვს მასშტაბების დისეკონომიას, საშუალო დანახარჯები მატულობს.

ნახ. 13. მასშტაბების ეკონომია და დისეკონომია

ფირმები, რომლებიც მომავალში გიგანტური გახდებიან, დღეს შესაძლებელია ეიღაცის სახლში იყვნენ შეხიზნულები. ასეთი გზა განვლოს ბევრმა დღეს უდიდესმა ფირმამ, რომლებიც ოდესღაც მცირე საწარმოები იყვნენ.

დანახარჯების მრუდის მოხაზულობაზე გავლენას ახდენს:

— მოკლევადიანი ზღვრული დანახარჯების ზრდა;


— მასშტაბების ეკონომია

— დროის განსახილველი მონაკვეთი

მრეწველობის დარგების მიწოდების მრუდები

ახლა ცალკეული ფირმების მიწოდების საკითხიდან გადავიდეთ მთელი მრეწველობის მიწოდების საკითხებზე. მიწოდების მრუდი მრეწველობის მოცემული დარგის ფირმებისათვის შესდგება ყველა

ცალკეული ფირმის მიწოდების მრუდის ჯამებისაგან.(იხ. ნახ.14)



P- ფასი ათას ზლოტებში

q/t- დროის მოცემულ პერიოდში მიწოდებულ ერთეულთა რიცხვი. ორი ერთმანეთს დაღებული მიწოდების მრუდი S1 ქმნის მიწოდების მრუდ S2- ს.

ნახ. 14 საერთო მიწოდების მრუდი

ოლონდ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყოველ ფირმას, რომელიც კი მრეწველობის მოცემულ დარგში მუშაობს, დანახარჯების ზუსტად ასეთი დონე ექნება. სამაგიეროდ ეს იმაზე მეტყველებს, რომ არსებობს ორი შესაძლო მიზეზი მიწოდების შემცირებისა, ფასების დაკლების დამიხედვით. პირველი მიზეზი ისაა, რომ ფირმები ამცირებენ წარმოებას, როდესაც ფასები მცირეა, ხოლო მეორე, რომ ზოგიერთმა ფირმამ შეიძლება შეაჩეროს წარმოება ანდა გაკოტრდეს, თუკი ფასები ისეთი დაბალი იქნება, რომ დანახარჯებსაც ვერ დაფარავს. სამაგიეროდ, ფასების გაღიდების შემთხვევაში არსებობს ორი შესაძლებლობა:

— ფირმები ადიდებენ წარმოებას, და,

— მრეწველობის მოცემულ დარგში იქმნება ახალი ფირმები, ხოლო ბაზარზე, უკვე ცნობილ მწარმოებელთა მიერ სარეალიზაციოდ გატანილი პროდუქციის გვერდით ადგილს იკავებს ახალი ფირმების პროდუქცია.

საბაზრო ეკონომიკაში მრეწველობის ამა თუ იმ დარგისათვის რეგულირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ახალი ფირმების წარმოქმნა და სხვების გაკრობა. დიდი მოგება იწვევს ახალი ფირმების წარმოშობას, მცირე — მათ ლიკვიდაციას.

მიწოდების თეორია ნაკლებად რეალისტურია, ვიდრე მოთხოვნის თეორია, თუმცა ეს სრულიადაც არ ამცირებს მის ღირსებას. ბევრ ფირმას არა აქვს შესაძლებლობა რეაგირება მოახდინოს ფასის მატებასა თუ შემცირებაზე. უმეტეს მათგანს მხოლოდ იმის იმედი აქვს, რომ ფასები, რომლის მიხედვითაც მან თავისი პროდუქცია

უნდა გაყიდოს, გადიდდება – არა აქვთ რა არავითარი საშუალება დროის მოკლე პერიოდში შეცვალონ წარმოების მოცულობა.

პროდუქტის ხიცოცხლის ციკლი

დროის გასვლასთან ერთად ფასები ახალ საქონელზე მცირდება, ვინაიდან თანდათან გაუმჯობესებული, ახალი ანალოგიური საქონელი შემოდის ბაზარზე.

- ფირმა „სონის“ ერთ–ერთი ხელსაწყო 1980 წელს, როგორც ბაზარზე გამოსული ამ სახის ახალი პროდუქცია, გაიყიდა 200 დოლარად. მაგრამ იმის გამო, რომ მალე ბევრმა სხვა ფირმამ გამოიტანა ბაზარზე მრავალი მსგავსი ხელსაწყო, რომელიც ბევრად ჩამოუვარდა ორიგინალს, მოხდა ამ პროდუქციაზე ფასების შემცირება, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროდუქციის შემდგომი ვერსიები გაცილებით უკეთესიც იყო და გაცილებით პატარა ზომისაც, ვიდრე ფირმა “სონის“ ორიგინალი. მიუხედავად ამისა, ამ ხელსაწყოს წარმოება, ნაცვლად იმისა, რომ შემცირებულიყო, მნიშვნელოვნად გადიდდა. .

გამოცდილმა ფირმებმა მშვენივრად უწყიან პროდუქციის სიცოცხლის ციკლის არსებობის შესახებ. სწორედ ამიტომაც გამუდმებით ცდილობენ დანერგონ სულ ახალი და ახალი პროდუქცია, რომელთა ხარისხის წყალობით ადამიანებს სურვილი უჩნდებათ სულ უფრო მეტ ფასად შეიძინონ იგი. კონკურენციის წნეხის დაწოლის შედეგად ფირმები მზად არიან შეამცირონ ფასი, რათა ამ გზით უზრუნველყონ წარმოების უწყვეტობა. ხშირად ხდება ხოლმე, როცა დანახარჯების უმნიშვნელოვანეს შემადგენლად ნედლეული და მასალები კი არ გამოდის, არამედ სამეცნიერო კვლევები, გაწეული პროდუქციის სრულყოფის მიზნით და ასევე მანქანა–მოწყობილობების განახლება. თუ მანქანა–იარაღები უკვე შესყიდულია, მისი ხარჯები ჩაითვლება საერთო (მუდმივ) ხარჯებში, რომელიც არ შეიცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებასთან დაკავშირებით. ფირმისათვის უმნიშვნელოვანესი არის საწარმოო ხაზების განუწყვეტლობის შენარჩუნება, რათა ინვენსტიციები წყალში გადაყრილი არ აღმოჩნდეს.

მიწოდების გამარტივებული თეორიის თანახმად, გრძელვადიანი ტექნოლოგიური ინოვაციები ეფექტიური არ არის. სინამდვილეში არსებობს ბევრი ფირმა, რომელიც აფართოვებს წარმოებას, მიუხედავად ფასების შემცირებისა, ნაცვლად იმისა, რომ სრულიად საწინააღმდეგოდ მოიქცეს.

შეჯამება:

მიწოდების თეორია იმ პრინციპებს ეფუძნება, რომ კერძო სექტორში არსებობს განსაზღვრული რაოდენობის ორგანიზაციები, რომელთაც ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე მოქმედების საფასურად სურთ მოგების მიღება. თუ ფასები დიდია, ფირმებს სურთ გაყიდონ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია და აფართოებენ წარმოების მასშტაბებს. თუ ფასები მცირეა, ბაზარი კარგავს მომხიბვლელობას მწარმოებელთათვის, რომლებიც შეკვეცავენ წარმოების მასშტაბებს.

მოგების მიღების ხურვილი ნიშნავს, რომ მწარმოებლები დიდ ყურადღებას ანიჭებენ დანახარჯებს. თუ ფასთან შედარებით დანახარჯები მეტისმეტად დიდია, მწარმოებლები თავს ანებებენ ამ სახის წარმოებას.

შეკითხვები განსჯისათვის:

3.1. რა პრობლემებს აწყდება მწარმოებელი, როდესაც მის მიერ დამზადებულ პროდუქციაზე ფასები მცირდება?

3.2. რატომ იზრდება ზღვრული დანახარჯები მოკლე ხნის მანძილზე? გაიხსენეთ ასეთი მაგალითები.

3.3. რას ემყარება მთავარი განსხვავება მიწოდების ფუნქციებს შორის მოკლე და გრძელ პერიოდებში?

3.4. რა სახით მოქმედებს მიწოდების თეორია შრომის ბირჟაზე გამოსულ ადამიანებზე? ადამიანთა მუშაობის ინტენსიობა არის თუ არა დამოკიდებული მათი შრომის ანაზღაურებაზე? იქნებ არსებობს სხვა არსებითი ფაქტორებიც?

4

მიწოდება, მოთხოვნა და ფასების მექანიზმი

შესავალი

ამ თავში განხილული იქნება მიწოდებასა და მოთხოვნას შორის წონასწორობის შენარჩუნების საკითხი, რომელიც მიიღწევა ფასების მექანიზმის საშუალებით. წონასწორობა არის სტაბილური მდგომარეობა, რომლის დროსაც ყოველი გადახრა წარმოშობს ისეთ ძალებს, რომლებიც იწვევენ სისტემის წინა მდგომარეობაში დაბრუნებას. წარმოვიდგინოთ ხე: როდესაც ქარი არა ქრის, იგი იმყოფება სტაბილურ, ანუ განწონასწორებულ მდგომარეობაში. როდესაც ქარი ამოვარდება — იგი აღმოჩნდება სტაბილური მდგომარეობიდან გადახრილი, ხოლო მისი ბუნებრივი თვისება მოითხოვს, რომ მიუხედავად ქარისა იგი თავის თავდაპირველ მდგომარეობას დაუბრუნდეს. თანამედროვე ეკონომიკურ თეორიებში დიდი კამათია იმის შესახებ, რომ არსებობს თუ არა წონასწორობა სინამდვილეში. წონასწორობის ძირითადი ცნება ადვილად შეიძლება აითვისოს აღმოსაველეთ თუ შუა ევროპის ქვეყნების მკითხველმა, ვიდრე დასავლეთ ევროპელმა. ბაზრის წონასწორობა ნიშნავს, იმას რომ ბაზრობაზე გამოტანილი ხილი და ბოსტნეული ისეთ ფასებში გაასაღონ, რომ ერთნი — თანხმანი არიან გაყიდონ, ხოლო მეორენი — გადაიხადონ. წონასწორობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს შეუძლიათ იშოვონ ბაზარზე ნივთები, რომელთა ყიდვაც მოუნდებათ.

გადაწყვეტილებას, როგორც გაყიდვის, ისე ყიდვის შესახებ, მიიღებენ სხვადასხვა ადამიანები, ხოლო ფასების მექანიზმის საშუალებით მყარდება წონასწორობა ამ ორ გადაწყვეტილებას შორის. ამას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან ხაბაზრო ეკონომიკის დროს არც მთავრობასა და არც სხვა ვინმეს არ ძალუძს აიძულოს ადამიანი, იყიდოს ის საქონელი, რომელიც მას არ სურს.

ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში მგეგმაველთა ამოცანაა წონასწორობის დამყარება იმას, რაც უნდა ეწარმოებინა ეკონომიკას


და იმას შორის, რაც სურდათ მომხმარებლებს. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტებს ადამიანებზე გაცილებით მეტი ძალაუფლება ქონდათ, ვიდრე ეს შეიძლებოდა ჰქონოდა ხელისუფლებას დასავლეთ ევროპაში, ისინი ვერასოდეს ვერ მიუახლოვდნენ დოლათის ისეთ მიწოდებას მოსახლეობისათვის, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში .

უშუალოდ მოქმედი დიაგრამა ეკონომიკაში

ჩვენ უკვე შევიტყვეთ, რომ:

- როგორც მიწოდება, ასევე მოთხოვნა განისაზღვრება ფასებით, ფასების მატებასთან ერთად მატულობს მიწოდება და მცირდება მოთხოვნა.

როდესაც ფასები მცირდება, მოთხოვნა მატულობს, მიწოდება მცირდება.



P— ფასები ათას ზლოტებში


q/t— მოცემულ დროში შესყიდული ან გაყიდული ერთეული პროდუქციის რაოდენობა

ფასების მაღალ დონეს P1 შეესაბამება მოთხოვნა D1 და მიწოდება S1, ფასების ქვედა დონეს P2 შეესაბამება მოთხოვნა D2 და მიწოდება S2.

ნახ.15. მიწოდება და მოთხოვნა

ნახ.15-ზე ჩვენ ვაჩვენეთ ერთობლივ დიაგრამაზე წარმოდგენილი მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდები ფასების P1 და P2 სხვადასხვა დონისათვის. დავუშვათ, რომ ფასების დონეა P1. ასეთი ფასების დროს მიწოდების მოცულობა შეესაბამება S1, ხოლო მოთხოვნის მოცულობა D1. ამ დროს არსებობს მიწოდების უპირატესობა მოთხოვნაზე, რომელიც გამოხატულია S1- D1. ეს ნიშნავს, რომ ერთ ადამიანზე, რომელსაც სურს შეიძინოს მოცემული პროდუქტი, მოდის სამი თუ ოთხი ადამიანი, რომელსაც სურს მისი გაყიდვა. მაშასადამე, ყოველი მყიდველი, რომელიც ბაზარზე გადის,

გარშემორტყმულია ადამიანებით, რომლებსაც სურთ წარმოდგენილი პროდუქციის გაყიდვა და ხედავს, რომ ყველა ეს პროდუქტი ვერ გაიყიდება. წნეხი რეალიზაციაზე ისეთი დიდია, რომ რეალიზატორები ამცირებენ თავიანთ ფასებს, რათა ამ წესით მოიზიდონ კლიენტი. ახლა დაუშვათ, რომ ფასების დონე დაბალია და შეადგენს P2. მოთხოვნის რაოდენობა აღწევს D2. ხოლო მიწოდების S2. ვინაიდან ფასი არის დაბალი, ბევრ მომხმარებელს სურს იყიდოს მოცემული საქონელი, ხოლო ნაკლებს,— მისი გაყიდვა. ასეთი სიტუაცია კარგად არის ცნობილი იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ცხოვრობდნენ ცენტრალიზებული დაგეგმვის მქონე ქვეყნებში, როდესაც ფასები დაწესებული იყო მეტის მეტად დაბალ დონეზე. იმ ფასების პირობებში, რომლებიც დაწესებული იყო ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემისას, გაცილებით მეტ ხალხს ეწადა სხვადასხვა სახის საქონლის შეძენა; მაგრამ მათი ასეთი დიდი რაოდენობით წარმოება მიუღწეველი იყო. ბაზარზე გამოსულ ყოველ გამყიდველს თავისი პოტენციალური მყიდველი ჰყავდა, რომელთა შორისაც თვითოეული ცდილობდა დაესწრო მეორისათვის. პოტენციალურ მყიდველებს შორის ასეთმა კონკურენციამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ზოგიერთებმა დაიწყეს ფასის ზევით თანხის (ან ქრთამის) მიცემა. P2 დონის ფასების პირობებისას ხალხს სურდა შეეძინა გაცილებით მეტი საქონელი, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო. (იხ.ნახ. 16).



P - ფასი ათას ლოტებში

q/t - დროის მოცემულ პერიოდში ბაზარზე გასაყიდად გამოტანილი ან შესყიდული ერთეული

პროდუქციის ფასი წონასწორებისას შეადგენს P2, ხოლო რაოდენობის წონასწორობა Qe.

ნახ. 16. მიწოდებისა და მოთხოვნის წონასწორობა

ახლა დაუშვათ, რომ ფასი დადგენილია P2 დონეზე, როგორც ეს არის ნაჩვენები ნახ. 16-ზე. ასეთი ფასების პირობებში მოთხოვნის მოცულობა ზუსტად უტოლდება მიწოდების მოცულობას. ასეთ დროს არ არსებობს წნეხი, რომელიც გამოიწვევდა ფასის მომატებას ან დაკლებას, ვინაიდან ყოველ გამსაღებელს შეუძლია იპოვოს მყიდველი და პირიქით — ვინაიდან მიწოდება მოთხოვნის ტოლია და არ არსებობს ძალა, რომელიც ფასების ცვლილებებს გამოიწვევდა. ჩვენ შეგვიძლია ეს სიტუაცია განვსაზღვროთ როგორც გაწონასწორებული მდგომარეობა. მიწოდების რაოდენობა შეადგენს Q2.

თუ ფასი დიდია, ვიდრე Pe როგორც P1 ზევით მოყვანილ მაგალითზე, არსებობს წნეხი ფასების დაწევაზე, ვინაიდან გამყიდველები ერთმანეთს შორის კონკურენციას მიმართავენ და ცდილობენ გაყიდონ საქონელი, რომელიც ბაზარზე მყიდველს ვერ პოულობს.

თუ ფასი უფრო მცირეა, ვიდრე Pe, მაგალითად, P2 ზემოთ მოყვანილ მაგალითზე, ფასების მოსამატებლად არსებობს სტიმული. თუ ფასები მეტისმეტად დიდია, შემცირდება. ხოლო თუ ის მეტისმეტად მცირეა-მოიმატებს. ეს არის სტაბილური წონასწორობის მდგომარეობა, ვინაიდან არსებობს თვითრეგულირების მექანიზმი როგორც იმ სიტუაციაში, როდესაც ფასები არის მეტისმეტად დიდი, ისეთ სიტუაციაში, როდესაც ის მეტად მცირეა.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია წონასწორობის წარმოქმნის მიზეზები.

ფასი	მიმწოდებლის რეაქცია	მომხმარებლის რეაქცია	შედეგი
ძალზე დიდი	პროდუქციის მატება	მოხმარების შემცირება	ფასების შემცირება
ძალზე მცირე	პროდუქციის შემცირება	მოხმარების გადიდება	ფასების გადიდება
შესაფერისი	უცვლელებოდ	უცვლელებოდ	უცვლელებოდ

საჭიროა შევნიშნოთ, რომ ასეთი სიტუაცია წარმოსდგება ორი უბრალო ფაქტორის — მოთხოვნისა და მიწოდების შედეგად. მთავრობის ყოველგვარი ჩარევის, ბრძენი ხალხის გარეშე, რომლებიც სამინისტროებში სწყვეტენ წარმოების მოცულობებს, ფირმას, რომელიც ცდილობს მოგება მიიღოს და ასევე გონიერ მომხმარებელს, სიტუაცია მიჰყავთ წონასწორობამდე, რომლის პირობებშიც მომხმარებელთა მატერიალური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული

იქნება. ეს იმიტომ ხდება, რომ როგორც ფირმა, ასევე მომხმარებელი, მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად, და არ ხელმძღვანელობენ რაიმე ზეამაღლებული თუ ზოგადსაკაცობრიო მიზნებით.

უჩინარი ხელი

იმ ეკონომიკურ სიტუაციას, რომლის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი, 1776 წელს გამოქვეყნებულ თავის წიგნში „ხალხთა სიმდიდრისა და მისი წარმოშობის მიზეზების შესახებ“ ადამ სმიტმა „უჩინარი ხელის“ მოვლენა უწოდა. აღნიშნული სიტუაციის დროს ადამიანები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ისე იქცევიან, თითქოს ვიღაცის უხილავ ხელს მოჰყავდეს ისინი მოწესრიგებულ მდგომარეობამდე. ამის ნიმუშად ა.სმიტს მოჰყავდა პურის მცხობელისა და ძეხვის მკეთებლის მაგალითი, რომლებიც გამთენიისას დგებიან არა თავიანთი კლიენტების სიყვარულით ანდა სხვა ადამიანებისათვის დახმარების ხელის გაწვდის მიზნით, არამედ მოგების მიღების სურვილით. მან ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ ფაქტს, რომ ეგოისტურმა ადამიანებმა შეიძლება თავისი ძალისხმევა მიმართონ ისეთი საქმის გასაკეთებლად, რაზედაც უდიდესი მოთხოვნილება იქნება სხვა ადამიანების მხრიდან. უდიდესი ძალა საბაზრო მეურნეობისა სწორედ იმაში რომ აიძულებს ეგოისტურ ადამიანებს იმუშაონ სხვა ადამიანების საკეთილდღეოდ. (სხვა ადგილას ადამ სმიტი ამბობს, „ქერძო ადამიანების ეგოიზმი საზოგადოებისათვის სასარგებლოაო“ — მთარგ.)

მრავალი მშვენიერი გამოგონება, რამაც შეცვალა ადამიანთა ცხოვრება, მთელს მსოფლიოში — მაგ. ორთქლის მანქანა, ტელეფონი, ტელევიზორი, მრავალი ფარმაცევტული ნივთიერება და სხვა და სხვა, გამოგონებული და სრულყოფილი იყო იმ ხალხის მიერ, რომელთაც სურდათ გაეუმჯობესებინათ თავისი საკუთარი ცხოვრება და მათი უპირველესი ამოცანა სრულიადაც არა ყოფილა სხვა ადამიანებისათვის დახმარების აღმოჩენა.

ბაზრის დამოკიდებულება ცვლილებებისადმი

ბაზარი სწრაფად და შედეგიანად ეგუება მიმდინარე ცვლილებებს. განვიხილოთ ქოლგისა და საწვიმარი ლაბადის მაგალითი.

დაუშვათ, რომ ერთ ზაფხულს ამინდი იყო განსაკუთრებით საზიზღარი და ამან გამოიწვია ლაბადებზე მოთხოვნის მატება. ფასების ყოველ გადიდებაზე უფრო ზევით, ვიდრე ადრე იყო, ადამიანებს სურდათ ჰქონოდათ უფრო მეტი წვიმისაგან დამცავი რამ. მაღაზიები, რომლებსაც ჰქონდათ ქოლგები და ლაბადები, მათი რეალიზაციიდან იღებდნენ დამატებით მოგებას. კონკურენტები,

რომლებსაც ამგვარი მარაგი არ ჰქონდათ, იძულებული იყვნენ კლიენტები ხელცარიელი გაებრუნებინათ — ამიტომ მათ გამართეს მოლაპარაკებები მწარმოებლებთან და სხვა მომწოდებლებთან. ქოლგების მწარმოებლებმა უმალ შენიშნეს მოთხოვნის გადიდება, რამაც ისინი ძალიან ასიამოვნა, რამეთუ შეეძლოთ ამ საქონლისათვის დაედოთ ისეთი ფასი, რომელიც მათ დიდ მოგებას უქადდა.

საბაზრო ეკონომიკის მშვენიერი თვისებაა ის, რომ იგი სტიმულს აძლევს ინფორმაციის გადაცემას. ამის წყალობით სხვადასხვა ცნობები მიეწოდება ადამიანებს, რომლებიც მას საჭიროებენ. თუ ადამიანებს სურთ გაიღონ ფული გარკვეულ საქონელსა თუ მომსახურებაზე, ფირმები, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებები, ყოველ დღეს ხმარობენ, რათა პოტენციალურმა კლიენტმა შეიტყოს მათი სასაქონლო (მომსახურების) წინადადებების შესახებ.

ცენტრალიზებული დაგეგმვა

თუკი მგეგმავებს ცენტრალიზებული დაგეგმვის დროს შეეძლებოდათ მსგავსად ზემოთ მოტანილი მაგალითისა — ზუსტად გაეოცნოთ ამინდი და ორგანიზაცია გაეკეთებინათ ქოლგების დამატებითი მიწოდებისათვის მის მწარმოებელ ქარხანაში შესაბამისი ინსტრუქციის გაგზავნით, ქარხნები სარეალიზაციო ქსელს მიამარაგებდნენ დამატებითი ქოლგებით. სინამდვილეში, ვინაიდან შეუძლებელია ამინდის ზუსტად გამოცნობა, თავს იჩენს აგრეთვე სხვა პრობლემებიც. ქოლგების მწარმოებლებს უწინარესად აწუხებთ ის, რომ შეასრულონ პროდუქციის წარმოების გეგმა. თუკი მათ საშუალება ექნებოდათ სწრაფად გაეზარდათ წარმოების მოცულობები, მგეგმავები ვერ შენიშნავდნენ, რომ არსებობს ასეთი შესაძლებლობა. მაგრამ იმის გამო, რომ მწარმოებლები დაინტერესებული არ არიან მოგების მიღებით, რომელიც შეუძლია მოუტანოს მათ მათმა შრომამ, არც იმით არიან დაინტერესებული, რომ იზრუნონ მაღაზიებისათვის დამატებითი ქოლგების მიწოდებაზე. არც მაღაზიის გამყიდველებს აწუხებთ დიდად, თუკი წვიმიან ამინდში კლიენტებს უქოლგოდ გააბრუნებენ უკან. არ არსებობს არავითარი იმპულსები, რომლებიც მათ ინტერესს გაუღვიძებდათ ახალი კონტრაქტები დაედოთ ქოლგების მწარმოებლებთან. მწარმოებლები უფრო იმით არიან დაინტერესებული, თუ მათ ვიზიტს გაუკეთებს ვიღაც, ვინც მათ შეაძლევს ქრთამს წარმოებული პროდუქციის ნაწილში, რათა შემდგომ იგი გაყიდონ შავი ბაზრის ფასებში.

მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების გამოყენება


დავუშვათ, რომ არავითარი წარმოდგენა არა გაქვს ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე, მაგრამ სამაგიეროდ ფლობ ცოდნას

მიწოდება—მოთხოვნის შესახებ, კითხულობ პროპაგანდისტულ ბროშურაში, რომ ცენტრალიზებული დაგეგმვის მეურნეობა უარყოფს ბაზარს და ფასების მექანიზმს და ართმევს მათ როლს ამ მთავარი ფაქტორებისას. ნაცვლად ამისა, იგი გადაწყვეტს, საზოგადოებაში ვინ რა მიიღოს. იგი მათ სთავაზობს ძირითადი მოთხოვნილების საქონლის გარკვეულ რაოდენობას, რომელთა ფასიც გაცილებით მცირეა საბაზრო ფასებთან შედარებით.

ამის წაკითხვისას შენ წარმოიდგენ, რომ ცენტრალური დაგეგმვის ეკონომიკაში მიწოდების მრუდი რაღაც საოცარი რამ უნდა იყოს. თუკი მოგების წყურვილი არ უბიძგებს მწარმოებელს წარმოების გაფართოებისაკენ, მიწოდების მრუდისათვის არ იქნება დამახასიათებელი მატების ტენდენცია ფასების გადიდებასთან ერთად. სამაგიეროდ მოთხოვნის მრუდი იგივეა. ადამიანები შეისყიდიან გაცილებით მეტ საქონელს, თუ კი ის იაფია.

პოლონეთის მოქალაქეებს, რომელთაც ჰქონდათ შესაძლებლობა იაფად დაექირავებინათ ერთი ბინის (რომელიც ვთქვათ მათ ერგოთ მემკვიდრეობით მშობლებისაგან) გარდა სხვა ბინა, ისინი ამას აუცილებლად აკეთებდნენ, რადგან ბინების ფასი გაცილებით იაფი იყო საბაზროსაზე.

ცენტრალური დაგეგმვის დროს საქონლის მიწოდება არ არის უსაზღვრო. თუმცა ცენტრალიზებული დაგეგმვის დროს საწარმოს არ მოეთხოვება, რომ მას მოქონდეს მოგება, მაგრამ მას ნელლეული



P -ფასი ათას ზლოტებში

Q/t -მოცემული დროის განმავლობაში ბაზარზე მიწოდებული ან რეალიზებული საქონელი

კონტროლირებადი და მეტისმეტად დაბალი ფასების P1 პირობებში მიწოდების მრუდის S1 და ასევე მოთხოვნის მრუდი D1 მიმართულებას უჩვენებს მოთხოვნის გადაჭარბებას მიწოდებაზე.

ნახ. 17 პროდუქციის წარმოება კონტროლირებადი ფასების პირობებში

მაინც უნდა პქონდეს, ამიტომ ძალიან ხშირად ნედლეულის უკმარისობა ხდება წარმოების გაფართოების ძირითადი მიზეზი. ამის შედეგად საწარმო ანარმოებს იმდენს, რამდენის წარმოებაც შეუძლია მოპოვებული საშუალებების გამოყენების ბაზაზე. ხშირად ეს ნიშნავს, რომ მიწოდების მრუდი თითქმის ვერტიკალურია. ფასი კი, რომლის მიხედვითაც საწარმო პყიდის თავის პროდუქციას, ვერასოდეს ვერ ფარავს დანახარჯებს და ამის მოლოდინი არც არავის არა აქვს.

მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდები ხშირად ისე გამოიყურება, როგორც ეს წარმოდგენილია სქემა 17—ზე. მგეგმავების მიერ დადგენილი ფასები გაცილებით მცირეა იმ ფასებზე, რომლებიც იქნებოდა საბაზრო ეკონომიკის დროს. ეს ნიშნავს, რომ საქონლის ყიდვის მსურველთა რაოდენობა გაცილებით აღემატება მიწოდებული საქონლის რაოდენობას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს სტიმულს მისცემდა მწარმოებელთ აეწიათ ფასები, რაც არ მოხდება გეგმიური ეკონომიკის პირობებში. საქონლის შესყიდვა ოფიციალური, მცირე ფასებით და მისი გაყიდვა გაძიდებული ფასებით, გეგმიური ეკონომიკის პირობებში იწოდება სპეკულაციად და აკრძალულია. ამას კი შემდეგი შედეგები მოპყვება:

1. შავი ბაზარი — რომლის დროსაც მწარმოებლები სარგებლობენ საბაზრო ფასს Pe-სა და ოფიციალურ ფასს Pc შორის განსხვავებით, როგორც ეს მოცემულია მე-18 ნახაზზე.
2. მარაგების დაგროვება — ხალხი ყიდულობს გაცილებით მეტს, ვიდრე სჭირდებათ. მათ კარგად იციან, რომ ეს საქონელი შესაძლებელია მეტისმეტად ძნელი შესაძენი იყოს მომავალში; ახლა კი მათი ფასები ისე მცირეა, რომ ადამიანებს შეუძლიათ მათი დიდი რაოდენობით შეძენა. ბევრ ოჯახს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში შემორჩენილი აქვს დიდი რაოდენობა საქონლისა, რომელიც მათ მაშინ შეიძინეს, როცა ამ საქონლის დეფიციტი იყო. ცხადია, ეს იყო გონიერი რეაქცია შექმნილ სიტუაციაში, ეგაა ოღონდ, რომ იგი ძალიან აუარესებდა ისედაც მძიმე მდგომარეობას ბაზარზე.
3. მფლანგველობა — ვინაიდან საქონელი იყიდებოდა დანახარჯებზე უფრო მცირე, ხანდახან პირდაპირ გასაოცრად იაფ ფასებში, ადამიანები დიდ დანაკლისს არ განიცდიდნენ მათი განიავებით. მათ არ პქონდათ აგრეთვე არავითარი დაინტერესება მასალების მომჭირნეობით გამოყენებისა*.

* ენერგიაზე დაბალი ფასების შედეგი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში აგრეთვე მათი დიდი ზომით გამოყენებაა. მიაქციეთ ყურადღება, როგორც ჭრელ პირები, ასევე ორგანიზაციები, როგორ „ზრუნავენ" იმაზე, რომ ენერგია მომჭირნეობით იყოს გამოყენებული.

4. დეფიციტი — აღწერილ სიტუაციაში დეფიციტი არის შედეგი განსხვავებისა Q1 და Q2 შორის, ანუ განსხვავება მოთხოვნასა (რომელიც ხელოვნურად არის გადიდებული ძალიან მცირე საგუგმო ფასებით) და მიწოდებას შორის;
5. დაბალი ხარისხი და ცუდი მომსახურება — საქონლისა და მომსახურების მწარმოებლებმა იციან, რომ არ არის აუცილებელი ერთმანეთთან კონკურენციულ ბრძოლაში ჩაბმა, ვინაიდან მათი საქონელი ყოველთვის მიიზიდავს მყიდველს; ჩვეულებრივ ისინი გაცილებით მეტნიც არიან, ვიდრე წარმოებული საქონელია; მაშასადამე, მათ შეუძლიათ იმოქმედონ კონკურენციის არ არსებობის პირობებში, და ყურადღება არ მიაქციონ საქონლისა თუ მომსახურების ხარისხს; ამასთან აიძულონ ხალხი იდგნენ რიგებში. სამაგიეროდ საბაზრო ეკონომიკის პირობებში რიგები წარმატების ნიშანია.
6. ინოვაციის დაბალი მაჩვენებელი — სიტუაციაში, როდესაც კლიენტები რიგებში დგომით იღლებიან, გამოჩნდება თუ არა ახალი საქონელი, მწარმოებლები ვერა გრძნობენ ვერავითარ სტიმულს, რათა გააუჯობესონ თავისი საქონლის ხარისხი.
7. უარყოფითი სალდო წარმოებიდან — კარგად მომუშავე ფირმამ თავისი პროდუქცია უნდა გაყიდოს უფრო ძვირად, ვიდრე მისი წარმოება დაუჯდა. ფირმა ადიდებს რა საქონლის სახმარ ღირებულებას, ამით მას გარკვეული წვლილი შეაქვს ზოგადად საზოგადოებისა და კერძოდ მომხმარებელთა კეთილდღეობის საქმეში.
8. უსამართლობა — კომუნისტები, საქონელზე ოფიციალურად აწესებენ რა მცირე ფასებს, ამით ისინი უდიდეს პოლიტიკურ ძალაუფლებას იხვეჭდნენ, რადგან ეს მათზე იყო დამოკიდებული, თუ ვის შეხვდებოდა ამქვეყნიური სიკეთე.


საძოვრების მისაწვდომობა

როდესაც ცენტრალური საგეგმო ორგანოები საბაზროზე მცირე ფასებს აწესებდნენ; იმ პირების მდგომარეობა, რომელთაც შეეძლოთ საქონელი შეეძინათ ოფიციალური ფასებით, იყო განსაკუთრებით პრივილეგირებული. ასეთ სიტუაციაში ფასები კი არ ასრულებდა გადამწყვეტ როლს მატერიალური დოვლათის განაწილებაში, არამედ — ნაცნობ-მეგობრობა.

ერთ-ერთი მიზეზი კომუნისტების ძალისა ის იყო, რომ კონტროლის შესაძლებლობა საქონლის შესყიდვაზე ხელოვნურად მცირე იყო. ეს თანაბრად ეხებოდა როგორც თეთრფრინავის ბილეთებს, ასევე ბინების შეძენასა თუ სპეცმაღაზიებს.

სოციალისტური მეურნეობის ბევრი თავგამოდებული დამცველი ამტკიცებს, რომ რიგები და მცირე ფასები უფრო სამართლიანია, ვიდრე დიდი ფასები და ურიგობა, ვინაიდან ეს ამცირებს მდიდართა უპირატესობას. სინამდვილეში რიგები სასარგებლო იყო იმათთვის, ვინც კარგ ურთიერთობაში იყო კომუნისტებთან ანდა ვინც დეფიციტური საქონლით სპეკულაციას ეწეოდა. ეს ნიშნავდა, რომ „სამართლიანობა“ სოციალიზმის დროს მხოლოდ თეორიულ ხასიათისა იყო. მართალია, მატერიალური კეთილდღეობის მოპოვების სიძნელეები ორივე სისტემისათვის დამახასიათებელია, მაგრამ კაპიტალიზმის დროს საქონელი ხელმისაწვდომია მხოლოდ ფულის მქონეთათვის და ამასთან მომხმარებელი თავისი შეხედულებით ხარჯავს მას, განსხვავებით სოციალიზმისაგან, როდესაც ხელისუფლება სწყვეტს იმას, თუ ვინ იყოს მდიდარი და ვინ — ღარიბი. ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს მმართველი კლასის უფლებების შეზღუდვისათვის.

დეფიციტური საქონლისადმი ხელმისაწვდომობას საგეგმო ეკონომიკის პირობებში ფულის ძალა ჰქონდა, რამეთუ კომუნისტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ძვირად გადაეყიდათ ის საქონელი, რომელიც მათ მიერ შეძენილი იყო დაბალ ოფიციალურ ფასებში და ამ გზით დიდი სარგებლობა ენახათ.



p - ფასი ათას ზლოტებში

q/t - დროის მოცემულ პერიოდში ბაზარზე გატანილი ან შეძენილი პროდუქციის ერთეულთა რიცხოვნობა

კონტროლირებადი და მეტისმეტად დიდი ფასების P2 პირობებში მიწოდების მრუდი S2 ასევე მოთხოვნილების მრუდი D2 მიანიშნებენ მიწოდების გადაჭარბებას მოთხოვნაზე.

ნახ. 18. საქონელი კონტროლირებადი ფასების პირობებში

ერთიანი აბრარული პოლიტიკა

ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა უფრო მეტად კონტროლირებადი ფასების მაგალითს წარმოადგენს. ევროკავშირი ფერმერებისათვის უზრუნველყოფს მათ სასოფლო—სამეურნეო პროდუქციაზე საბაზრო ფასებზე დიდ ფასებს. აღნიშნულის შედეგები წარმოდგენილია ზემოთმოტანილ მე-18 ნახაზზე.

დავუშვათ, რომ ევროკავშირის მიერ დადგენილმა ფასმა, რომლის მიხედვითაც ფერმერებს შეუძლიათ თავისი საქონლის გაყიდვა, არის P1 ს. ასეთი ფასების პირობებში მოთხოვნა შეადგენს D1—ს, ხოლო მიწოდება S1 — არის არსებითად დიდი. ევროკავშირი შეისყიდის წარმოებული პროდუქციის ნაწილს, რის შედეგადაც მას უჩნდება სურსათის უდიდესი მარაგი, (როგორც წესი, ამ მოვლენის დასახასიათებლად ხმარობენ „ხორცის გორები", „ღვინის ზღვა" და სხვა ტერმინებს); ევროკავშირის ასეთი პოლიტიკის შედეგები შეიძლება შემდეგი იყოს:

1. მდიდრდებიან ევროკავშირის ქვეყნების ის ფერმერები, რომლებსაც აქვთ უდიდესი ფერმები;
2. სხვა დანარჩენი მოქალაქეები სურსათზე გაიღებენ გაცილებით მეტ ფულს, ვინაიდან ფასები დაწესებულია ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ისინი უნდა იყოს. ამით განსაკუთრებით ზარალდებიან მოსახლეობის ღარიბი ფენები, რომლებიც სურსათის შესაყიდად გაიღებენ თავიანთი შემოსავლის უდიდეს ნაწილს.
3. ევროკავშირს ძალიან იაფად გააქვს ხაექსპორტოდ თავისი სურსათი კავშირის საზღვრებს გარეთ, რაც იწვევს სურსათზე შემცირებულ ფასებს ამ რეგიონებში. ამგვარი სიტუაცია არაა ხელსაყრელი ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიცაა ვთქვათ პოლონეთი, სადაც გლეხები აღწევენ დანახარჯების გაცილებით მაღალეფექტიანობას*, ვიდრე ეს ევროკავშირის ქვეყნებშია.

მიწოდება—მოთხოვნის თეორია გვიჩვენებს, თუ როგორი უგნურია ევროკავშირის ეს პოლიტიკა, ვინაიდან შესაძლებელი იქნებოდა სურსათის გაცილებით მეტი რაოდენობის შეძენა მცირე ფასებში.

---

* დანახარჯების ეფექტურობაში ვგულისხმობთ პროდუქციის წარმოებას მინიმალური დანახარჯებით. ვინაიდან ევროკავშირის გარეთ კავშირის წევრი ქვეყნები თავის პროდუქციას ჰყიდიან გაცილებით იაფად, მათი დანახარჯები წარმოებული პროდუქციის ერთეულზე —დიდია.

დანახარჯებს — უმუშევრობის ფორმით — გაიღებენ გონიერი აგრარული პოლიტიკის გამტარებელი ქვეყნები.*

ცვლილებათა დინამიკა

ცნება „საბაზრო წონასწორობათა“ შესახებ შეიძლება გასაგებად აღვილი არ იყოს იმ მიზეზების გამო, რომელთაც აღგილი აქვთ ფასებისა და წარმოების მოცულობების ცვლილებების სახით. ახლა ვნახოთ, თუ ამ თავში განხილულ მოდელში რა როლს ასრულებს დრო. ცნობილია, რომ მიწოდებას განსაზღვრავს დანახარჯები, რომელსაც ეწევა მწარმოებელი, ხოლო მოთხოვნა კი კლიენტების გემოვნებით და შესაძლებლობებით არის განსაზღვრული. ეს ფაქტორები განუწყვეტლივ ექვემდებარებიან გარდაქმნებს, რითაც აიხსნება ის ცვლილებები, რომლებიც შეიმჩნევა საბაზრო ეკონომიკის ყველა სფეროში. ეს ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობენ ერთი და იგივე დროს, უარყოფენ პრინციპს — ceteris paribus, რომელიც გულისხმობს, რომ ყველა დანარჩენი ფაქტორები უცვლელი რჩებიან. ბაზრის თეორიის კრიტიკოსები ამას უწოდებენ „გაუონასწორებულ სტატიკას“, რომელიც ბაზარზე მხოლოდ პოზიციების გაწონასწორების საშუალებას იძლევა და გვერდს უვლის სხვა არსებით ფაქტორებს, რომლებიც ასევე ექვემდებარებიან ცვლილებებს. ბევრი ეკონომისტი უხალისოდ იყენებს ceteris paribus პრინციპს მაკროეკონომიკაში, ანუ მეურნეობის ერთობლივი კვლევების დროს — მაგალითად, შრომის ბაზარს. ხელფასები ხომ ექვემდებარებიან ცვლილებებს,. ხოლო ეს უშუალოდ გავლენას ახდენს მოთხოვნაზე ყველა სახის ბაზარზე და შეუძლია გამოიწვიოს უდიდესი ცვლილებები მოთხოვნის საბაზრო მრუდზე.

ბაზრის წონასწორობის მცნება არ გულისხმობს მსოფლიოს სტატიკურ მდგომარეობას, რომლის პირობებშიც არაფერი არ ექვემდებარება ცვლილებებს, სამაგიეროდ გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ ხვდება ბაზარი განუწყვეტლივ ცვლილებებს და როგორ ეგუება მათ.

აი, უბრალო მაგალითები:

თუ შიში ავადმყოფობის წინაშე გამოიწვევს მოთხოვნის შემცირებას გარკვეულ პროდუქტზე, ბაზარი სწრაფად იპოვის წონასწორობის ახალ მდგომარეობას, და შეეგუება მას.

---

*ერთერთი მიზეზი ევროკავშირის ქვეყნებში ამ არაგონივრული პოლიტიკის ის ფაქტია, რომ ევროკავშირის ძლიერ ქვეყნებში, იხეთებში, როგორიცაა საფრანგეთი და გერმანია, ფერმერებს დიდი გავლენა აქვთ პოლიტიკაზე. ეს არის იმის მაგალითი, თუ ზოგჯერ პოლიტიკა მხოფლიოს მრავალ ქვეყანაში რა ძალიან შორდება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს.

ცნობილია საბჭოთა ტელევიზორებს აქვთ გარკვეული დეფექტები; კერძოდ, ისინი სწრაფად გამოდიან მწყობრიდან და ფეთქდებიან. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირში განუწყვეტლივ მატულობდა მათი წარმოების მოცულობები, რადგან ამ ქვეყანაში არ არსებობდა უკუკავშირები მომხმარებლის რეაქციასა და საწარმოო პროცესებს შორის, რაც საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში გამოიხატება.

მოთხოვნა — მიწოდების მრუდეთა გადე

წარმოიდგინე მიწოდების და მოთხოვნის მრუდეები ყოველ პროდუქტსა და მომსახურებაზე; მომხმარებელი შესაძლოა იყო როგორც შენ, ასევე ნებისმიერი სხვა ადამიანი. ახლა წარმოიდგინე, თუ როგორი გავლენა ექნება სხვა მრუდებზე რადიკალურ ცვლილებებს ერთ-ერთ მათგანზე, რომელიც ვთქვათ, გამოწვეულია გადასახადების სტრუქტურის ცვლილებებით.

საბაზრო მეურნეობის შესაძლებლობანი

საბაზრო მეურნეობა — გაცილებით შედეგიანად, ვიდრე სხვა შესაძლო სისტემები — უზრუნველყოფს წარმოების და მოხმარების დაბალანსებას.

საბაზრო მეურნეობა აიძულებს ადამიანებსა და ფირმებს ჩაებან კონკურენციულ ბრძოლაში გადარჩენის მიზნით; ეს გვაგონებს დარვინის ევოლუციის თეორიას, რომლის მიხედვითაც გადარჩებიან მხოლოდ ყველაზე უკეთ შეგუებულნი.

საბაზრო ეკონომიკის წარმატებები ეყრდნობა იმას, რომ იგი არის ძალიან უპირობო, სასტიკად სჯის არაკომპეტენტურობასა და ქედმაღლობას და სამაგიეროდ, აჯილდოებს წარმატებებსა და დაძაბულ შრომას.

რა არ შეუძლია საბაზრო მეურნეობას?

საბაზრო მექანიზმების პრობლემები კარგად არის ცნობილი. სიტუაციაში, როდესაც, ვთქვათ, რომელიმე პოსტკომუნისტური ქვეყანა დგება მასიური უმუშევრობის, მცირე ხელფასების, გარემოს გაბინძურების, მზარდი უთანასწორების და სხვა პრობლემების წინაშე, უნდა გავახსოვდეს ყოველივე ის, თუ რისი უზრუნველყოფა არ შეუძლია საბაზრო მეურნეობას:

საბაზრო ეკონომიკა არ იძლევა კარგი ცხოვრების გარანტიებს. არსებითად, სახელდობრ იმის გამო, რომ არის უპირობო და აიძულებს ადამიანებს იმუშაონ დაძაბულად, ხოლო არაეფექტურად მომუშავეთ კი გაკოტრებისაკენ უბიძგებს, ბევრ ადამიანს საშუალებას აძლევს შეიქმნას ცხოვრების მაღალი სტანდარტები.

საბაზრო სისტემა ადამიანებს არ ხდის ბედნიერებს. ბევრი რეკლამა ცდილობს დაარწმუნოს ისინი, რომ იქნებიან ბედნიერნი მხოლოდ მაშინ, თუკი შეიძენენ მრავალ სხვადასხვა საგნებს. სინამდვილეში კი, როდესაც ადამიანებს უკვე აქვთ ყველაფერი ის, რაც გულით ეწადათ, ეს ნივთები უკვე კარგავენ მათთვის მიმზიდველობას.

შეჯამება:
მოთხოვნა—მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება სტაბილური წონასწორობა. ეს ნიშნავს, რომ თუ ფასები არის მეტისმეტად დიდი, მოქმედებას იწყებენ ძალები, რის შედეგადაც ფასები კლავ მცირდება, ხოლო თუ ფასები მცირეა, ბაზარი აიძულებს მათ გაადიდოს.
ფასების დონე მწარმოებელთათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან სიგნალებს; თუ მწარმოებელს არ შეუძლია თავისი საქონელი ამ ფასში გაყიდოს, იგი ან წარმოებას შეამცირებს ან გააუმჯობესებს საქონლის ხარისხს.

შეკითხვები განსჯისათვის:

4.1. მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების გამოყენებით უპასუხეთ შეკითხვას: რა მოხდებოდა, თუ ვაშლის მოსავალი ძალიან მცირე იქნება? მხედველობაში გქონდეთ აგრეთვე სუბტიტუტები და კომპლემენტარული საქონელი.

4.2. რითი განსხვავდება მოთხოვნის მრუდის გასწვრივ გადანაცვლება თავად მოთხოვნის მრუდის გადანაცვლებისაგან?

4.3. მოცემული საქონლის ბაზარზე რა გაელენას მოახდენს ახალი ტექნოლოგიის გამოყენება? გამოიყენეთ მიწოდების, მოთხოვნისა და დანახარჯების მრუდები.

4.4. რა მიზეზით იცვლება ფასები?

4.5. ვთქვათ გსურს სკოლაში გახსნათ ბუფეტი და ცდილობთ დაადგინოთ მოთხოვნის მრუდი. რა მეთოდებით მოაგროვებთ თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას?

5

ფირმების როლი და სრულყოფილი კონკურენცია

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფირმები პრინციპულ როლს ასრულებენ, ვინაიდან ქმნიან სამუშაო ადგილებს (თუმცა უმუშევრობის პირობებში უმნიშვნელო რაოდენობით) და ასევე ამრავლებენ მატერიალურ დოვლათს.

ინვესტიციური შესაძლებლობების გამოყენება

ყოველ განვითარებულ საბაზრო სისტემაში ძალიან ბევრი ადამიანია, რომელნიც ეძებენ ფულის გაკეთების შედეგიან გზებს. ზოგი მათგანი დიდ ფირმებში მუშაობს და იმედი აქვს, რომ ის, რაც სარგებლობას მოუტანს მათ ფირმას, სასარგებლო იქნება მათთვისაც. სხვებს სურთ გამოიმუშაონ ფული ინდივიდუალურად. ამ ფაქტს აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი:

1. ყოველგვარი ტექნოლოგიური განახლებანი ხდება იმ ფირმების მიერ, რომლებსაც სურვილი აქვთ იყვნენ მაღალკონკურენტუნარიანი.*
2. ფირმები ცდილობენ აწარმოონ ახალი სახის პროდუქტები იმ იმედით, რომ ისინი იპოვნიან გამსაღებლებს. ამის შემოწმება ხდება ექსპერიმენტების გზით; ის ფაქტი, რომ ფირმები ზარალობენ და იძულებულები ხდებიან შეწყვიტონ წარმოება, არის იმის საფასური, რაც საჭიროა გადაეხადონ ჯანმრთელი საბაზრო ეკონომიკის სისტემისათვის. მისი დადებითი მხარეა ის, რომ ხანგრძლივი ვადის მანძილზე მარაგები მიმართული იქნება მხოლოდ იმ წარმოებისა და მომსახურების განსაკი-

* ზოგიერთი ეკონომისტი საკმათოდ ხდის ამ შეხედულებას და ამტკიცებს, რომ მნიშვნელოვანია მხოლოდ ის ტექნოლოგიები, რომლებიც შექმნილია სამთავრობო პროგრამების ჩარჩოებში, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში. თუმცა ტექნიკის მიღწევების საერთო გამოყენება ძალიან გავრცელებულია საბაზრო ეკონომიკის სისტემაში.

თარებლად, რომელთა შეძენაც ადამიანებს ნამდვილად სურთ.*

3. ეკონომიკაზე დიდ გავლენას ახდენს იმ ადამიანთა ხასიათი, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს წარმოების გაფართოების შესახებ. საბაზრო მეურნეობისათვის აუცილებელია წარმოების კულტურა. იგი ეფუძნება იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ წარმატებას მაშინაც კი, როდესაც მარცხს განიცდიან. პოლონეთში ბევრი ადამიანია, რომლებიც მზად არის დაფინანსოს საკუთარი წინადადებები. ეს გარემოებაც, სხვათა შორის, მეტყველებს იმას, რომ პოლონეთის ეკონომიკას აქვს გაცილებით უკეთესი მომავალი, ვიდრე დანარჩენ ყოფილ კომუნისტური ქვეყნების ეკონომიკას.
4. მწარმოებლები დაინტერესებული არიან დანახარჯების შემცირებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ ცდილობენ შეასრულონ თავისი დავალება, რაც შეიძლება იაფად და მაღალეფექტურობით**.
5. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელისუფლება მართალია ცდილობს მწარმოებლისათვის შექმნას ხელსაყრელი პირობები, მაგრამ პასუხისმგებლობა საწარმოო და სავაჭრო წარმატებებისათვის მაინც ფირმის მმართველობასა და მის თანამშრომლებს აწევთ.

სრულყოფილი კონკურენცია და მონოპოლია

საბაზრო ეკონომიკის სისტემის კრიტიკის პასუხად შეგვიძლია მოვიყვანოთ არგუმენტები, რომლებიც დამყარებული იქნება კონკურენციის მცნებაზე. განვიხილოთ შემდეგი სახის საუბარი:

ჯონი: საბაზრო ეკონომიკა გაცილებით მეტს იძლევა მომხმარებლისათვის.

ანა: მამიკომ მიყიდა იაპონური აპარატი, რომელიც გაფუჭდა ორი კვირის ხმარების შემდეგ, ხოლო მაღაზიაში მის გამოცვლაზე უარი მითხრეს. ვერ ვიტყვი, რომ ეს საღი ბიზნესი იყოს.

ჯონი: დროთა განმავლობაში ეგ მაღაზია ამგვარი მუშაობით აუცილებლად ზარალს ნახავს, ხოლო მოიგებენ ის ფირმები,

---

*მოჩვენებითი ხიუხვე პროდუქციისა ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში უპირატესად იმის მომასწავებელია, რომ იქ ანარმოებდნენ საქონელი, რომლის შეხედვაც ადამიანებს არ ეწადათ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასეთი რამ დიდხანს ვერ გასტანს. გამონაკლისია ხალხმწიფო ფირმები, რომელთაც სუბსიდიების ხარჯზე არსებობა შეუძლიათ.

**ოღონდ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ანარმოებენ უხარისხო საქონელს: ფირმები ცდილობენ მიაღწიონ მაღალ ხარისხს, რაც შეიძლება მცირე დანახარჯებით. სრულყოფილი კონკურენცია და მონოპოლია

რომლებშიც უკეთესად ეპყრობიან კლიენტებს. ცხადია, ბოლოს ეგ მაღაზიაც შეეცდება გაუმჯობესოს კლიენტებთან ურთიერთობები.

ჯონი ამტკიცებს, რომ მაღაზიაში ანბანსადმი ცუდი მოპყრობის უმთავრესი მიზეზი არის კონკურენციის უარსებობაა, რომ არ არის ეს ბაზრის, როგორც ასეთის, შინაგანი პრობლემა. ეკონომისტებმა დაამუშავეს სრულყოფილი კონკურენციის თეორია; იგი წარმოადგენს იმის საცდელ ქვას, თუ რა მოხდება იმ სიტუაციაში, როდესაც ბაზრები იქნება კონკურენციული და მასზე არასოდეს ექნება აღგილი ანალოგიურ პრობლემებს, როგორც ზეითაა წარმოდგენილი.

ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტი სრულყოფილი კონკურენციის სასარგებლოდ, არის მისი შედეგიანობა. იგი შეიძლება იყოს შედეგიანი იმ აზრით, რომ პროდუქციას აწარმოებენ მინიმალური დანახარჯებით ერთეულ პროდუქციაზე გაანგარიშებით, ხოლო ფირმები აწარმოებენ —ზღვრული დანახარჯების მიხედვით, რომლებიც შეესაბამება ზღვრულ შემოსაელებს. ეკონომისტები, რომლებიც მომხრეები არიან საბაზრო ეკონომიკისა, ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება უნდა ცდილობდეს გაუმჯობესოს კონკურენციის პირობები. ეფიქრობთ საინტერესო იქნება გარკვეული პერსპექტივიდან შევხედოთ სრულყოფილი კონკურენციის დამცველთა არგუმენტებს. ეკონომისტები დიდ დროსა და ანალიზს ანდომებენ სრულყოფილი კონკურენციის მქონე ბაზრების შესწავლას, თუნდაც, რომ ასეთი მოელენა სინამდვილეში არც არსებობდეს.

სრულყოფილი კონკურენციის საკითხებზე ანალიზისას ეკონომისტები აკეთებენ შემდეგ აბსტრაგირებებს:

— ერთგვაროვნობა — ყველა მწარმოებელს ბაზარზე გამოაქვს ერთი და იგივე სახეობის პროდუქცია;
— ფასების მოწონება — მიღება (აქცეპტაცია) — ბაზარზე ისე დიდი რაოდენობის მყიდველი და გამყიდველი გამოდის, რომ ვერც ერთი მათგანი ცალკ—ცალკე ვერ შესძლებს გაელენა მოახდინოს ფასებზე;
— მოგების მაქსიმალიზაცია — ფირმები ანხორციელებენ თავიანთი მოგების მაქსიმალიზაციას, რაც ნიშნავს, რომ ფასები არის ზღვრული დანახარჯების ტოლი;
— სრულყოფილი ინფორმაცია — ყველა მათგანი არის სრულყო-

* არგუმენტი, რომ საჭიროა ის პროგრამები, რომლებსაც შედეგი მოაქვთ მხოლოდ ხანგრძლივი დროის გასელის შემდეგ, პირველად გამოყენებული იყო ჯონ კეინსის მიერ კამათში, რომელიც ეხებოდა უმუშევრობასთან ბრძოლის მოკლევადიან პროგრამებს. თუმცა ეკონომიკურ მეცნიერებაში კეინსი წარმოადგენს საკამათო პიროვნებას, იგი ნამდვილად არის ერთ—ერთი გაელენიანი ეკონომისტი ამ საუკუნისა.


ფილად ინფორმირებული. მაშასადამე, გამორიცხულია, რომ რომელიმე მათგანმა არ იცოდეს უფრო ხელსაყრელი ფასების არსებობის შესახებ.

— ბაზარზე გასელისა და მისი დატოვების თავისუფლება— ფირმებს შეუძლიათ თავისუფლად გაეიდნენ ბაზარზე და დატოვონ იგი და ამასთან, ამით არ ნახონ არავითარი ზარალი.

— ტრანსპორტზე დანახარჯების არ არსებობა.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ გაეიგოთ განსხვავება განსახილველი საქონლის მთელ ბაზარსა და კონკრეტული ფირმის სიტუაციას შორის. მთელი ბაზარი ისევე გამოიყურება, როგორც ყოველი მოთხოვნა—მიწოდება ჩვეულებრივ სქემაზე, თუნდაც მაგალითად ისეთზე, როგორც მე-19 ნახაზის მარჯვენა მხარესაა წარმოდგენილი.

კონკრეტული ფირმის სიტუაცია გამოსახულია მარცხენა მხარეს. ფირმისათვის მისაღებია ის ფასი, რომელიც დადგენილია ბაზარზე, რაც გამომდინარეობს მე-2 დაშვებიდან. მოთხოვნის მრუდი ყოველი ერთეული მწარმოებლისათვის მიმართულია პორიზონტალურად. ფასი, დადგენილი მთელი ბაზრის მიერ, უტოლდება ფასს, რომლის გადახდაზეც თანახმანი არიან მომხმარებელნი. თუკი რომელიმე კონკრეტული ფირმა შეეცდება ბაზარს თავს მოახვიოს უმაღლესი ფასი, არავინ არ იყიდის მისგან, ხოლო თუ ფასს ძალზე დააგდებს, — ვერ შეძლებს მოგების მიღებას.



P - ფასი ათას ლოტებში;

q1 - განსაზღვრულ დროში შეთავაზებული ან გაყიდული ერთეული პროდუქციის რაოდენობა;

მარცხენა ნახაზი უჩვენებს ფირმის სიტუაციას. ფასების დონე P1 პასუხობს მოთხოვნის მრუდს სრულყოფილი კონკურენციის პირობებში. ნახაზი წარმოადგენს აგრეთვე ზღვრული დანახარჯების მრუდს MC—ს და ასევე საშუალო დანახარჯების მრუდ AC—ს

მარჯვენა ნახაზი გამოსახავს სიტუაციას მთელ დარგში. მიწოდების მრუდი S1 ასევე მოთხოვნის მრუდი D1 იძლევიან P1 ფასს, რომელიც ადგენს მოთხოვნის მრუდს ფირმისათვის.

ნახ. 19. ფირმა და მრეწველობა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში

თუ მოთხოვნის მრუდი მიემართება პორიზონტალურად, ზღვრული შემოსავალი(MR - ინგ. marginal revenue; დამატებითი შემოსავალი ყოველი შემდგომი წარმოებული პროდუქციის ერთეულიდან) არის ერთი და იგივე, როგორც ფასი. თუ მრუდი ეცემა, ზღვრული შემოსავალი შეიძლება იყოს უფრო დაბალი, ვიდრე ფასი, ვინაიდან დამატებით გაყიდული პროდუქციის ერთეული იწვევს ფასების დაცემას, რომლის იქითაც შეიძლება გაიყიდოს საქონლის ყველა ერთეული. ეს ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

პირობა, რომ სრულყოფილი კონკურენციის პირობებში მომუშავე ფირმებმა უნდა მაქსიმალურად გაზარდონ მიღებული მოგება, ნიშნავს, რომ მათი ზღვრული დანახარჯები(MC - ინგ. marginal cost) უნდა ეძრიდეს ზღვრულ შემოსავალს. ფირმის ზღვრული დანახარჯები შესაბამისად აღნიშნავს მისი მიწოდების მრუდს.

მოგების მაქსიმალიზაციის პირობა გამოისახება ტოლობით MR=MC.

რატომ უნდა იყოს დაცული ტოლობა MR = MC მოგების მაქსიმალიზაციის დროს? ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში განვიხილოთ მონოპოლიის შემთხვევა (1, 3, 4, 7, 8, 9 და 10) და სრულყოფილი კონკურენციისა (1, 2, 4, 6, 8, 9 და 10) გაანალიზე ყოველი სტრიქონი და დარწმუნდი, რომ გესმის მათ შორის კავშირები. სრულყოფილი კონკურენციის შედეგები გამოითვლება იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომლებიც მოცემულია სვეტებში 1,2 და 8, ხოლო იმ სიტუაციებისათვის, რომელშიც არსებობს მონოპოლია, 1, 3 და 8 სვეტების საფუძველზე. დგინდება, რომ ზღვრული დანახარჯები მცირდება შემოსავლების შემცირებასთან ერთად. ზღვრულ დანახარჯებს მონოპოლისტები ამცირებენ, ვინაიდან მცირდება მოთხოვნის მრუდი, როდესაც ფირმა მოქმედებს სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, ზღვრული შემოსავალი ისეთივეა, როგორიც არის ფასი. მონოპოლიის შემთხვევაში ფასი უფრო დიდია, ვიდრე ზღვრული შემოსავალი, ხოლო წარმოების მოცულობა მცირეა. წარმოების მოცულობების გადიდება, რომლის დროსაც მოგებაც მატულობს, როგორც სრულყოფილი კონკურენციის, ასევე მონოპოლიების არსებობისას, შეესაბამება სიტუაციას, რომელშიც შემოსავალი და ზღვრული დანახარჯები ერთმანეთს უთანაბრდება. როგორც ცხრილიდან ჩანს, წარმოების მატება ამ პუნქტის ზევით უბრალოდ გამოიწვევს მთელი მოგების დაცემას.

სრულყოფილი კონკურენციის პირობებში მოთხოვნის მრუდი ფირმის პროდუქციაზე არის ისეთივე, როგორც ზღვრული შემოსავლების მრუდი, როდესაც პროდუქციის ყოველი ერთეულის შეძენა შესაძლებელია ერთი და იგივე ფასად. ვინაიდან ფირმამ უნდა აწარმოოს იმ სიტუაციის მიღწევამდე, რომლის დროსაც MC = MR, ხოლო ზღვრული შემოსავალი MR შემოსაზღვრულია

რაოდენობა	ფასი		მთლიანი შემოსავალი		ზღვრული შემოსავალი		ზღვრული დანახარჯები	სრული დანახარჯები	მოგება	
ორივე შემთხვევაში	სრულყოფილ კონკურენცია	მონოპოლია	სრულყოფილ კონკურენცია	მონოპოლია	სრულყოფილ კონკურენცია	მონოპოლია	ორივე შემთხვევაში	ორივე შემთხვევაში	სრულყოფილ კონკურენცია	მონოპოლია
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
0	5	20	0	0	0	0	0	0	0	0
1	5	10	5	10	5	10	1	1	4	9
2	5	9	10	18	5	8	2	3	7	15
3	5	8	15	24	5	6	3	6	9	18
4	5	7	20	28	5	4	4	10	10	18
5	5	6	25	30	5	2	5	15	10	15
6	5	5	30	30	5	0	6	21	9	9
7	5	4	35	28	5	-2	7	28	7	0
8	5	3	40	24	5	-4	8	36	4	-12
9	5	2	45	18	5	-6	9	45	0	-27

ფასით, რომელიც მთელი ბაზრის მიერ არის დადგენილი,მიწოდება არის ნაჩვენები ზღვრული დანახარჯების მრუდით.

სრულყოფილი კონკურენციის პირობებში მოქმედი ფირმის მიწოდების მრუდი არის იგივე სახის, როგორც მისი ზღვრული დანახარჯების მრუდი.

სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფირმა გაზრდის თავის წარმოებას იმ დონის მიღწევამდე, რომლის დროსაც ფასი გაუტოლდება ზღვრულ დანახარჯებს. ფირმები ყოველთვის შეეცდებიან აწარმოონ უმცირესი შესაძლო დანახარჯებით, ვინაიდან ზღვრული დანახარჯების მრუდი ყოველთვის გადაკვეთავს ზღვრულ დანახარჯების მრუდს (AC - ინგ. average cost)„ქვევიდან“ მის ყველაზე დაბალ პუნქტში, ვიდრემდის ზღვრული დანახარჯები არის უფრო

დაბალი, ვიდრე საშუალო დანახარჯები (სრული დანახარჯები გაყოფილი წარმოებულ მთლიან პროდუქციაზე) ყოველი დამატებით წარმოებული ერთეული პროდუქციისა გამოიწვევს საშუალო დანახარჯების დაცემას. სამაგიეროდ, როდესაც ზღვრული დანახარჯები უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო დანახარჯები, ყოველი დამატებით წარმოებული ერთეული პროდუქციისა გამოიწვევს საშუალო დანახარჯების მატებას და კიდევ უფრო გააღრმავებს მანძილს საშუალო და ზღვრულ დანახარჯებს შორის.

საშუალო მოგება

სრულყოფილი კონკურენციის გასაგებად ბოლო აუცილებელი მცნებაა საშუალო მოგება, რომელიც გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ფირმა—გააგრძელებს ბაზარზე საქმიანობას, თუ მიატოვებს მას.

- საშუალო მოგება განისაზღვრება როგორც ის აუცილებელი მოგება, რომელიც საჭიროა, რათა მოზიდული სახსრები იმყოფებოდნენ განუწყვეტლივ გამოყენებაში. ეს ტერმინი შესაძლებელია ხშირად იქნეს გაიგივებული მოგების საშუალო ოდენობასთან, რომელიც შესაძლოა მივაღწიოთ ეკონომიკის დანარჩენ სფეროებში.

საშუალო მოგება უზრუნველყოფს ფირმის იმ მდგომარეობაში შენარჩუნებას, რომელშიც მოცემულ სფეროში მისი საქმიანობა მოიტანს დამაკმაყოფილებელ შედეგებს. მისი მიღება დამოკიდებულია წარმოების ძირითად დანახარჯებზე; მაშასადამე, თუ ფირმა პროდუქციას აწარმოებს საშუალო დანახარჯებით, იგი მიაღწევს მხოლოდ საშუალო მოგებას.

თუ მოგება საშუალო დონეზე დაბლა ეცემა, ფირმები წყვეტენ ეკონომიკის მოცემულ დარგში საქმიანობას და ფულად თუ მატერიალურ სახსრებს გადაისვრიან სხვა პროდუქტების წარმოებაზე.


თუ მოგება უფრო მეტია საშუალოზე — მას ეწოდება დიდი მოგება,— ფირმები იწყებენ ეკონომიკის მოცემულ დარგში მოქმედებას.

საშუალო მოგება არეგულირებს მთელ ბაზარს მოცემული პროდუქციის მიხედვით: მისი წყალობით ბაზარზე შემოდიან ახალი ფირმები და მას სტოვებენ □ველები. იმ სიტუაციაში რომელიც მოცემულია მე-20 ნახ-ზე, ფირმის წარმოება აღწევს იმ დონეს, რომლის დროსაც MC = MR ასეთი სიტუაცია ზემოთ სცილდება წარმოების საშუალო დანახარჯებს, მაშასადამე ფირმები იღებენ ზემაღალ მოგებას, რომელიც ტოლია (P1 - P2) x (Q1 - 0). ამას შეესაბამება ნახაზზე მოცემული ჩაშავებული ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოების ასეთი დონის მიმღწევი ფირმა მოქმედებს გაწონასწორებულ მდგომარეობაში, მრეწველობის

მთელი დარგი არ არის განონასწორებული. ზემაღალი მოგება მყისვე შემჩნეული გახდება, ვინაიდან ინფორმაცია ამის შესახებ სწრაფად ვრცელდება. მალე მრეწველობის მოცემულ დარგში იწყებენ მოქმედებას ახალი ფირმები. ეს იწვევს მრეწველობის მთელი დარგის მიწოდების მრუდის მარჯვნივ გადახრას იმ მდგომარეობის მიღწევამდე, რომლის დროსაც მთელ დარგში ფასი არის ისეთივე, როგორც საშუალო დანახარჯების მრუდის ყველაზე დაბალ პუნქტში. მხოლოდ ამ პუნქტში აღწევს მრეწველობა განონასწორებულ მდგომარეობას.

გრ□ელვადიან პერიოდში სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფირმა მოქმედებს განონასწორებულ მდგომარეობაში მაშინ, როდესაც MR = AR = MC =AC (AR - ინგ. average revenue- საშუალო შემოსავალი). ეკონომისტები დაინტერებული არიან სრულყოფილი კონკურენციით, ვინაიდან ამ პირობებში ადგილი აქვს მაქსიმალურ სარგებლიანობას მთელი საზოგადოებისათვის. ყოველი მომხმარებელი იხდის ზუსტად იმდენს, რამდენიც საჭირო და აუცილებელია სამომხმარებლო პროდუქციის საწარმოებლად. ვინაიდან რეალურ ცხოვრებაში არ არსებობს სრულყოფილი კონკურენცია, ზოგიერთი ეკონომისტი უარყოფს ამ არგუმენტს, როგორც უაზროს. მაგრამ არსებობს დამარწმუნებელი არგუმენტებიც საბაზრო ეკონომიკის სასარგებლოდ, რომლებიც არ ემყარებიან სრულყოფილი კონკურენციის პრინციპებს.



P - ფასი ათას ზლოტებში

Qt - დროის მოცემულ პერიოდში ბაზარზე გასაყიდად გატანილი ან ნაყიდი ერთეული პროდუქცია


მარცხენა მხარეს მოცემული ნახაზი გამოსახავს ფირმის სიტუაციას; MC - ესაა ზღვრული დანახარჯების მრუდი, AC - საშუალო დანახარჯების მრუდი. P1 და P2 ორი სხვადასხვა დონე ფასების. გაშაებული ზოლი შეესაბამება ზემოგებას, რომელიც წარმოსდგება იმის შედეგად, რომ ფასების დონე კვეთს წარმოების ზღვრულ დანახარჯებს.

მარჯვენა მხარეს გამოსახული ნახაზი გვიჩვენებს მთელი დარგის სიტუაციას. მიწოდების S1 და S2 მრუდები და ასევე მოთხოვნა D1 მრუდი გვა□ლევენ ფასებს P1 და P2 და აღგენენ მოთხოვნის მრუდს ფირმისათვის.

ნახ. 20. ზემოგება და ახალი ფირმების წარმოქმნა

მონოპოლია

მონოპოლია არის სრულყოფილი კონკურენციის საწინააღმდეგო მოვლენა. მას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ვთქვათ, მრეწველობის მოცემულ დარგში არსებობს მხოლოდ ერთი ფირმა. ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს არავითარი განსხვავება ცალკეულ მწარმოებელსა და დარგს, როგორც ასეთს, შორის. მონოპოლიებთან დაკავშირებული პრობლემები კარგად არის ცნობილი ყველა პოსტკომუნისტური ეკონომიკური სისტემებისათვის. მონოპოლიის წონასწორობის მდგომარეობა წარმოდგენილია 21-ე ნახ-ზე.



P - ფასი ათას ხლტებში

Q1 - დროის მოცემულ პერიოდში ბაზარზე სარეალიზაციოდ გამოტანილი ან გაყიდული ერთეული პროდუქციის რაოდენობა.

მიწოდების მრუდი არის მონოპოლისტის ზღვრული დანახარჯების მრუდი. ნახ. S1= MC -ს მოთხოვნის მრუდი არის საშუალო შემოსავლების მრუდი D1 = AR -ს. წარმოების წონასწორობა დგინდება Qe, ხოლო ფასი წონასწორობისა Pe. ეს შეესაბამება სიტუაციას, რომელშიც MR = MC - ს.

ნახ. 21. მონოპოლისტის პოზიცია ბაზარზე

მონოპოლისტი მოქმედებს გაცილებით ნაკლები ნეხის პირობებში, ვიდრე ნორმალური საწარმო.

მონოპოლისტებს შეუ□ლიათ თავად დაადგინონ ფასები ანდა წარმოების მოცულობები, თუმცა არა ერთიცა და მეორეც ერთდროულად. მონოპოლისტებს არა აქვთ ზეგავლენის რაიმე მეთოდები თავიანთი პროდუქციის მოთხოვნის მრუდზე.

მონოპოლისტები, როგორც წესი, აღწევენ ზემოგებას: ეს ნიშნავს, რომ მათ მიერ დაწესებული ფასი არის გამუდმებით დიდი, ვიდრე წარმოების საშუალო დანახარჯები.


არსებობს მონოპოლიების წარმოქმნის რამდენიმე მიზეზი:

1. მონოპოლიებს შესაძლებელია ჰქონდეთ სამართლებრივი

ხასიათი. პოლონეთის მთავრობამ დაადგინა, რომ მხოლოდ LOT* შეუძლია გაუწიოს მომსახურება მგზავრებს პოლონეთის საჰაერო სივრცეში. მაშასადამე, LOT იყო სამართლებრივი მონოპოლია.

2. საავტორო და საპატენტო მონოპოლია არის მეორე სახის სამართლებრივი მონოპოლია. ვარ ამ წიგნის საავტორო უფლებების მესაკუთრე და სხვას არავის არა აქვს უფლება მისი გამოქვეყნება ჩემთან შეუთანხმებლათ. მაშასადამე, მე ვარ მისი ერთადერთი მიმწოდებელი. ფარმაცევტულ ფირმებს აქვთ პატენტი მათ მიერ გამოგონებულ წამლებზე, რომელთა წარმოების უფლებაც არა აქვს არავის უნებართვოდ. არსებობს დასაბუთებული მიზეზები ამ სახის მონოპოლიის დაწესებისა. მხოლოდ ძალიან შეზღუდული რაოდენობის ადამიანები მიიღებდნენ გადაწყვეტილებას ამ სახის წიგნის დაწერისა, რომ აღარაფერი ვთქვათ წამლების გამოგონებაზე, რომ არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ექნებათ ამ პროდუქციაზე მესაკუთრის უფლება.

■ 1991 წლისს იელისში, მრავალი წლის სახამართლო განხილვის შემდეგ, ფოტოგრაფიული ფირმა „კოდაკი" დათანხმდა გადაეხადა თავისი კონკურენტის, ფირმა „პოლაროიდისათვის" ** 925 მილიონი დოლარი, როგორც რეკომპენსაცია მისი პატენტების გამოყენებისათვის.



გამომგონებლობა ძალზე სარფიანი საქმეა

სუბსტიტუტების (შემცვლელების) ხელმისაწვდომობა მონოპოლიების ძლიერებისათვის მთავარი შემზღუდველია. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე წიგნი იქნება ბაზარზე

* პოლონეთის საჰაერო მომსახურება

** „კოდაკი" და „პოლაროიდი" ამერიკული ფოტოგრაფიული ფირმებია.

ერთადერთი ამგვარი პოზიცია, ვერავინ ვერ დაუშლის სხვას დაწეროს კონკურენციული წიგნი, თუმცა იგი არ იქნება აუტენტიური „ლუკასის“ წიგნი.

3. მონოპოლიები შეიძლება წარმოიქმნას ბუნებრივი რესურსების კონტროლის აუცილებლობით. თუ რომელიმე ქვეყანა აკონტროლებს ყველა მაღაროს, სადაც გარკვეულ ნედლეულს მოიპოვებენ, იგი გახდება მონოპოლისტი. მრავალი წლის მანძილზე ჩილე იყო მონოპოლისტი, როგორც სალტრის, ასევე აზოტმჟავა მასალების მოპოვებაში, რომლებიც აუცილებელია მინერალური სასუქებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების საწარმოებლად.
4. მონოპოლიები შეიძლება შეიქმნას გარკვეულ ბაზარზე მოქმედ მწარმოებელთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ეს არის ეგრეთ წოდებული კარტელი. ჩვენს დროში ყველაზე ცნობილი კარტელია OPEC (ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაცია). ამ ორგანიზაციამ შეძლო მნიშვნელოვნად გაეზარდა ნავთობის ფასები 1973 და 1979 წლებში, როდესაც მისმა წევრმა ქვეყნებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება შეემცირებინათ ნავთობის მოპოვება. „ოპეკის“ მიერ დიდი ფასების შენარჩუნება შემდგომში დაირღვა, ვინაიდან ორგანიზაციამ ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა თაღლითობა ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მიერ, რომელთაც დაწესებული ლიმიტის გადამეტებით მაინც ამოიღეს ნავთობი. გარდა ამისა, როდესაც 70-იან და 80-იანი წლებში ფასები ამ პროდუქციაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, უკვე გამართლებული გახდა ნორვეგიისა და ინგლისის სანაპიროებზე და ასევე ზოგიერთ სხვა ადგილებში, ნავთობის მოპოვება. კარტელ OPEC-ის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების გარეთ ნავთობის მოპოვებამ ისე იმატა, რომ მას მოუყვა ამ პროდუქციაზე ფასების მკვეთრი შემცირება. OPEC კვლავაც განაგრძობს არსებობას, თუმცა ნავთობზე მსოფლიო ფასები ამჟამად გაცილებით დაბალია*.
5. ბუნებრივი მონოპოლიები არსებობს იმის წყალობით, რომ

* მკითხველებმა ალბათ შენიშნეს, რომ ამჟამად პოლონეთში ძალიან გაძვირდა ნავთობი. ეს იმითაა გამოწვეული, რომ წინა წლებში ნავთობი ძალზე მცირე ფასად შემოდიოდა საბჭოთა კავშირიდან. ახალი, დიდი ფასები, რომლებიც პოლონეთში მოქმედებენ, არის მსოფლიო ფასები. ენერგია, რომლის იმპორტირებაც ხდება ამჟამად პოლონეთში, ძვირია, ამიტომ მომხმარებელი, რომელიც მანში ასეთ ფასს იხდის, იძულებულია იყოს მომჭირნეთ მხარჯველი.

ეკონომიკის ამა თუ იმ დარგში კონკურენცია პრაქტიკულად შეუძლებელია. ბოლო ხანებამდე მომსახურების უმეტესობა, რომელიც დაკავშირებულია ინფრასტრუქტურასთან, მაგალითად, გზებთან, რკინიგზებთან, ტელეკომუნიკაციასთან, წყალგაყვანილობასთან და ა.შ. მიჩნეული იყო ბუნებრივ მონოპოლიად, რადგან მიაჩნდათ, რომ ცალკეული ქსელების ამოქმედება არ იყო ხელსაყრელი დიდი დანახარჯების გამო. იყო აგრეთვე სტრატეგიული მიზეზებიც, რომლის გამოც ხელისუფლება ცდილობდა შეენარჩუნებინა კონტროლი საზოგადოების ცხოვრებისათვის ისეთ საჭირო სფეროებზე, როგორიცაა ვთქვათ, ენერგეტიკა და კომუნიკაციები. ამჟამად ბევრი ქვეყანა ატარებს ექსპერიმენტებს ინფრასტრუქტურის განკერძოების მიმართულებით.

არგუმენტები მონოპოლიის სასარგებლოდ

1. კონკურენციასთან დაკავშირებული დანახარჯები აჭარბებენ მოგებას. დაუშვათ, რომ ხუთი ფირმა, რომლებიც დასპეციალებულნი არიან გზების მშენებლობაზე, განიზრახავს გაიყვანონ გზა ბერლინიდან ვარშავამდე და ყოველი მათგანი შეუდგება ამ პროექტის რეალიზაციას. ამ შემთხვევაში გაიხარჯებოდა ხუთჯერ მეტი მიწა, რაც ცხადია, არის მფლანგველობა. ძნელია მიეღოთ ასეთი არგუმენტი უკამათოთ. ძნელია დაეთანხმო აზრს, რომ ბანკებისა და მაღაზიების კონკურენტიულ ქსელის არსებობა იყოს სამშენებლო ტერიტორიის მფლანგველობა.
2. წარმოების მაშტაბები. თუ წარმოების მასშტაბები ნიშნავს, რომ მხოლოდ დიდი მასშტაბების წარმოების დროს არის შესაძლებელი მივაღწიოთ ერთეული პროდუქციის მცირე დანახარჯებს, ხოლო ბაზარი არ არის საკმარისად დიდი, რათა უზრუნველყოს ბევრი ფირმისათვის წარმოების დიდი მასშტაბების მიღწევა – ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა გველაპარაკა მონოპოლიის სასარგებლოდ. ხშირად ასეთ მაგალითებად ასახელებენ სამგზავრო თვითმფრინავების წარმოებას.

   თუკი ასეთი არგუმენტები სწორია, ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ საქმე ეხება ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეულ მონოპოლიას. თუ მთავრობის მიერ მიღებული ანტიმონოპოლიური გადაწყვეტილება ქრძალავს ამგვარი მონოპოლიის შექმნას, ეს შეიძლება იყოს არგუმენტი მთავრობის ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ.

3. მრეწველობის სტრატეგიულ დარგებში. ზოგიერთი ქვეყნა იცავს მონოპოლიებს მრეწველობის გარკვეულ დარგებში, არა იმდენად მათგან მოსალოდნელი სარგებლობის გამო, რამდენადაც ქვეყნის უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. ამის კლასიკური მაგალითია სამხედრო მრეწველობის დარგები, რაც გარკვეულწილად უკავშირდება მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებლიანობას.

- ჯარშავის ხელშეკრულებას ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა განსაკუთრებით ფართო ეკონომიკური მასშტაბებით სამხედრო პროდუქციის წარმოების სფეროში, ვინაიდან თვითეული საბჭოთა კავშირის მიერ კონტროლირებადი ქვეყანა უნდა დასპეციალებულიყო გარკვეულ სამხედრო ტექნოლოგიაზე, რის საფუძველზეც იგი აღწევდა წარმოების ძალზე მაღალ ეფექტურობას.

- ამერიკის მხრიდან ნატოს კონტროლი არასოდეს არ იყო საკმარისად ძლიერი, რათა ამგვარი მდგომარეობისათვის მიეღწია, მაგალითად, როგორც ინგლისი, ისევე საფრანგეთი, იტალია, გერმანია თუ თავად შეერთებული შტატები აწარმოებენ თავიანთ საკუთარი მოდელის სამხედრო შეიარაღებებს, ამიტომ ყოველი მათგანი იყო ძალზე ძვირი და არ არსებობდა შესაძლებლობა საწარმოო ხაზების მაქსიმალური ეფექტურობით (შრომის დანაწილების) გამოყენებისათვის.

შუმპეტერის შეხედულებები კონკურენციაზე

ბრწყინვალე ავსტრიელ ეკონომისტს იოსებ შუმპეტერს მიაჩნდა, რომ წარმოქმნა და გაკრობა მონოპოლიისა არის ინტეგრალური შემადგენელი ნაწილი იმ პროცესებისა, რომლებიც მიმდინარეობენ კაპიტალისტურ მეურნეობაში. ყოველი მონოპოლისტი იღებს რა უდიდეს მოგებას, გარდუვალად იწვევს კონკურენციის წარმოშობას ფირმების მხრიდან, რომელთაც ხურთ გაანწილონ მისი წარმატებები. კაპიტალისტური ფირმები უდიდეს ხარჯებს გაიღებენ იმ სამუშაოებში, რომლებიც მათ შეაძლებინებდათ ისეთი პროდუქციის წარმოებას, რომლის შემწეობითაც ისინი მონოპოლიურ მდგომარეობას მიაღწევდნენ ბაზარზე, თუმცა აქედან გამომდინარე, სარგებელიც დროებითია. იმისი უკამათოდ მტკიცებაც კი შეუძლებელია, რომ უდიდესი შემოსავლები, რომლებსაც იღებენ ფარმაცევტული ფირმები, ნამდვილად მისცემთ მათ სტიმულს შეიმუშაონ ახალი წამლები,

რომლებიც მომავალში გაეღვნას მოახდენდნენ ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

დისკრიმინაციული ფასები

ფასებით დისკრიმინაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სხვადასხვა მომხმარებელი სრულიად განსხვავებულ ფასებში იძენს პროდუქციას. მას განსაკუთრებით ჰქონდა ადგილი კომუნისტური სისტემის პირობებში, როდესაც კომუნისტები ადგენდნენ გაცილებით დაბალ ფასებს თავისთვის, ვიდრე ეს ფასები დგინდებოდა იმ ხალხისათვის, რომლებიც მათთან არ თანამშრომლობდა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასებით დისკრიმინაცია, თუკი საერთოდ შესაძლებელია მისი წარმოშობა, დაკავშირებულია გადახდის შესაძლებლობებთან.

ამგვარად, განსაკუთრებით სოფლად, მოქმედებდნენ კერძო ექიმები, მანამდე, ვიდრე სახელმწიფო თავად გაიღებდა ფინანსურ სახსრებს ჯანმრთელობის დაცვის დასაფინანსებლად. მდიდარი ადამიანებისათვის შესაძლებელია გაცილებით მეტის მოთხოვნა, ვიდრე ღარიბებს შეიძლება მოსთხოვო. ამის წყალობით კი ექიმის შემოსავალი იყო გაცილებით მაღალი, ვიდრე სიტუაციაში, რომლის დროსაც ყველამ თანაბარი თანხა უნდა გადაიხადოს. ფასებით დისკრიმინაცია საშუალებას იძლეოდა ბაზარზე მომსახურების ქზრუნველყოფისას, რომელიც იყო მეტისმეტად მცირე, რათა გარანტია მიეცა მიმწოდებლებისათვის, ემოქმედათ კონკურენციის პირობებში. თუმცა არ არის იგი შედეგიანი, როდესაც არსებობს შესაძლებლობა საქონლის გადაყიდვისა.

- საბჭოთა კავშირში მატარებლის ბილეთები ღირდა გაცილებით ათჯი, ვიდრე პოლონეთში და შესაბამისად არსებობდა ამ ბილეთებით სპეკულაციის შესაძლებლობა. სპეკულიანტები სსრკ–ში ყიდულობდნენ მანეთებში დიდი რაოდენობით ბილეთებს საბჭოთა კავშირიდან დასავლეთ ევროპისაკენ და შემდეგ მას ყიდიდნენ ვარშავაში გაცილებით იაფ ფასებში, ვიდრე ისინი ღირდა პოლონეთში. თუმცა, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო ძვირად, ვიდრე შეძენილი ჰქონდათ ისინი.

არასრულყოფილი კონკურენცია და ოლიგოპოლია

ჰეშმარიტად კონკურენციული ბაზრები სინამდვილეში არ არსებობენ და ისევე როგორც ძალზე მცირეა ნამდვილი მონოპოლიების რიცხვიც. მაშასადამე, ფირმები მოქმედებენ გარკვეულ შუალედურ პირობებში მონოპოლიასა და სრულყოფილ კონკურენციას შორის. მონოპოლიხტური, ანუ არასრულყოფილი კონკურენცია

არსებობს მაშინ, როდესაც რამდენიმე ფირმა ფლობს ბაზარზე მონოპოლიებისათვის დამახასიათებელ გაელენას, სამაგიეროდ ოლიგოპოლიას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ბაზარი არის რამდენიმე დიდი ფირმის გაელენის ქვეშ.

ძალიან ბევრი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმისას არაეფექტურობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც საქმე გვაქვს არასრულყოფილი კონკურენციის სხვადასხვა ფორმებთან. ასეთი ბაზრის საწინააღმდეგო არგუმენტებია:

— მფლანგველური რეკლამა — ყოველი მწარმოებელი, რომელსაც ხშირად უხდება რეკლამის გაკეთება, ფიქრობს, რომ ხომ არ აჯობებდა ამ მიზნებისათვის გაწეული ხარჯები სხვა რამეში ყოფილიყო დახარჯული, მაგალითად, ფასების შემცირებაში.

— ფასებს იქითა კონკურენცია — ხშირად შეიძლება მოისმინო საყვედური, რომ საკმაოდ დიდი თანხები იხარჯება არასაჭირო ღონისძიებებში, მაგალითად ბრწყინვალე შესაფუთი მასალების შეძენაში.

— კონკურენციის პრინციპებთან არაშესაფერისი ქმედება — ეს საყვედური ეხება როგორც ფასების მოკლევადიან შემცირებას კონკურენტების დამარცხების მიზნით, ისე პოლიტიკოსების მოსყიდვას, რათა მთავრობის პოლიტიკა შეესაბამებოდეს დიდი ფირმების ინტერესებს.

საყვედურები არ არის მთლად უსაფუძვლო — განსაკუთრებით იმ ფირმების მიმართ, რომლებიც არ იქცევიან კონკურენციის პრინციპების შესაბამისად. თუმცა წარსულში ისინი იყვნენ მნიშვნელოვნად გადაჭარბებული დიდ ფირმებს შორის მხოლოდ ისინი, რომლებიც ძველებურად ზრუნავენ კლიენტთა მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებაზე, კლავ რჩებიან დიდ ფირმებად.

ვფიქრობ, რომ სწორეა ის საყვედურები, რომ ხარჯები სარეკლამო კამპანიებზე ისეთ დიდ ქიმიურ ფირმაში, როგორიცაა, ვთქვათ, „პროქტერი და გამბლ"* ნამდვილად მაღალია. თუმცა არც ის უნდა დაგვაეიწყდეს, რომ იგი უშვებს პროდუქციას, რომელსაც ადამიანები ელოდებიან. დიდ ფირმებს, რომელთაც უკვე აღარ შეუძლიათ ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ყოველთვის ემუქრებათ გაკოტრების, ანდა სხვა ფირმების მიერ მათი გადაყლაპის საშიშროება.

* კოსმეტიკური ფირმა ამერიკაში, ალბათ აქვე უნდა მოხსენდეს „კოკა-კოლა", რომლის რეკლამებმაც გადააწითლეს მთელი თბილისი და არა მხოლოდ იგი. აგრეთვე ამერიკული სიგარეტების კომპანიებიც. (მთარგ.).

შეჯამება:

სრულყოფილი კონკურენციის კანონი საშუალებას გვაძლევს წინასწარ განვჭვრიტოთ, თუ როგორ მოიქცევა ბაზარი იმ სიტუაციაში, თუ: ყველა ფირმა და მომხმარებელი თანახმანი არიან დადგენილი ფასებისა;

არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს მრეწველობის აღნიშნულ დარგში საქმიანობის დასაწყებად, ან წარმოების ლიკვიდაციისათვის;

ბაზრის ყველა მონაწილე საკმაოდ ინფორმირებულია;

მყიდველების და გამყიდველების რაოდენობა მეტისმეტად დიდია, რათა ცალკეულმა მყიდველმა თუ გამყიდველმა რაიმე გავლენა მოახდინოს საქონლის საბაზრო ფასზე.

ყველა ფირმას გასაყიდად გამოაქვს ერთიდაიგივე პროდუქტი;

მონოპოლია არსებობს მაშინ, როდესაც ბაზარზე მხოლოდ ერთი გამყიდველია, ხოლო სხვებს გარკვეული მიზეზების გამო არა აქვთ საშუალება გამოვიდნენ ბაზარზე.

ჩვენს სინამდვილეში თითქმის ყველა ფირმა და მომხმარებელი მოქმედებს არასრულყოფილ ან ოლიგოპოლიურ ბაზარზე. ამიტომ ყველ ფირმას თავისი პრეტენზიები აქვს ბაზრის მიმართ.

შეკითხვები განსჯისათვის:

5.1. ა) რა მთავარი საქმე აქვთ დაკისრებული მეწარმეებს საბაზრო ეკონომიკაში?

ბ) ვინ ასრულებს ამ სამუშაოს ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში?

5.2. რა მთავარი განსხვავებაა სრულყოფილ კონკურენციასა და მონოპოლიას შორის? რომელი მათგანის გამოყენებას უფრო ამჩნევთ თქვენს ირგვლივ?

5.3. რა ნიშნებით შეგვიძლია დავასკვნათ არის კონკურენცია ბაზარზე თუ არა?

5.4. რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოსდევს ძვირფას შეფუთვას?

6

მთავრობის როლი

მთავრობის წარუმატებლობა ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში თითქმის ლეგენდარული გახდა. ეს უპირველეს ყოვლისა ეხებოდა პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ სფეროებს. სახელმწიფო თავის არაკომპეტენტურობას ამჟღავნებდა ბევრ სფეროში, თუ არა ყველაში. ამასთან დაკავშირებით შეხედულება, რომ საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელისუფლების როლი ძალზე მნიშვნელოვანია, მოითხოვს საგულდაგულო ახსნა-განმარტებას.

მთავრობის ამოცანა

დემოკრატია? ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ დემოკრატია არის სახელმწიფოებრივი სიკეთე, რომლითაც ხელისუფლებამ შეიძლება დაასაჩუქროს ობივატელი. მაგრამ სიტყვის თავისუფლება და პოლიტიკური უფლებები — რომლებიც დემოკრატების მიერ მიჩნეულია დემოკრატიული სისტემის საფუძვლებად, — არ არსებობს ზოგიერთ იმ ქვეყანაში, რომლებიც ეკონომიკური განვითარების ძალიან მაღალი ტემპებით ხასიათდებიან. მაგრამ ეკონომიკური ზრდა არ არის თვითმიზანი. მხოლოდ დემოკრატიულ სისტემაშია შესაძლებელი, რომ საზოგადოებრივი სიმდიდრე წარიმართებოდეს იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომლებიც საზოგადოების უმრავლესობას ეხება.

საკუთრების უფლება. მკვეთრად გამოხატული საკუთრების უფლება საბაზრო ეკონომიკის კარგად ფუნქციონირების საფუძველი ხდება. თუმცა არც ერთ ქვეყანაში ეს უფლება არ არის მთლიანად ხელშეუხებელი. ვიღაც, მაგალითად, ფლობს მინდორს, მაგრამ ვიდრემდის მასზე მშენებლობას დაიწყებდეს, მან ნებართვა უნდა აიღოს. ასევე ანტიკური ხელოვნების ნიმუშის მფლობელსაც საკუთარი ნივთის საექსპორტოდ გატანაზე ლიცენზია სჭირდება.

საკუთრების უფლება გასხვისებას ექვემდებარება, რაც იმას ნიშნავს, რომ პიროვნებას თუ ორგანიზაციას შეუძლია გაყიდოს თავისი საკუთრება ვინმე სხვაზე.

უფლებრივად დამოუკიდებელი სტრუქტურა. საკუთრების უფლება იმდაგვარად უნდა იყოს დაცული, რომ ადამიანებს რწმენა შთაუნერგოს. 70—იანი წლების დასაწყისში მრავალი კომუნისტური მთავრობა ცდილობდა დაეყოლიებინათ საზღვარგარეთული საწარმოები მათთვის ფულის გადაგზავნაზე ერთობლივი საწარმოს (joint ventures) ტიპის საშუამავლო ფირმების დახმარებით. მთავარი პრობლემა იყო ფაქტი, რომ ყველამ იცოდა, რომ — კომუნისტური იდეოლოგიის თანახმად —კანონი არსებობდა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ემსახურა პარტიის ინტერესებისათვის. სამაგიეროდ, იგი არ გახდა დამოუკიდებელი სტრუქტურა, რომლის ჩარჩოებშიც შესაძლებელი იყო მთავრობისა და ხალხის ღონისძიებათა გატარება. ამიტომაც არ იყო არავითარი სტაბილიზაცია, ანდა იმის გარანტია, რომ კანონი, რომლის თანახმადაც უნდა განხორციელებულიყო ინვენსტიციები, დაიცავდა ინვენსტორების ინტერესებს.

ხელისუფლების ინტერვენცია

კანონის ძალით შეზღუდული ხელისუფლების ძალაუფლებას* არ შეუძლია ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი მეთოდებით ჩაერიოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში. თუმცა მას გააჩნია ამის გაკეთების ზოგიერთი შესაძლებლობები.

1. რეგულირება — დამყარებულია იმაზე, რომ ხელისუფლება იღებს კანონს, რომლის მიხედვითაც იკრძალება გარკვეული საქმიანობა.
2. საბაზრო სტიმულატორების გამოყენების პროგრამა — ამ ტიპის მოქმედებებში ჩაითვლება გადასახადები, სუბსიდიები და ფულადი ჯარიმები. ხელისუფლება აშკარა პრინციპების საფუძველზე უხდის ადამიანებს იმ საქმიანობის შესრულებისათვის, რომლის ინიციატორიც თავადაა, და ამავე დროს აწესებს გარკვეულ გადასახადებსა თუ ფულად ჯარიმებს იმ საქმიანობაზე, რომლის შესრულების წინააღმდეგაც იგი გამოდის.
3. უშუალო მონაწილეობის მიღებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მთავრობა გამოდის იმ ფირმების სახით, რომლებიც ასაქმებენ ადამიანებს პროდუქციის წარმოებაზე ან მომსახურების გაწევაზე ისეთი მეთოდებით, რომელი მეთოდებით მუშაობაც შეუძლებელი იქნებოდა იმ ფირმებისათვის, რომლებიც ფუნქციონირებენ საბაზრო პრინციპების საფუძველზე.

* ხელშეკრულება, რომელიც არ არის შეზღუდული კანონით, შეიძლება რაღაცით დაემუქროს ხალხს, რათა ზეგავლენა მოახდინოს მის ქცევაზე.

ხელისუფლების ინტერვენცია ძირითადად გამოწვეულია ბაზრის წარუმატებლობის შედეგად.

ბაზრის წარუმატებლობა

ბაზრის წარუმატებლობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საბაზრო მექანიზმის მოქმედებას მიყვეყართ მიწოდების არაშესაბამის მასშტაბებამდე და ან საქონლისა თუ მომსახურების ცუდ ხარისხამდე და ასევე გაუმართლებელ ფასებამდე. ამ პრობლემების გაშუქებამდე ჯერ საჭიროა იმ მორალური შეხედულებების გაცნობა, თუ სინამდვილეში როგორ უნდა გამოიყურებოდეს მეურნეობა.

ცნება ბაზრის წარუმატებლობის შესახებ ეყრდნობა იმ დებულებას, რომ შესაძლებელია არსებობდეს ღირებულებები. რომლების რეალიზაციაც არ ხდება ბაზრის მეშვეობით.

ეკონომიკური თეზისები ეყრდნობიან ეკონომისტების მიერ აღიარებულ ღირებულებებს, თუ ეს თეზისები შეიცავენ იმგვარ სიტყვებს, როგორებიცაა „როგორც წესი“ ან „საჭიროა“.*

ბაზრის წარმატება და წარუმატებლობა

ბაზრის ეფექტიურობა ემყარება იმას, რომ მთელს მსოფლიოში ადამიანებისათვის უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის საქონელსა და მომსახურებას იმ ფასებში, რომლებიც მათთვის ხელმისაწვდომია. საბაზრო ეკონომიკის ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყნებში სასურსათო მაღაზიების საქმიანობა და სურსათით ვაჭრობა დამოკიდებულია ბაზარზე, თუკი ისინი აკმაყოფილებენ პიგიენის მოთხოვნილებებს. არ არსებობს იმის საშიშროება, რომ ბაზრისადმი უნდობლობა გამოიწვევს სურსათის მოწოდებაში ჩავარდნებს. ეს საკითხი თითქმის არავის არ აინტერესებს.

მესამე სამყაროს სოციალისტურ ქვეყნებში, ისეთებში, მაგალითად, როგორიც ტანზანიაა, ანდა ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი, სურსათის მიწოდება ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა. ეს მაგალითი გამოდგება იმის საწინააღმდეგო არგუმენტებად, რომ მნიშვნელოვანი საქმეები არ შეიძლება მხოლოდ ბაზრის ინაბარა დავტოვოთ.

---

* შეხედულება, რომ საბაზრო ეკონომიკა თავისუფალია ღირებულებითი მსჯავრისაგან, ჭალბია; ეკონომიკური სკოლა, რომელსაც კეთილდღეობის ეკონომიკა ეწოდება, გამოიყენებს საბაზრო ღირებულებებს, როგორც საზოგადოებრივი პოლიტიკის მაჩვენებელს. თუმცა ღირებულება, რომელსაც მიაწერს ნიეთებს ბაზარი, კელაე ღირებულებად რჩება—ისინი არ არსებობენ ადამიანისაგან დამოუკიდებლად.

ბაზრის მოქმედება შედეგიანია მრავალ, თუმცა არა ყველა სიტუაციაში. თითქმის ყველა ადამიანი თანახმაა იმისა, რომ ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა ეს ისეთი პრობლემებია, რომლებიც გადასაჭრელად არ უნდა დაუტოვოთ მხოლოდ ბაზარს. თუკი განათლების პრობლემებს დაუტოვებთ ბაზარს, ბევრი ბავშვი ვერ მიიღებდა განათლებას, ისევე როგორც შუასაუკუნეებში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს საბაზრო ეკონომიკაში ჩარევის სასარგებლოდ შესაძლებელია დასახელდეს შემდეგი არგუმენტები:

1. მორალური შეხედულებები უფლებას არ გვაძლევენ შევეგუოთ იმ სიტუაციას, რომლის დროსაც ღარიბთა შვილებს საშუალება არა აქვთ განათლება მიიღონ.
2. ეკონომიკის თვალთახედვით განათლების უქონლობა არის ეკონომიკური პოტენციალის მოშლანგველობა.
3. ამ საკითხზე ყურადღებას ამახვილებენ პოლიტიკოსები, რადგან იციან, რომ კარგი სკოლები პოპულარული თემაა წინასაარჩევნო კამპანიებში გამოსვლებისათვის.
4. ადამიანებმა უნდა იყიდონ გაცილებით მეტი გარკვეული სახის საქონელი, ვიდრე ამას ისინი სინამდვილეში აკეთებენ. შეხედულება, რომ ხელისუფლებამ მათზე უკეთ იცის, თუ რა შედის ხალხის ინტერესებში, უარყოფილია ლიბერალების მიერ, რომლებიც ამ მოვლენას პატერნალიზმის სახელით ნათლავენ. თუმცა მთელს მსოფლიოში მას სიამოვნებით უჭერენ მხარს მთავრობები.
5. ის, რომ დანახარჯები და მოგება რომელიმე ღონისძიებისა ხდება იმ ადამიანების მონაპოვარი, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობდნენ გარიგებაში, ითვლება ბაზრის წარუმატებლობად.

   კლასიკური მაგალითია ფაბრიკა, რომელიც გარემოს აჭუჭყიანებს. გაჭუჭყიანება არის დანახარჯი, რომელსაც გაიღებს ყველა ის ადამიანი, რომლებიც ცხოვრობენ მოცემულ დასახლებაში. თუმცა ამ დანახარჯებით არ მძიმდება ის ფირმა, რომელიც არის ამ ფაბრიკის მეპატრონე.
6. ზოგიერთი პირობები, რომლებიც აუცილებელია სრულყოფილი კონკურენციისათვის, არასოდეს არ არის შესრულებული.

   თუ ადამიანები სარგებლობენ მომსახურებით, რომელიც მოითხოვს ყოველმხრივ ინფორმაციას, მათთვის ძნელია იყვნენ კარგად ორიენტირებული მომხმარებელნი. ექიმი ყიდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რითია გამოწვეული კლიენტის ავადმყოფობა, მოსამართლე— ინფორმაციას კანონმდებლობის

შესახებ. იმის გამო, რომ მომხმარებელს არა აქვს საშუალება შეაფასოს, რამდენად სწორია მიღებული ინფორმაცია, ხელისუფლება ადგენს პრინციპებს, რომ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებმაც ჩაბარეს გამოცდები და გაიარეს გარკვეული პრაქტიკა, შესაძლებელია იყვნენ ექიმები ან მოსამართლეები. წინააღმდეგობები, რომლებიც ხვდება რომელიმე პროფესიის მოპოვებას, იძლევა ბაზრის წარმატებების გარანტიას.

7. ზოგჯერ ადამიანების იმ მოქმედების შედეგად, რომელიც მიმართულია მათი საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, წარმოიქმნება იმაზე უარესი სიტუაცია, ვიდრე კანონს რომ გაეკონტროლებინა მათი ქცევები.


მოკლე ვადის განმავლობაში მეთევზეები იჭერენ ბევრ თევზს მჭიდრო ბადის გამოყენებით. თევზაობის ასეთი მეთოდს კი საბოლოოდ იქით მივყვევართ, რომ მალე განყდება როგორც დიდი, ასევე წვრილი თევზები; შედეგად კი სულ მალე გამოილევა თევზის მთელი რესურსები.

თუკი ყველა მეთევზე გამოიყენებდა ფართო ჭუჭრუტნებიან ბადეს, მთელი რაოდენობა დაჭერილი თევზისა იქნებოდა გაცილებით მეტი. მთელი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო მეტი ადამიანი იყენებს თხელ ბადეებს, მით უფრო სასარგებლოა თევზაობა სქელი ბადეების გამოყენებით. ამ მიზეზით მთავრობამ დაანესა ბადეების ჭუჭრუტანების ზომები.

8. არსებობს საქონელი და მომსახურება, რომელთა შემთხვევაში ადამიანებმა შეიძლება გვერდი აუარონ გადახდას. ეს მაშინ ხდება, როდესაც არ არის შესაძლებელი მათთვის ამ საქონლისა თუ მომსახურებაზე უარის თქმისა, ხოლო მათი საფასურის მოკრეფის დანახარჯები ძალზე მაღალია.

ბევრი ადამიანი სარგებლობს ქუჩის განათებით, მაგრამ ამაზე გადასახადის აკრეფის ორგანიზაცია იქნებოდა ძალზე ძვირი, გამოიწვევდა დროის დიდ დანახარჯებს და ძალზე რთული აღმოჩნდებოდა. ამრიგად, ადამიანებს საფასურის გადახდის გარეშე ეძლევათ საშუალება ისარგებლონ ზოგიერთი უფასო მომსახურებით, რადგან არ არის დაწესებული რაიმე მეთოდი ამ დანახარჯების მოკრეფისა.

9. წარმოიშვება ბუნებრივი მონოპოლია. წინა თავში ლაპარაკი გვქონდა სიტუაციაზე, რომელშიც შეუძლებელია კონკურენცია. გზების მაგალითზე პრობლემა მდგომარეობდა მათი მშენებლობის უდიდეს თანამდე დანახარჯებში; თვითმფრინავების მაგალითი კი იმას გვიჩვენებდა, რომ მინიმალური რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფდა მათ რენტაბელობას, ისეთი დიდია, რომ კონკურენცია შეუძლებელი ხდება.



რა უნდა აქნას მთავრობამ ახეთ შემთხვევაში?

პატერნალიზმი

არგუმენტის —„ხელისუფლებამ უკეთ იცის“, — გამოყენებისას უნდა დავიცვათ გარკვეული სიფრთხილე, რადგან ხშირად ხდება ხოლმე, რომ ხელისუფლება უშვებს შეცდომას. ასეთი შეხედულებას ეწოდება პატერნალიზმი — რადგან პგავს იმ სიტუაციას, როდესაც მამა იღებს გადაწყვეტილებას შვილის ბედზე. თუ ხელისუფლება გაიგებს, რომ ადამიანები იყიდიან ძალიან ბევრ ან ძალიან ცოტა გარკვეული სახის საქონელს, შეიძლება:

— მოახდინოს რეგულირება (მიიღოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც ყოველი მძღოლი უნდა იყოს დაზღვეული, რათა უბედურების შემთხვევაში არსებობდეს შესაძლებლობა მიღებული სხეულის დაზიანების განსაკურნავად ანდა სხვებისათვის მიყენებული ზარალის საზღაურად).

— დაბეგროს ანდა მოახდინოს სუბსიდირება გარკვეული სახის სამეურნეო მოქმედებებისა, რომელსაც იგი მიიჩნევს ცუდად თუ კარგად;


— გამოიყენოს ზემოთ ნახსენები ორივე სტრატეგია ერთდაიმავე დროს — მაგალითად, სკოლაში სიარული ხშირად არის უფასო, მაგრამ მიუხედავად ამისა, არსებობს წესები, რომლის მიხედვითაც გარკვეული ასაკის ბაუშვებისათვის სკოლაში სწავლა სავალდებულოა.

თუ ხელისუფლება დაადგენს, რომ რომელიმე სახის დოლართის მოხმარება საბაზრო წონასწორების დონეზე არის არასაკმარისი, ამ დოლართს ეუწოდოთ ძირითადი დოლართი. დოლართს, რომელიც საბაზრო წონასწორობის სიტუაციაში შესაძლებელია მოხმარებულ იქნეს ზომას ზევით, ეუწოდებთ ვნების მომტან დოლართს.

ძირითადი დოვლათი შესაძლებელია იყოს მაგალითად:* კულტურული ღონისძიებები, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, განათლება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, დანახარჯები დასუფთავებაზე, საგზაო ნიშნები და ქუჩის განათება.

დროდადრო მთავრობა ორგანიზაციას უკეთებს მომსახურებას უშუალო მეთოდებით, მსგავსად იმისა, როგორც, მაგალითად, ქუჩების დასუფთავება პოლონეთში. თუმცა ბევრ ქვეყნებში კერძო ფირმები, რომლებიც მოქმედებენ კონტრაქტების საფუძველზე, ასრულებენ ამ სამუშაოს გაცილებით იაფად, ვიდრე მთავრობის დაწესებულებები.** სხვა შემთხვევებში მთავრობა გამოუყოფს ფულად სახსრებს თეატრებსა და მუზეუმებს და ნებას აძლევს მათ, იგი გამოიყენონ საკუთარი შეხედულებისამებრ.

ვნების მომტან დოვლათს მიეკუთვნება მაგალითად: პორნოგრაფია, პროსტიტუცია, აზარტული თამაშები, ალკოჰოლი,*** ნარკოტიკები, იარაღი. ზოგიერთი საქონელი თუ მომსახურება ამ ჩამონათვალიდან ბევრ ქვეყნებში არის აკრძალული ან ძალზე მკაცრად კონტროლდება.



ვურადღება! მკვიდრული კლასები ცხადყოფენ, რომ პატრიოტის წვეა მაუნებელია იქცეს ჯანმრთელობისათვის.

ნუთუ მთავრობამ უკეთ იცის?

---

* ლიბერალური მიმართულების ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ მთავრობას არა აქვს უფლება მიიღოს ასეთი გადაწყვეტილებები ხალხის სახელით და რომ პიროვნებებს თავად შეუძლიათ უკეთ, ვიდრე ბიუროკრატებმა, გადაწყვიტონ, თუ რა არის მათთვის უკეთესი. ეს ჩამონათვალი შეიცავს მრავალი დახასიათების საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც საყოველთაოდ მიჩნეულია ძირითად დოვლათად.

** ეს იმიტომ ხდება, რომ კერძო ფირმები, ისეთებიც კი, რომლებიც იღებენ მოგებას, მთელ ძალისხმევას მიმართავენ დანახარჯების შემცირებისაკენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ ადგილობრივ თვითმართველობასთან კონტრაქტი გაფორმონ.

*** ოცდაათ წლებში ამშ–ში ალკოჰოლი საერთოდ აკრძალული იყო. ეს მაგალითი გამოდგება იმის დასასაბუთებლად, რომ მცნება ძირითადი და მაუნე დოვლათის ცვლება დროის შეცვლასთან ერთად.

პრობლემები, დაკავშირებული ქირითად და მაენე დოვლათთან

იმ დებულებაზე დაყრდნობით, რომ ზოგიერთი საგნები არის კარგი, ძალზე ადვილია არგუმენტების გამონახვა ხელისუფლების მიერ ყოველგვარი სახის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის მხარდასაჭერად . ამავე დროს, როდესაც საქმე ეხება ნამდვილად სასარგებლო ნივთებს, ხშირად უკეთესი იქნება ფული დავუტოვოთ თავად გადასახადების გადამხდელებს, კერძოდ დავაწესოთ გადასახადების დაბალი პროცენტები. ბევრი ადამიანი აქცევს ამას ყურადღებას და მოითხოვს საკითხის ამგვარად გადაწყვეტას.

გადასახადს იხდის ყველა, ხოლო მთავრობის მიერ გაღებული ფული კი ჩვეულებისამებრ ხედება გარკვეული საზოგადოების წრეს. ამრიგად, პიროვნებები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან იმ პროგრამებზე, რომლიდანაც შეიძლება მიიღონ სარგებლობა, იქცევიან სრულიად რაციონალურად, როდესაც სარგებლობას ნახულობენ ასეთი პროექტების რეალიზაციით. ყოველი, ვინც იხდის გადასახადებს სხვებისათვის სასარგებლო პროექტებზე, თავად კარგავს. თუმცა არ არსებობს სტიმულები, რომლებიც აიძულებდა საზოგადოების ცალკეულ წრეებს ლაგამი ამოედოთ თავიანთი პრეტენზიებისათვის გადასახადების გადამხდელთა ფულის მიმართ.

უდიდესი რაოდენობის თანხები რჩება სახელმწიფო მოხელეების ჯიბეებში, იქნება ეს უშუალო კორუპციის შედეგად, თუ რაც ხდება ხოლმე თუნდაც ყველაზე კარგად მოწყობილ ქვეყნებში, გადასახადების აკრეფით ხელისუფლების ორგანოების შესანახად,— გათბობის, პენსიების და ბინის ქირის სახით. ეს დანახარჯები იფარება იმ ფულით, რომლებიც მომდინარეობენ გადასახადებიდან, ვიდრემდე ვინმე მიმართავდეს მათ იმ მიზნებისაკენ, რომლების შესრულებისათვისაც ისინი აიკრიფა.

დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკოსებმა შეიძლება მოიპოვონ მხარდაჭერა საზოგადოებრივი ხარჯების შეზღუდვისა და გადასახადების შემცირების პოლიტიკის გატარებით. ამგვარი პოლიტიკის გატარებას ცდილობდნენ აშშ—ში რეიგანი და მარგარეტ ტეტჩერი დიდ ბრიტანეთში*.

რა უნდა მივაკუთვნოთ ძირითად დოვლათს? ამ საკითხზე შეხედულებათა განსხვავება არსებობს. თუნდაც გავიხსენოთ კომუნისტების მიერ სუბსიდირებული პროექტები. თუ ხელისუფლება

---

* თუმცა რეიგანმა შეამცირა გადასახადები, მაგრამ ხელისუფლების ხარჯების შემცირება მისთვის ძალზე ძნელი გამოდგა აშშ შეიარაღებული ძალებისათვის საჭირო ინვენტიციების გაღების აუცილებლობის გამო.

დემოკრატიული გზით არის არჩეული, ადამიანებს იმის შანსი მაინც აქვთ, რომ ხარჯები განსწიონ ძირითადი დოვლათის საწარმოებლად. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი ბევრი ფული იხარჯება ისეთ საგნებზე, რომლებიც მთავრობის აზრით ხალხისათვის ძალზე საჭიროა, თუმცა სინამდვილეში მის გარდა ეს არავის არ აინტერესებს.

თანამდევი ეფექტი

თუკი რაიმე ეკონომიკურ მოქმედებას აქვს პოზიტიური და ან ნეგატიური შედეგები ადამიანებისათვის, რომლებიც მასში უშუალოდ არ მონაწილეობენ, მის შედეგებს ვუწოდებთ თანამდევ ეფექტს. თანამდევი ეფექტი ხშირად ხდება ბაზრის წარუმატებლობის მიზეზი და იქცევა სახელმწიფოს ეკონომიკის სფეროში ინტერვენციის გამამართლებელ არგუმენტად. აქ შეიძლება მოვიტანოთ ზოგიერთი მაგალითები:

- საზოგადოების მაღალი განათლების დონე არის თანაბრად სასარგებლო როგორც ფირმისათვის, ისე თავად ცალკეული ადამიანებისათვის. ძალიან ხშირად ფირმები, რომლებიც დაკავშირებული არიან მოწინავე ტექნოლოგიებთან, განთავსდებიან ხოლმე უნივერსიტეტების მიმდებარე ტერიტორიებზე. ეს იმაზე მეტყველებს, რომ უნივერსიტეტებს მოაქვთ დადებითი თანამდევი ეფექტი.

- თუ ქალაქში გაიყვანენ მეტროს ხაზს, საგურების სიახლოვეს მაღლა იწევს საცხოვრებელი ბინების ფასები, ვინაიდან კარგ კომუნიკაციებს აქვს დადებითი თანამდევი ეფექტი.

- თუ მოქალაქეები უფრო დიდი სიამოვნებით დადიან ავტომობილით, ვიდრე ავტობუსით, ეს იწვევს გზებით დამატებით გადატვირთვას; ამას უმალ იგრძნობენ სხვა ადამიანებიც, რომლებიც სარგებლობენ ამავე გზებით. ავტომობილებით სარგებლობა იწვევს უარყოფით თანამდევ ეფექტს, ვინაიდან მას მოსდევს ქუჩებში მოძრაობის შეფერხება და გარემოს გაბინძურება.

- ნარკომანები ხშირად მოიპოვებენ ფულს ნარკოტიკებისათვის დანაშაულის ჩადენის გზით. ასეთ დანაშაულებებს კი ხშირად მოსდევს უდიდესი უარყოფითი დანახარჯები: ხალხს განგაშის გრძნობა ეპყრობა.

- თუ ქალაქის პარკებში გაზონები და მწვანე მოლი მოვლილია და ლამაზად გამოიყურება, ქუჩები დასუფთავებულია, ყოველი ამ ქალაქში მცხოვრები ადამიანი სარგებლობას ნახულობს თანამდევი ეფექტით.

- კრაკოვის მეტალურგიული ქარხანა მიმდებარე დასახლებებისათვის წარმოადგენს უაღრესად საშიში თანამდევი ეფექტის კერას, ვინაიდან მისგან წარმოშობილი ბოლი აზიანებს როგორც ადამიანების ჯანმრთელობას, ისე შენობა–ნაგებობებს.

არსებობს მრავალი მეთოდი თანამდევი ეფექტის დასახასიათებლად. თუმცა თვითეული მათგანი გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს.

თანამდევი ეფექტი ხელისუფლების თვალსაზრისით

პოზიტიურ თუ ნეგატიურ თანამდევ ეფექტს შეიძლება მიეწეროს ღირებულება, რომელიც გამოისახება ფულად ფორმაში. შეიძლება მაგალითად შევაფასოთ უძრავი ქონების ღირებულების ცვლილება, რომელიც გამოწვეულია მავნე ნივთიერებების გამომფქვევი ფაბრიკის სიახლოვით, ანდა დადებითი ცვლილება, რომელსაც გამოიწვევს მის სიახლოვეს მეტროს სადგურის მშენებლობა. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დამატებით ყვავილების ბუჩქების გაშენების დამატებითი ღირებულებით მაჩვენებელში გამოსახული თანამდევი ეფექტი ანდა უარყოფითი ეფექტი, რომელიც გამოწვეულია პორიზონტზე უსახური შენობის გამოჩენით, არის ძალზე ძნელი საქმე, თუმცა ეკონომისტები გამოიმუშავებენ ბევრ ფულს, როდესაც მთავრობის დავალებით ასეთ შეფასებებს აკეთებენ*.

თეორიულად შესაძლებელი იქნებოდა მიგვეღო საკითხის იმგვარი გადაჭრა, რომელიც დაეფუძნებოდა იმას, რომ ადამიანი, რომელიც განიძრახავდა რაიმე საქმიანობის წარმოებას, გადაუხდიდა კომპენსაციას იმ ხალხს, რომლებსაც ვნება მიადგებოდათ მისი საქმიანობიდან. ასეთ შემთხვევაში ირგვლივ მცხოვრებთა სიტუაცია არ უარესდებოდა ამგვარი საქმიანობის წამოწყების შედეგად. თუკი შესაძლებელი იქნებოდა გამოთელა ყველა იმ დანახარჯებისა თუ სარგებლიანობის, მთავრობას შეეძლო დაებეგრა ამგვარი საქმიანობის ორგანიზატორი და ამ გზით აკუმულაცია მოეხდინა სახსრებისა, რომელიც მას დასჭირდებოდა დაზარალებული ადამიანებისათვის კომპენსაციის გადასახდელად. მაგრამ პრაქტიკაში ეს შეუძლებელია ორი მიზეზის გამო:

* რათა გამოთვალოს, თუ რა დამატებით ღირებულებას იხდიან ადამიანები ლამაზი გარემოსათვის, იგი უნდა შეეცადოს მოიძიოს ანალოგიური უძრავი ქონება უხასიათო გარემოში და შეადაროს ფასები.

ჯერ ერთი — შესრულება გამოთვლებისა, რომელსაც ხშირად უწოდებენ დანახარჯების და სარგებლობის ანალიზს, არის ისეთი სუბიექტური საქმე, რომ ამის შედეგები ძალიან ძნელი წარმოსადგენია. ფირმები უსალისოდ იწყებენ საქმიანობას სიტუაციაში, რომელიც საკმარისად არ არიან დაჯერებულნი თუ რამდენი იქნება მათი გადასახადი, რომელსაც მათ თავიანთი საქმიანობის გამო უნდა გადაიხადონ.

დავუშვათ, რომ უნდა გავხსნათ ღამის კლუბი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ გახდება ძალზე პოპულარული და დაიწყებს დიდი მოგების მოტანას. დანახარჯებისა და სარგებლობის ანალიზის საბაბით საგადასახადო ინსპექციამ შეიძლება გაზარდოს გადასახადები, რომელიც ჩვენ უნდა გადაეიხადოთ რადგან გაიზრდება ჩვენი ფინანსიური შესაძლებლობები.*

მეორეც — შეუძლებელია იმის დამტკიცება, სინამდვილეში როგორ მნიშვნელობას აძლევენ ადამიანები თანამდევ ეფექტს.

დავუშვათ, რომ მთავრობამ განიზრახა ააშენოს აუზი და ამ მიზეზით დაბეგროს მიმდებარე ტერიტორიის მცხოვრებნი, რომელთათვისაც ეს სასარგებლო იქნებოდა.

თუ კი ასეთ სიტუაციაში გამომიგზავნიდნენ ანკეტას შეკითხვით, თუ როგორ ვაფასებ მომავალში აუზით სარგებლობის ღირებულებას, მე ვუპასუხებდი, რომ არ ვაპირებ აუზით სარგებლობას, რის გამოც ჩემი დაბეგვრა დაუსაბუთებელი იქნებოდა. ხოლო თუ დაგეგმავდნენ გზის მშენებლობას, ვუპასუხებდი, რომ ეს გამოიწვევს დიდ ხმაურს და სხვა უხერხულობებს და შეეცდებოდი მიმელო რაც შეიძლება დიდი კომპენსაცია.


თავისუფალი ბაზრის მომხრეები ცდილობენ გადაჭრან ეს პრობლემა სრულყოფილი ინფორმაციის შექმნის გზით. ისინი ამტკიცებენ, რომ თუკი ხელისუფლებას ეცოდინებოდა, თუ რას ფიქრობს თითოეული მოქალაქე სინამდვილეში, პრობლემა საერთოდ არ იარსებებდა. სხვებს მიაჩნიათ, რომ ამ პრობლემის გადაჭრა საერთოდ შეუძლებელია.

დასასრულს, ბოლო არგუმენტი, რომელიც არ უყვართ ეკონომისტებს, არის ის, რომ ბაზარი ხდება ღირებულებათა ერთიანი სისტემა, და არა საბოლოო გადამწყვეტი ინსტანცია იმისა, თუ რა უნდა გააკეთოს მთავრობამ. ეკონომისტებს სჩვევიათ დაიწყონ, რომ ყველას როდი სურს, რომ დანახარჯებისა და სარგებელის

---

* საგადასახადო ინსპექციას შეუძლია ამტკიცოს, რომ მიმდებარე ტერიტორიების მცხოვრებთათვის კლუბიდან გამომდინარე ხმაური გაცილებით უფრო მაუნეა, ვიდრე აღრინდელი, შედარებით მცირე ხალხის კლუბში ხალისის დროს იყო.

ანალიზი — თუნდაც რომ იგი ჩატარებული იყოს უშეცდომოდ — გახდეს მთავრობის ყველა გადაწყვეტილებების საფუძველი. დანახარჯებისა და სარგებელის ანალიზით გამოვიდოდა, რომ მეძავის საქმიანობა უფრო ძვირად ღირებულია, ვიდრე ექთანის ან თუნდაც ექიმის შრომა, ვინაიდან ამ პირველის მომსახურების საბაზრო ღირებულება არის გაცილებით მაღალი, ვიდრე ბოლო ორი მაგალითის შემთხვევაში.



შეუძლებელია ყველაფრის ყიდვა

მიუხედავად ზემოთ წარმოდგენილი უარყოფისა, ბევრ ქვეყანაში დანახარჯებისა და სარგებლიანობის ანალიზი კლავაც გამოიყენება. ეს ნაწილობრივ იმის გამო ხდება, რომ ეკონომისტები სიამოვნებით თანხმდებიან ჩაატარონ ასეთი ანალიზი (თუკი სხვა ადამიანები დათანხმდებიან გადაიხადონ თანხა ამგვარი მომსახურებისათვის) ხელისუფლებაც სიამოვნებით სარგებლობს ასეთი ანალიზით, რადგანაც შეუძლია ამ გზით გაამართლოს თითქმის ყველა წესები, რომელთა ცხოვრებაში გატარებაც საზოგადოებრივი ინტერესების სახელით მას სურს. თუმცა ზოგჯერ შეიძლება ეს მართლაც გამოდგეს ზოგიერთი ეკონომიკური პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესაფასებლად, იმ პირობით, რომ ეს გაკეთებული იქნება სამართლიანად.

საკითხისადმი მიდგომა საკუთრების უფლებების დაცვის თვალსაზრისით

თუ საკუთრების უფლება იქნებოდა საკმარისად განსაზღვრული და მცირე საფასურის ხარჯზე დაცული — ისე, რომ საკუთრების განადგურების ყოველ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა

კომპენსაციის მოთხოვნა დაწესებულებისა თუ პიროვნებისაგან, რომელმაც გამოიწვია ზარალი, თანამდევი ეფექტის პრობლემა გაცილებით იოლად გადაიჭრებოდა. საკუთრების უფლება უნდა შეიცავდეს ასევე გარემოს დაცვის უფლებასაც, ისევე როგორც წესრიგისა და სიწყნარის დაცვის გარანტიებს. ასეთ შემთხვევაში ყოველ ადამიანს, თუ მისი უფლება სუფთა ჰაერზე დაირღვეოდა, ექნებოდა სამართლებრივი უფლება აღეძრა სარჩელი ჰაერის გამაბინძურებლების მიმართ, მაშინ ყველა თანამდევი ეფექტი შესაძლებელია გამხდარიყო შინაგან ეფექტად, ვინაიდან ყოველს, ვინც განიცადა ვნება ამ ეფექტის გავლენით, შეეძლო დაეკისრებინა დანახარჯები იმ ორგანიზაციისათვის, რომელსაც ბრალი დაედებოდა მასში. ამგვარად შესაძლებელი გახდებოდა თავიდან აგვეცილებინა ბაზრის წარუმატებლობის მთავარი მიზეზები: დანახარჯებისა და სარგებლობის დაკისრება იმ ადამიანებისათვის, რომელთაც მიღწეული შეთანხმება უშუალოდ არ ეხებოდათ.

თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პრობლემისადმი ასეთი მიდგომები დაკავშირებულია გარკვეულ პრაქტიკულ სიძნელეებთან:

1. თანამდევი ეფექტის დანახარჯების შეფასების სამუშაოები შეიძლება ძალიან ძვირი დაჯდეს. აბა წარმოვიდგინოთ, რამდენ ადამიანს აქვს პრეტენზიის უფლება მღჩოლავი ფაბრიკის მიმართ. ამ საქმის საწარმოებლად იურისტთა მუშაობის ანაზღაურების თანხა ბევრად გადააჭარბებდა მომჩივანთა კომპენსაციის საერთო თანხას.
2. მიყენებული ზარალის ღირებულების დადგენა არ არის ადვილი. ახალი მაღაზია შეიძლება ხელსაყრელი იყოს მათთვის, ვინ მასში ივლის საჭიროდ, მაგრამ მან შეიძლება შეაწუხოს ისინი, ვისაც ხელს შეუშლის მიმდებარე ქუჩებზე ინტენსიური მოძრაობა.
3. ასეთი მიდგომა შესაძლებელია გამოყენებული იქნას უფრო დანახარჯების ანაზღაურებაზე, ვიდრე მისით გამოწვეულ სარგებელზე. პრინციპში შესაძლებელია აღძრა სასამართლო პროცესი იმ მეზობელთა წინააღმდეგ, რომლებიც მე მაღვიძებენ ხმაურიანი მუსიკით, მაგრამ რა მეთოდით შეიძლება მივიღო მისგან ფული იმაში, რომ მეზობელს სიამოვნებას მიაკერის ჩემს ბაღში დარგული ყვავილები?

ბაზრის წარუმატებლობის შედეგები

ბაზრის წარუმატებლობა არის კლასიკური ეკონომიკური არგუმენტი ხელისუფლების სამეურნეო საქმიანობაში ჩარევის გასამართლებლად. ეს არგუმენტი გამოიყენება ასევე ხელისუფლების მიერ მრავალი მოქმედების გამართლების მიზნით. მაგრამ გასაოცარია

ის—და ეს იცის ყველამ, ვინც გამოსცდა ხელისუფლების ზემოქმედება — თუ რა ხშირად ვერ აღწევს ამგვარი ქმედებანი დასახულ მიზნებს. კომუნისტურ სახელმწიფოებში ხელისუფლების ჩარევა გაკრიტიკებული იყო ორი მთავარი მიზეზის გამო:

ხელისუფლების მიერ წამოყენებული მიზნები იყო უგუნური, არა რეალური და თითქმის შეუძლებელი იყო მათ ირგელივ კამათის გამართვა.

ხელისუფლება ვერც კი უახლოვდებოდა დასახულ მიზანს.*

და თუმცა ეკონომისტები ერთმანეთს ეთანხმებიან იმაში, რომ ბაზარი ვერ გადაჭრის ყველა პრობლემას, ისინი ვერ თანხმდებიან ამ სიტუაციის გამოსწორების მეთოდებში.

ზოგიერთისათვის მდგომარეობიდან გამოსავალი იქნებოდა ხელისუფლების იმდაგვარი ჩარევა, რომელიც ენებას არ მიაყენებდა თავისუფალ კონკურენციას; მაგრამ თავისუფალი კონკურენციის მომხრეები მიუთითებენ, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ხელისუფლება საერთოდ არ ჩაერეოდა სამეურნეო საქმიანობაში. მაგალითად, იმიტომ რომ მთავრობა არ არეგულირებს თვითმფრინავით მგზავრობას, იგი გაცილებით იაფია (ერთ კილომეტრზე გადაანგარიშებით) აშშ—ში, ვიდრე ევროპაში. სპეციალური ტერმინიც კი არსებობს — „რეგულირების ხაფანგი". ამ ტერმინს ხმარობენ იმ მოვლენის აღსანიშნავად, როდესაც ხელისუფლება ითვისებს მწარმოებლის მიზანს, რომელზედაც იგი ამყარებს კონტროლს. ეს შესაძლებელია იყოს კორუფციის შედეგი, რომლის დროსაც საკონტროლო ორგანოების თანამშრომლები კონტროლის შესუსტების საფასურად იღებენ ფარულ ქრთამს კარგად ანაზღაურებადი თანამდებობის სახით მრეწველობაში, რომელიც უნდა გააკონტროლონ. მრეწველობას აქვს იმის საშუალება, რომ გადაუხადოს ვინმეს იმის საფასური, რომ შეხედოს კონტროლიორს და დაითანხმოს იგი დიდსულოვნებაზე. უბრალო ადამიანს კი ამისათვის არც დრო აქვს და არც ფული**.

---

* გდრ—შიც კი, რომელიც მიჩნეული იყო ყველაზე „უკეთ მოქმედ" ქვეყნად ყველა გეგმიური ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, იძულებულნი გახდნენ აეშენებინათ ჩინური კედელი და ეხროლათ ყველა მათთვის, ვინც განიზრახავდა ქვეყნიდან გაქცევას.

** ბევრ განვითარებულ ქვეყნებში არსებობენ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციები, რომლებიც იბრძვიან ცალკეული მომხმარებლის სახელით პროდუქციის შესახებ უკეთესი ინფორმაციის მოსაპოვებლად და მათი ინტერესებისათვის. ისინი ხშირად უშვებენ ბურანელებს, რომლებშიც ქვეყნდება პარამეტრები ყველა იმ უმნიშვნელოვანესი პროდუქციის შესახებ, რომლებიც გამოტანილია ბაზარზე.

ხელისუფლების წარუმატებლობა

ბაზრის წარუმატებლობა შეიძლება შედარდეს ხელისუფლების წარუმატებლობას. ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში ამჟამინდელი სიღატაკის მიზეზი არის ის ფაქტი, რომ მათი არადემოკრატიული მთავრობები უგულებელყოფდნენ ბაზარს და ცდილობდნენ ყველაფერი გაეკეთებინათ სახელმწიფოს სფეროებში. თუმცა ფულის ფლანგვა მხოლოდ კომუნისტური მთავრობებისათვის როდია დამახასიათებელი. ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ყველა ხელისუფლება ცდილობს გაფლანგოს სახალხო დოვლათი.

1. ადამიანები სხვაგვარად იქცევიან, როდესაც გასცემენ ფულს, რომელიც მათი საკუთრება არ არის.

2. შეუძლებელია მოისყიდო კერძო პირი და დაიყოლიო იგი შეიძინოს სრულიად სხვა რამ, თუ ქრთამი არ არის ისეთი დიდი, რომ ღირდეს მისი მხრიდან ამის გაკეთება. სახელმწიფო მოხელეს არაფერი აქვს გადასახადის გადამხდელთა ფულის დახარჯვის საწინააღმდეგო.

3. პატიოსან მოხელეებზეც კი ზემოქმედებას ახდენს არგუმენტი, რომელსაც გავლენა არ ექნებოდა კერძო პირზე. „თუ თქვენ ხელს მოაწერთ ამ კონტრაქტს ჩემს ფირმასთან, მე შეექმნიდი ათას სამუშაო ადგილს თქვენი საარჩევნო კამპანიის პერიოდში". სახელმწიფო მოხელეებზე შეიძლება მოახდინონ არა კომერციული ზემოქმედებაც.

4. სახელმწიფო მოხელეებს არაეითარი სტიმულები არა აქვთ შეისწავლონ ყველა ნიუანსი იმისა, რისთვისაც ფულს იხდიან. ისინი გაცილებით ადვილად გაიღებენ ფულს, ვიდრე კერძო პირები.

5. მათი მიზნები განსხვავებულია იმისაგან, როგორც მათ უნდა ჰქონდეთ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის. ისინი ხელმძღვანელობენ კარიერის გაკეთების სურვილით, პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვების მიზნით და სხვა მსგავსი მიზნებით. პოლიტიკოსები სიამოვნებით იწყებენ მუშაობას დიდ, პრესტიჟულ ფირმებში. ყოველთვის მოიძებნება ფირმები, რომლებიც შესძლებდნენ შთააგონონ ხელისუფლებას, რომ იგი აღმოჩნდება ინტელიგენტური, შორსმჭვრეტი და ბრძენი, თუკი ხელს მოაწერს დიდ კონტრაქტს მისთვის საინტერესო პროექტის დაგეგმვისა, დაფინანსებისა და გატარებაზე.

ხრუშჩოვის კატასტროფიულ პროგრამის, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას საბჭოთა კავშირის აზიურ ტერიტორიაზე, მხედველობაში ჰქონდა უკრაინისა და საქართველოს მოსაველიანი მინდვრები. იგი იმ მოსაზრებას ეფუძნებოდა, რომ საჭირო იყო სოფლის მეურნეობის განვითარება იმ ფართობებზე, რომლებზედაც ადრე მოსავალი არ მოდიოდა. არავის არ მიუცია ყველას გასაგონად შეკითხვა, თუ რატომ იყო ეს მინდვრები ყამირი* ისინი კი დაუმუშავებელი იმიტომ იყო, რომ ჯერ ერთი ძნელი იყო მათი დამუშავება და მეორეც, ძალიან დიდ ხარჯებთან იყო იგი დაკავშირებული.

6.ბიუროკრატები, როგორც წესი, არ არიან მეწარმენი, ხოლო ეს იმას ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ იმგვარადვე, როგორც ამას აკეთებენ ბიზნესმენები, შეაფასონ წარმოების რენტაბელობაზე მომქმედი ფაქტორები და არსებით შეცდომებს უშვებენ.

7. ყოველთვის, როდესაც კი ხელისუფლება განიზრახავს გაიღოს ფული, დგება იმის აუცილებლობა, დააგდგინონ რთული პრინციპები, რომელთა საფუძველზეც უნდა გადაწყდეს, თუ ვინ მიიღებს ამ ფულს.

ეს კი ხშირად იწვევს ისეთი, სრულიად ზედმეტი დაწესებულებების შექმნას, რომლის ფუნქციაცაა რჩევის მიცემა, თუ რა გზით შეიძლება ამ სუბსიდიების მიღება. კონსულტანტების კარგად ანაზღაურებადი თანამდებობების შექმნა არ წარმოადგენს ხელისუფლების მიზანს, მაგრამ ხშირად ეს არის სუბსიდიების სისტემის არსებობის შედეგი.**

---

* მთლად არც ახე იყო საქმე.ხშირად ენინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ნ.ხრუშჩოვი მათ არ უსმენდა. ამახთან დაკავშირებით ერთი ამბავი მახსენდება:ციმბირში ყოფნისას მან დაავალა პარტიულ ხელმძღვანელებს დიდ ფართობზე სიმინდის დათესვა. აქ სიმინდი არ მოვაო-უთხრეს. А КОЛХОЗ И СОВХОЗ —ახეთი იყო რეალობაზე ხრუშჩოვის რეაგირება.ალბათ მისი ახეთი ხასიათის გამო არც ენინააღმდეგებოდნენ. რუხთაველი ბრძანებდა: დამეშალა, ვერ დავშლიდი,დამრჩებოდა უმეცრებაო.(მთარგ.)

** არა მხოლოდ სუბსიდიების.ცნობილია,თუ კონსულტანტების როგორი არმია მოკვება საქართველოსთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან კრედიტების გამოყოფას.(მთარგ.)

შეჯამება:

ხელისუფლებამ უნდა დაადგინოს ისეთი სამართლებრივი წესები, რომლებიც დაიცავს საკუთრების პირობებს და უზრუნველყოფს ადამიანებს შორის დადებული ხელშეკრულებების დაცვას. ყოველი ხელისუფლება ერევა ბაზრის საქმიანობაში და ამას იმით ასაბუთებს,რომ ბაზარი გახდა ნაკლებეფექტური ან უსამართლო.ბაზარი მაშინ ხდება არაეფექტური, როდესაც ხელშეკრულების დამდებ ადამიანები სრულად არ იღებენ მხედველობაში დანახარჯებსა და სარგებლიანობას. ხელისუფლების ბაზრის საქმიანობაში ჩარევა შეიძლება აღმოჩნდეს გაცილებით მავნე, ვიდრე ის პრობლემა,რომლის გამოხწორებაც ხელისუფლებამ დაისახა მიზნად.ხელისუფლების წარუმატებლობა შესაძლოა აღმოჩნდეს უფრო უარესი, ვიდრე ბაზრის წარუმატებლობა.

შეკითხვები განსჯისათვის:

6.1.ხელისუფლების ეკონომიკაში რა სახის ჩარევის წინააღმდეგი ხართ და რატომ?

6.2.მოიყვანეთ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მეურნეობის რეგულირების მაგალითები.რა გზით შეიძლებოდა ამ საქმის მოგვარება,თუ არ გვენდომებოდა,რომ ადგილი ჰქონოდა ამ სახის რეგულირებას?

6.3.დავუშვათ,რომ მთავრობის გადაწყვეტილებებზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი. გასაყლების გადიდების მიზნით შეიძლება გაადიდოთ გადასახადები,ან შეამციროთ ზოგიერთი სხვა მიზნისათვის გამოყოფილი გასაყლები. თქვენ რომელ გზას აირჩევდით?

6.4. რა მოხდება,თუ ერთი ქვეყნის მთავრობა აირჩევდა სრულიად განსხვავებულ ეკონომიკურ პოლიტიკას,ვიდრე მისი მეზობელი ქვეყანა?

6.5. რომელი არგუმენტებით შეიძლება დავიცვათ კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამა,სკოლაში უფასო კვების შემოღება,ღარიბი ქვეყნისათვის დახმარების პროგრამა,უფასო სწავლება და ჯანმრთელობის დაცვა? ასეთი პროგრამების განხორციელების წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი არგუმენტი რა იქნება?

7

ფული და საბანკო საქმე

ფული ეკონომიკაში ფუძემდებლურ როლს ასრულებს. ფულადი ოპერაციები სრულდება ბანკების საშუალებით. ამ თავში საუბარი იქნება ფულის გამოგონების, ფულის როლისა, მისი ფუნქციების, ინფლაციისა თუ ჰიპერინფლაციის გავლენისა და ასევე საბანკო სისტემის შესახებ.

ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემისაგან განსხვავებით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკები ბევრ სხვა ფუნქციასაც ასრულებენ. თუმცა, პოლონეთში ბანკები უკვე იწყებენ იმგვარ მოქმედებას, როგორც საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ განსხვავდებიან კაპიტალისტური ბანკებისაგან.

ფულის წარმოშობის ისტორია და მისი ფუნქციები

ფულის არსებობა ცივილიზაციის შესახებ მეტყველებს. იგი არ არის საჭირო იმ ადამიანისათვის, ვინც მარტოსულად ცხოვრობს უკაცრიელ კუნძულზე. ფული არ ჰქონდათ გამოქვაბულებში მცხოვრებთაც. ისეთ ინტელიგენტურ ცხოველებსაც კი, როგორიც არიან დელფინები, სპილოები და მაიმუნები, არ სჭირდებათ ფული და ბანკნოტები.

ჩვეულებრივ ფულს ძვირფასი ლითონისაგან ამზადებდნენ, აქედან წარმოსდგება, მაგალითად, სახელწოდება „ზლოტი“. მონეტები ეხმარებოდნენ ადამიანს მასში არსებული ძვირფასი ლითონის რაოდენობა შეეფასებინათ. უმეტეს ქვეყნებში მონეტების კიდეების გასწვრივ მოთავსებულია სხვადასხვა ნიშნები. ამას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მონეტა დაეცვა იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ძვირფასი ლითონების მოპოვების მიზნით მას კიდეებს ათლიდნენ. ჰიპერინფლაციის შედეგად ამჟამად პოლონეთში მონეტებს მთლიანად დაკარგული აქვთ ფუნქციები*, მაგრამ, თუ ხელისუფლება შესძლებს

* ავტორი გულისხმობს მისი პოლონეთში მოღვაწეობის პერიოდს, კერძოდ 90—ან წლებს. ამჟამად პოლონური ზლოტი საკმაოდ კონვერტირებად ფულის ნიშნად ითვლება. (მთარგ.)

ინფლაციის ლიკვიდაციას, მან შესაძლოა დაიბრუნოს თავდაპირველი მნიშვნელობა. ბევრმა მთავრობამ მკაცრი კონტროლი დაამყარა მონეტების მოჭრის უფლებაზე: ნაწილობრივ იმის გამო, რომ დაეცვა მონეტები თაღლითებისაგან, და აგრეთვე იმ მიზნით, რომ ამ საქმისაგან მოგება თავად მიეღო. ვიდრემდე მონეტებს სჭრიდნენ ფასიანი ლითონებისაგან, კერძო პირთაგან მათი წარმოება არ იყო ხელსაყრელი. არ შეიძლება ამის თქმა ქაღალდის ფულის შესახებ.

ქაღალდის ფული

ადრე ქაღალდის ფული იცვლებოდა ძვირფასს ლითონებზე. ბევრი ქვეყნის ბანკნოტებს წარწერილი აქვს გარანტიები, რაც შესაძლებელს ხდიდა მათ გადაცვლას სხვა ძვირფასეულობებზე ცენტრალურ ბანკებში. ეს არის იმ დროის გადმონაშთი, როცა ყოველი ბანკნოტი იყო ერთადერთი ხელსაყრელი მეთოდი ოქროს ბრუნვის. ქაღალდის ფულისა და საბანკო საქმის ისტორია ძალზე უბრალოა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ შემდეგი წარმოსახვითი მაგალითი:

ოქრომჭედელი

წარმოვიდგინოთ პატარა ქალაქი, რომელშიც ყველაფრისათვის ოქროს იხდიან. ვინაიდან ეს იყო არასტაბილური და საშიში ქალაქი, ადამიანები შიშობდნენ სახლებში შეენახათ ფული, სადაც ყოველთვის შეიძლებოდა მათ თავს დასხმოდნენ მძარცველები. ამიტომ ისინი ჩვეულებრივ აკითხავდნენ ადამიანს, რომელსაც ჰქონდა ყველაზე კარგად დაცული განძსაცავი — ოქრომჭედელს. იგი იბარებდა მათგან ოქროს და სამაგიეროდ აძლევდა ხელმოწერილსა და ბეჭედდასმულ დოკუმენტს; იგი მასში ადასტურებდა, რომ განსაზღვრული რაოდენობის ოქრო, რომელიც ინახება მის განძსაცავში, ეკუთვნის მოცემულ პიროვნებას. ყველანი კმაყოფილი იყვნენ ასეთი საქმიანი ურთიერთობით, რომელიც რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა.

ქალაქის დიდვაჭრები ხშირად ერთმანეთთან ანგარიშს ასწორებდნენ ოქროთი — ასეთი წესჩვეულება იყო ამ ქალაქში, რის გამოც ისინი ხშირად აკითხავდნენ ოქრომჭედელს, რათა შეერჩიათ ოქრო და გადაუგზავნათ თავის მეკალე ვაჭრის სახელზე. ისიც უმალ მიდიოდა ოქრომჭედელთან, რათა ეს ოქრო კვლავ მასთან შეენახა (დეპონირება). ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ ოქრო განძსაცავის გარეთ მხოლოდ ძალზე მცირე ხანს რჩებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ვაჭრებმა, რომლებიც ერთმანეთს შორის სავაჭრო გარიგებებს სდებდნენ, გადაწყვიტეს—უფრო მეტი უსაფრთხოებისა და მოხერხებლობისათვის, ერთმანეთს ოქრომჭედელთან შეხვედროდნენ. როგორც ვაჭრებს, ისე ოქრომჭედელს თავში ათასგვარი წინადადება მოსდიოდათ. მაგალითად, ვაჭრებს სურდათ,

რომ შესაძლებელი გამხდარიყო ოქროს სხვისათვის გადაგზავნა მხოლოდ სპეციალურად ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დოკუმენტის საფუძველზე, ძვირფასი ლითონის განძსაცავის გარეთ გაუტანლად. ოქრომჭედელიც, რომელიც ასევე სთელიდა, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყო, სიამოვნებით დაეთანხმა ამას. იგი ხედავდა, რომ ახლა ყოველ წუთს მის განკარგულებაში იყო დიდძალი ძვირფასი ლითონები. მან გამოცდილებით იცოდა აგრეთვე, რომ იშვიათად მოხდებოდა, რომ საგანძური დაეტოვებინა დეპონირებული ოქროს მეოცედ ნაწილზე მეტს. ამიტომ მან ორი წინადადება წამოაყენა:

პირველი, მას სურდა დართოდა ნება, რათა გაეცა სესხები იმათზე, ვინც ამას მოინდომებდა; მას ხომ საგანძურში ბევრი ოქრო ჰქონდა და იცოდა, რომ ის ადამიანებს, რომლებიც ფულად სესხებს იძლეოდნენ, ამ საქმიანობისაგან კარგი შემოსავალი ჰქონდათ. აი, ასეთი იყო საბანკო საქმის დასაწყისი.

ოქრომჭედლის მეორე წინადადება ის იყო, რომ ყოველ დეპოზიტორს, იმის შესახებ მოწმობის ნაცვლად, თუ რამდენი ოქრო შეიტანა ანგარიშზე, მიეღო გარკვეული რაოდენობის ქაღალდის ბარათი, რომლებიც, როგორც წესი, შეუზღუდავად გადაიცვლებოდა ოქროზე. ურთიერთანგარიშსწორებისას ადამიანები, იმის ნაცვლად, რომ ყოველ ასეთ შემთხვევაში მისულიყვნენ ოქრომჭედელთან, ამ ბარათებს ერთმანეთს გადასცემდნენ. ასეთი იყო ქაღალდის ფულის მიმოქცევის დასაწყისი.

ამ სიახლეების დანერგვამ საფუძველი დაუდო საბანკო საქმესა და ქაღალდის ფულის მიმოქცევას. დღეს ცენტრალური ბანკები ისევე ახდენენ ფულის ემისიას, როგორც ამას აკეთებდა ოდესღაც ოქრომჭედელი და ყოველთვის არსებობდა ბანკნოტების ოქროზე გადაცვლის შესაძლებლობა. ამერიკამ დაუდო ამ ტრადიციას საზღვარი 1971 წელს.

ფულის მნიშვნელობა

ფული ადამიანებს უადვილებს საქონლის შესყიდვას. იგი არის საგადამხდელო საშუალება. მის გამოგონებამდე, ადამიანები ეწეოდნენ გაცვლით ვაჭრობას. წარმოვიდგინოთ, თუ რას ნიშნავდა ეს სინამდვილეში.

ვთქვათ, არსებობს პატარა სოფელი, რომელშიც ჯერ კიდევ არ იციან, თუ რა არის ფული. თუ სოფლელებს ჰყავთ ქათმები და სურთ გაარემონტონ სახლის სახურავი, მათ შეუძლიათ ამ საქმის შესრულებაში ხელოსანს მისცენ კვერცხები. ოღონდ თუ აღმოჩნდება, რომ ხელოსანს არ უყვარს კვერცხი და სურს ხორცი, მაშინ უკვე პრობლემასთან გვაქვს საქმე. ჯერ უნდა დავადგინოთ, თუ რამდენ

ხორცს მოითხოვს იგი, შემდეგ უნდა ეიპოვოთ ვინმე, ვინც მას გაგიცვლიდა კერცხებში და შემდეგ კლავე გაგწიოთ ხელოსანთან. ცხადია, ეს დროის დაკარგვაა. გაცვლითი ვაჭრობის დროს მთავარი სიძნელე ის არის, რომ ადამიანებმა ერთმანეთს უნდა შესთავაზონ რაღაც ისეთი, რაც მოეწონებოდა მეორე მხარეს — ამის მიღწევას კი დიდი სიძნელეები ახლავს თან.

არსებობს აგრეთვე სხვა პრობლემებიც. დაეუშვათ, რომ ვინმე აშენებს სახლს, რასაც დიდი დრო სჭირდება და შემდეგ სურს მისი გაყიდვა სხვა ნივთების ყიდვის მიზნით. ვინაიდან კერცხი და ხორცი ძალიან მალე ფუჭდება, აშენებული სახლის გაცვლა შეუძლებელია დიდი რაოდენობის სურსათზე. მაგრამ პრობლემა მხოლოდ ის როდია, რომ ზოგიერთი საქონელი მალფუჭადია. დაეუშვათ, რომ მშენებლებს სურთ სანაცვლოდ მიიღონ აგური. თუმცა სახლის ღირებულება გაცილებით მეტია, ვიდრე თავად აგურის *. ღირებულება, მაგრამ ვინმეს გადაუხადო სახლის ნაწილით, ეს ძალიან ძნელია. ამ დელემას მხოლოდ ფული სჭრის.

ფულის ფუნქციები

1. გაცვლის საშუალება. გაცვლითი მეურნეობის სისტემის დროს ვაჭრობა ძალიან ძნელია, განსაკუთრებით იმ საქონლით ვაჭრობა, რომლებსაც დიდი ღირებულება აქვთ. იგი მაშინ არის მხოლოდ შესაძლებელი, როცა ორივე მხარეს შეუძლია ერთმანეთს შესთავაზოს ურთიერთმოსაწონი საქონელი. ფულის საშუალებით ადამიანებს უადვილდებათ ერთმანეთში საქონლის გაცვლა, რაც ხელს უწყობს ვაჭრობის განვითარებას. როცა ყველა ადამიანი საქონელს ფულზე გაცვლის, იგი იძენს იმ საგნის ღირებულებას, რომელზედაც იგი გადაიცვლება.
2. საანგარიშსწორებო ერთეული. ფული ადამიანებს უადვილებს დანახარჯების აღრიცხვას. წარმოვიდგინოთ სახლის მშენებელი, რომელმაც გადაწყვიტა აგურზე გაცვლის პრობლემა იმ გზით, რომ აგურის გამომწველს შეპირდა, მომავალ 10 წელიწადში მას აუშენებს სახლს, ანდა კერცხის მწარმოებელი, რომელიც კალატოზს მიაწვდის ყოველკვირა 30 კერცხს უახლოესი 10 წლის მანძილზე, რამაც უნდა დაფაროს სახლის მშენებლობის ხარჯები; კალატოზისათვის ადვილი არ არის აღრიცხოს, თუ რამდენი აგური უნდა მოსთხოვოს მის მწარმოებელს ანდა გლეხს კერცხი, სახლის აშენების სანაცვლოდ.

---

* დანახარჯების გაანგარიშება ფულის გამოუყენებლად ძალზე ძნელი ჩანს; შაგრამ გიცით, რომ უფრო ძნელია სახლის აშენება, ვიდრე აგურის გამოწვა, ამიტომ ეთანხმებით იმაში, რომ სახლის ღირებულება გაცილებით მეტია.

3. ღირებულების დაგროვების საშუალება. უკვე გადაეჭერით პრობლემა სახლის აშენებისა, რომელიც დაჯდება მრავალი ათასი კვერცხი და მრავალი ცალი აგური, ანუ პრობლემა განძეულის დაგროვებისა, რომელიც მოპოვებულია სახლის გაყიდვის შედეგად; ეს არის ძალიან ძნელი იმ სიტუაციაში, როცა არ არსებობს ფული. იმ ადამიანებს, რომლებიც ხალხს ემსახურებოდნენ, მაგალითად პარიკმახერებს, საერთოდ არ შეეძლოთ დაეგროვებინათ იგი, როგორც ღირებულება. ყველა კომუნისტურ ქვეყანაში, რომლებიც არ ფლობდნენ მტკიცე ფულს, სახლის ყიდვა თუ მისი აშენება, იყო უცხოური ვალუტის შესყიდვასთან ერთად, ღირებულების ხანგრძლივი დროის მანძილზე გონიერი შენახვის ერთადერთი მეთოდი. ეს იმაზე როდი მეტყველებს, რომ ბინის შესყიდვა ყოველთვის კარგი ინვესტიციაა, არამედ იმას, თუ რა ცუდად ასრულებდა კომუნისტური ფული თავის ძირითად ფუნქციას.
4. სესხების გაცემის სტანდარტული წყარო. ახლა წარმოვიდგინოთ გაცვლითი მეურნეობის დროს სესხების გაცემის სისტემა. თუ უშუალო გადაცვლის დროს პროდუქტების ღირებულების შეფასება არის საკმაოდ ძნელი საქმე, მით უფრო ძნელია სესხის ღირებულების შეფასება. გაცვლითი მეურნეობის დროს სესხის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მატერიალური დოვლათი. გადახდის გონიერი სისტემის ჩამოყალიბება ასეთ პირობებში შესაძლებელია, მაგრამ ძალიან ძნელია მისი აღსრულება. ფული არის სესხის ძალზე მოსახერხებელი ინსტრუმენტი ტრანსაქციაში მონაწილე ორივე მხრისათვის.

ფულის თვისებები

რომ შეასრულოს ზემოთ აღწერილი ფუნქციები, ფული შემდეგ თვისებებს უნდა ფლობდეს:

1. ფულის გამოშვება უნდა იყოს შეზღუდული. ამ ადვილად ხელმისაწვდომ წყაროს უგონო გამოყენება იქნებოდა სიგიჟე, რომელიც საბოლოოდ სარგებლობას არავის მოუტანდა.
2. შესაძლებელი უნდა იყოს ფულის დახურდავება. თუ ფულის ყველაზე მცირე ერთეული იქნებოდა მაღალი ღირებულების შემცველი, წვრილი საცალო ვაჭრობა გაცილებით გაძნელდებოდა. აბა, წარმოიდგინე, თუ რამდენი პრობლემა წარმოიშვებოდა, თუკი პოლონეთში ყველაზე მცირე ბანკნოტის ღირებულება 500.000 ზლოტის ტოლი იქნებოდა. (რაც დაახლოებით 21 დოლარს უდრის – მთარგ.).

3. ფული უნდა იყოს ერთი ადგილიდან მეორეზე ადვილად გადასატანი. ეს ნიშნავს, რომ გადაცემულები უნდა იყოს ფულით მომსახურების საქმე.
4. ფული უნდა იყოს მყარი. არ არის კარგი, როცა ფული მალე ცვდება ან იჟანგება.

ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ფულის როლს ზოგჯერ ასრულებდა პაპიროსი და იმის მიუხედავად, რომ ის არ არის ძალიან მტკიცე, ასრულებდნენ მის სხვა ფუნქციებსაც.

ფული და ინფლაცია

პოლონეთში ყველას აქვს გარკვეული ცოდნა ინფლაციის შესახებ. 1989 წელს ინფლაცია აღწევდა 2000 პროცენტს წლიურად. ინფლაცია დაკავშირებულია ფასების დონის გაზრდასთან. როცა იზრდება ფასები, ქვეითდება საქონლის ღირებულება, მაშინ ადამიანი საჭიროებს უფრო მეტ ფულს, რათა იყიდოს იმავე მოცულობის რეალური საგნები. 1989 წელს პოლონეთში ყველა საქონლის ფასი როდი გაიზარდა 2000 პროცენტით, მაგრამ აღნიშნულ ციფრს შეადგენდა მისი საშუალო ზრდა. დაწვრილებით ინფლაციის შესახებ ვილაპარაკებთ ერთ—ერთ შემდგომ თავში, ახლა კი ზევით აღწერილ ფუნქციებს შევადაროთ ფულის როლს ჰიპერინფლაციის პირობებში. ჰიპერინფლაცია ანადგურებს დანაზოგებსა და ინვესტიციებს. ამ სიტუაციაში წარმოების გონიერი დაგეგმვა განსაკუთრებულად ძნელ საქმედ იქცევა.

საბანკო სისტემა

საბაზრო ეკონომიკაში ბანკები ასრულებენ არსებით როლს. საბაზრო ეკონომიკის მქონე განვითარებულ ქვეყნებში ბანკები ასრულებენ გაცილებით მეტ როლს, ვიდრე პოლონეთში.

ბანკები წარმოადგენენ:

— იმ ადგილებს, სადაც პიროვნებებსა თუ დაწესებულებებს შეუძლიათ შეინახონ თავიანთი დანაზოგები;
— დაწესებულებებს, რომლებიც აწარმოებენ უნაღდო ანგარიშსწორებებს, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ.*
— კრედიტის წყაროებს საწარმოებისა და კერძო პირებისათვის.
— დაწესებულებებს, რომელთაც ფულის მოჭრის უფლება აქვთ.

* პოლონეთში ბანკები ამას ახორციელებენ ძალზე არაეფექტური მეთოდებით, მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ბანკები და დანაზოგები

ბანკები იმ პიროვნებებს, რომლებიც მასში თავიანთ დანაზოგებს ინახავენ, სადეპოზიტო ანგარიშების წარმოებას სთავაზობენ. ბანკში შენახული დაზოგილი თანხის ნაცვლად მეანაბრეები პროცენტებს იღებენ. საპროცენტო განაკვეთი არის გარკვეული დროით დეპოზიტზე შენახული ფულის ფასი. პროცენტი, რომელიც დანაზოგებს დარიცხება, დეპოზიტორის ჯილდოა ბანკისათვის იმის უფლების მისაცემად, რომ გამოიყენოს მისი ფული და უარი თქვას მის მყისიერ მოხმარებაზე.

ბანკები ჩვეულებრივ გრძელვადიანი ანაბრებისათვის იძლევიან უფრო მაღალ პროცენტს, ვიდრე მოკლევადიანი ანაბრისათვის. მთელი წლით ბანკში ფულის შეტანისათვის გაცილებით მაღალი პროცენტი იქნება, ვიდრე იგივე თანხის თვიური შენატანისათვის, თუნდაც მისი შენახვის ვადა თორმეტჯერ გაგრძელდეს. ეს იმიტომ ხდება, რომ ბანკს გაცილებით უადვილდება მოქმედება მაშინ, როცა იცის, რომ მას შეუძლია ფულის გარკვეული რაოდენობის გამოყენება მთელი წლის განმავლობაში. ამას გარდა, ფულის გაყინვა მთელი წლის მანძილზე მოითხოვს გაცილებით მეტი მსხვერპლის გაღებას მისი პატრონის მხრივ. არსებობს აგრეთვე ფულის შენახვა ანგარიშზე, რომლიდანაც ყოველ წუთს შეიძლება მისი მოხსნა. ასეთ შემთხვევაში დარიცხული პროცენტის ოდენობა კიდევ უფრო დაბალია.

ძალიან მნიშვნელოვანია ინფლაციის მაჩვენებლის პროცენტის დონესთან შედარება. თუ ინფლაციის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე პროცენტის დონე, მაშინ დანაზოგის ბანკში შენახვა ეფექტიანი არ ხდება. ინფლაციის მაჩვენებლამდე შემცირებულ პროცენტის დონეს რეალური საპროცენტო განაკვეთი ეწოდება. თუ მოცემულ მომენტში ბანკში შეტანილი დანაზოგით შეიძლება იყიდო გაცილებით მეტი საგნები, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნება ერთი წლის შემდეგ, ასეთ შემთხვევაში რეალური საპროცენტო განაკვეთი უარყოფითია*. მეურნეობის განვითარებულ სისტემაში ბანკებს შორის არსებობს კონკურენცია პროცენტის დონის დაწესებისა და მომსახურების ხარისხის გაზრდით. მომსახურების ხარისხი პოლონეთის ბანკებში ძალზე დაბალია, რადგანაც კონკურენცია ჯერ კიდევ არ განვითარებულა.

---

* ლეშეკ ბალცეროვიჩის, (90—იან წლებში პოლონეთის ფინანსთა მინისტრი და პოლონური რეფორმების „მამა"). გეგმა ითვალისწინებდა რეალური საპროცენტო განაკვეთის გაზრდას, რაც ხალხს ხურდის გაუფუჭებდა ფული ბანკებში შეეტანათ და ამგვარად შეხაძლებელი გამხდარიყო ინფლაციის დამუხრუჭება.

საბანკო ანგარიშსწორება

პოლონეთის ბანკებსა და მათ შესაბამის ბანკებს შორის განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რამდენიმე პრინციპული განსხვავება არსებობს.

ბანკები კერძო პირებსა და დაწესებულებებს სთავაზობენ მიმდინარე ანგარიშის გახსნას. ნორმალური საბაზრო ურთიერთობების ქვეყნებში ანგარიშის ყოველი მფლობელი ბანკში იღებს ანგარიშის ნომერს, ქვითრების წიგნაკს და პლასტმასის საკრედიტო ბარათს.

წიგნაკი შეიცავს ქაღალდის ქვითრებს, რომლებიც გამოიყენება ქვეყნის ტერიტორიაზე ქვითრის მფლობელი პირის მიერ ანგარიშიდან ფულის გამოსატანად. ქვითრების წიგნაკის მფლობელმა უნდა მიუთითოს თანხის გამტანის გვარი, თანხის ოდენობა, თანხის გატანის თარიღი, და ასევე ხელმოწერით დაამოწმოს ქვითარი. ქვითრის მიმღები პირი ქვითარს ან თავად მიიტანს ბანკში, ან გადაგზავნის მას. მას შემდეგ, რაც ბანკი შეამოწმებს, რომ ქვითრების წიგნაკის მფლობელს მართლაც გააჩნია ანგარიშზე თანხა, იგი სამი დღის განმავლობაში მიიღებს ფულს.

ყოველი ქვითარი არის დანომრილი, რაც ტრანსაქციის ავტომატური მომსახურების საშუალებას იძლევა. ქვითრები გამოსაყენებლად ძალზე მოსახერხებელია, მაგრამ მათი მოხმარების აუცილებელი პირობაა ბანკებში მაღალი ტექნოლოგიის დანერგვა და ბანკებს შორის ფართოდ განვითარებული თანამშრომლობა.

საკრედიტო ბარათები, ქვითრების მსგავსად, არის გადახდის განხორციელების ფორმა*. ყოველი ბარათი უკანა მხარეს შეიცავს მაგნიტურ ლენტს, რომელზედაც დაწერილია ინფორმაცია, რომლის ამოკითხვაც შეიძლება ბანკში ან მაღაზიაში არსებული სპეციალური მოწყობილობით. ამას გარდა მასზე გამოსახულია ახო–სიმბოლო, რომლის წაკითხვაც შეუძლია ყოველ ადამიანს, ვინც მოისურვებს შეამოწმოს, თუ ვის ეკუთვნის ბარათი. ბარათის დახმარებით შეიძლება დაებეჭდოთ ქვითრის მსგავსი ფორმულარი (მხოლოდ ოდნავ იქნება განსხვავებული მისგან), რომელიც იქნება იმის დამადასტურებელი, რომ საკრედიტო ბარათის პატრონის ანგარიშიდან თანხა გადახდილია. ბარათის მფლობელმა ხელი უნდა მოაწეროს ამ ფორმულარს და გადახდა მოხდება ავტომატურად, ცხადია, თუ მიმღები ფლობს შესაბამის მოწყობილობას.

---

* გადახდების შესრულების სისტემა საკრედიტო ბარათების გამოყენებით ძალზე ხშირად იცლება. ასევე არსებობს სხვადასხვა ფორმის ბარათები (credit cards, charge carts, debit carts), რომლებიც ადამიანებს უადვილებენ თანხების გადახდას სიტუაციაში, როცა შეიძლება გადაიხადო ქვითრით ან ნაღდი ფულით.

საკრედიტო ბარათები შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ნაღდი ფულის მისაღებად საბანკო ავტომატებიდან, რომლებიც, როგორც წესი, დამონტაჟებულია კედლებზე, ხშირად საბანკო დაწესებულებების სიახლოვეს. ეს არის ნაღდი ფულის მიღების ძალზე მოსახერხებელი და სწრაფი მეთოდი, ხოლო ბანკის თანამშრომლებს ამ დროს შეუძლიათ შეასრულონ გაცილებით რთული საბანკო ოპერაციები.

საკრედიტო ბარათების მოხმარება ჯდება გაცილებით იაფი, ვიდრე ქვითრების გამოყენება, ვინაიდან ელექტრონული დამუშავება მოითხოვს ბანკის იმ მოხელის მუშაობაზე გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას, რომელიც ახარისხებს და რეგისტრაციას უკეთებს ქაღალდის ხელწერილებს. მაგრამ ამავე დროს საბანკო საქმეში ელექტრონის გამოყენება მოითხოვს ძალზე საიმედო სატელეფონო სისტემას, რის გამოც იგი ჯერ მხოლოდ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაშია საყოველთაოდ დანერგილი.

ბანკების სესხები საწარმოებისათვის

პოლონეთში ბანკები ძალზე ცუდად ასრულებენ ამ ფუნქციას. მათ ძალზე მცირე გამოცდილება აქვთ პროექტის წარმატების მიღწევის (რეალურობის) შეფასებაში და კრედიტებს გამოყოფენ მხოლოდ იმ პირობით, რომ მსესხებელი ფლობს აქტივებს (უძრავ -მოძრავ ქონებას), რომელთა გაყიდვაც ბანკს შეუძლია იმ სიტუაციაში, როცა სესხი დაფარული არ იქნება.

არსებობს საწარმოების დაფინანსების სამი წყარო:

— სესხები
— აქციები და პაიები;
— წინა წელს მიღებული გაჩერებული მოგება.

ჩვეულებრივ ბანკები უზრუნველყოფენ ისეთი კრედიტების გამოყოფას, რომლებიც უმეტესად წარმოადგენენ მოკლევადიანი დაფინანსების წყაროს (თუმცა არსებობენ ბევრი ფირმები, რომელთათვისაც სესხები გრძელვადიანი ფინანსირების წყაროც არის).

პაის საშუალებით დაფინანსება დაფუძნებულია საწარმოს საკუთრების ნაწილის მიყიდვაზე ინვესტორებისა თუ კომპანიონებისათვის. ინვესტორისათვის ასეთი ღონისძიება დიდ რისკთან, თუმცა, ამავე დროს, მნიშვნელოვან პოტენციურ მოგებასთანაც არის დაკავშირებული. თუ ვინმე აფუძნებს კერძო საწარმოს, როგორც წესი, აბანდებს საკუთარ სახსრებს, რომელიც ფირმის საწესდებო კაპიტალად იქცევა. ზოგიერთ ქვეყანაში გაკოტრებული ბანკები თავიანთ სახსრებს აბანდებენ საწარმოს საპაიო კაპიტალში, თუმცა ეს ძალზე იშვიათად ხდება.

მოგება შეიძლება გადაუხადონ აქციონერებს დივიდენდის ფორმით, ან გამიზნული იქნეს მომავალი ინვესტიციებისათვის. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ეს არის საწარმოს დაფინანსების ძალზე პოპულარული ფორმა, რაც იმაზე მეტყველებს, თუ როგორ უჭირთ ბევრი ფირმისათვის ბანკებში კრედიტების აღება ან აქციების გაყიდვა.

ამ პრობლემას არ უნდა მივანიჭოთ დიდი მნიშვნელობა პოლონეთში. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სესხის ამღები ფირმები ჩვეულებისამებრ ელიან, რომ მიიღებენ იმ თანხის დაახლოებით ნახევარს, რასაც ისინი აპირებენ რომ გახარჯონ საქმეში. ბანკები პოლონეთში პასუხისმგებლობას არ კისრულობენ სარისკო ოპერაციებისათვის. ისინი ძალზე იშვიათად აძლევენ სესხებს იმ პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ არაფერი, რასაც ბანკები გაასაღებენ ისეთ სიტუაციაში, როცა სესხის ამღებს მისი დაბრუნება უკვე აღარ შეეძლება. პოლონეთში, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ამბობენ, რომ ბანკები სიამოვნებით აძლევენ კრედიტებს მხოლოდ მაშინ, როცა სესხის ამღებს აქვს იმდენი ფული, რომ სესხს არც უნდა იღებდეს. ბევრი ადამიანი გამოთქვამს საყვედურს, რომ ეს არ არის სამართლიანი, თუმცა ასეთსავე საყვედურს გამოთქვამს ბევრი ადამიანი განვითარებულ ქვეყნებშიც. კაპიტალიზმი არა გვპირდება სამართლიანობას, მაგრამ ამის მიუხედავად, კაპიტალისტურ ქვეყნებში ყველაფერი არის უფრო „ხალხისათვის“, ვიდრე ეს „სოციალისტურ“ ქვეყნებში იყო.

საბანკო კრედიტის წარმოშობა

ბანკებს შეუძლიათ შექმნან ფული. ეს შემდეგი გზით ხდება; ფული, რომელსაც კლიენტი სესხულობს, ხედება სხვის ანგარიშზე საიდანაც შემდეგ შეიძლება ისესხონ მეორედ, მესამედ, მეოთხედ და ა.შ. სესხების გაცემით ბანკები მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ ეკონომიკის დარგებისათვის ფულის მიწოდებაზე. ავხსნათ ეს შემდეგი მაგალითით:

ოქრომჭედელი (2)

დაუშვათ, რომ ოქრომჭედელი, რომელმაც მიიღო დეპოზიტი, ერთადერთი ოქრომჭედელი იყო ქალაქში. მან მოითხოვა მხოლოდ 5 პროცენტი ოქროსი, რომელიც მას შეანახვინეს საგანძურში, ყოველდღიური ოპერაციებისათვის, ვინაიდან ძალიან ხშირად ისინი დამოკიდებული იყვნენ მესაკუთრის ცელილებაზე. ამიტომ მან დაიწყო ფულის გასესხება. დაუშვათ, რომ პიროვნება, რომელიც ფულს სესხულობდა, ყოველთვის აძლევდა მას იმავე რაიონში, ისე რომ, ვიღაც, ვინც იღებდა ფულს, იგი შესანახად მიჰქონდა იმავე

ოქრომჭედელთან. დაეშვათ ასეც, რომ მას ჰქონდა საგანძურში 1000 ოქროს მონეტა. იცოდა, რომ მეანაბრეები მოითხოვდნენ დიდი—დიდი, დეპონირებული ოქროს 5 პროცენტს. (ფულის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის), მაგრამ გადაწყვიტა მიეღო დეპოზიტის 10 პროცენტი მეტი საიმედოობისათვის, რათა მომზადებული შეხვედროდა ფულზე გაჩენილ მოულოდნელ მოთხოვნილებას.

აქტივი	დაკალიანება
I ეტაპი. 1000 მონეტა, 0 სესხი, ჯამში აქტივი = 1000	1000 დეპოზიტში
II ეტაპი. 100 მონეტა, 900 ახალი სესხი, ჯამში აქტივი = 1000	1000 დეპოზიტში
III ეტაპი. 1000 მონეტა, 900 ძველი სესხი, ჯამში აქტივი = 1900	1900 (1000+900 დეპოზიტი)
IV ეტაპი. 900 ძველი+810ახალი სესხი=1710 სესხს, ჯამში აქტივი = 1900	1900 დეპოზიტში
V ეტაპი. 1000 მონეტა, 1700 სესხი, ჯამში აქტივი = 2710	2700 (1900+810 ახალი დეპოზიტი)
VI ეტაპი. 271, მონეტა, 1710 ძველი+729 ახალი სესხი=2439 სესხი, ჯამში აქტივი = 1000	2710 დეპოზიტში
VII ეტაპი. 1000 მონეტა, 2939 სესხი, ჯამში აქტივი = 3439	3439 (710+729 ახალი დეპოზიტი)
VIII ეტაპი.....	

ბანკის აქტივებია ყველა ის უძრავ-მოძრავი ქონება, რასაც იგი ფლობს. მასში შედის საკუთარი ნაღდი ფულიც და მეანაბრეების ჩაბარებული ფულიც.

ბანკის დავალიანება არის ის ყველაფერი, რაც ბანკს მართებს სხვა ადამიანების. ბანკს მათი მართებს ის ფული, რაც მას დეპოზიტზე მიაბარეს, ასე, რომ დეპოზიტი ხდება ბანკის დავალიანება.

ეტაპი I. ოქრომჭედლის საწყისი სიტუაცია.

ეტაპი II.ოქრომჭედელმა ისესხა 900 მონეტა, ვინაიდან სურს დააკავოს 10 პროც. დეპოზიტისა ფულის სახით. მთლიანი ღირებულება აქტივებისა არ ექვემდებარება ცვლილებებს, მაგრამ მისი უმეტესობა არის სესხები.

ეტაპი III. მეორე ეტაპზე ნასესხები ფული მეორედ ჩადეს დეპოზიტზე იმ პირებმა, რომლებმაც საქონელი ოქრომჭედლის მევალეებს მიჰყიდეს. მიღების შემდეგ აქტივში არსებული ფული, ისევე როგორც დავალიანება, 1900 მონეტამდე გაიზარდა.

ეტაპი IV. ახლა ბანკს შეუძლია კვლავ გაასესხოს ფული. ოქრომჭედელი ფლობს 1900 ოქროს მონეტების ღირებულების აქტივებს. იმისათვის, რომ იგი თანახმად თავისი პრინციპის, მოიქცეს და დააკავოს მიღებული თანხის 10 პროცენტი. მან უნდა შეინახოს 190 მონეტა. ეს ნიშნავს, რომ მას შეუძლია გაასესხოს დარჩენილი 810 ოქროს მონეტა.

ეტაპი V. როცა ეს ნაღდი ფული კვლავ ჩაიდება დეპოზიტში, ხაზინაში შენახული იქნება 1000 მონეტა, და ამ გზით დეპოზიტებისა და დავალიანებების თანხას 2710 მონეტამდე გაზრდის.

ეტაპი VI. დეპოზიტების ასეთი ოდენობისას ოქრომჭედელი, რათა შეინარჩუნოს დადგენილი 10 პროცენტი რეზერვი, ნაღდად უნდა ფლობდეს 271 მონეტას. ამრიგად, მას შეუძლია გასასესხებლად გადადოს შემდეგი 729 მონეტა.

ეტაპი VII. როცა მთლიანად ახალი სესხი გახდება დეპონირებული. ის ხალხი, რომლებმაც იგი მიიღეს, ნაღდი ფულის დეპოზიტს გაზრდის 1000 მონეტამდე, ხოლო დეპოზიტებისა და ანაბრების ჯამი 3439 —მდე გაიზრდება. დეპოზიტებისა და სესხების ოდენობის მაქსიმალური ზრდა შემოსაზღვრულია იმ ფულის ოდენობით, რომელიც ტრიალში იმყოფება (ამ შემთხვევაში 1000 მონეტა) და ბანკის აქტივებით მაქსიმალური საკრედიტო ექსპანსია შეიძლება გამოითვალოს შემდეგი მაგალითის გამოყენებით:

- სრული საკრედიტო ექსპანსია = მიმოქცევაში არსებული ფული x ბანკის კრედიტის მამრაველზე, რომლის დროსაც:
- ბანკის კრედიტის მამრაველი = (1 / საბანკო რეზერვის მაჩვენებელი).

მოცემულ მაგალითში რეზერვის მაჩვენებელი უდრის 1:10 (10 პროც.). ამრიგად, სრული საკრედიტო ექსპანსის მიღწევა შესაძლებელია საბანკო სისტემის დროს, რომელიც წარმოდგენილ მოდელში უდრის 1000 × (1/0,1) = 10.000

რობორ ფარმოსდგება რეალურად საბანკო კრედიტი?

ზემოთ წარმოდგენილი მოდელი არის ძალზე გამარტივებული. სინამდვილეში დამატებით საქმე გვაქვს შემდეგ მოვლენებთან:

1. გაპროცენტება. ბანკების მოგებას შეადგენს ის განსხვავება, რომელიც წარმოიქმნება ნასესხები თანხის ანუ „შემოსაელის" გაპროცენტებით შემოსულ თანხასა და დეპოზიტორებისათვის მიცემულ პროცენტებს, ანუ „ხარჯებს" შორის. რაც უფრო მეტია დეპოზიტი, მით მეტ მოგებას მიიღებს ბანკი, ცხადია იმ პირობის დაცვით, რომ შემდგომში შესძლებს ნასესხები თანხის გადახდას. პროცენტების მიღების საშუალება ადამიანებს სტიმულს აძლევს დაზოგონ თანხები, ხოლო სესხის ამღებებს კი აიძულებს დროულად გაისტუმრონ სესხი.
2. სესხის ამღებების მოძებნა არ არის ადვილი. ბანკებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გაზარდონ ფულის მიწოდება, თუკი ისინი შენიშნავენ, რომ არსებობს ბევრი კარგი პროექტი, რომელთა დაფინანსებისათვისაც ღირს სესხის გამოყოფა. ეს ხდება კარგი კონიუნქტურის პერიოდში.
3. არსებობს ბევრი ბანკი. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ბანკის მიერ შეიძლება გაღებული სესხების დეპონირება სხვა ყველა ბანკის ანგარიშებზე. საბოლოო ეფექტი ცხადია იგივე იქნება.
4. ნაღდი ფულის გაჟონვა. დავუშვათ, რომ მთელი ნასესხები ფული ბანკს უკან დაუბრუნდა. სინამდვილეში ნაღდი ფულის ნაწილი კერძო პირების ჯიბეში დარჩა. ეკონომისტები ამ მოვლენას უწოდებენ ნაღდი ფულის გაჟონვას — რაც უფრო მეტია ნაღდი ფულის გაჟონვა, მით უფრო შეზღუდულია ბანკების მიერ ფულის შექმნის შესაძლებლობა.

ფონასფორობა თუ რენტაბელობა?

ბანკირები ფულის გასესხებით შოულობენ ფულს. ამიტომ ისინი სესხების ნუნების ქვეშ მუშაობენ. რაც უფრო მეტი რაოდენობის ნასესხები ფულია, მით უფრო მეტია პოტენციური მოგება. ამასთან, რაც უფრო მეტს სესხულობენ, მით მეტ ხათაბალაში ვარდებიან ფულის დენადობასთან დაკავშირებით. ეს პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როცა აღმოჩნდება, რომ ბანკები არა ფლობენ საკმარისი რაოდენობის ფულს გადახდისათვის ყოველდღიურ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

საბანკო საქმე რისკთან არის დაკავშირებული; რაც უფრო ნაკლებია ნაღდი ფულის რეზერვი აქტივებთან შედარებით, მით უფრო რენტაბელურია ბანკის მუშაობა, მაგრამ, ამავე დროს, უფრო სარისკოა. მოგების მოტივი და სიფრთხილის დაცვის მოთხოვნილება ბანკირებს ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებებისაკენ უბიძგებს. ალბათ ამით შეიძლება აიხსნას ის უცნაური მოქცევა იმ ბანკებისა, რომლებიც გარკვეულ პერიოდებში ფულს ასესხებენ არასაინტერესო და არათავაზიან საწარმოებსა თუ ქვეყნებს, ხოლო ყველა სხვას კი უარს ეუბნებიან მხარდაჭერაზე. თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითში რეზერვების შეფარდება აქტივების მიმართ იქნებოდა 5 პროცენტის ტოლი (1:20), შესაძლებელი იქნებოდა ორჯერ მეტი სესხის გამოყოფა ერთი და იმავე რაოდენობის ფულის გამოყენებით,

ორი რამ შეიძლება აღმოჩნდეს არახელსაყრელი ბანკისათვის:

1. ბანკები ხაკმაოდ არ აფასებენ პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებულ რისკს — ამიტომ ხშირად ხდება ხოლმე, რომ ფულის მსესხებელ ადამიანებს არა აქვთ შესაძლებლობა დააბრუნონ ნასესხები თანხა.
2. მეტად ბევრი დეპოზიტორი ცდილობს ერთსა და იმავე დროს დაიბრუნოს ფული. თუ ასეთ შემთხვევაში ბანკს მხოლოდ რეზერვი გააჩნია, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მას არა აქვს საკმარისი რაოდენობის ფული, რათა გადაუხადოს ყველა იმ ადამიანს, ვისაც სურს მისი დაბრუნება. ასეთი იყო სიტყვა „ბანკროტობის“ თავდაპირველი მნიშვნელობა.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში ბანკს შეეძლო აქონოდა 10.000 მონეტა დეპოზიტში, 1000 მონეტა ნაღდი ფულის არსებობის პირობებში. რაც უფრო მეტია დეპოზიტებისა და ნასესხები თანხების ღირებულება ბანკში არსებულ ნაღდ ფულთან მიმართებაში, მით უფრო მეტია გაკოტრების რისკი. რაც უფრო მეტ ფულს სესხულობს ბანკი, მით უფრო მეტის მოგება შეუძლია. ამრიგად, საბანკო საქმეში არსებობს მნიშვნელოვანი დილემა უსაფრთხოებასა და რენტაბელობას შორის.

საბანკო საქმის განვითარების ადრეულ სტადიებზე ბანკების გაკოტრება პატარა ქალაქებში იშვიათი არ იყო. ეს ხდებოდა ან იმის გამო, რომ ფულს სესხულობდნენ არაპერსპექტიულ სამეურნეო წამოწყებებში, ან სესხულობდნენ მეტისმეტად ბევრს და არ შეეძლოთ მოთხოვნისთანავე გადაეხადათ.

თუ ხდება რაღაც, რაც ბანკის მიმართ ეჭვს გამოიწვევს, მსწრაფლ წარმოიქმნება პანიკა და ყველა დეპოზიტორი ცდილობს მალე უკან

დაიბრუნოს ფული, თორმე შემდეგ შესაძლოა დაგვიანდეს. ასეთ შემთხვევაში ბანკი იხურება. ვერც ერთი ბანკი ვერ გაუძლებს ასეთ ხიტუაციას მთავრობის დაუხმარებლად. ამრიგად, სამთავრობო რეგულაცია რომელიც შეეხება საბანკო საქმეს, არის შემდგომი პრობლემა, რომელიც ჩვენ ახლა უნდა ავხსნათ.

მთავრობა არეგულირებს საბანკო საქმიანობას.
მთავრობა არეგულირებს ბანკების საქმიანობას, რათა:
— თავიდან აცილოს ბანკებს გაკოტრება;
— დაწესოს ფულის მიწოდების კონტროლი;
— შეზღუდოს ენება, რომელიც გამოწვეულ იქნება ბანკების პრობლემებით; თუ ბანკი იძულებული გახდება დაიხუროს, ამან შესაძლოა დიდი დარტყმა მიაყენოს კარგად მომუშავე საწარმოებსაც.

ბევრი მთავრობა რეგულირების შემდეგ მეთოდებს იყენებს:

1. მოითხოვს იმისა, რომ ბანკებმა შეინარჩუნონ მინიმალური შეფარდება რეზერვისა აქტივების მიმართ, რასაც შეუძლია დაიცვას ბანკი მეტისმეტად დიდი რისკის გაწევისაგან. ეს არის ნათელი და გონიერული ზემოქმედება თავისუფალ ბაზარზე.

2. ანგარიშგებისა და ბუღალტერიის სტანდარტების დაცვა; თუ ორგანიზაციას სურს იფუნქციონიროს, როგორც ბანკმა, მან ეს სტანდარტები უნდა დაიცვას.

3. ცენტრალური ბანკი, რომელიც მოქმედებს როგორც ყველა ბანკის მაკონტროლებელი ორგანო და ყველა იმ ბანკებს, რომლებიც სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ, სთავაზობს დახმარებას. ცენტრალურ ბანკს ხშირად უწოდებენ „უკანასკნელ მაშველ რგოლს“, ვინაიდან მას შეუძლია გამოუყოს კრედიტები სხვა ბანკებს. ისეთ ხიტუაციაში, როცა სხვას არაეის შეუძლია შიშით ამის გაკეთება. ბანკი შესაძლოა იყოს ყოველმხრივ ნორმალურ მდგომარეობაში, მაგრამ როცა ხალხში განგაში ატყდება, მას შეუძლია ამგვარი რეაგირება მოახდინოს. თუ ეს ასე მოხდება, ცენტრალურმა ბანკმა ხალხის ცნობიერებაში უნდა განამტკიცოს აზრი, რომ დაეხმარება იმ ბანკს, რომელიც ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა.

4. ფულის მიწოდებაზე კონტროლი — ეს პრობლემა განხილულ იქნება მე—10 განყოფილებაში.

5. საპროცენტო განაკვეთი — ცენტრალურ ბანკს, როგორც წესი, დადგენილი აქვს საპროცენტო განაკვეთი, რომლის მიხედვითაც დანარჩენ ბანკებს შეუძლიათ შეიტანონ მასში ფული. ამრიგად, ბანკიდან უფრო დაბალი პროცენტით ფულის გამოტანა, შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ბანკებს ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა ცენტრალურ ბანკში დეპოზიტზე სწორედ ასეთი პროცენტით შეიტანონ. მთავრობის მიერ მოზიდული სესხები უნდა იყოს ზუსტად კოორდინირებული ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთთან, რათა არსებობდეს შესაბამისობა ფინანსური პოლიტიკის ამ ბერკეტებს შორის.

ბანკები პოლონეთში

პოლონეთის ბანკებმა უნდა გაიარონ ჯერ კიდევ დიდი გზა, ვიდრე მათ შეეძლებათ შეასრულონ ის როლი, რომელსაც მათ საბაზრო ეკონომიკა აკისრებს.

ამ ქვეყანაში საგადასახადო სისტემა და კლიენტთა მომსახურების დონე ჯერ კიდევ დაბალია: არსებობს ბანკებში მსოფლიო გამოცდილების გამოყენების პროექტები, მაგრამ მათგან ეფექტი კი ჯერჯერობით არ ჩანს. ერთ—ერთი პრობლემა ის არის, რომ მრავალი საზღვარგარეთული ბანკი უფრო იმით არის ძალზე დაინტერესებული, რომ დაიბრუნოს კომუნისტების მმართველობის დროს პოლონეთისათვის სესხად მიცემული ფული, ვიდრე პოლონეთის განვითარების პრობლემებით. ამჟამად არსებობს კონკურენცია მცირე კერძო ბანკებსა და მრავალრიცხოვან საწარმოებს შორის, რომელთათვისაც საბანკო მომსახურების ანაზღაურება ისე ძნელია, რომ მოკლე ხანში მდგომარეობა რადიკალურად უნდა შეიცვალოს.

გაფრთხილების სიტყვა

პოლონეთში კერძო ბანკები ახალი საქმეა, ამიტომ მკითხველი ძალზე უნდა გაფრთხილდეს მათთვის თავისი დანაზოგის მინდობისას. აქ უდიდესი გასაქანი აქვს თაღლითობასა და კორუფციას. ჯერ გადაწყვიტე, პოლიტიკური მოტივების ძალით დაუშვებს თუ არა მთავრობა იმ ბანკის გაკოტრებას, რომელშიც გადაგიწყვეტია შენი დანაზოგების მოთავსება. თუ ბანკს გახსნილი აქვს მილიონობით ანგარიში, შესაძლოა მას ხელისუფლებამ აღმოუჩინოს დახმარება, რადგანაც პოლიტიკოსები ძალიან უფრთხილდებიან ამომრჩეველთა ხმებს. ხოლო თუ ბანკი მხოლოდ რამდენიმე ათას მეანაბრეს ემსახურება, იგი კრიზისულ სიტუაციაში შეიძლება მარტოდ მარტო აღმოჩნდეს და გაკოტრდეს.

შეკითხვები განსჯისათვის:

7.1. როგორი იქნება ბანკის კრედიტის პროცენტი, თუკი საჭიროა ამ ბანკში რეზერვების შეფარდება აქტივებისადმი 50 პროცენტი იყოს, ხოლო ბანკი ემსახურება 100 კლიენტს?

7.2. დანაზოგების როგორი ყოველთვიური თუ წლიური პროცენტი შეიძლება დაადგინოს ბანკმა იმ რაიონში, სადაც თქვენ ცხოვრობთ? რა მეთოდებით იბრძვიან ბანკები ანაბრებისათვის კონკურენციის პირობებში?

7.3. რა მთავარი ფუნქციები და დამახასიათებელი თვისებები აქვს ფულს? შეუდარეთ ამ თვალსაზრისით დოლარი და ზლოტი. რა ცვლილებები შეიმჩნევა მათ ურთიერთობაში ბოლო წლების განმავლობაში?

8

საბაზრო ინსტიტუტები

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოქმედებს ზოგიერთი ისეთი მნიშვნელოვანი დაწესებულება, რომელთაც ანალოგი არ მოეძებნებოდათ კომუნისტური ეკონომიკის პირობებში. ამ თავში გაანალიზებულია მათი მუშაობის ძირითადი პრინციპები.

ბირჟები, აქციები და პრივატიზაცია

აქციები არის ფირმის საკუთრების დაყოფა მცირე ნაწილებად, რომელთა შესყიდვაც შეიძლება და გაყიდვაც. ბირჟები ის დაწესებულებებია, რომელთა შუამავლობითაც ადამიანებს შეუძლიათ სხვადასხვა ფირმის აქციების ყიდვა-გაყიდვა. ბირჟები ემსახურებიან:

- სააქციო საზოგადოებებს, რომელთაც სურთ ფულის მოგროვება თავიანთი მეპატრონეებისათვის, სხვა ადამიანებისათვის აქციების მიყიდვის გზით. ფულადი სახსრების მოზიდვის ამ მეთოდს აქციების ემისია ეწოდება;
- ადამიანებსა და დაწესებულებებს, რომელთაც სურთ ინვესტიციების ჩადება ამა თუ იმ ეკონომიკურ წამოწყებაში აქციების შესყიდვით;
- ბიზნესით დასაქმებულ ადამიანებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან აქციების ემისიასა და მის ბრუნვასთან (როგორც წესი, დიდი ანაზღაურების საფასურად).

აქციების ემისია

თუ საწარმოს მფლობელს სხვა ადამიანებისათვის ან დაწესებულებისათვის მისი ნაწილის მიყიდვა სურს, იგი იღებს გადაწყვეტილებას აქციების ემისიის შესახებ. ეს რთული პროცესია იურიდიული თვალსაზრისით და მოითხოვს დაწვრილებითი ინფორმაციის გამოქვეყნებას საწარმოს მუშაობის შესახებ; მას კი სჭირდება მაკლერებისა და კონსულტანტების დიდი შრომა და გულისხმიერება. აქციების შეძენის მსურველნი ამას აკეთებენ ან განცხადებების საფუძველზე, ან სარგებლობენ მაკლერის შუამავლობით.

რატომ ყიდულობენ ადამიანები აქციებს?

ადამიანები აქციებს ყიდულობენ მრავალი მიზეზის გამო:

1. დარწმუნებული არიან, რომ მათი ფასი გაიზრდება.
2. სურთ მიიღონ დივიდენდი,—ფირმის ფულადი სახსრები, რომლებსაც უხდიან აქციონერებს საქციო კომპანიის მმართველობის საშუალებით იმის შესაბამისად, თუ როგორი წარმატებები აქვს ფირმას.
3. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სააქციო საზოგადოებათა აქციები გრძელვადიანი ინვესტიციების საუკეთესო საშუალებაა, ვინაიდან კარგად მოშუშავე ფირმები მოგებას ყოფენ აქციონერებს შორის და ვითარდებიან. ამავე დროს აქციონერები ენევიან გარკვეულ რისკს, რადგან თუ სააქციო კომპანია გაკოტრდა, ისინი დაკარგავენ მისთვის მიცემულ მთელ თავის დანაზოგს. ადამიანებს, რომლებიც ასეთი რისკის გაწევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ, უფრო მეტი ფულადი შემოსავლის მიღების იმედი აქვთ, ვიდრე ფულის ბანკში შეტანის დროს.

აქციები, რომლებიც ბირჟაზე ბრუნავს, არ არის ემისიის შედეგად წარმოქმნილი ფასიანი ქაღალდები, არამედ განეკუთვნებიან მეორად ბაზარს. ფული, რომელსაც იხდის მასში ინვესტორი, გაელენას ახდენს არა ამ აქციების გამომშვები ფირმის ანგარიშზე, არამედ მოცემულ მომენტში ამ აქციების მფლობელის ანგარიშზე.

რა ღირს აქცია?

აქცია ღირს ზუსტად იმდენი, რამდენადაც შეიძლება მისი გაყიდვა. მათი ფასი იცვლება ყოველდღიურად. არსებობს მრავალი არცთუ დამაჯერებელი თეორია ამ მოვლენის ასახსნელად.

თეორია 1. ძირითადი ღირებულება. ინვესტორთა მრჩეველები ხშირად იმეორებენ, რომ აქციის საბაზრო ღირებულება სრულიადაც არ არის მისი ჭეშმარიტი ღირებულების შესატყვისი და ამით მათ აღუძრავენ სურვილს მონაწილეობა მიიღონ მისი ყიდვა-გაყიდვის პროცესში. თუ კი ასეთი აზრი არის გონივრული და დასაბუთებული, აქციის საბაზრო ფასი უნდა ექვემდებარებოდეს ცვლილებებს, და მაშინ ეს უკვე აღარ არის სიმართლე (იგი ნამდვილად აღარ არის სიმართლე უკვე მაშინ, როდესაც მაკლერი თავის კლიენტს წერილობით რეკომენდაციებს უგზავნის).

- მაგალითად, „კოკა-კოლა“ შესანიშნავი ფირმაა, რომელიც გემრიელ, ტკბილ წვენებს ყიდის დიდ ფასად. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მისი აქციების შესყიდვა ფულის ინვესტიციის კარგი საშუალება იქნებოდა? სრულიადაც არა, ვინაიდან „კოკა-კოლას“ აქცია ძალიან ძვირია, სახელდობრ, იმის გამო, რომ ფირმა მაღალრენტაბელურია.

აქციის რეალური ღირებულება შეიძლება შეეაფასოთ ნაღდი ფულის მოსალოდნელი შემოდინებითა და ფირმის რენტაბელობით. ვინაიდან მომავალი ძალზე გაურკვეველია, აქციის ნამდვილი ღირებულების განსაზღვრაც ძალზე ძნელია. აქციის ნამდვილი ღირებულება რომ ცნობილი იყოს, არასოდეს არავინ არ მოინდომებდა მათ გაყიდვას, როდესაც ფასი იქნებოდა მეტისმეტად დაბალი და მის შესყიდვას, როდესაც ფასი იქნებოდა მეტისმეტად მაღალი. აქციის რეალური ფასის დადგენა შეუძლებელია.

თეორია 2. ეფექტიური ბაზრის ჰიპოთეზა. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ყოველი მისაწვდომი ინფორმაცია გამოიხატება ფასით, ასე, რომ აქციის ფასების მერყეობა შეიძლება აიხსნას ახალ-ახალი ინფორმაციის გამოჩენით. აქედან გამომდინარეობს, რომ გამორიცხულია გონივრული ინვესტიციები, ვინაიდან ინვესტორს არა აქვს ის ინფორმაცია, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია ბაზრამდე. თუ ეფექტური ბაზრის ჰიპოთეზა სინამდვილეს შეესაბამება, ფასები არასოდეს არ არის მეტისმეტად მაღალი ან მეტისმეტად დაბალი.

თეორია 3. სილამაზის კონკურსი. საბირჟო ღირებულება განისაზღვრება იმგვარადვე, როგორც სილამაზის კონკურსის შედეგები გაზეთებში, რომლებშიც მკითხველები პყვებიან, თუ ფოტოზე წარმოდგენილი რომელი გოგონა იქნება კონკურსში გამარჯვებული. იგი, ვინც გამოიცნო ყველაზე ლამაზი ქალიშვილი, დაჯილდოვდება იმიტომ, რომ მან სწორად გამოიცნო ის, თუ სილამაზეზე რა შეხედულება ჰქონდათ სხვებს. ბაზარზე თუ რამეს უნდა მიექცეს ყურადღება, ეს ის არის, თუ რას ფიქრობენ და აკეთებენ სხვა ადამიანები. თუ ხვალ ყველა გაიფიქრებს, რომ ორბისის** აქციები ზეგ კარგი ბიზნესის საგანი იქნება, მაშინ გონივრულია მათი ყიდვა უკვე დღეს, თუნდაც მიგაჩნდეს, რომ ფირმას არ მართაველ კარგად და დაბალრენტაბელურია.

მოლოდინი

ეკონომისტებს ბევრი დრო აქვთ დაკარგული იმაზე კამათში, თუ როგორ ყალიბდება ადამიანების მოლოდინი მომავლისადმი. ცხადია, მოლოდინი უაღრესად არსებითია ფინანსურ ბაზარზე მოქცეისათვის, მაგრამ არავის არ შეუძლია უშეცდომოდ განსაზღვროს, თუ როგორ ისახება და ყალიბდება იგი. ჯონ მეინარდ კეინსიც ასევე გვაფრთხი-

---

* ეს თეორია პირველად ფორმულირებული იყო ჯონ კეინსის, ძალზე გაელენიანი კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის მიერ, რომელმაც დიდი ხიმღიდრე შეიძინა ბირჟაზე თამაშით და საკმაო გავლენა მოახდინა სამთავრობო პოლიტიკაზე.

** პოლონური ტურისტული ფირმა.

ლებს, რომ არაფერი არ არის ისე საშიში, როგორც „რაციონალური პოლიტიკა არარაციონალურ სამყაროში“. ეს გაფრთხილება მკითხველსაც ეხება.

ბირჟების როლი

ბირჟის მუშაკები ამტკიცებენ, რომ ბირჟა ფუნდამენტალურ როლს ასრულებს ინვესტიციების გაცილებით უკეთესად და შედეგიანად გამოყენების საქმეში. მაგრამ ბირჟაზე განხორციელებული მეტი წილი ოპერაციებისა დაკავშირებულია აქციების მეორადი ბაზრის მომსახურებასთან, საიდანაც იშვიათად ხდება კაპიტალი წარმოებაში. აქციონერები ფირმებს ფულს მხოლოდ მაშინ აძლევენ, როდესაც ისინი ახალ აქციებს გამოუშვებენ;

ბირჟის მნიშვნელობა ემყარება იმას, რომ იგი კაპიტალიზმის სიმბოლოა, ოღონდ არ შეიძლება მისი მეტისმეტი გადაჭარბებით შეფასება. დასავლეთის მცხოვრებთა უმეტესობას არასოდეს არავითარი კონტაქტი არ ჰქონია ბირჟასთან და არც აქციები ჰქონია, გამონაკლისი შეიძლება იყოს მონაწილეობა საპენსიო ფონდის სისტემის შექმნაში.

სადაზღვევო და საპენსიო ფირმები ბირჟების მთავარი ინვესტორებია. საპენსიო ფონდი იქნება ყოველთვიურად. იგი აღმიანებს ექვითებათ შრომითი შემოსავლებიდან მთელი მათი შრომითი საქმიანობის მანძილზე, ეს ფული შემდეგ ბანდდება აქციებში, უძრავ ქონებასა და სხვადასხვა სესხებში. ეს ინვესტიციები გამოიყენება პენსიების გასაცემად. ვინაიდან იმ ბიზნესმენების მოღვაწეობა, რომლებიც საპენსიო ფონდის დაფინანსების წყაროების შექმნაზე ზრუნავენ, უზრუნველყოფს ადამიანებისათვის უშფოთველ სიბერეს, მათ კარგი თვალით უყურებენ მთავრობები და ათავისუფლებენ გადასახადებისაგან ან არსებით შეღავათს ანიჭებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ საპენსიო შენატანები ფულის დაზოგვის ძალზე სასარგებლო ფორმაა, ხოლო საპენსიო ფონდი მიეკუთვნება ყველაზე მსხვილ ინვესტორს ბირჟაზე.

ინვესტიციის სხვა არხები

იმ სახსრების ინვესტიცია, რომლებიც ფირმების განუყოფელი მოგებიდან იქმნება და რომელთა კოტირებაც ბირჟაზე არ ხდება, უდიდეს როლს ასრულებს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით გერმანიაში. გერმანელებს სრულყოფილად მოქმედი ეკონომიკა აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში არ არის აქტიურად მოქმედი ბირჟები.

მთავრობის ინვესტიციებს ისეთ სფეროებში, როგორიც ინფრასტრუქტურა და განათლებაა, აქვთ უდიდესი მნიშვნელობა მეტწილ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

არსებითი განსხვავება საბაზრო ეკონომიკასა და გეგმიურ ეკონომიკას შორის ის არის, რომ გადაწყვეტილება ინვესტიციების შესახებ მიმართულია კერძო სექტორისაკენ. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ეს ფული მოპოვებულია აქციებისა და ბროკერების მეშვეობით, მთავარია ის, რომ სადღაც არსებობს კერძო მფლობელი, რომელიც უშუალოდ არის დაინტერესებული იმით, საწარმო მოიპოვებს წარმატებას, თუ გაკოტრდება და მზად არის იზრუნოს იმისათვის, რომ ინვესტიციები წყალში გადაყრილი არ აღმოჩნდეს.

დივიდენდები და ინვესტიციები

გრძელდება დავა იმის შესახებ, თუ რა კარგ ან ცუდ გავლენას ახდენს საბირჟო ოპერაციები ქვეყნის ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ კერძო საწარმოები გაცილებით უკეთ მუშაობენ, ვიდრე გეგმიური ეკონომიკა, ზოგიერთი ეკონომისტი აღნიშნავს ბირჟის მუშაობის რამდენიმე ასპექტს, რომლებიც ეკონომიკის მოქმედების საზიანოდ მიაჩნიათ. თუკი ეს მართალია, მაშინ ეს არის მნიშვნელოვანი საყურადღებო, თუმცა ლიბერალურ საზოგადოებაში ცნობილი არ არის, თუ რითი შეიძლება მისი შეცვლა. არ არსებობს აშკარად ალტერნატიული გამოსავალი, რომლის არჩევაც შესაძლებელი იქნებოდა.

ზოგიერთი ეკონომისტი მკაცრად აკრიტიკებს იმ ფაქტს, რომ ბირჟა ზემოქმედებას ახდენს ფირმის მმართველობასა და საპენსიო ფონდზე. თუ ფირმა ცუდად ფუნქციონირებს, ანდა იხდის დაბალ დივიდენდებს, მისი აქციების ფასი ეცემა და მასაც ადვილად დაეპატრონება სხვა ფირმა მისი აქციების 51 პროცენტის შესყიდვით. ასეთ შემთხვევაში შესყიდული ფირმის მენეჯერები ხშირად ჰკარგავენ სამუშაოს. ამიტომ ისინი ცდილობენ თავიდან აიცილონ ისეთი სიტუაცია, როცა აქციონერებს ძალიან დაბალ დივიდენდებს უხდიან. თავის მხრივ, თუ საპენსიო ფონდის მმართველი შენიშნავს, რომ ფირმა, რომლის აქციებიც ფონდმა შეიძინა, არც თუ ისე კარგად მუშაობს, როგორც წესი, იღებს გადაწყვეტილებას აქციების გაყიდვის შესახებ; მას სულაც არ აწუხებს ამ ფირმის მომავალი.

მენეჯერები ცდილობენ არ დაუშვან საკუთარი ფირმის აქციების უმრავლესობის უცხოების მიერ შესყიდვა, და ცდილობენ მიაღწიონ მაღალ შედეგებს, რომლებიც უზრუნველყოფს საკუთარი აქციების მაღალ ფასს. ამ შედეგების მიღწევის შემდეგ მათ მოუწევდათ არჩევანის გაკეთება ინვესტიციებსა და დივიდენდების გადახდას შორის.

ისეთ ქვეყნებში, როგორიც დიდი ბრიტანეთი ან აშშ-ია, ტრადიციულად მაღალ დივიდენდებს უხდიან. იქაური ფირმები კი ჩივიან, რომ იმყოფებიან გაცილებით უარეს სიტუაციაში, ვიდრე ანალოგიური ფირმები გერმანიასა თუ იაპონიაში, სადაც აქციონერები

ღებულობენ გაცილებით დაბალ დივიდენდებს, ხოლო ფირმებს საშუალება აქვთ განახორციელონ დიდი თანხების ინვესტირება გრძელვადიან პროექტებში.

არის საფრთხე, რომ საბირჟო ოპერაციებში მონაწილე ფირმათა მმართველები უფრო იზრუნებენ აქციების ფასებზე, ვიდრე თავიანთ კლიენტებზე. თუმცა არსებობს ძლიერი ურთიერთკავშირი ფირმის საქმიანობის ხარისხსა და მისი აქციის ფასს შორის*, სააქციო საზოგადოებათა მმართველები მტკივნეულად განიცდიან იმას, რომ აქციათა ფასი ეცემა გრძელვადიან პროექტებში სახსრების ჩადების მიზეზით. აქციის ღირებულების ხშირი ცვლილებისას ზოგიერთი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ბირჟა არის სპეკულიანტთა და აზარტული თამაშობების მოყვარულთა თავშესაყარი, და არა ის ადგილი, სადაც შეიძლება გრძელვადიანი ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

საპენსიო ფონდების მმართველებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან აქციების შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, ხშირად აკრიტიკებენ, რადგან:

1. მეთოდი, რომლის მიხედვითაც მათ შრომას უნაზღაურებენ, უბიძგებს იზრუნონ მოგების მოკლე პერიოდში მიღებაზე – სამიდან ექვს თვემდე პერიოდში მათ უტარდებათ რევიზია იმის შესასწავლად, თუ რამდენად სწორად აქვთ მიღებული გადაწყვეტილებები ინვესტიციების შესახებ. თუ ამ პერიოდში აქციების შესყიდვამ სარგებლობა მოიტანა, ეს მიჩნეულია მათი მუშაობის წარმატებად. შეიძლება ცნობილ ინგლისელ სპეკულიანტ ჯიმ სლატერთან ერთად დავასკვნათ, რომ „გრძელვადიანი ინვესტიცია, ისეთი მოკლევადიანი ინვესტიციაა, რომელმაც არ გაამართლა“. ინვესტიცია, რომელიც კვირის მანძილზე 50 პროცენტიან მოგებას მოიტანს გაცილებით უკეთესია, ვიდრე ინვესტიცია, რომელიც იგივეს მთელი წლის მანძილზე მოგვცემს. კვირის გასვლის შემდეგ მოგება შეიძლება უსაფრთხოდ დავაბანდოთ ან გამოვიყენოთ შემდგომ ოპერაციაში.
2. არ იქცევიან როგორც ფირმის მფლობელები და ვერ ახერხებენ დაამყარონ მკაცრი კონტროლი ფირმის მუშაობაზე, რომლის აქციონერებიც ისინი არიან. თითქმის ნახევარი აქციების

* შემდეგი პრობლემა, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, არის ის, თუ როგორ შეუძლია კარგ ბუღალტერს ბირჟაზე შექმნას შთაბეჭდილება, რომ მის ფირმაში ყველაფერი წესრიგშია, მიუხედავად იმისა, რომ ეს სრულიადაც არ არის ასე. ამრიგად, ბირჟამ შესაძლოა გადააჭარბოს ზოგიერთი ფირმის შეფასებისას.

მესაკუთრენი ხშირად საპენსიო ფონდები ხდებიან, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ პოულობს საკმარის საბაბს, რათა მცირე დრო მოახმაროს მმართველობის კონტროლის ორგანიზაციას. ამ კონტროლის განხორციელების ერთადერთი ინსტრუმენტია ფირმის მიერ აქციების გაყიდვაზე თვალყურის დევნება, ვიდრე მასზე ფასები დაიწყებდნენ დაკლებას, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ფონდების მმართველები თავისთავზე არ იღებენ უშუალო პასუხისმგებლობას ფირმის მართვისათვის.

პრივატიზაცია

პრივატიზაცია არის პროცესი, რომლის მიზანია მთავრობის მფლობელობაში არსებული და მის კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების გადაცემა კერძო პირების ხელში ანდა კერძო დაწესებულებებისათვის იმ საქმიანობის გადაცემა, რომელსაც აღრე სახელმწიფო ანხორციელებდა. ამ პროცესმა ყველა პოსტკომუნისტურ სახელმწიფოში გაუგებრობა გამოიწვია, რადგან აღრე მათ შორის არც ერთ ქვეყანას არ უცდია ამ პროცესის განხორციელება.

პრივატიზაცია არის ნაციონალიზაციის საპირისპირო მოვლენა. ნაციონალიზაცია ეფუძნება სახელმწიფოს მიერ კერძო ფირმების ხელში ჩაგდებას და შეესაბამება სოციალისტების შეხედულებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს უფრო უკეთ შეუძლია იმოქმედოს საზოგადოების სასარგებლოდ. მთავრობის მოქმედების ზოგიერთი სფერო, მაგალითად ტელეკომუნიკაცია, ფოსტა და ციხეები, მართლაც ყოველთვის სახელმწიფოს მიერ კონტროლდებოდა. თუმცა მათი პრივატიზაციის შესაძლებლობაც არსებობს.

არგუმენტები პრივატიზაციის სასარგებლოდ

1. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ფირმები, როგორც წესი, არაეფექტურია, ვინაიდან მათზე არ მოქმედებს საბაზრო წნეხი, რომელიც აიძულებდა შეემცირებინათ დანახარჯები, ებრძოლათ კონკურენციაში გამარჯვებისა და მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.
2. მთავრობას არ ძალუძს მიიღოს ინვენსტიციების შესახებ სწორი გადაწყვეტილება, ვინაიდან მასზე გაელენას ახდენს პოლიტიკური ფაქტორები.
3. სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ზეგავლენით მთავრობა, როგორც მესაკუთრე, ხშირად იძულებული ხდება დაუსაბუთებლად გაზარდოს როგორც სამუშაო ადგილები, ისე ხელფასები და ასევე დაიცვას ფირმები გაკოტრებისაგან. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აუნაზღაურდეთ მუშაკებს შრომა, ნამდვილად პოლიტიკური პრობლემაა, მაგრამ ამასთან ამ საკითხს უნდა წყვეტდნენ მენეჯერები და ფირმის მუშაკები

და არა ის პოლიტიკოსები, რომლებიც დაინტერესებული არიან მხოლოდ პოპულარობის მოპოვებით და დიდად არ აწუხებთ ეკონომიკის მდგომარეობა და მისი მომავალი.

4. მთავრობა, როგორც მესაკუთრე, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს მწარმოებლის ინტერესების შესაბამისად. მაგალითად, „ლუფთანსს" გერმანიაში მთავრობის მიერ მიცემული აქვს გარკვეული შეღავათები. ინგლისის საავიაციო კომპანია „ბრითიშ აირვეისი", რომელიც, როგორც წესი, ბრიტანეთის მთავრობის საკუთრება იყო, რის გამოც მას მინიჭებული ქონდა გარკვეული პრივილეგიები, ამჟამად პრივატიზებულია და იძულებულია ჩაებას კონკურენტულ ბრძოლაში.
5. პრივატიზაციას მთავრობებისათვის მოაქვს ფული.
6. თუ ადამიანებს აქციების იაფად შეძენის, ხოლო შემდეგ მათი უფრო ძვირად გაყიდვის საშუალება ექნებათ, ამ შემთხვევაში ისინი სწრაფად გამდიდრდებიან და მხარს დაუჭერენ არსებულ ხელისუფლებას.
7. შემცირდება მთავრობის გავლენის სფერო. თუ მთავრობა ფლობს და აკონტროლებს ქვეყნის მთელ ეკონომიკას, მისი ხელისუფლება მოქალაქეებზე გაცილებით ძლიერია, ვიდრე იმ სიტუაციაში, როდესაც საკუთრება მოქცეულია კაპიტალისტების ხელში. კაპიტალისტები არ მოქმედებენ მორალური პრინციპიდან გამომდინარე, მათ უბრალოდ სურთ მოგება მიიღონ, რაც მათგან მოითხოვს ყველა ხელმისაწვდომი ხახსრების ეფექტურ გამოყენებას.*

ეს გარემოება ყველამ კარგად იცის, ვინც თავის თავზე გამოსცდა შრომის მავნე პირობები, თუნდაც განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. თუმცა მთავრობას აქვს კაპიტალისტურ ფაბრიკებში შრომის პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობა, სახელდობრ პრივატიზაციის განხორციელების შემდეგაა შესაძლებელი მათი სამართლებრივი კონტროლი.

პრივატიზაციის პრობლემები ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში

გეგმიური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში პრივატიზაციის განხორციელება არც ისე ადვილია.

1. მრავალი სახელმწიფო საწარმო არარენტაბელურია, რადგან აწარმოებს მოძველებულ პროდუქციას დიდი დანახარჯებით, ხოლო მათი პროდუქციის ძირითადი გამსაღებელი (სსრკ) უკვე გაკოტრებულია. ძნელია იმ ფირმის მყიდველის მოძებნა, რომელსაც მხოლოდ ზარალი მოაქვს.

* ცხადია, კაპიტალიზმი არ არის სრულყოფილი

2. არ არსებობს საბაზრო დაწესებულებები. ვარშავის ბირჟას, სადაც ამჟამად აქციების ყიდვა—გაყიდვა ხდება, არ უარსებია მანამ, სანამ კომუნისტებმა კონტროლი არ დაკარგეს მთავრობაზე,* არ არსებობს ძლიერი საპენსიო ფონდები, რომელთაც შეეძლებოდათ ძვირადღირებული აქციების შეძენა.
3. არ არსებობს სამამულო კაპიტალი, რომელიც შეძლებდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების შესყიდვას. თუმცა ეს არ არის პრობლემის მთავარი მიზეზი. პოლონეთში არსებობს კერძო კაპიტალი, მაგრამ არ არსებობს კაპიტალი დეფიციტური საწარმოების შესასყიდად.
4. არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამართლებრივი ნორმები სახელმწიფო საწარმოთა საკუთრების შესახებ.
5. ფირმების მმართველობა ხშირად ნომენკლატურის ხელშია. ხშირად ეს არის კორუფციის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რაც სახელმწიფო საწარმოთა საკუთრებაში არსებული სახსრების იმ კერძო ფირმებისათვის ლამის ჩალის ფასად გადაცემის შედეგია, რომლებსაც ამ საწარმოს მენეჯერები მართავენ. სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელები ხშირად იყენებდნენ ამ სტრატეგიას საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის. ნამდვილად გულდასაწყვეტია ის გარემოება, რომ უცხოური კაპიტალისაგან თავდაცვის მიზნით ბევრმა საწარმომ ხელიდან გაუშვა შანსი, რომ მმართველად მოეწვია კომპეტენტური სპეციალისტი. ამ გზით შესაძლებელი იყო თავიდან აეცილებინათ ის არაკომპეტენტური და უცოდინარი ხელმძღვანელები, რომლებიც ამ თანამდებობებზე მხოლოდ ნომენკლატურასთან თავიანთი ახლო კავშირების წყალობით მოხვდნენ.
6. არსებით მნიშვნელობას იძენს პოლიტიკური ფაქტორები. როგორც ჩანს, პრივატიზაციას მოსდევს მრავალი მუშაკის განთავისუფლება. ხშირად სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელები თავიანთ მუშაკებს ჰპირდებიან ბინებს, იაფფასიან საგზურებს და სხვა წყალობას, ამიტომ გასაგებია, თუ რა სოციალური ატმოსფერო შეიქმნება საზოგადოებაში, როდესაც ამ საწარმოს პრივატიზაცია მოხდება და მის მუშაკებს სამუშაო ადგილის დაკარგვა დაემუქრება.
7. აუცილებელია გარკვეული მარეგულირებელი ღონისძიებების მიღება. ისეთი არარენტაბელური საწარმოების მუშაობა, როგორებიც არის „ორბისი“ თუ „ლოტი“, აუცილებლად

* სხვათა შორის, ეს ბირჟა განთავსებულია პოლონეთის მუშათა გაერთიანებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში. ეს კომპრომისი შენობა ხხრკ-მ აუშენა საჩუქრად პოლონეთს. (მთარგ.)

მოითხოვს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომელთა შედეგად მოსახლეობა დაცული იქნება მათი მონოპოლიური მდგომარეობისაგან.

8. პრივატიზაციის განხორციელება საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან მასში დასაქმებული არიან საინვესტიციო ბანკებისა და საკონსულტაციო ფირმების თანამშრომლები, რომლებსაც მაღალი ხელფასები აქვთ. პოლონეთის მთავრობას არა აქვს ასეთი დიდი თანხები. ძალზე ხშირად პრივატიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები აღემატება სახრივატიზაციო ობიექტების ღირებულებას*.

იმ ფაქტმა, რომ სახელმწიფო საწარმოები ამ წიგნის დაწერის მომენტში უკიდურესად არარენტაბელური იყო, აიძულა პოლონეთის მთავრობა გაეყიდა მრავალი სახელმწიფო საწარმოს აქციები.

ჩანს, ისევე როგორც პოლიტიკის სხვა სფეროებში, აქაც ვერ გამოინახა სხვა შესაძლო გონივრული გამოსავალი. თუ აქციონერთა ხელისუფლება რეალური იქნება, მეწარმენი შეიძენენ აქციებს ხალხისაგან, რათა შეძლონ პრივატიზებულ ფირმებზე კონტროლის განხორციელება; ამის შემდგომ გაყიდიან სხვადასხვა რესურსებს, გაანთავისუფლებენ მუშაკებს და შესაძლოა გამოაცხადონ გაკოტრებაც. თუ მიღებული ზომები კერძო პირებს ვერ მისცემს ნამდვილ მესაკუთრულ უფლებებს, საწარმოს მომავალი მთავრობის ხელში დარჩება, ანუ არ მოხდება ჭეშმარიტი პრივატიზაცია.

პრივატიზაციის სახეები

არსებობს პრივატიზაციის სხვადასხვა მეთოდები. პოლონეთში პრივატიზაცია დაფუძნებულია უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო საწარმოების კერძო სექტორისათვის გადაცემაზე.

კონტრაქტების გაფორმება

მთავრობა თხოვნით მიმართავს კერძო ფირმებს, რათა მათ შეასრულონ ის სამუშაოები, რომლებსაც სახელმწიფო სექტორის მუშაკები ასრულებენ. მთავრობას შეუძლია გადაუხადოს კერძო ფირმებს, მაგალითად, ქალაქის დასუფთავებისათვის, საცხოვრებელი სახლების გათბობისათვის და ა.შ. მაგალითად, ფრანგულ ფირმებს მაღალი შემოსავალი აქვთ დიდი ბრიტანეთის ქალაქებში დასუფთა-

* პოლონეთში პრივატიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯები მნიშვნელოვანწილად დაფარეს სხვადასხვა ხაზღვარგარეთულმა ფონდებმა. მკითხველს უფლება აქვს მკითხოს თავის მთავრობას, თუ რაში გახარჯა ეს თანხები.

ვების სამუშაობის შესასრულებლად კონტრაქტის გაფორმების წყალობით; პრივატიზაციის ამ სახით განხორციელება აუცილებლად მოითხოვს, რომ ამგვარ კონტრაქტებზე კონკურსის გამოცხადების პირობები საქვეყნოდ იყოს გაცხადებული. ასეთ შემთხვევაში თავიდან აცირდებათ საშიშროებას, რომ რომელიმე ფირმამ ქრთამის საშუალებით მიაღწიოს კონტრაქტის დადებას.

კონტრაქტების კონტროლი

არსებობს შესაძლებლობა ვაიძულოთ სახელმწიფო ფირმები იმოქმედონ გაცილებით უფრო ეფექტურად. მათი კომერციალიზაცია შეიძლება დაეყრდნოს იმ მომსახურების ფასიან საფუძველზე გადაყვანას, რომლებიც ადრე უფასოდ გაეწეოდა მოქალაქეებს. ამჟამად ეს მეთოდი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთის ქვეყნებში. ზოგიერთ მათგანში (პოლონეთის მსგავსად) მეცნიერები პარალელურად კონსულტანტებადაც მუშაობენ, რათა გაიზარდონ თავიანთი მწირი შემოსავლები.

თუკი მათი დამსაქმებელი უნივერსიტეტები გადაწყვეტენ, რომ იყვნენ გაცილებით კომერციულნი, ანდა შესძლებენ თავად შესთავაზონ მეცნიერებს ისეთი მომსახურება, რომლის შესრულებაც მათ შეეძლოთ თავიანთ სამუშაო ადგილებზე, ეს სასარგებლო იქნებოდა როგორც მეცნიერებისათვის, ისე ამ სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებებისათვის.

პრივატიზაციას მოაქვს უდიდესი შედეგები; ესინი განხილული იყო ამ თავის დასაწყისში. მაგრამ ამასთან მას აქვს გარკვეული ნაკლოვანებებიც:

1. არასასურველი კომერციული ქცევები. მათი შემჩნევა განსაკუთრებით შესაძლებელია მედიცინასა და მეცნიერების სხვა სფეროებში. ქვეყნებში, სადაც ექიმები გასამრჯელოს იღებენ შესრულებული სამუშაოს რაოდენობის მიხედვით, პაციენტების ოპერაცია ხდება გაცილებით ხშირად და მათ უწერენ უფრო მეტ წამლებს, ვიდრე ეს საჭიროა.
2. გაცილებით იოლია სახელმწიფო საწარმოს გაყიდვა იმ ხიტუაციაში, თუ მას შეუნარჩუნდება გარკვეული მონოპოლიური თვისებები. მიზანი, რომელიც მდგომარეობს ეფექტურობისა და კონკურენციის ამაღლებაში, შეიძლება ასეთ სიტუაციაში დავიწყებულ ან იგნორირებულ იქნას.
3. დემოკრატიის პირობებში პოლიტიკოსების ხარეილმა — მოიხვეჭონ პოპულარობა, შესაძლოა გამოიწვიოს საწარმოთა გაყიდვა უაღრესად დაბალ ფასებში. მოგებას მიიღებენ მხოლოდ ის პირები, რომლებსაც აქვთ საკმარისად ბევრი ფული და

სურვილი ექნებათ გასწიონ ამასთან დაკავშირებული რისკი*

4. **პრივატიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები ძალზე დიდია.** თანხები, რომლებიც უნდა გადაუხადოს მთავრობამ ბანკებს, მაკლერებს და კონსულტანტებს, ძალიან დიდია.

შედეგად ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ პრივატიზაცია ასე არ უნდა მოხდეს.

საინვესტიციო ბანკები.

საინვესტიციო ბანკების მოქმედების სფეროს განეკუთვნება:
—კორპორაციების ფინანსური მომსახურება;
—მთავრობის ფინანსური მომსახურება;
—საბირჟო ოპერაციების განხორციელება და ფონდების განკარგვა;
—საწარმოების მიერთების ორგანიზაცია;
—პრივატიზაცია.

კორპორაციის ფინანსური მომსახურება ემყარება ფირმისათვის ფულის მოპოვებას, როგორც სესხების, ისე აქციების გაყიდვის გზით. დანახარჯები ასეთი ოპერაციის განხორციელებაზე აღწევს ჩვეულებისამებრ ფორმირებული ფონდის 1-2 პროცენტს.ფულის წყაროს, როგორც წესი, წარმოადგენს საპენსიო ფონდი ან ჯგუფი ბანკებისა, რომელთაც კონსორციუმი ეწოდება. მომსახურების ამ სახეს შეიძლება მიმართოს მხოლოდ მსხვილმა ფირმებმა.**

მთავრობის ფინანსური მომსახურება ეფუძნება მისთვის სესხების გამოყოფას. დავალიანებათა კრიზისი 1980-1990 წლებში, რომელიც შეეხო ასევე პოლონეთს, იმის შედეგად წარმოსდგა, რომ ბანკებმა გამოუყვეს სესხები მთავრობებს, რომელთაც არ შეეძლოთ მათი გადახდა.

- ბანკირები ვარაუდობენ, რომ „სახელმწიფო არ შეიძლება დაეცეს" და მათ ეგონათ, რომ ყოველთვის იქნებოდა სესხების (მასთან ერთად, პროცენტების) გადახდის ვადის გადაწევის შეხაძლებლობა იმ დრომდის, ვიდრე ქვეყანა შესძლებდა მის გადახდას.***

---

* ეს არ ნიშნავს, რომ კარგი გადაწყვეტილება იქნებოდა პოლონეთში პრივატიზებული ფირმების აქციების შეხყიდვა; ეს შენიშვნა ეხება განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთს, სადაც თითქმის ყველა ფირმა გაიყიდა გაცილებით ადრე, ვიდრე შემდგომ მათი საბირჟო ფასი დაეცა.

** სარისკო კაპიტალის ინვესტორები მნიშვნელოვან ფონდებს აძლევენ ახლად ფორმირებულ მცირე ფირმებსაც, მაგრამ წვეულებისამებრ მათგან ელიან მოგების დიდ წილს.

*** ეს იყო მცდარი შეხედულება. სხვადასხვა ქვეყნების გადახდისუნარობამ ბანკები გაკოტრებამდე მიიყვანა, ხოლო ქვეყნებს შეეძლოთ დაუწყოთ ახლიდან. ახლა პოლონეთის დავალიანება აფერხებს უცხოელების ინვესტიციების განხორციელებას ამ ქვეყანაში.

- ყველა ბანკირი ერთნაირად იქცევა, ვინაიდან სურს აქონდეს ერთმანეთს შორის სესხების გაცვლის საშუალება და არ სურს, რომ ექსცენტრიკოსად მიიჩნიონ. ეს ნიშნავს, რომ თუ ვინმე გამოუყოფს სესხს ბრაზილიას ან პოლონეთს, სხვა ბანკირები ამ საქციელს მიიჩნევენ სახიფათოდ. ბევრი ეკონომისტის აზრით, ცუდია ბანკები არ არის კარგი ბერკეტი ღარიბი ქვეყნების განვითარების დასაფინანსებლად, მაგრამ სხვა მისაღები ალტერნატივაც არა ჩანს.

საბირჟო ოპერაციები და ფონდების განკარგვა. ფონდების განკარგვა დაკავშირებულია სხვა ადამიანების და საზოგადოების მომსახურებასთან, ჩვეულებრივ მათ სხვადასხვა საქმიანობასა და პროექტებში ინვესტირების გზით. საბირჟო ოპერაციები ემყარება ადამიანებისათვის რჩევის მიცემას აქციების შესყიდვის თაობაზე, ასევე თავად აქციების შესყიდვა-გაყიდვა.

შესაძლოა თაღლითობისაგან თავის არიდების მიზნით მთავრობებმა მოითხოვონ, რომ შუამავლებისა და ფონდების მმართველების საქმიანობა მკაცრად იყოს რეგულირებული და რომ ისინი ასრულებდნენ განსაზღვრულ მოთხოვნებს. მაგალითად, რათა ასეთი მომსახურების უფლება მოიპოვო, საჭიროა სახელმწიფოს სალაროში შეიტანო გარკვეული თანხა.

ხანარმოების მიერთების ორგანიზაცია ეყრდნობა დახმარების გაწევას სხვა საწარმოების შესყიდვასა თუ შემოერთებაში. ე.წ. მტრის მიღება ხდება მაშინ, როდესაც ამ ფირმის ხელმძღვანელობა არაფერზე არ თანხმდება. ასეთი სიტუაცია შესაძლებელია, ვინაიდან საქციო საზოგადოებების მმართველები არ არიან მათი მესაკუთრენი. მაშასადამე ყველა, ვინც შესძლებს დაარწმუნოს განსაზღვრული რაოდენობა აქციონერებისა მიყიდონ მას თავისი აქციები, შესაძლოა გახდეს ახალი მესაკუთრე. საინვესტიციო ბანკები უზრუნველყოფენ სამართლებრივი, ფინანსიური და ტაქტიკური რჩევების მიცემას ფირმებისათვის, რომელთაც სურთ თავი დააღწიონ დიდ ფირმასთან მიერთებას. ბანკებისათვის გადასახადი ამგვარი მომსახურებისათვის არის, როგორც წესი, ძალიან მაღალი, ვინაიდან ჯერ ერთი, აქციონერები არ არიან მენეჯერები, და მეორეც, სხვა ფირმებთან მიერთების მსურველი მმართველობისა თუ ამგვარი ოპერაციებისათვის თავის არიდების მსურველთათვის ამას ისეთ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ სრულიადაც არ აქცევენ ყურადღებას ამ საქმისათვის გაღებულ დანახარჯებს.*

* ძალიან დიდ ფირმებს ზოგჯერ აქვთ საკუთარი იურიდიული განყოფილებები, რომლებსაც შეუძლიათ ამ საქმეთა უმეტესობის განხორციელება. მაგრამ ვინაიდან ამ ფირმის მაღალი დონის ხელმძღვანელები მიშობენ არ დაკარგონ თავიანთი თანამდებობები რომელიმე ფირმის მიერ მათი შეერთების შედეგად, ხშირად ქირაობენ დამატებით მრჩეველებს დიდი თანხების ფასად.

დაზღვევა

საბაზრო ეკონომიკის სისტემაში არსებობს რისკის ბაზარი, რომელზედაც მოქმედებენ სადაზღვეო ფირმები. ამგვარი დაწესებულებები უკვე მოქმედებენ პოლონეთსა თუ სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. სადაზღვეო ფირმები თავის თავზე იღებენ რისკს გარკვეული გასამრჯელოს საფასურად. რაც უფრო მეტია რისკი, მით უფრო მეტია გასამრჯელო. 18 წლის ჭაბუკი, რომელიც მართავს თანამედროვე სწრაფ ავტომანქანას, გადაიხდის გაცილებით მაღალ სადაზღვეო თანხას, ვიდრე 60 წლის მოხუცი, რომელსაც მოძველებული ავტომანქანა ჰყავს.

დაზღვევასთან დაკავშირებულია ორი პრობლემა: მორალური რისკი და არასწორი არჩევანი.

მორალურ რისკს მაშინ ენევიან, როდესაც ადამიანები, დაიზღვევენ რა თავს, იქცევიან სრულიად სხვაგვარად, ვიდრე აქამდე, ანდა ისე, თითქოს საკუთრება სრულიად სხვას ეკუთვნოდეს. პიროვნებამ, რომელმაც დაზღვია ავტომანქანა მოტაცებისაგან, შეიძლება თავი აღარ შეიწუხოს მანქანის უსაფრთხო ადგილას დაყენებაზე. ჩვეულებისამებრ, ადამიანები ნათხოვარ ავტომანქანებს ატარებენ გაცილებით ნაკლები სიფრთხილით, ვიდრე საკუთარს.

არასწორ შერჩევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებას აფორმებენ რისკისადმი გაცილებით მიდრეკილი ადამიანები. ფირმები, რომლებიც აფორმებენ სადაზღვევო ხელშეკრულებას, ვარაუდობენ, რომ გადაიხდიან სადაზღვევო თანხას ძირითადად საშუალო რისკის პირობებში ადამიანების სხვადასხვა საქმიანობისას. ადამიანები, რომელთაც იციან, რომ ისინი გაცილებით უფრო სარისკო საქმესთან არიან დაკავშირებულნი, უფრო ადვილად თანხმდებიან დაზღვევაზე. აქედან გამომდინარე, ის ფირმები, რომლებიც სპეციალიზდებიან ჯანმრთელობის დაზღვევაზე, უფრო ხშირად ახდენენ ადამიანთა ჯგუფებს: მაგალითად, ქარხნის მთელ კოლექტივს, ვიდრე ცალკეულ ადამიანებს. ამ გზით ისინი თავიდან იცილებენ ნეგატიური შერჩევის მომენტებს. ეს პრობლემა სავსებით იქნებოდა გამორიცხული, თუ დამზღვევ ფირმას ექნებოდა ყოველგვარი ინფორმაცია.

კლიენტატორები და იძულებითი მმართველები

კლიენტატორებსა და იძულებით მმართველებს საქმე აქვთ გაკოტრებულ ფირმებთან. გაკოტრება ნიშნავს მიღებული ვალდებულებების გადახდის შეუძლებლობასა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას კრედიტორებისათვის ვალის გადახდის თაობაზე. თუ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ფირმა დგას გაკოტრების წინაშე, ტარდება შემდეგი პროცედურა:

იძულებითი მმართველი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო მოხელეს, მოითხოვს დამფუძნებელთა კრების მოწვევას (მაგ. ბანკების, თანამშრომელთა, მიმწოდებელთა, კლიენტების). კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ დამფუძნებელთა ინტერესებიდან გამომდინარე უკეთესი იქნება, თუ მოხდება ფირმის ლიკვიდაცია, და თუ ფირმა მუშაობას გააგრძელებს იძულებით მმართველთა ხელმძღვანელობით.

იმ შემთხვევაში, თუ უნდა მოხდეს ფირმის ლიკვიდაცია, ლიკვიდატორები იძულებითი მმართველებისაგან იღებენ იმის ნებართვას, რომ გაყიდონ ფირმის კუთვნილი ქონება, რაც შეიძლება მალალ ფასებში. ეს ფული შემდეგ გაიყოფა დამფუძნებელთა შორის სამართლიანად და იურიდიული პრინციპების სრული დაცვით. როგორც წესი, ფირმის ღირებულება არის გაცილებით მაღალი, ვიდრე მისი ძირითადი ფონდების ღირებულებაა, ისეთების, როგორებიცაა საბეჭდი მანქანები, მაგიდები, სკამები და ა.შ. ასეთ შემთხვევაში დამფუძნებლებმა შესაძლოა გადაწყვიტონ, რომ ფულადი სახსრების მოპოვების წყარო გაცილებით გაიზრდება, თუ ფირმა გააგრძელებს მუშაობას იძულებითი მმართველობის ხელმძღვანელობით, მანამდე, ვიდრე არ მოიძებნება ფირმის მთლიანად შესყიდვის მსურველი.

მრეწველობა

ეკონომისტებს შორის მიმდინარეობს კამათი ეკონომიკაში მრეწველობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

ზოგიერთი მათგანი წუხს მრეწველობის როლის შესუსტების გამო და მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მრეწველობა არის:

- მნიშვნელოვანი დარგი ვაჭრობისათვის — ვინაიდან სამრეწველო საქონელი უფრო დიდ ადგილს იკავებს სავაჭრო საქონელბრუნვაში, ვიდრე მომსახურება;
- დაკავშირებულია კონიუნქტურასთან — მსოფლიოს მდიდარი ქვეყნები მიეკუთვნებიან ინდუსტრიულ ქვეყნებს;
- წარმოადგენს ეკონომიკის სწრაფი განვითარების გზას. სამრეწველო საქონლის ექსპორტის მოცულობები განუწყვეტლივ იზრდება; ამ გზით გამდიდრდნენ აზიის ზოგიერთი ქვეყნები, მაგ.სამხრეთ კორეა.

აი, ზოგიერთი არგუმენტები მრეწველობის წინააღმდეგ:

- მრეწველობა გარემოს გაჭუჭყიანების მიზეზია, სამაგიეროდ მომსახურება გაცილებით სუფთაა;
- მრეწველობის განვითარების პროგრამები მოითხოვენ სუბსი-

დიებს დიდი, გაელენიანი ფირმებისათვის;
– სახელმწიფო მოხელეები გაცილებით ცუდად, ვიდრე ბიზნესმენები, ერკვევიან იმაში, თუ მრეწველობის რომელ დარგს უნდა ჰქონდეს სახელმწიფო მხარდაჭერა;

არ შეიძლება არსებობდეს რაიმე ეჭვი იმის შესახებ, რომ მრეწველობა მნიშვნელოვანი დარგია,ამიტომ ბევრი მთავრობა მიისწრაფვის მისი განვითარებისაკენ.

პროფკავშირები და ურთიერთობანი მუშებსა და ადმინისტრაციას შორის

უმეტეს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში არსებობენ პროფკავშირები. თავისი პოლიტიკური გაელენის თვალსაზრისით „სოლიდარნოსტი“* იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა. იგი გამონაკლისი იყო იმ აზრითაც, რომ მისი პოლიტიკური ორიენტაცია არ იყო მემარცხენე, როგორც ჩვეულებისამებრ უმეტესი პროფკავშირებისა.

პროფკავშირები წარმოადგენენ ცალკეული ქარხნისა თუ მრეწველობის გარკვეული დარგის მუშაკთა შეკავშირებას. ჩვეულებისამებრ პროფკავშირების მიზანია გამოხატოს მუშაკთა საერთო ინტერესები ფირმის მმართველობისა თუ მესაკუთრეთა წინაშე, რომელიც შეეხება ხელფასებსა თუ მუშაობის პირობებს. თუ თანამშრომლები შესძლებენ ურთიერთშეთანხმებას ძირითად საკითხებზე მაინც, მაშინ მათი პოზიცია მნიშვნელოვნად განმტკიცდება.

გაფიცვები

გაფიცვები პროფკავშირების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ იარაღია, თუმცა არიან წარუმატებლობის სიმბოლოები. გაფიცვას მოაქვს ზიანი, როგორც მუშაკთათვის, ისე მეწარმეთათვის; მუშაკები კარგავენ ხელფასსა და სამუშაოს მიმცემთ, ხოლო ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, კარგავენ პროდუქციის ნაწილს, რაც იწვევს კლიენტთა უკმაყოფილებას.

პროფკავშირები ხშირად სარგებლობენ გაფიცვის მუქარით, და ამის საშუალებით ცდილობენ სამუშაოს მიმცემთ გააზრდევინონ მუშაკთა ხელფასი. ასეთ შემთხვევაში, როგორც სამუშაოს მიმცემნი, ასევე მუშაკები ძნელად პოულობენ საერთო ენას.

თუ სამუშაოს მიმცემი გამუდმებით გაფიცვების მუქარის ქვეშაა, მან გარკვეულ მომენტში უარი უნდა თქვას ხელფასის მომატებაზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში პროფკავშირები დარწმუნდებიან, რომ გაფიცვა წარმატების მიღწევის ყველაზე ადვილი გზაა. სამუშაოს მიმცემს, რომელიც ვერ შეასრულებს პროფკავშირების მოთხოვნას,

* პოლონეთის პროფკავშირები.

უნდა ახსოვდეს, რომ ხანგრძლივი და გამანადგურებელი გაფიცვები დაემუქრება მას, ამასთან მნიშვნელოვნად დაეცემა მუშაკთა შრომის ნაყოფიერება.

თუ პროფკავშირების ხელმძღვანელები იმუქრებიან გაფიცვით და ვერ აღწევენ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მათ შესაძლოა დაკარგონ ნდობა, რამდენადაც ვერ იწყებენ გაფიცვას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პროფკავშირების წევრებს მოუწოდებენ გაფიცვისაკენ, რომელიც გამარჯვებით ვერ დაგვირგვინდება, მაშინ ისინი დაკარგავენ პოპულარობას იმ მუშაკთა შორის, რომელთაც გაანთავისუფლებენ სამსახურიდან.

პროფკავშირები დასაქმებულნი არიან არა მხოლოდ გაფიცვების ორგანიზაციითა და მოლაპარაკებების წარმოებით სამუშაოს მიმცემებთან თუ მესაკუთრეებთან. ისინი უწევენ თავიანთ წევრებს სხვადასხვა სახის მომსახურებას როგორც სოციალურს, ისე კონსულტაციების სახით.

პროფკავშირების ღირსებები ემყარება შემდეგს:

— გამოხატავენ სუსტი ადამიანების ინტერესებს ძლიერ სამუშაოს მიმცემთა წინაშე;
— ფირმის მმართველებს აცნობენ მუშაკთა პრობლემების შესახებ;
— მხარს უჭერენ ინვესტიციებს, მათი მომზადებისა თუ ცვლილებების შეთანხმებული პროგრამების განხორციელებას;
— არადემოკრატიულ ქვეყნებში გველინებიან დემოკრატიის ალტერნატიულ ფორმად;
— გამოდიან პროტესტით შრომის სახიფათო პირობებისა და მმართველობის ცუდი მეთოდების წინააღმდეგ.


პროფკავშირებს აქვთ აგრეთვე უარყოფითი მომენტებიც:

— სამუშაოს მიმცემთ აიძულებენ გადაუხადონ მუშაკებს ხელფასი საბაზრო დონეს გადამეტებით, რაც იწვევს უმუშევრობის ზრდას;
— აფერხებენ იმ ტექნოლოგიების ინვესტიციას, რომელიც გაზრდის წარმოების ეფექტურობას მუშათა შრომის მანქანებით შეცვლის გზით;
— პროფკავშირების გაელენით სარგებლობენ მემარცხენე აქტივისტები, რომლებიც მათ გამანადგურებელ ძალას იყენებენ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის;
— აკეთებენ რა მთელი თავისი ძალების ყურადღებას ადამიანისათვის აქტუალურ ინტერესებზე, არ ზრუნავენ ქვეყნის საერთო კეთილდღეობაზე;
— იწვევენ ხელფასი-ფასების სპირალის წარმოქმნას.

ფასები-ხელფასების სპირალი წარმოიშვება მაშინ, როდესაც პროფკავშირების წევრები (და ზოგიერთი სხვა მუშაკიც) გაფიცვების დახმარებით აღწევენ ხელფასების მომატებას, რასაც არა აქვს

არავითარი მნიშვნელობა, რადგანაც მას მთლიანად ნთქავს ინფლაცია. ხშირად ხდება ხოლმე, რომ განსაკუთრებით ანტისაზოგადოებრივი და მავნე პროფკავშირები აღწევენ ყველაზე დიდ ხელფასების მომატებას. ურთიერთდაუთმობლობა და ჯიბრი მოლაპარაკებებში, რომელსაც აქვს ორივე მხარე, ცუდ გავლენას ახდენს მუშებისა და სამუშაოთა მიმცემების ურთიერთობაზე.

პროფკავშირები (ხელმძღვანელი კადრების მსგავსად) შეიძლება იყოს ცუდიც და კარგიც. მოხსენებით ბარათში, რომელიც განეკუთვნება ოციან წლებს და შეეხება დიდ ბრიტანეთში მაღნის მოპოვების მდგომარეობას, ავტორი წერს: „ვიფიქრებდი, რომ პროფკავშირების ლიდერები უაღრესად სულელი და უაღრესად ჯიუტი ხალხია მეთქი, რომელთაც კი ოდესმე შევხვედრივარ, რომ ხშირი კონტაქტები არ მქონოდა მაღაროთა მფლობელებთან“. პროფკავშირები წარმოადგენენ ძალას, რომლის გამოყენებაც შეიძლება როგორც კეთილი, ისე ბოროტი მიზნებისათვის.



ხანამოვნო ხუბარი ხამუშაო განწყობილებას ამაღლებს

მასიური უმუშევრობის დროს პროფკავშირების ძალა უაღრესად შეზღუდულია, ვინაიდან მუშებს ეშინიათ თავიანთი სამუშაოს მიმცემთა გაკოტრებისა და სამუშაოს დაკარგვის. მაღალი კონიუქტურისა და დაბალი უმუშევრობის დროს პროფკავშირები წარმოადგენენ ძლიერ ძალას, ვინაიდან სამუშაოს მიმცემთათვის იოლი როდია ახალი მუშაკების მოძებნა, თუკი ძველები დაკარგავენ სამუშაოს. ამასთან, გაფიცვებს იმ დროს, როდესაც შეიძლება ბევრი ფულის გამომუშავება, მოაქვთ განსაკუთრებით საგრძნობი დანაკარგები.

შრომითი მოწყობის დაფესებულებები

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მთავრობათა უმეტესობა ცდილობს მაღალ დონეზე მოაწყოს უმუშევართა დასაქმების ორგანიზაცია. მთავრობები აყალიბებენ საკონსულტაციო სისტემათა ქსელს და შრომით რესურსების გადამზადებისა და დასაქმების სისტემას. ისინი უზრუნველყოფენ ასევე ინფორმაციის მიწოდებასა და რჩევა-დარიგებებს, როგორც სამუშაოს მძებნელი მუშაკებისათვის, ისე მუშების მძებნელი მესაკუთრეებისათვის.

უმუშევრობა

უმუშევრობა ყოველთვის როდია ბოროტება. ხშირად ხდება ხოლმე, რომ ადამიანები უმუშევრები არიან იმიტომ, რომ მხოლოდ შესაფერის სამუშაოს ეძებენ, ანდა უბრალოდ არ სურთ მუშაობა.

უმუშევრობა არის ძალზე სერიოზული პრობლემა იმ ადამიანებისათვის, რომელთაც სურთ მუშაობა. უმუშევრობას მოსდევს შემდეგი სახის უარყოფითი შედეგები:

- მცირე შემოსავალი, სიღატაკე, ალკოჰოლიზმი და სუსტი ჯანმრთელობა;
- დანაშაულებათა ზრდა;
- შრომითი რესურსების პოტენციალის ფლანგვა;

დემოკრატიული ხელისუფლებისათვის ამ მოვლენებს შეიძლება მოჰყვეს სერიოზული პოლიტიკური შედეგები. თუმცა მაშინაც კი, როდესაც უმუშევრობა ძალიან მაღალია (20 პროცენტზე მეტი), მოსახლეობის უმეტესობას აქვს სამუშაო და მაშასადამე, უმუშევრობის პოლიტიკური შედეგები ადვილად გასათვალისწინებელია. უმუშევრობის შედარებაც კი არ შეიძლება ინფლაციასთან, რომელიც ეხება ყველას და მოსდევს გაცილებით დიდი პოლიტიკური ზიანი.

მთავრობის ინსპექტორები

არსებობს მრავალი სამთავრობო დაწესებულება, სადაც დასაქმებულნი არიან ინსპექტორები, რომელთა მოვალეობა სხვადასხვა ტიპის სტანდარტების დაცვაზე კონტროლია. აღნიშნული საბაზრო ეკონომიკის სისტემის ინტეგრალურ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ინსპექტორების ამოცანა წარუმატებლობის შემთხვევაში საბაზრო პროცესებში ჩარევა და მთავრობის მიერ გაღებული ხარჯების სამართლიანობის კონტროლია.

თავისუფალი საბაზრო მეურნეობის მომხრეები ხშირად კამათობენ სამთავრობო ინსპექტორების აუცილებლობაზე. მათ მიაჩნიათ, რომ თავად ბაზარი, რომელიც გაცილებით შედეგიანია, ეიდრე ინსპე-

ქტორთა საქმიანობა, უზრუნველყოფს სასურველი შედეგების მიღწევას. მათ სწამთ ლათინური პრინციპის—„caveat emptor“ მყიდველი ყოველთვის მართალია“-ს ჭეშმარიტება. ეს ნიშნავს, რომ მყიდველი თავად უნდა ზრუნაედეს თავის ინტერესებზე, ხოლო კონკურენციას თავისთავად მოყვება შედეგად უხარისხო თუ მავნე პროდუქციის უარყოფა.

თუ მთავრობა გაიღებს ფულს, მნიშვნელოვანი პრობლემაა მისი შესაფერისი კონტროლი, რათა არ ხდებოდეს მისი განიავება და არ არსებობდეს კორუფციის რისკი (ასეთი რამ კი არასოდეს არ არის გამორიცხული). მთავრობები (როგორც ლოკალურ, ისე საერთო—რესპუბლიკურ დონეზე) გაიღებენ დიდ თანხებს. ისინი შეიძლება მიმართული იყოს ხელისუფლების ისეთი ფუნქციის შესასრულებლად, როგორიცაა ციხეების, ჯარის, პოლიციის შენახვა, ასევე გზების კეთილმოწყობა, საავადმყოფოებისა და სკოლების მოვლა-პატრონობა. ასეთ შემთხვევებში სრულიად ნორმალურია, რომ არსებობდეს ორგანო, სადაც დასაქმებული იქნებიან სახელმწიფო მოხელეები, რომელთა ფუნქციაც იქნება მოამზადონ ობიექტური მოხსენებითი ბარათები ამ ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ.

ნებაყოფლობითი ორგანიზაციები

საზოგადოების ორგანიზაციის კომუნისტურმა სისტემამ აზრი დაუკარგა ნებაყოფლობით ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივ ამხანაგობებს. ამის მიზეზი იყო ადამიანთა მოღვაწეობის ყოველგვარი არაოფიციალური ფორმებისადმი ეჭვიანობა და ასევე სურვილი იმისა, რომ შეექმნათ ნორმალურ ქვეყნებში მოქმედი კლუბებისა და საზოგადოებების კომუნისტური ასლი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებით მნიშვნელობას იღებს მსგავსება საზოგადოებრიესა და მეურნეობრიეს შორის. ყოველ საეჭრო გარიგებას ემუქრება ჩაშლა და ერთ-ერთი მხარის მიერ უარის თქმა, თუ ორივე მხარისათვის სასარგებლო არ იქნება იგი. ეს გარიგება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაიდოს, თუ მის გარკვეულ ეტაპზე ყველა დაინტერესებული მხარე გამოთქვამს მასზე ხელის მოწერის სურვილს.

საზოგადოებრიეი ცხოვრება არის ოდნავ განსხვავებული, მაგრამ მაინც შეიძლება ანალოგიურად შეეხედოთ მას. თუ ადამიანებს სურთ უბრალოდ ჰყავდეთ მეგობრები და მათთან ერთად დრო გაატარონ, ურთიერთკავშირებს აქვს გაცილებით დიდი მნიშვნელობა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც აღგილი აქვს რაიმე იძულებას. თავისუფალ საზოგადოებაში ადამიანები ხშირად იღებენ მონაწილეობას რაიმე მოქმედებაში არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სიამოვნების წყაროა, არამედ იმიტომ, რომ მათი რწმენით ისინი

სახელდობრ ასე უნდა მოიქცნენ, თუ ცალკეული პიროვნებები და ოჯახები გადაწყვეტენ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ღონისძიებებში, ეს შესძენს საზოგადოებას ძალებს, რომელთა წყაროცაა პოზიტიური გადაწყვეტილება.

შეკითხვები განსჯისათვის:

8.1. რა როლს ასრულებს ბირჟა?

8.2. მოიყვანეთ პრივატიზაციის სასარგებლო და მისი საწინააღმდეგო არგუმენტები;

8.3. როგორი გზებითა და მეთოდებით შეიძლება გადაეჭრათ სანარმოს გაკოტრების პრობლემა?

8.4. თუ წარმოადგენს მრეწველობა ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგს?

8.5. პროფკავშირებში გაერთიანება როდის არის სასარგებლო და როდის არა?

8.6. ჩამოთვალეთ ის ძირითადი სიძნელეები, რაც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ხდება პრივატიზაციის დროს?

9

მაკროეკონომიკა

მაკროეკონომიკა არის ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი ნაწილი. მისი დაინტერესებათა საგანი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებია, როგორიცაა :

– უმუშევრობის დონე;
– ინფლაციის ტემპები;
– მეურნეობის ზრდის ტემპები;
– ექსპორტ—იმპორტის ბალანსი;

მაკროეკონომიკა შეისწავლის არა ცალკეული მწარმოებლებისა თუ ფირმების პრობლემებს, არამედ მეურნეობას, როგორც მთლიანობას. იგი არ აკეთებს იმის ანალიზს, თუ რა მოხდება, როდესაც ერთი ადამიანი წავა ბაზარზე საავჭროდ, სამაგიეროდ იკვლევს იმ ეფექტებს, რომელიც მოჰყვება მრავალი ოჯახური მეურნეობების მიერ განხორციელებულ საავჭრო ოპერაციებს.

მაკროეკონომიკის გარშემო არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ეკონომისტებს შორის დიდ კამათს იწვევს აგრეთვე იმ მიზეზების ახსნა, რომლებიც აიძულებენ მას მოიქცეს. ასე და არა სხვაგვარად.

მაკროეკონომიკის ისტორია

ოციან წლებამდე თანამედროვე მაკროეკონომიკა საერთოდ არ არსებობდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ არავის არ მიაჩნდა, რათა მეურნეობა როგორც მთლიანობა შესაძლებელი იყო გამხდარიყო მეცნიერული ანალიზის საგანი. ოციან წლებში ევროპაში უმუშევრობა მაღალ დონეს აღწევდა. ამან ეკონომისტები აიძულა შეესწავლათ მისი გამომწვევი მიზეზები. პოლონელმა, მიხეილ კალუცკიმ პირველმა დაწერა ამ თემაზე სტატია, თუმცა არა იგი, არამედ კეინსი, კემბრიჯელი ეკონომისტია მიჩნეული იმ მეცნიერად, ვინც საფუძველი დაუდო ეკონომიკის მოქმედების გამომწვევი ფაქტორების შესახებ ახლებურ აზროვნებას.

30—იანი წლების დიდ კრიზისამდე ჩანდა, რომ ერთობლიობაში სამეურნეო სისტემის მოქმედება კონტროლს არ ექვემდებარება და რომ იგი უნდა მიიღო ზუსტად ისევე, როგორც ვიღებთ გარდუვალ სიკვდილს ან ამინდს. მიჩნეული იყო, რომ ისეთი სახის მოელენებს, როგორებიცაა ინფლაცია, უმუშევრობა და წარმოების ზრდა, აქვთ თავისი ბუნებრივი ზომები, რომელიც დამოკიდებულია ადამიანთა ქცევასა და უპირატესობის მინიჭებაზე. აშკარად ჩანდა, რომ ფასები, წარმოების მოცულობა და უმუშევრობა არ შეიძლება მუდმივად შენარჩუნებულიყო ერთ „ბუნებრივ“ დონეზე, არამედ გამუდმებით მიისწრაფიან ხან ქვევით, ხან ზევით. მაკროეკონომიკა ცდილობს შეისწავლოს ყველა ამ ფაქტორთა მოქმედება.

ძველი შეხედულების თანახმად, რომელიც ეფუძნება მოთხოვნა—მიწოდების ანალიზს, სიტუაცია, რომელიც მყარდება ბაზარზე, არის ყველა შესაძლო სიტუაციებიდან უკეთესი. მაგალითად, თუ უმუშევრობა ხდება პრობლემა, უნდა დავუშვათ, რომ ხელფასები არის ძალზე დიდი და საჭიროა მისი შემცირება, რათა მოხდეს უმუშევრობის ლიკვიდაცია.

მაკროეკონომიკა ეფუძნება ძალიან უბრალო და ისეთ დებულებას, რომელიც ეჭვს არ იწვევს. კერძოდ:

- ყოველთვის, როდესაც ვიღაც ხარჯავს ფულს, ვიღაც სხვაც იღებს იმავე რაოდენობის ფულს. ხარჯები და შემოსავლები თანაბარი უნდა იყოს.

მეურნეობის მთლიანი პროდუქცია არის ინდივიდუალური პროდუქტების ჯამი. წარმოების მატება მაშინ ხდება, როდესაც იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ფულს გაიღებენ, ანდა როდესაც შესაბამისად მატულობს მყიდველთა რაოდენობა. დებულება, რომ მიწოდება დამოკიდებულია მოთხოვნის დონეზე, იყო ამოსავალი კეინსის კონცეპციაში. ადრე პირიქით იყო მიჩნეული, ანუ თითქოს ერთობლივი მიწოდების დონე განსაზღვრავდა ერთობლივ მოთხოვნას.

შემოსავალთა ჯრებრუნვა

ფაქტი, რომ ერთი პიროვნების ყველა ხარჯი იქცევა სხვა პიროვნებების შემოსავლად, შეიძლება წარმოვიდგინოთ მწარმოებლებს, ოჯახურ მეურნეობებსა და მთავრობებს შორის შემოსავლების წრებრუნვად.


ოჯახური მეურნეობები შემოსავალს იღებენ სამუშაოს მიმცემთაგან, მთავრობისაგან, სოციალური ხარჯების ფორმითა და ასევე

ინვენსტიციების სახით. თავის შემოსავლებს ისინი წარმართავენ საქონლისა და მომსახურების შესაძენად, გადასახადების დასაფარავად ან დანაზოგების შესაქმნელად.

საწარმოები იღებენ შემოსავალს საქონლისა და მომსახურების მიყიდვით ოჯახურ მეურნეობებზე, მთავრობის ინვენსტიციებისა და სუბვენციების საშუალებით.საწარმოები გაიღებენ ფულად სახსრებს ხელფასებზე, ინვენსტიციებზე, მოგების განაწილებასა და გადასახადებზე.

მთავრობა იღებს ფულს გადასახადებით, სახელმწიფო საწარმოების მუშაობით, (თუ ის მომგებიანია) და პროცენტებს სესხიდან. მთავრობები გაიღებენ ფულს ხარჯებზე, საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, გაიღებენ ფულს სუბსიდიებზე და ასევე იხდიან პროცენტებს სესხებზე.

ახლა შევხედოთ თუ როგორ გამოიყურება სქემის სახით ეს წრებრუნვა.



ნახ.22 შემოსავლების წრებრუნვა

შემოსავლების მოქცევა და უკუქცევა

საოჯახო მეურნეობებს აქვთ მხოლოდ ორი შესაძლებლობა გამოიყენონ თავიანთი შემოსავლები: შეუძლიათ გახარჯონ ან დაზოგონ. ასევე საწარმოებმაც; მათ შეუძლიათ ფული გაიღონ რაიმეს შესაძენად ან ინვენსტიციებისათვის. ყოველგვარ დანაზოგს,' რასაც საოჯახო

მეურნეობები აღწევენ თავიანთი შემოსაელებიდან, ეწოდებათ უკუქცევა, ვინაიდან ის არ არის უშუალოდ ხელმისაწვდომი საწარმოებისათვის. ინვესტიციებს, რომლებსაც გაიღებენ საწარმოები მოქცევა ეწოდება, ვინაიდან ისინი იქცევიან დამატებით წყაროდ მიმოქცევისათვის. ეს მოქცევა და უკუქცევა შესაძლებელია საბანკო სისტემის საშუალებით. მოსახლეობის გადასახადები ხდება უკუქცევა, სამაგიეროდ ისინი მთავრობისათვის არის მოქცევა. ექსპორტი ხდება მოქცევა, სამაგიეროდ იმპორტი იქცევა უკუქცევად. თუ მოქცევა აჭარბებს უკუქცევას, მას შედეგად მოსდევს ეკონომიკის აღმავლობა, ხოლო თუ უკუქცევა სჭარბობს მოქცევას, მას მოჰყვება ეკონომიკის დაქვეითება.

ერთობლივი პროდუქტის გაზომვა

რამდენად მდიდარია პოლონეთი? ქვეყნის ეკონომიკის დონის გაზომვა ნამდვილად ძნელი საქმეა. ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ მისი ყველაზე საუკეთესო საზომია საერთო პროდუქტის წარმოება მოსახლეობის ერთ სულზე. სოციალისტური მეურნეობის არსებობისას მხოლოდ პროდუქციის წარმოებას იღებდნენ მხედველობაში და ყურადღებას არ აქცევდნენ მომსახურებას.

საერთო პროდუქცია ზუსტად უნდა გამოსახავდეს იმ საქონლისა და მომსახურების მთელ ღირებულებას, რომელიც წარმოებული და მოხმარებულია მოცემულ ქვეყანაში. მისი ღირებულება უნდა გაიზომოს ფულით, ვინაიდან არ არსებობს არავითარი სხვა ერთეული, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა ეს ყველაფერი გამოსახულიყო. ამ პრობლემას უკავშირდება რამდენიმე კითხვა:

რა მეთოდით უნდა გავზომოთ იმ მომსახურების ღირებულება, რაც მოიხმარება იგივე ადამიანების მიერ, რომელნიც მას გვაწვდიან? ფემინისტები ხშირად მიანიშნებენ იმ სამუშაოს ღირებულებაზე, რომელსაც ქალები სახლში ასრულებენ; მაგალითად, ბავშვების აღზრდა, სახლის დალაგება და გეებადება კითხვა, თუ რატომ არ მიიღება იგი მხედველობაში საერთო პროდუქტის გაზომვის დროს? ანალოგიური ყურადღების მიქცევას საჭიროებს იმ ადამიანების შრომაც, რომლებიც არემონტებენ საკუთარ მანქანას ან ბინას. ამ შრომას აქვს ღირებულება, თუმცა იგი არსად არ აღირიცხება.

გარდა ამისა, როგორ გავზომოთ იმ შრომის ღირებულება, რაც არ იყიდება? მაგალითად: პოლიცია უზრუნველყოფს მოსახლეობის უშიშროებას, რის დროსაც გამოიყენებს ფრიად ფასეულ საშუალებებს — მაგრამ, თუ გამოვრიცხავთ კორუფციის შემთხვევებს, იგი არაფერს არ ყიდის. მაშ როგორია მისი წვლილი საერთო პროდუქციის შექმნაში?

აღვრიცხოთ ასევე ის პროდუქცია, რომელიც გამოყენებულია სხვა სფეროებში? დავუშვათ, რომ ვარ მწყემსი და დაბაღს მივყიდი ცხვრის

ტყავს ფულის 2 ერთეულად. დაბაღს გამოჰყავს ტყავი და მიჰყიდის თერძს 5 ერთეულად. თერძი კერავს მისგან ფეხსაცმელს და ყიდის მას 10 ერთეულად. წარმოვადგინოთ ეს ცხრილის სახით. ყოველ ამ ეტაპზე ნამდვილი ეკონომიკური წვლილი უდრის დამატებით ღირებულებას იმ პროდუქტზე, რომელიც გაიელის ყოველ შემდგომ ეტაპს. მოცემულ მაგალითზე ეს ღირებულება ჯამდება 10—მდე; მაგრამ შეიძლება ასევე გაეზომოთ მთელი საბოლოო დანახარჯები მოცემულ პროდუქტზე, იმგვარად, რომ მან უნდა დაფაროს მთელი დამატებითი ღირებულება წარმოების ყველა ეტაპზე. ცხრილი გვიჩვენებს, რომ ეს უდრის ასევე 10—ს. თუკი შევაჯამებთ ყველა ხარჯებს, რომლებიც გაღებულია ყოველ ეტაპზე, ტყავის ღირებულება საბოლოო პროდუქციის ღირებულებაში შემოსული იქნება რამდენჯერმე და შედეგად მივიღებთ 17, ანუ გაცილებით მეტს, ვიდრე პროდუქტის ნამდვილი ღირებულებაა და რომელიც უტოლდება 10—ს.

	ფეხ-საცმელი	დაბაღი	მწყემსი	ერთად
დანახარჯი	5	2	—	
სარეალიზაციო ფასი	10	5	2	17
დამატებული ღირებულება	5	3	2	10

როგორ განსაზღვროთ იმ პროდუქციის ღირებულება, რომლითაც ვცვლით უკვე გაცვეთილ პროდუქტებს? ამ მოვლენას ეწოდება დეპრეციაცია. თუ გაცვეთილი საგანი გამოიცვლება ახლით, ეს სინამდვილეში არავითარ გავლენას არ მოახდენს ეროვნული ქონების მატებაზე. ამ საგნებზე გაწეული დანახარჯები მეურნეობას მიიყვანს წინანდელ მდგომარეობამდე.

თუ არის ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ყოველივე ამის შესახებ? ყველა, ვისაც კი საქმე ჰქონია კომუნისტური ეკონომიკის ანალიზთან 1989 წლამდე, იცოდა, რომ ადგილი ჰქონდა მონაცემების გაყალბებას. მთავარი იყო შემდეგი პრობლემები:

1. კომუნისტები ცრუობდნენ, რათა შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს ყველაფერი იყო გაცილებით უკეთ, ვიდრე სინამდვილეში.
2. თავისუფალი ბაზრის ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია შეუძლებელი იყო შეგვედარებინა იმ პროდუქციისათვის, რასაც აწარმოებდნენ ცენტრალიზებული დაგეგმვის მქონე ქვეყნები. მაგალითად, პოლონეთი აწარმოებდა დიდი რაოდენობით

ტრაქტორებს, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ისეთივე ღირე-ბულება, როგორც დასავლეთში წარმოებულ ტრაქტორებს. კაპიტალისტურ ქვეყნებში ყველაფერი თითქმის „ხელიდან" იყიდება, მაშინ როდესაც სოციალისტურში დიდი ხნის ლოდინი თითქმის ჩვეულებრივი ამბავი იყო.* არ შეიძლება მხოლოდ ფასები მივიღოთ მხედველობაში, როდესაც მათში არ არის გათვალისწი-ნებული ეს გარემოება. ორი სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნის სტატისტიკური მონაცემების შედარება ნამდვილად რთული პრობლემაა.

3. სტატისტიკა სრულიად არ ითვალისწინებს შავ ბაზარს. არ არის კარგი აღრიცხვიანობა არალეგალური სამეურნეო საქმიანობის შესახებ, ვინაიდან არავინ არ აკეთებს ანგარიშგებას ამგვარი საქმიანობის თაობაზე.
4. სტატისტიკური ცნობები ყოველთვის იგვიანებს – მათი მოგროვება საჭიროებს დიდ დროს. ხშირად ხდება – ხოლმე, რომ როდესაც მათ აქვეყნებენ, ეს ინფორმაცია უკვე აღარაა აქტუალური.
5. ანალიზის პრობლემა მით უფრო რთული იყო, რადგან სტატისტიკურ ანგარიშებში ასახვას არ პოულობდა მომსახურება.

პოლონეთი გაცილებით მდიდარია, ვიდრე ეს გამომდინარეობს სტატისტიკური მონაცემებიდან. იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ფლობენ ისეთი მოხმარების საგნებს, როგორებიცაა მაგნიტოფონები, ტელევიზორები თუ ავტომანქანები, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, სადაც ყოველწლიური საშუალო ხელფასი 1800 დოლარია. ამ მოვლენის მიზეზები შემდეგია:

1. შავი ბაზარი – ბევრი პოლონელი უკვე მრავალი წელია მისდევს არაოფიციალურ საეჭრო საქმიანობას მთელს მსოფლიოში, რითაც ისინი იღებენ დიდ მოგებას. მაგრამ მხოლოდ მიხვედრა შეიძლება იმისა, თუ რა დონეზე აკეთებდა ამას ნომენკლატურული მაფია. ეჭვი არაა, რომ აქ საქმე ეხებოდა უდიდეს ინტერესებს.
2. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მუშაობა – ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე პოლონელებს ჰქონდათ საშუალება თავისუფლად ემოგზაურათ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მათ დიასპორას პოლონეთში შეჰქონდა საკმაო მსხვილი ფინანსური სახსრები.
3. მატერიალური დოვლათის მიწოდება საბაზრო მექანიზმების გვერდის ავლით – განსაკუთრებით საზღვარგარეთელი ნათესავებისაგან. ამ ფაქტორს ადრე უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ამჟამად.

* ეს არც მთლად ასეა – თუ, მაგალითად, გინდა იყიდო 5 ბოინგის ტიპის თვითმფრინავი, ცოტა მოცდა ნამდვილად დაგჭირდება.

ეროვნული შემოსავლის გამოთვლა

მიუხედავად ზემოთ გამოთქმული სიძნელეებისა, ეკონომისტები გამოითვლიან ეროვნულ შემოსავალს. ამ მიზნით ისინი გამოიყენებენ სამ ძირითად მეთოდს; ესენია: დამატებული ღირებულების მეთოდი, დარჩენილი მთლიანი ხარჯების მეთოდი და შემოსავლების მეთოდი. შემოსავლების მეთოდი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ყოველგვარი ხარჯების წყარო ვიღაცის შემოსავლებია და მაშასადამე, მთლიანი შემოსავალი უნდა იყოს მთლიანი ხარჯების ტოლი.

გლობალური მოთხოვნა

მაკროეკონომიკის შესწავლის საგანია ციფრობრივი მონაცემები, რომლებიც შეეხება მთლიანობაში აღებულ მეურნეობას. მათ ეწოდებათ გლობალური მონაცემები. ყოველი შესყიდული დოვლათი უნდა ამოდიოდეს ვიღაც გამყიდველიდან. ეს კი ნიშნავს, რომ ხარჯების ან მოთხოვნის საერთო დონე განსაზღვრავს მეურნეობის სიდიდეს. გლობალური მოთხოვნა გამოითვლება შემდეგი ტოლობის მეშვეობით:

გლობალური მოთხოვნა = მოხმარება + ინვესტიციები +
(მთავრობის დანახარჯები – გადასახადები) +
(ექსპორტი – იმპორტი).

მეურნეობის კონიუნქტურის ზრდის მიზეზი გლობალური მოთხოვნის მატებაა; როდესაც კონიუქტურა ეცემა, ეცემა აგრეთვე გლობალური მოთხოვნაც.

საჭიროა ყურადღება მივაქციოთ, რომ გლობალური მოთხოვნის სიდიდე გამოიხატება ფულში, ხოლო ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს, რომ გლობალური მოთხოვნის გამომსახველი მონაცემები შესაძლოა მცდარ სურათს იძლეოდეს. ჩვეულებისამებრ აკეთებენ ერთგვარ მოდიფიკაციას მონაცემებისა, რომელშიც გათვალისწინებულია ინფლაცია. მოთხოვნის მთლიან ცვლილებას ეწოდება გლობალური ფულადი მოთხოვნის ცვლილება. თუ გამოთვლებში გათვალისწინებულია ინფლაცია, შედეგს ეწოდება რეალური მოთხოვნა. თუ სტატისტიკური მონაცემები არ არის იმგვარად მოდიფიცირებული, რომ გათვალისწინებულიყო ინფლაცია, მას ეუწოდებთ ნომინალურ მონაცემებს.

ახლა განვიხილოთ გლობალური მოთხოვნის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები.

მოხმარება

მოხმარება გლობალური მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. იგი ხელს უწყობს მეურნეობის განვითარებას კონიუნქტურის უეცარი დაცემის პერიოდშიც კი. ადამიანები, თუნდაც რომ არ გააჩნდეთ სხვა არაეითარი ფინანსური სახსრები, მოხმარებაზე გაიღებენ უკანასკნელ დანაზოგებს. ყველაზე დიდ გავლენას მოხმარებაზე ახდენენ შემდეგი ფაქტორები:

- ახლანდელი და მოსალოდნელი შემოსავალი;
- ახლანდელი და მოსალოდნელი ქონებრივი შეძლება;
- განვლილი, ახლანდელი და მოსალოდნელი ხელმისაწვდომობა კრედიტებზე;
- ადამიანების მიერ ცვლილებები უპირატესობის მინიჭებაში დანაზოგებსა და ხარჯებს შორის;
- გადასახადები, საპროცენტო განაკვეთები და მთავრობის ხარჯები;
- მთავრობის პოლიტიკა და საქონლისადმი ხელმისაწვდომობა.

შემოსავალი — ანუ გამომუშავების სიდიდე დაბეგვრისათვის — განსაზღვრავს შესაძლო ხარჯთა ოდენობას. გამომუშავებათა მოსალოდნელ სიდიდეს უდიდესი გავლენა აქვს უსაფრთხოების შეგრძნებისათვის ფულის გაცემისა თუ სესხების დროს. ცნობილი მონეტარისტი — ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი ამტკიცებდა, რომ მოხმარება არის გაცილებით უფრო სტაბილური, ვიდრე მიმდინარე შემოსავლები, ვინაიდან ადამიანები გადასდებენ ფულის განსაზღვრულ რაოდენობას მოხმარებისათვის და ამ დროს ისინი ხელმძღვანელობენ არა მხოლოდ თავიანთი ყოველთვიური შემოსავლებით, არამედ მოსალოდნელი შემოსავლებით მთელი წლის განმავლობაში. ჯონ მეინარდ კეინსმა შენიშნა, რომ მდიდრები გადასდებენ დასაზოგად პროცენტულად გაცილებით მეტ თანხას თავიანთი შემოსავლებიდან, ვიდრე ღარიბები. მდიდრები მოიხმარებენ გაცილებით მეტს, ვიდრე ღარიბები, მაგრამ ამავე დროს ნაკლებს თავიანთ მთლიან შემოსავალთან შედარებით. შემოსავლის გადიდებასთან ერთად მატულობს ასევე მოხმარება, თუმცა მისი მატება არ არის ისეთივე სწრაფი, როგორც შემოსავლების.

■ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოხმარების სწრაფ ზრდაზე პოლონეთში, იყო ყოველთვიური ხელფასების მატება 10—30 დოლარიდან 1989 წლის ბოლოსათვის, 150 დოლარამდე 1991 წელს. სამამულო საქონელზე ფასების გაზრდამ გამოიწვია ის, რომ ადამიანებს არ შეეძლოთ შეესყიდათ ბევრი ნივთები. დოლარებში გამოხატული შრომის

ანაზღაურების გადიდების შედეგად შედარებით შემცირდა იმპორტული საქონლის ფასები.

ქონებრივი შეძლებულობა: — ეს არის დაგროვილი შემოსავლები. თუ ადამიანები ფლობენ სახლს, დანაზოგებს,ხელოვნების ნიმუშებს და სხვა ძვირფასეულობებს, მათ შეუძლიათ მოიხმარონ უფრო მეტი, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუკი მათ არ ექნებოდათ ყოველივე ეს. მოსალოდნელ სიმდიდრეს აქვს არსებითი მნიშვნელობა ყოველ ქვეყანაში, სადაც მცხოვრები ბევრი მოქალაქე ფლობს სახლსა და სხვა ქონებას და ამავე დროს აქვს სამართლებრივი უფლება ეს ყოველივე უანდერძოს თაობიდან თაობას. ყოველ პოლონელს, რომელიც უახლესი ათი წლის განმავლობაში ელის ანდერძით სახლის მიღებას, შეუძლია მოხმარების მიზნებისათვის გადადოს გაცილებით მეტი ფული, ვიდრე სხვამ, ვინც ამ მიზნისათვის ფული უნდა დაზოგოს.* თუ საპროცენტო განაკეთი აღემატება ინფლაციას, ეს არის სასარგებლო იმათთვის, ვისაც აქვს დანაზოგები.

ხელმისაწვდომი კრედიტები: — ბევრ ქვეყანაში კრედიტების გამოყოფა ექვემდებარება მკაცრ კონტროლს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძალზე გავრცელებული ტენდენცია საკრედიტო რეგულირების შესუსტებისაკენ. თუ ადვილია კრედიტების მიღება, ეკონომიკის აღმავლობის პერიოდში ადამიანები მას სიამოვნებით იღებენ, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს გლობალური მოთხოვნის ზრდაზე. თუ ადამიანებს აქვთ ადრე აღებული დიდი სესხები, მაშინ შეიზღუდება მათი მიმდინარე მოხმარება. თუ საპროცენტო განაკეთი აღემატება ინფლაციას, იმ ადამიანების მოხმარების უნარი, რომლებმაც ადრე აიღეს სესხები, შეიზღუდება იმის გამო, რომ ისინი იძულებულნი არიან გადაიხადონ სესხები პროცენტებთან ერთად.

დაზოგვისა და მოხმარების ურთიერთშეფარდება: — სხვადასხვა ქვეყანაში დაზოგვის განსხვავებული ტრადიცია არსებობს. ამ ჩვევებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ისევე, როგორც მათ ცვლილებებს დროის

---

* შესაძლებელია ასევე საპირისპირო ეფექტიც. თუ უძრავი ქონების შეძენა არის გაცილებით ძვირი შემოსავლებთან შედარებით და ადამიანთა უმეტესობას არ შეუძლია მხედველობაში მიიღოს ასეთი შესაძლებლობა (ასე იყო პოლონეთსა და იაპონიაში, თუმცა შემოსავლების განსხვავებული დონის შემთხვევაში) მაშინ ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ ბინის შესყიდვა, მოიხმარებენ მეტს, რადგან დაზოგვას უკვე აზრი ეკარგება.

მსვლელობასთან ერთად. ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ საპროცენტო განაკვეთი გარკვეული დონით განისაზღვრება ფულზე არსებული მიწოდება / მოთხოვნით, რომლებიც მიუთითებენ ხარჯებისა და დანაზოგების ურთიერთ შეფარდებას.

მთავრობის პოლიტიკა. — ოციან წლებში მეიას იაპონიის მთავრობას მკაცრი კონტროლი ჰქონდა დაწესებული მოხმარების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე. ამას თავისი მიზანი ჰქონდა, კერძოდ ის, რომ მას ადამიანები უნდა შეეკავებინა მოხმარებაზე ფიქრისაგან და აეძულებინა ისინი მთელი თავიანთი მარაგები მიემართათ სამეცნიერო კვლევებისა და ინვენსტიციებისაკენ. კომუნისტურ სისტემებში მომხმარებლისადმი ცუდი მიდგომა იყო და მთელი აქცენტი გადატანილი იყო ინდუსტრიალიზაციისაკენ. სამომხმარებლო საგნების შესაძენად მიმართული უდიდესი თანხები პოლონეთში არის რეაქცია წარსულში გატარებულ პოლიტიკაზე. ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე მოხმარების საგნების მომარაგება იყო არადამაკმაყოფილებელი. თუმცა ბოლომდე არ არის გასაგები, თუ საიდან წარმოსდგება ამდენი ფული ამ მოხმარებისათვის. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ სტატისტიკური მაჩვენებლებით აღუნუსხავად არის დარჩენილი პოლონელთა მნიშვნელოვანი სიმდიდრე.

მთავრობის ხარჯები. — მათი ზემოქმედებით შესაძლებელია მოხმარების დონის აწევა დამატებითი ფულის გამოშვების გზით მოსახლეობის არაპირდაპირი შემოსავლების გადიდების საფუძველზე. ზოგჯერ მან შეიძლება შეცვალოს პირადი მოხმარება. მაგალითად, ამერიკელები ეროვნული პროდუქტის 10 პროცენტს მოაქცევენ ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებში. დიდ ბრიტანეთში, სადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს ჯანმრთელობის უფასო მომსახურებას, მთავრობა ამ მიზნით გაიღებს ეროვნული შემოსავლის ნახევარზე ოდნავ მეტ თანხებს.

უკიდურესი და საშუალო მიდრეკილება მოხმარებისაკენ:

ჯერ კიდევ კეინსმა შენიშნა, რომ ადამიანები — თავიანთი გამდიდრების კვალობაზე დაზოგვისაკენ მიმართავენ თავიანთი შემოსავლების თანდათან უფრო მეტ ნაწილს. შემოსავლის ბოლო ნაწილს, რომელიც გამიზნული იქნება მოხმარებისათვის, ეწოდება უკიდურესი მიდრეკილება მოხმარებისაკენ (ინგ. MPC- *marginal propensity tu consume*), მთლიანი მოხმარების შეფარდებას მთლიან შემოსავლებზე ეწოდება საშუალო მიდრეკილება მოხმარებისაკენ. (ინგ. APC-*average propensity tu consume*), უკიდურესი და საშუალო მიდრეკილება

დაზოგვისაკენ (MPS და APS) შეიძლება ადვილად გამოითვალოს MPC და APC გამოყენებით:

$$MPC+MPS=1$$
$$APC+APS=1$$

აქედან გამომდინარეობს ორი მთავარი შედეგი:

- კერძო პირთა შემოსავლების გადიდებასთან დაკავშირებით მეურნეობიდან გამოდინება მატულობს.

- რაც უფრო მეტია მოხმარებისადმი უკიდურესი მიდრეკილება, მით მეტ ზეგავლენას ახდენს მეურნეობაში ფულის გაშვება. ეს იმიტომ ხდება, რომ დამატებითი ნაღდი ფული მანამდე იტრიალებს მეურნეობაში, ვიდრე არ მოხდება მისი აკუმულირება დანაზოგების სახით.

დავუშვათ, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ახალი გზის გაყვანის შესახებ ნასესხები ფულის საშუალებით. ამ გეგმის განსახორციელებლად გაღებული თანხები წავა მუშების ჯიბისაკენ და დაჯდება იმ ფირმების ანგარიშზე, რომელნიც ამ სამუშაოებში ჩართავენ თავიანთ მანქანებს და გამოიყენებენ ნედლეულსა და მასალებს. გარკვეულ ფულს აიღებს ასევე მიწის მფლობელიც, რომელიც თავის მიწას მიჰყიდის მთავრობას გზის გასაყვანად. თუკი ისინი მთელ ამ ფულს დაზოგავენ, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მათი მიდრეკილება მოხმარებისაკენ უდრის ნულს და ამას ეკონომიკისათვის არაეითარი შედეგი არ ექნება. ხოლო თუ ისინი მთელ ამ დამატებით ფულს გაიღებენ, მაშინ მთლიანი აქტიურობა იქნება მინიმუმ ორჯერ მეტი, ვინაიდან ფულის პირველად მიმღებნი რაღაცას შეისყიდიან სხვებისაგან. ასეთ შემთხვევაში იბადება შემდეგი კითხვა: რამდენ ფულს შეიძენენ ფულის მეორედ მიმღებნი?

მამრაველი – არის სიდიდე, რომელიც აღნიშნავს ფულის ეკონომიკაში გაშვების გზით ირიბ ზემოქმედებას შემოსავლებზე. იგი მიანიშნებს წარმოების დამატებით ზრდას გამოწვეულს ეკონომიკაში დამატებითი ფულის გაშვებით, რომელიც გაიხარჯება იმათ მიერ, ვინც პირველებმა მიიღეს იგი სხვა წყაროს მეშვეობით. მამრაველის სიდიდე დამოკიდებულია ირიბი გზით მიღებულ შემოსავლებზე და ინფლაციაზე. ირიბი გზით მიღებულ შემოსავლების წყარო შეიძლება

იყოს დანაზოგები, იმპორტი და გადასახადები. ინფლაცია იწვევს ხარჯების მნიშვნელობის შემცირებას, ვინაიდან ამ დროს ნაღდი ფულის გაშვება მიმოქცევაში არის უაზრობა, არა იმდენად წარმოების გადიდების გამო, რამდენადაც ფასების მატების მიზეზით.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მამრაელი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, ვინაიდან მთავრობას უადვილებს ხარჯების საშუალებით მოთხოვნის სიდიდის დაბეგვრის დონისა და საპროცენტო განაკვეთის მართვას. მართავს რა მოთხოვნას, მთავრობას შეუძლია მოახდინოს თავისი მიზნების რეალიზაცია, მაგ. მიაღწიოს სრულ დასაქმებას. მაგრამ ამ საქმეს ბევრი პრობლემები ახლავს თან.

ფულის მიწოდება არ არის სტაბილური. ეს განსაკუთრებით ეხება ინვენსტიციებს, რაც მატულობს ეკონომიკის აღმავლობის დროს და სრულიად ჩერდება ეკონომიკის კრიზისისას. მომხმარებელთა მიერ ფულის ხარჯვა შეიძლება ასევე ძალზე სწრაფად მატულობდეს ან მცირდებოდეს მათი ნდობის კეალობაზე.

ინფორმაცია. მთავრობა ფლობს ძალიან შეზღუდულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ხდება ეკონომიკაში. ინფორმაცია აღწევს ძალიან დაგვიანებით, ვინაიდან სტატისტიკურ მონაცემთა მოპოვება და დამუშავება ჩვეულებისამებრ მოითხოვს დიდ დროს.

დროის ფაქტორი. ეიდრე გამოჩნდებოდეს მთავრობის ხარჯებში თუ გადასახადების სისტემაში ცვლილებების ეფექტი და დადგებოდეს ეკონომიკაში ფულის მიწოდების სტრუქტურის შემდგომი ცვლილებების დრო, ცოტა ხანმა უნდა გაიაროს. ხშირად ხდება ხოლმე, რომ პროგრამები, რომლებსაც მიზნად აქვთ დასახული მოთხოვნის მართვა, მხოლოდ მაშინ იძლევიან შედეგებს, როდესაც პრობლემები, რომლებიც მათი საშუალებით უნდა გადაწყვეტილიყო, დიდი ხანია უკვე აღარ არსებობს.

ცვლილებები ქცევებში, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მთავრობის ინიციატივებს. როდესაც მთავრობა ცდილობს გამოიწვიოს მოთხოვნათა გადიდება, რათა ამ მეთოდით შეებრძოლოს ინფლაციას, საწარმოები უმატებენ ფასებს, ხოლო მუშები მოითხოვენ ხელფასების მომატებას*. შედეგად ინფლაცია ამცირებს ფულის მოთხოვნის რეალურ გაელენას.

მიწოდების მხრივ სიმყარე: — როდესაც ეკონომიკაში დგება მოთხოვნის მატების დრო, მას ყოველთვის როდი მოჰყვება წარმოების ტემპების გადიდება მრეწველობის ყველა დარგში. თუ ადგილობრივი მწარმოებლები არ მუშაობენ ისეთივე ეფექტურობით, როგორც საზღვარგარეთელები, იზრდება იმპორტი, ვინაიდან ადგილობრივი წარმოება არ არის ისეთი ელასტიური, რომ დააკმაყოფილოს დიდი

* ეს არის ერთ-ერთი პრინციპული არგუმენტი, რომელსაც აყენებენ მონეტარისტები. ეს პრობლემა ცალკე იქნება განხილული.

მოთხოვნილებები. კარგ ფირმებს, როგორც წესი, ჰყავთ ბევრი კლიენტი, რის გამოც მათ გაუჭირდებათ წარმოების შემდგომი გადიდება.

ცუდ ფირმებს კი კლიენტთა მოზიდვის საქმეში მაშინაც პრობლემები აქვთ, როდესაც მოთხოვნები მკვეთრად იზრდება. ეკონომიკური კრიზისის დროს შეიძლება წარმოიშვას იმ დიდი სამრეწველო ობიექტების დახურვის აუცილებლობა, რომლებიც ვეღარ გააგრძელებენ მუშაობას მაშინაც კი, როდესაც მოთხოვნები იმატებს.

საპროცენტო განაკვეთი და მოთხოვნების ცვლილებები. თუ მთავრობა ცდილობს გამოიწვიოს მოთხოვნის გაზრდა საპროცენტო განაკვეთის შემცირების გზით, მაშინ მან უნდა მოუმატოს ფულის მიწოდება. თუ დამატებითი ხარჯების დაფინანსების წყარო კრედიტებია, მაშინ საპროცენტო განაკვეთი იზრდება, რაც უპირველეს ყოვლისა, ურტყამს კერძო მეწარმეებს. მონეტარისტები ამტკიცებენ, რომ ხელმისაწვდომი დანაზოგების სიდიდე უცვლელი რჩება, ამდენად მთავრობის მიერ მოზიდულ სესხებში ისინიც გამოიყენება.

მოთხოვნების შედეგიან მართვასთან დაკავშირებული პრობლემები იმდენად რთულია, რომ ზოგმა მთავრობამ საერთოდ შეწყვიტა მცდელობა ეკონომიკურ ციკლებზე ზემოქმედება მოეხდინა. სამაგიეროდ, ისინი თავიანთი ყურადღების კონცენტრაციას ახდენენ მოთხოვნის მუდმივი მატების შენარჩუნებაზე, იმ იმედით, რომ ეს უზრუნველყოფს ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ხელსაყრელ პირობებს.

სტაბილიზაციის ავტომატური ფაქტორები

თუ ეკონომიკური აღმავლობა სწრაფია, დიდი ტემპებით მატულობს აგრეთვე გადასახადების გავლენა ერთობლივ პროდუქტსა და ეროვნულ შემოსავალზე. ეს იმიტომ ხდება, რომ დაბეგვრა არის პროგრესიული. ეს ნიშნავს, რომ მაღალი შემოსავლებისა და მოგების შემთხვევაში გაცილებით იზრდება დასაბეგრი განაკვეთი, ვიდრე დაბალი შემოსავლებისა და მოგების შემთხვევაში. მდიდარმა ადამიანებმა უნდა მიმართონ გადასახადების გადასახდელად გაცილებით მეტი ნაწილი თავიანთი შემოსავლებისა, ვიდრე ღარიბებმა. ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში, როდესაც დიდია ხელფასები და მოგება, იზრდება ასევე დაბანდებები ირიბი შემოსავლების მიმოქცევიდან. ეს ნიშნავს, რომ დაბანდებები ირიბი შემოსავლების მიმოქცევიდან წარმოების დაღმავლობის დროს ეცემა.

სახელმწიფოს სოციალური ხარჯები უმუშევრობასა და ღარიბთა დასახმარებლად მცირდება წარმოების აღმავლობისას, ვინაიდან მაშინ მატულობს ადამიანთა ცხოვრების დონე და მცირდება უმუშევრობა. სამაგიეროდ იგი დიდდება კრიზისის პერიოდში, როდესაც მოქალაქეთა

უმეტესობა იღებს დახმარებას უმუშევრობისათვის და მთავრობისაგან გაწეული ქველმოქმედების სხვა სახეებს.

- დაბეგვრის პროგრესული სისტემა და მთავრობის სოციალური დახმარება შესაძლებელს ხდის მოთხოვნის შემცირებას ეკონომიკის აღმავლობისა და მის მატებას ეკონომიკის დაცემის პერიოდში.

ინვესტიციები

ინვესტიციები შეიძლება გაღებულ იყოს როგორც მთავრობის, ისე საწარმოების მიერ.

საწარმოები ინვესტიციებს გაიღებენ მოსალოდნელი მოგების იმედით, რომელიც მათ შეიძლება მოიტანონ. ამასთან არსებითი საკითხია მოსალოდნელი მოთხოვნისა და საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა.

აქ საჭიროა ყურადღება მიექცეს წინასწარგანჭვრეტის როლს, ვინაიდან იგი შეიძლება შეიცვალოს ისე სწრაფად, რომ კეინსი მას „მხეცის სულსაც“ კი უწოდებდა.

საწარმოო ინვესტიციების უმეტესობა კაპიტალის ხარჯვას უკავშირდება, რაც ამაღლებს საწარმოების მწარმოებლურობის დონეს, რადგან ამავე დროს წარმოების ტექნოლოგიური დონის მატების საშუალებას იძლევა. ეს ნიშნავს, რომ მოთხოვნის აწევის პერიოდში საწარმო გაიღებს დამატებით კეთებს, და გაზრდის თავის მწარმოებლურობას კაპიტალის ხარჯვის გზით. როდესაც დგება მოთხოვნის სტაბილიზაციის პერიოდი, საწარმოო ინვესტიციები ხშირად შეიკვეცება ხოლმე, ვინაიდან უკვე აღარ არის მოთხოვნილება წარმოების დონის შემდგომ ამაღლებაზე.

თანახმად კაპიტალის უკიდურესი ეფექტურობის თეორიისა, საწარმოები ფლობენ მრავალ სხვადასხვაგვარ გეგმებს, რომელთა განხორციელების რიგითობა ხდება მოსალოდნელი მოგების სიდიდის მიხედვით. საწარმო რეალიზებას უკეთებს ამ გეგმების მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობას, გამომდინარე მათი განხორციელებისათვის საჭირო დანახარჯებიდან. ვინაიდან მოთხოვნის მოსალოდნელი სიდიდის გაანგარიშება არის უაღრესად რთული, ხოლო მოგების პროგნოზები ნაკლებად სარწმუნო, ეს მოდელი არაა რეალური. თუმცა ის კი სიმართლეა, რომ მაღალრენტაბელური საწარმოები უფრო მიმზიდველნი არიან ინვესტორებისათვის, ვიდრე გრძელვადიანი პროგრამები. ზოგიერთი სფეროები, მაგალითად მშენებლობა, განსაკუთრებით ძლიერ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთისაგან დიდი დანახარჯების

თვალსაზრისით პროექტის რეალიზაციის პირველ ფაზაზე.

სამთავრობო ინვესტიციები გაიღება პოლიტიკური ფაქტორებისა და მთავრობის მიერ სესხების შესაძლო მოზიდვის საფუძველზე. მრეწველობის ნაციონალიზებულ დარგებში ხშირად აბანდებენ ინვესტიციებს, რომელთა მიზანიცაა გრძელვადიანი პრიორიტეტული პროგრამების განხორციელება, მაგალითად, ელექტროენერგიის წარმოების. მათ ინვესტიციებს შეიძლება მიზნად ჰქონდეთ ასევე მთავრობისათვის დახმარების გაწევა ნაკლებად პოპულარული პროექტების განხორციელებაში.

ექსპორტ–იმპორტი

იმპორტის სიდიდე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საბაჟო გაღასახადებსა და საქონლის კონტინგენტზე, რომლებიც ზემოქმედებენ საბაზრო მექანიზმზე. იმპორტის სიდიდეზე გავლენას ახდენენ შემდეგი ფაქტორები:

1. ტრადიცია – ზოგიერთი ქვეყნები, მაგალითად იაპონია, აშშ, ისტორიულად უპირატესობას აძლევენ სამამულო წარმოების პროდუქციას.
2. სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა – თუ საზღვარგარეთული პროდუქცია ხასიათდება მაღალი ხარისხითა და კონკურენტუნარიანი ფასებით სამამულო პროდუქციასთან შედარებით, მაშინ ამ ქვეყანაში იმპორტის შემოტანის მოცულობა იზრდება.
3. მოთხოვნილებების გადიდება: – წარმოების აღმავლობის პერიოდში ადამიანები ყიდულობენ როგორც სამამულო, ისე საზღვარგარეთულ პროდუქციას, რის შედეგადაც მატულობს იმპორტის მოცულობები.
4. ვალუტის გადაცვლის კურსი: – რაც უფრო მაღალია ეროვნული ვალუტის გადაცვლის კურსი, მით უფრო ხელსაყრელია იმპორტი.

ექსპორტზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

1. მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა: – თუ მატულობს წარმოების მოცულობები და საექსპორტო მოთხოვნილებები მოცემული ქვეყნის პროდუქციაზე, ექსპორტის მოცულობა იმატებს.

■ ერთ-ერთი მიზეზი პოლონეთის ეკონომიკური სიძნელეებისა ისიც იყო, რომ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ მნიშვნელოვან ქვეყანაში წარმოების მატების ტემპები მნიშვნელოვნად ვერ გადიდდა. სამაგიეროდ, ყოფილ გდრ–ში დამატებითი ხარჯების გაღების საჭიროებამ არნახული ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვია გფრ–ში.


2. სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა იმპორტულ პროდუქციასთან შედარებით.
3. ვალუტის გაღაცვლის კურსი: – რაც უფრო დაბალია ვალუტის გაღაცვლის კურსი, მით უფრო ხელსაყრელია ექსპორტი. თუმცა ქვეყნებს, რომლებიც მაღალიხარისხოვან პროდუქციას აწარმოებენ, შეუძლიათ საქონლის ექსპორტი ეროვნული ვალუტის მაღალი კურსის დროსაც; მაგ. იაპონიას.

წარმოების აღმავლობა და კონიუნქტურული ციკლი

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობაში დიდი ხნის მანძილზე შიიღწევა წარმოების აღმავლობა. თუმცა წარმოების ეს ზრდა არ არის მუდმივი. ეკონომიკის წინსვლის ტემპების ცვლილებები გამოწვეულია კონიუნქტურული ციკლის ცვლილებით.

პოლონეთი და ის სხვა ქვეყნები, რომლებიც გადადიან საბაზრო ეკონომიკაზე, სტარტს ნორმალური პოზიციიდან არ იღებენ, ამიტომ ის პროცესებიც, რომლებსაც აღგილი აქვთ ეკონომიკური აღმავლობის პერიოდის პირველ წლებში, არ მიმდინარეობს ნორმალურად. საბაზრო ეკონომიკაში შეიძლება გავარჩიოთ კონიუნქტურული ციკლის რამდენიმე ფაზა:

კრიზისი – გამოცოცხლება – მაღალი კონიუნქტურა –„გაღახურება"–კონიუნქტურის დაცემა– რეგრესი–კრიზისი.



q– მთლიანი პროდუქცია
t– დრო

ნახ. 23 კონიუნქტურული ციკლი

კრიზისი დგება მაშინ, როდესაც მოთხოვნა და შედეგად წარმოებაც, იმყოფება დაბალ დონეზე, ხოლო მათი მოულოდნელი დაცემა მოხდა ძალზე მოკლე ხანში. ხალხი გაღატაკებულია, ხოლო უმუშევრობა და მთავრობის ხარჯები სოციალურ დაცვაზე — ძალზე მაღალია. შემოსავლები გადასახადებიდან ამ დროს ძალზე მცირეა, ადამიანებს უქრებათ მომავლის იმედი, მრავალი ფირმა კოტრდება, ხოლო ფასები უაღრესად დაბალია.

გამოცოცხლებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც საწარმო ხელახლა გაიღებს ინვესტიციებს, ხალხს მომავლის რწმენა უბრუნდება, იგრძნობა მოთხოვნის პროგრესი, ადამიანები იწყებენ ფულის ხარჯვას, ხოლო ბანკები-სესხების გაცემას. მიწა, სამუშაო ძალა და კაპიტალი არის ძალიან იაფი, რის შედეგადაც აღსდგება და ეითარდება დინამიური საწარმოები.

მაღალი კონიუნქტურა გეეელინება მაშინ, როდესაც ყველაფერი ვითარდება გონიერულად და ყველა ადამიანს აქვს უსაფრთხოების გრძნობა. მაღალი კონიუნქტურის პერიოდში ადგილი აქვს მოთხოვნის სწრაფ მატებას, ადამიანები ყიდულობენ ათასგვარ საქონელს, ხოლო ბანკები გამოუყოფენ კრედიტებს ყველა საწარმოს, ვისაც ძალიან ოპტიმალური პროექტების საფუძველზე წარმოების შანსი აქვს. მაღალი კონიუნქტურის დროს ფირმები იღებენ დიდ მოგებას. გადასახადებიდან შემოსავალი ძალიან მაღალია; უმუშევრობის შემცირების კვალობაზე მცირდება სოციალურ უზრუნველყოფაზე გაღებული მთავრობის ხარჯები, ხოლო ფასები საკმაოდ სწრაფად მატულობს. ამ პერიოდში სამინისტროებამდე ძლივს აღწევს კრიზისის დროის სტატისტიკური მონაცემები, რის გამოც იზრდება მთავრობის ხარჯები, რაც თავის მხრივ იწვევს მოთხოვნის კიდევ უფრო მატებას.

„გადახურება“ დგება იმ მომენტში, როდესაც ეკონომიკა აღწევს წარმოების მაქსიმუმს რაღაც დარგში მაინც, ხოლო პროდუქციის მკვეთრი უკმარისობა იწვევს ინფლაციის სწრაფ ზრდას. ასეთ დროს დიდი პრობლემაა შესაბამისი კვალიფიციური კადრების სიმცირე. ხელფასები და უძრავი ქონების ფასები სწრაფად იზრდება, რაც თავის მხრივ იწვევს წარმოების დანახარჯების გადიდებას. ზევით იწევს საპროცენტო განაკვეთიც, ვინაიდან მთავრობა ცდილობს შეზღუდოს მოთხოვნა. ალღოიანი ფირმები თავიანთ საქონელს მაღალ ფასებში მიჰყიდიან დიდ საწარმოებს, რომლებამდეც ძლივს მიაღწია ცნობებმა მაღალი კონიუნქტურის შესახებ. ადამიანები სიამოვნებით გაიღებენ ინვესტიციებს და სხვებსაც ურჩევენ მათ მიჰბაძონ, ცდილობენ რა მათ დაჯერებას, რომ კარგი კონიუნქტურა მუდმივად გაგრძელდება.

კონიუნქტურის დაცემას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მოთხოვნა სტაბილურდება ანდა დაიწყებს დაქვეითებას. ფირმებს სირთულეები

ექმნებათ წარმოების გაძვირებისა და მაღალი ფასების გამო, ვინაიდან არ მოწმდება მათი ოპტიმისტური პროექტები მომატებული მოთხოვნების შესახებ, ინვესტიციები გრძელდება. უმუშევრობა კვლავ დაბალ დონეზეა შენარჩუნებული, ხელფასები კვლავ მაღალია, ამავე დროს სულ ახალი და ახალი ფირმები კოტრდებიან, ადამიანები თანდათან ფრთხილნი ხდებიან ფულის ხარჯვაში, რის შედეგადაც მკვეთრად და მოულოდნელად ეცემა მოთხოვნა. მთავრობა, რომელსამდეც ამასობაში აღწევს სტატისტიკური მაჩვენებლები, კონიუნქტურის უმაღლესი დონის პერიოდიდან, ზრდის საპროცენტო განაკვეთისა და გადასახადების სიდიდეს, სამაგიეროდ ზღუდავს ხარჯებს, რაც დამატებით უარყოფითად მოქმედებს სიტუაციის გაუარესებაზე, ბანკები ხდებიან ფრთხილნი და იწყებენ წუხილს კონიუნქტურის ზრდის ბოლო სტადიაზე გაცემული სესხების ბედზე.

რეგრესი დგება მაშინ, როდესაც ფირმები მასობრივად კოტრდებიან, ფასები ეცემა, მაგრამ მაინც ძალიან ძნელია რაიმეს გაყიდვა, ვინაიდან ყველა ცდილობს საქონელი მაშინ შეიძინოს, როდესაც კონიუნქტურა გაუმჯობესდება. ბანკის სესხების აღება თითქმის შეუძლებელი ხდება, უეცრად იზრდება უმუშევრობა, გამოცდილი ადამიანები ფულს ინახავენ ბანკში და ულოდებიან კრიზისის დაღგომას, როდესაც ყველაფერი კიდევ უფრო იაფი იქნება. ფირმები ეწევიან უძრავი ქონებით ვაჭრობას, ხოლო საინვესტიციო ბანკები ცდილობენ დაარწმუნონ მოსახლეობა, რომ მალე დადგება გამოცოცხლება, თუმცა გრძელდება ფასებისა და მოთხოვნის დაცემა.

ზ რ დ ა

როდესაც ზრდის შესახებ ლაპარაკობენ ეკონომისტები გულისხმობენ წარმოების რეალურ მატებას. მატება არის ნამდვილად მნიშვნელოვანი, რაც იმას აღნიშნავს რომ, ადამიანები ფლობენ გაცილებით მეტ ქონებას. თუმცა ეკოლოგები და სხვები, მაგალითად. ე.შუმახერი,*— მიიჩნევენ აქციატებულ აზრს ზრდისაკენ როგორც ბოროტებად, მაგრამ ასეთი შეხედულებები პოპულარულია ჩვეულებისამებრ მხოლოდ იმ ხალხში, რომლებიც იყვნენ ანდა არიან მდიდრები.

ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ზრდა და კეთილდღეობა. ღარიბმა ქვეყნებმა შეიძლება მიაღწიონ ზრდის გაცილებით მაღალ ტემპებს, ვიდრე მდიდარმა ქვეყნებმა, მათი ტექნოლოგიების, შრომის ორგანიზაციის და სხვ. გამოყენებით, მაგრამ თავად შესაძლებლობა არ იძლევა

* „პატარა არის მშვენიერი", ე.შუმახერი

იმის გარანტიას, რომ ასეთი ზრდა სინამდვილეში მოხდება. აფრიკის ზოგიერთი ქვეყნის სიღატაკე სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი შესძლებენ ადვილად მიეწიონ მდიდარ ქვეყნებს მათი მიღწევების ათვისების შედეგად.

მდიდარ ქვეყნებს არა აქვთ ზრდის ასეთი შესაძლებლობები სხვათა მიღწევების ათვისების გზით, ვინაიდან თავად თამაშობენ წამყვან როლს. ცალკეული მოქალაქეების საწარმოო შესაძლებლობები შეზღუდულია ტექნოლოგიური პროგრესითა და საზოგადოებრივი ფაქტორებით.

- კომპიუტერებისა და ფოტოასლების დანადგარების გამოგონებამდე ჩინოვნიკების მთელი არმია იყო დასაქმებული მხოლოდ ციფრების შეჯამებითა და დოკუმენტების გადაწერით. ახლა ამ ხალხს შეუძლია შეასრულოს სხვა სამუშაო, ანდა დარჩეს უმუშევარი იმის და მიხედვით, თუ დასაქმების მხრივ როგორ შესაძლებლობებს იძლევა მეურნეობა.


პოლიტიკოსებისათვის ეკონომიკური ზრდა არის სასარგებლო მოვლენა, ვინაიდან ზრდის წყალობით მათ განკარგულებაში ჩნდება დიდი თანხები, რომელსაც გადასახადების აკუმულაციით აგროვებენ. ეს კი მათ აძლევთ სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტისა და პოპულარობის მოპოვების მეტ შანსს.

მაგრამ ზრდა ვერ ჭრის ყველა პრობლემას. მდიდარ ქვეყნებში ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს ღარიბულად. ზრდის მაღალი მაჩვენებელი და მაღალხარისხოვანი საერთო პროდუქციის მაჩვენებელი ნიშნავს, რომ საქონელი არის ძვირი, ხოლო მისი მოხმარება შთანთქავს ღარიბი ხალხის შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს. მდიდარ ქვეყნებში საცხოვრებელი სახლებისათვის ისინი ხარჯავენ თავიანთი შემოსავლების ღაახლოებით ნახევარს.

ეკონომიკის გრძელვადიანი მატება უნდა შევაფასოთ მინიმუმ ერთი კონიუნქტურული ციკლის განმავლობაში. ეს ნიშნავს, რომ მისი გაზომვა საჭიროა დაიწყოს მაღალი კონიუნქტურის მწვერვალიდან ანდა რეგრესის ყველაზე დაბალი წერტილიდან შემდგომი ციკლის დროს. პოლიტიკოსები სიამოვნებით მიმართავენ იმ სტატისტიკურ მაჩვენებლებს, რომლებიც გამოხატავენ კონიუნქტურული ციკლის ყველაზე ხელსაყრელ პერიოდს, რაც ცხადია მრავალი გაუგებრობის მიზეზი ხდება და მიყვევართ ყალბ დასკვნებამდე. ნახაზ 23—ზე წარმოდგენილია კონიუნქტურული ციკლის მაქსიმუმი და მინიმუმი.

გლობალური მიწოდება

გლობალური მიწოდება არის იმ საქონლისა და მომსახურების ჯამი, რომელიც მიეწოდება მეურნეობას. ვინაიდან ყველაფერი, რაც ნაყიდია, თაკლაპირველად საჭიროა იყოს მიწოდებული; გლობალური მიწოდება უნდა იყოს ტოლი გლობალური მოთხოვნისა. გლობალური მიწოდება და გლობალური მოთხოვნა წარმოდგენილია ნახ. 24–ზე,



სადაც AMD/p არის ფულზე გლობალური მოთხოვნა ინფლაციის გათვალისწინებით, q წარმოების საერთო დონე, 45 გრადუსით დახრილი სწორი ხაზი წარმოადგენს გლობალური მოთხოვნა AD –სი და გლობალური მიწოდება AS–ის ყველა შესაძლო დონეს, AD=AS წარმოება სრული დასაქმების დროს აღწევს FE-ს. ინფლაციით გამოწვეული გლობალური მოთხოვნა AD1 დასაქმების დონე იწვევს წარმოების დონე Q1, რომელიც აჭარბებს იმ შესაძლებლობას, რომელსაც იძლევა სრული დასაქმება. გლობალური მოთხოვნა AD2 დაბალი დონე იწვევს წარმოება Q2 დაბალ დონეს, რომელიც მოითხოვს სრულზე ნაკლებ დასაქმებას.

ხაზი, რომელსაც აქვს 45° დახრილობა პასუხობს სიტუაციას, რომელშიც გლობალური მოთხოვნა ტოლია გლობალური მიწოდების. გლობალური მოთხოვნა განსაზღვრავს წარმოების რეალურ დონეს, რომელიც შეესაბამება 45° დახრილი ხაზის გადაკვეთასთან არსებულ წერტილს.

ნახ. 24 გლობალური მოთხოვნა და გლობალური მიწოდება

უმუშევრობა და ინფლაცია

დიდი ხნის მანძილზე პოლიტიკოსებსა და ეკონომისტებს მიაჩნდათ, რომ შესაძლებელი იყო უმუშევრობის თავიდან აცილება, თუკი გლობალური მოთხოვნის სრული დასაქმების დონეზე შენარჩუნებას შევძლებდით. მაგრამ, როგორც ზევით უკვე შეგნიშნეთ, გლობალური მოთხოვნა არის გაცილებით რთული პრობლემა, ვიდრე ეს შეიძლება ჩანდეს ნახაზზე.

ზოგიერთი ფირმები მუშაობენ კარგად, სხვები ცუდად, ზოგიერთ დარგში შესაძლოა სრულად გამოიყენონ საწარმოო სიმძლავრეები, სხვებს შესაძლოა გართულებები ჰქონდეთ შეკვეთებთან დაკავშირებით. ერთ- ერთი ეფექტი მცდელობისა მოთხოვნის მაღალი დონის შენარჩუნების მიზნით, არის მუშების დარწმუნება იმაში, რომ მათ არ ეშინოდეთ სამუშაოს დაკარგვისა. შედეგად ისინი უფრო მეტი ენერგიით იბრძვიან ხელფასის მომატებისათვის, რითაც იწვევენ ინფლაციის წარმოშობას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში უმუშევრობა ყოველთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან პრობლემას, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ.

უმუშევრობის მაღალი დონე იყო კაპიტალიზმის კრიტიკის მთავარი საგანი სოციალისტებისა და კომუნისტების მხრიდან. მათი მტკიცებით, სიტუაცია, რომლის დროსაც იმ ადამიანების უმუშევრობა, რომელთაც უაღრესად სწადიათ მუშაობა, არის ტრაგიკული მავნებლობა. კაპიტალისტურ ქვეყნებში მრავალი წლის მანძილზე მიმდინარეობს კამათი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაიჭრას დასაქმების პრობლემა.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მომხრეები მოთხოვნა—მიწოდების გრაფიკის დახმარებით რწმუნდებიან, რომ სამუშაო ძალის ფასი არის ნამდვილად მაღალი და რომ ეს ხდება ალბათ იმის გამო, რომ პროფკავშირები ხელფასის მატების მიზნით იყენებენ მონოპოლიის სხვადასხვა ფორმას. ამას გარდა ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ უმუშევრობისათვის გაღებული დახმარებების შედეგად მუშებს ეკარგებათ სურვილი ინტენსიურად ეძებონ სამუშაო. სამაგიეროდ ისინი ყურადღებას აქცევენ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს სოციალურ დახმარებებსა და საშუალო ანაზღაურებას შორის (დახმარებების მოცულობა / საშუალო ხელფასი = შემცველობის მაჩვენებელს). ეკონომისტები ვერ თანხმდებიან იმაზე, რომ იმათი რიცხოვნობა, ვინც ნამდვილად ეძებს სამუშაოს, ემთხვეოდეს მათ რაოდენობას, რომლებიც პრინციპში კმაყოფილდებიან იმ ფაქტით, რომ სამუშაო არა აქვთ.

ზოგიერთი ეკონომისტი მიუთითებს ამ სფეროში გარკვეული სირთულეების არსებობაზე. ჯერ ერთი, შრომა არ არის ჩვეულებრივი საქონელი, არამედ დროა, რომლის განმავლობაშიც ამა თუ იმ სამუშაოზე ადამიანები მოიპოვებენ სხვადასხვა ღირებულებებს მათი კვალიფიკაციისა და შრომის ნაყოფიერების მიხედვით. შრომის მწარმოებლურობაში განსხვავება მიუთითებს, რომ უფრო უკეთესია დავასაქმოთ მაღალანაზღაურებადი მუშა, რომელიც აღწევს მაღალ შრომის ნაყოფიერებას, ვიდრე დაბალანაზღაურებადი, რომელსაც აქვს დაბალი მწარმოებლურობა (თუმცა უფრო უკეთესია დავასაქმოთ მაღალკვალიფიციური მუშაკი, რომელიც თანახმა იქნება დაბალ ანაზღაურებაზე). ყველაზე მნიშვნელოვან სტატისტიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს ანაზღაურების დონე პროდუქციის ერთეულზე გაანგარიშებით.

ბოლო ფაქტორია ხელფასების სიდიდის გაელენა მოთხოვნის დონეზე. ფირმებს მდიდარ ქვეყნებში საშუალება აქვთ დააწესონ დიდი ფასები სხვათა შორის იმის გამოც, რომ ამ ქვეყნებში ცხოვრობს ბევრი მდიდარი მოქალაქე, რომლებიც იღებენ მაღალ ანაზღაურებას და ბევრსაც ხარჯავენ. ასეთ შემთხვევაში კეინსიანელებს შეიძლება ემტკიცებინათ, რომ ხელფასების შეკვეცა რეგრესიის დროს იწვევს მოთხოვნის დაცემას, რაც კიდევ უფრო აუარესებს სიტუაციას.

უმუშევრობის მიზეზები

სტრუქტურული უმუშევრობა. უმუშევრობის მიზეზი შესაძლებელია იყოს ცუდი მეურნეობრივი სტრუქტურა. ცუდი სტრუქტურა ნიშნავს, რომ მეტისმეტად ბევრი ადამიანია დასაქმებული მეურნეობის სექტორებში, რომელთაც აწუხებთ მოთხოვნის შემცირების პრობლემა. საბაზრო მეურნეობებში ეს ეხება უპირველეს ყოვლისა, ტრადიციულ მძიმე მრეწველობის დარგებს: მადნეულის მოპოვებას, მეტალურგიას, გემთმშენებლობას და ასევე სოფლის მეურნეობას. არსებობს ძლიერი კონკურენცია განვითარებადი ქვეყნების მხრიდან, რომლებიც გამოიყენებენ ასეთსავე ტექნოლოგიას და სადაც ხელფასები მნიშვნელოვნად დაბალია.

კომუნისტურ ქვეყნებში ეს ცოტა სხვაგვარად გამოიყურებოდა. იქ დაგროვდა დიდი კონცენტრაცია მარაგებისა მძიმე მრეწველობაში, რომლებიც აწარმოებდნენ ისეთ საქონელს, რომლებზედაც მოთხოვნილება მოძველებული ტექნოლოგიებისა და მაღალი დანახარჯების გამო ძალზე მცირე იყო. ამ ქვეყანათა უმრავლესობაში ადგილი აქვს განსაკუთრებულ დეურბანიზაციას. კერძოდ სიტუაციას, როდესაც ადამიანები გადადიან ქალაქებიდან სოფლებში, სადაც მათ შეეძლოთ

სასოფლო- სამეურნეო წარმოებაში დასაქმება. თითქმის ყოველ ყოფილ კომუნისტურ ქვეყანაში სურსათისა და ყვაყილების მწარმოებელი ადამიანები იყვნენ საკმაოდ მდიდრები, ვინაიდან პრაქტიკულად არ არსებობდა არავითარი კონკურენცია ამ სფეროში კოლექტიური მეურნეობების მხრიდან.

რეგიონალური უმუშევრობა. ხშირად ზოგიერთ რეგიონებში ადვილი აქვს მნიშვნელოვან უმუშევრობას. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ მდიდარი რეგიონები რჩებიან მდიდარ რეგიონებად, ხოლო ღარიბი რეგიონები - ღარიბებად. ნაწილობრივ ამ მოვლენის მიზეზები დამოკიდებულია მოთხოვნასთან. თითქმის ყველა ფირმას უფრო იოლად შეუძლია იპოვოს კლიენტები დედაქალაქში, ან სხვა მსხვილ ქალაქში. ასევე ყოველ ფირმას, რომელიც ფილიალს ხსნის დედაქალაქში, ემატება ასევე მოთხოვნა ადვილობრივ მომსახურებაზე.

ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა და მომსახურება ხალხის დიდი თავშეყრის ადგილებში და ხელისუფლების ადგილსამყოფელ ქალაქებში, თითქმის ყველგან უკეთესია, ვიდრე შედარებით იზოლირებულ რეგიონებში.

ძნელია ისეთი მაღალკვალიფიციური მუშაკების მოძებნა, რომლებიც დათანხმდებოდნენ ეკონომიკურად ჩამორჩენილ რაიონებში გადასვლაზე. თუ რომელიმე რეგიონი ხალხის თვალში შეიძენს ეკონომიკური საქმიანობის ცენტრის ავტორიტეტს, იქ ადვილი იქნება შესაფერისი მუშაკების მოძებნაც. კვალიფიციური მუშაკების ნაკლებობას იწვევს რეგიონის ჩამორჩენილობა.

თუ მოცემული რეგიონი სპეციალდება გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობაზე და იქ ჩნდება წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის დაცემის ტენდენცია, უმუშევრობა განსაკუთრებით საგრძნობი იქნება. იქ ზარალი მიადგება არა მხოლოდ საქმიანობის ამ სფეროს, არამედ აგრეთვე მასთან დაკავშირებული მომსახურების ყველა სხვა დარგს.

თუ რეგრესის გზაზე დამდგარი მრეწველობა აღრე აწარმოებდა საექსპორტო საქონელს, წარმოებისა და ხარჯების გაწონასწორებისათვის ახლენენ იმპორტს ქვეყნის სხვა კუთხეებიდან. ეს ნიშნავს, რომ როდესაც შეწყდება საზღვარგარეთიდან ფულის შემოტანა, ადგილობრივ მეურნეობას არ ექნება დაკარგული სამუშაო ადგილების გახსნის დიდი შესაძლებლობები.

ინფლაცია

ინფლაცია არის ძალზე არაპოპულარული მოვლენა, ამასთან მასთან ბრძოლაც მოითხოვს არაპოპულარულ მეთოდებს. არსებობს სხვადასხვა შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, თუ სინამდვილეში რას წარმოადგენს ინფლაცია.

თუ სტატისტიკის მთავარი სამმართველო იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ განვლილ თვეში ინფლაციამ მიაღწია 1,5 პროცენტს, ეს ნიშნავს, რომ ასეთი იყო ფასების საშუალო მატება. ქვემოთ მოცემული მაჩვენებლები შეეხება სხვადასხვა საქონლის ფასების საშუალო ცვლილებებს.

დავუშვათ, რომ გვსურს განვსაზღვროთ ინფლაციის მაჩვენებელი ლუდზე, თევზზე, პურზე და კარაქზე. ქვემოთმოტანილი ცხრილი შეიცავს ფასებს ამ პროდუქტებზე ორი წლის მანძილზე.

ინფლაციის მაჩვენებელს გამოვთვლით ყველა ცალკეული პოზიციის ფასების ცვლილების ჯამის გაყოფით პოზიციების რიცხვიანობაზე.

წონითი კოეფიციენტები. ინფლაციის გაანგარიშების დროს საჭირო ხდება იმის შეფასება, თუ მასზე რა გავლენას ახდენენ ცალკეული ელემენტები. მაგალითად, თუ მატულობს ფასები იმპორტულ ფრანგულ შამპუნზე ან რესტორნის კერძებზე, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც არ არიან ამ საქონლის მომხმარებელნი. სტატისტიკოსები აფასებენ, თუ როგორ ადგილს იკავებენ სხვადასხვა პოზიციები საშუალო შეძლების ოჯახის ბიუჯეტში. ის საქონელი თუ მომსახურება, რომლებიც შთანთქავენ ოჯახური მეურნეობის ხარჯების მნიშვნელოვან წილს, ხასიათდება მაღალი წონითი კოეფიციენტით, ვიდრე საქონელი, რომელსაც მოიხმარს ადამიანთა მცირე რიცხვი.

	წელი 1		წელი 2	
საქონელი	ფასი (ლოტებში)	მაჩვენებელი	ფასი (ლოტებში)	მაჩვენებელი
1. ლუდი	3.500	100	4.200	120
2. თევზი	10.000	100	11.000	110
3. პური	2.000	100	2.600	130
4. კარაქი	5.000	100	7.000	140
ჯამი =		400		500
მაჩვენებელი = ჯამი/ პოზიციათა რიცხვი		400/4=100		500/4=125
ინფლაცია =		25%		

არსებობს ინფლაციის სამი მთავარი მიზეზი:

1. მოთხოვნის ინფლაცია — მას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ეკონომიკაში შეიმჩნევა გადაჭარბებული ფულადი მოთხოვნა.

მწარმოებლებს არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ მოთხოვნა თავიანთ ნაწარმზე არსებული ფასების პირობებში, ამიტომ ზრდიან მას.მოთხოვნის ინფლაციას აღგილი აქვს მაღალი კონიუნქტურის პერიოდში.

2. დანახარჯების ინფლაციას აღგილი აქვს მაშინ, როდესაც დანახარჯების ზრდა უბიძგებს მწარმოებლებს ფასების აწევისაკენ. ეს სიტუაცია გვაგონებს ჯადოსნურ წრეს, ვინაიდან ადამიანები ცდილობენ მიაღწიონ ხელფასების მატებას, რაც მათ დიდი ფასების კომპენსაციის საშუალებას მისცემდა.

3. მონეტარული ინფლაცია გამოწვეულია ფულის მიწოდების მატებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთავრობა ფულს ბეჭდავს თავისი დავალიანებების დასაფარავად. ეს პრობლემა ეკონომიკურ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი კამათის საგანია. ქვემოთ განხილული იქნება ორი უმთავრესი თვალსაზრისი ამ თემაზე.

მონეტარისტული შეხედულება *

თუ მთავრობა ბეჭდავს ფულს, ეს ნიშნავს, რომ მეურნეობაში მალე იგრძნობა ფულის რაოდენობის მატება წარმოებულ პროდუქციასთან შედარებით. ეს კი იწვევს ინფლაციას. როდესაც 50—იან წლებში, კეინსის შეხედულებათა პრაქტიკაში განხორციელების შედეგად, ასეთი პოლიტიკა მტკიცედ დამკვიდრდა, მრავალმა მწარმოებელმა და მუშამ ვერ გაითვალისწინა, რომ მოხდა ფულის მიწოდების გადიდება. ვერც იმას მიხვდნენ, რომ ეს იყო გრძელვადიანი ინფლაციის დასაწყისი. მწარმოებლები ვარაუდობდნენ, რომ მათ პროდუქტებზე ნამეტანი მოთხოვნა შედეგია მათი საქონლის უპირატესობისა სხვა საქონელთან შედარებით; ვერ გაითვალისწინეს რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მთავრობის მიერ დიდი რაოდენობით ფულის გამოშვების შედეგი. ამიტომ დროებით გაადიდეს წარმოების დონე და გადააჭარბეს შრომის ნაყოფიერების ბუნებრივ მაჩვენებელს. ამ მოვლენას ეწოდება მონეტარული ილუზია.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე, რომელზედაც უკვე ლაპარაკი გვქონდა წინა პარაგრაფში, წარმოადგენს ძირითადი მონეტარისტული თეორიის ცნებას. ყოველ სამეურნეო სისტემაში არსებობს შრომის ნაყოფიერების, უმუშევრობის, ინფლაციისა და მატების ბუნებრივი

* არსებობს მნიშვნელოვანი კამათი კეინსიანელებსა და მონეტარისტებს შორის. ამიტომ არ უნდა მოველოდეთ, რომ აქ მოყვანილი მსჯელობა მოწონებულ იქნება ერთ- ერთი ამ მიმდინარეობის მიერ როგორც მათი შეხედულებების ბრული გამოხატულება.

მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლების სიდიდეზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ბუნებრივი რესურსების მოცულობები, ეკონომიკის კაპიტალით მომარაგება და ასევე საზოგადოების შეძლებულობის დონე. ყოველი განსხვავება ამ მაჩვენებლების ნამდვილსა და ბუნებრივ სიდიდეებს შორის გამომდინარეობს თავისუფალი ბაზრის მოქმედების დარღვევიდან. განსაკუთრებით დიდ გავლენას თავისუფალი ბაზრის მოქმედების დარღვევაზე ახდენს მთავრობის ბრასწორი ეკონომიკური პოლიტიკა, მით უფრო ის ღონისძიებები, რომლებიც იწვევენ ფულის ღირებულების დაცემას.

როდესაც ხალხი იგებს, რომ მთავრობა ბეჭდავს დამატებით ფულს, იგი ამ მოვლენაზე რეაგირებს ფასების მომატებით. ამ მომენტიდან მწარმოებლები უკვე აღარ არიან დაინტერესებულნი, რომ მათ საწარმოებში შრომის ნაყოფიერება მკვეთრად აღემატებოდეს მის ბუნებრივ მაჩვენებლებს.

70—იანი წლების პოლონეთის გამოცდილება ყოველგვარი დაეჭვების გარეშე გვიჩვენებს, რომ მართლაც შეიძლება არსებობდეს მონეტარული ინფლაცია. ამ სახის ინფლაცია გვიჩვენებს, თუ რა მოვლენებთან გვაქვს საქმე, როდესაც მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ იცის თავისი სრული გაკოტრების ამბავი, უბრალოდ ბეჭდავს ფულს თავისი დავალიანებების თავიდან ასაცილებლად.

მონეტარისტი მილტონ ფრიდმანი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში, აღწერს, თუ რა მოხდა შუა საუკუნეების ესპანეთში, როდესაც ევროპაში დაიწყეს სამხრეთ ამერიკული კოლონიებიდან შემოტანილი ოქროსი და ვერცხლის მიმოქცევაში გაშვება. ასი წლის განმავლობაში ფასების დონემ ევროპაში ორჯერ მოიმატა; ეს მაჩვენებელი შეესაბამებოდა ამ ძვირფასი ლითონების ევროპაში შემოტანის გაორმაგებას. როდესაც რომელიმე მატერიალური ფასეულობების მიწოდება ორმაგდება, ჩვეულებისამებრ მისი ღირებულება სხვა ფასეულობებთან მიმართებაში — მცირდება.

ფულის რაოდენობითი თეორია

მონეტარისტები ამტკიცებენ, რომ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება ფულის რაოდენობას —M—ს, მისი ბრუნვის სისწრაფის V-ს, ფასების დონეს P-ს და შრომის ნაყოფიერებას T-ს შორის. მათ ეს დამოკიდებულება გამოხატეს შემდეგი ფორმულით:

$$M \times V = P \times T$$

ეს ნიშნავს, რომ:

ფულის რაოდენობა, გამრაელებული მისი ბრუნვის რიცხვზე, ტოლია ფასების დონისა, გამრაელებულს დადებული კონტრაქტების რაოდენობასა, ანდა შრომის ნაყოფიერებაზე.

თუ დადებული კონტრაქტები ბუნებრივ დონეზე იქნება დადგენილი, ფულის მიწოდების მატებამ უნდა გამოიწვიოს მისი ბრუნვის სისწრაფე, ან ფასების დონის ამაღლება. ფულის ბრუნვის ტრიალის სისწრაფე ნიშნავს, თუ განსაზღვრულ დროში რამდენჯერ იქნება გახარჯული ფულის კონკრეტული რაოდენობა.

კეინსის შეხედულება

კეინსიანელები ამტკიცებენ, .რომ ბუნებაში არ არსებობს რაიმე ისეთი, როგორც შრომის .ნაყოფიერების, უმუშევრობის თუ ინფლაციის ბუნებრივი დონეა. ისინი არსებით მნიშვნელობას ანიჭებენ ინსტიტუციონალურ ფაქტორებს, მაგალითად, შრომითი მოლაპარაკებების ჩატარების მეთოდებს, მთავრობის გავლენის შესაძლებლობას სესხების გამოყოფის საბანკო სისტემაზე, და ასევე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ინფრასტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებისათვის შესაფერის პირობებს.

კეინსიანელები ასევე ამტკიცებენ, რომ ფასების დაწესებისას არსებით როლს თამაშობს ფსიქოლოგიური ფაქტორები. ამიტომ ისინი არ ეთანხმებიან მტკიცებას იმის შესახებ, რომ მეურნეობაში არსებობს შრომის ნაყოფიერების მხოლოდ ერთი გაწონასწორებული დონე. კეინსი ხალხის სიმდიდრის მატების კვალობაზე გაწონასწორებული უმუშევრობის უსაფრთხოებაზეც კი ლაპარაკობდა. მდიდარი ადამიანები ხომ შემოსავლების გაცილებით მეტ ნაწილს ზოგავენ, ვიდრე ღარიბები.

კეინსიანელები თანხმდებიან იმ აზრს, რომ პოლონეთში ჰიპერინფლაციის მიზეზი ფულის ბეჭდვა იყო; ოღონდაც მათ მიაჩნიათ, რომ ასეთმა საქციელმა ავტომატურად არ უნდა მიგვიყვანოს ინფლაციის დაწყებამდე იმ სიტუაციაში, როდესაც მთავრობა სტაბილურია, ხოლო ფულის მიწოდება ზომიერი (წელიწადში 20 პროცენტზე ნაკლები). ფულის მიწოდება ნაწილობრივ უნდა გაიზარდოს ბანკების სესხებისა და კრედიტების გამოყოფით, ხოლო ნაწილობრივ დამატებითი ფულის ბეჭდვით.

კეინსიანელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გადაცემის მექანიზმს. ფაქტიურად რა გზით გადადის დამატებითი ფული მიმოქცევაში? თუ ეს ფული გახარჯულია, ამტკიცებენ ისინი, მაშინ ამან უნდა გამოიწვიოს გარკვეული დამატებითი საქმიანობა. გამოდის, რომ ეს აბათილებს

იმ მტკიცებას, რომ ფული გაცემულია ამავე რაოდენობის ღირებულების შეძენაზე. ამ არგუმენტის სისწორე დამოკიდებულია იმაზე, მცნება ბუნებრივი მაჩვენებლის შესახებ მოწონებულია თუ უკუგდებული. კეინსიანელები ამტკიცებენ, რომ თუ მეურნეობაში არ ჩნდება რაიმე გართულებები, უმუშევრობა შესაძლებელია ნაწილობრივ ლიკვიდირებულ იქნას ფულის მიწოდების მატების გზით. ამავე დროს ისინი ეთანხმებიან მონეტარისტებს იმაში, რომ თუ გლობალური მოთხოვნა არაეფექტურია, მაშინ მოქმედება, მიმართული მოთხოვნის გადიდებისათვის, აუცილებლად ინფლაციას გამოიწვევს.

კეინსიანელებისათვის მნიშვნელობა არა აქვს ხარჯების გასაწევად ფინანსურ წყაროს წარმოადგენს მთავრობის მიერ დამატებით დაბეჭდილი ფული, სესხები თუ კერძო დანახარჯები, მაშინ როდესაც მონეტარისტებისათვის მთავრობის ხარჯები მოლენების ბუნებრივი განვითარების შემაფერხებელი მიზეზი ხდება.

ინფლაციის შედეგები

ეკონომიკაში ინფლაცია იწვევს რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას:

1. სიმდიდრის მეორადი გადადინება ფულის დამზოგველებისაგან მისი მსესხებლისაკენ. ამ შემთხვევაში არსებითია კითხვა - საპროცენტო განაკვეთი აღემატება თუ არა ინფლაციის მაჩვენებელს? თუმცა ძირითადში მაინც ინფლაციის შედეგად მოგებას ნახულობენ ფულის მსესხებლები, ხოლო ზარალს - მისი გამსესხებლები (ასევე დანაზოგების მკეთებელნი)*.

2. გართულებები სამეურნეო საქმიანობაში. რომ არა ინფლაცია, საწარმოებს შეეძლოთ ადვილად დაემტკიცებინათ, რომ მათ პროდუქციაზე საბაზრო ფასების გაზრდა გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი მოტყუებულნი რჩებიან კლიენტებისაგან. ინფლაციის დროს ძნელია იმის დადგენა, ფასების ცვლილებებს სხვა პროდუქტების მიმართ აქვს ადგილი, თუ იგი მხოლოდ ყველა სხვა საქონელზე ფასების მატების შედეგია.

3. ფასების ცვლილებაზე მორგებასთან დაკავშირებული ხარჯები (მაგალითად, ფასების პრეისკურანტების განახლება, ფულის ჩასაყრელი ავტომატების შეცვლა);

---

* ოთხმოციან წლებში მონეტარიზმის თეორიის გაძლიერებასთან ერთად გაჩნდა საპროცენტო განაკვეთის ინფლაციის მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნების ტენდენცია. ამან შეასუსტა სესხების აღების მიმზიდველობა ინფლაციის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის.

4. მყარი შემოსავლების მქონე პირთათვის საფრთხის შექმნა. მაგალითად, პენსიონერებისა თუ იმ პირთათვის, რომელთაც არ შეუძლიათ, ანდა არ აპირებენ იბრძოლონ თავიანთი ინტერესების დასაცავად (მაგალითად, პედაგოგები ან სასულიერო პირები) ინფლაციის პერიოდში ეკონომიკის სტრატეგიულ სფეროებში დასაქმებული დაზარალებულნი (მაგ. ტრანსპორტზე და ენერგეტიკაში) იმუქრებიან გაფიცვებით და ამ ანტისაზოგადოებრივი ქცევისათვის მათ აჯილდოებენ.

ინფლაციის შეკავება

უკვე ძალზე დიდი ძალისხმევაა ჩადებული ინფლაციის შესაკავებელი ღონისძიებების დამუშავებაში; თუმცა, სამწუხაროდ, დღემდე არც ერთი შედეგიანი მეთოდი არ არის გამოგონებული. კონტროლის დაწესება მეურნეობისათვის ფულის მიწოდებაზე არის უჩვეულოდ ძნელი, ვინაიდან ინვენსტიციები კერძო სექტორში და ასევე საბანკო კრედიტები, სტაბილური არ არის. სამთავრობო ხარჯების გეგმები დამუშავებულია დიდი ნამატით, ხოლო დაბეგვრის შესახებ ვალდებულებები და სოციალურ დაცვაზე გადასახდელები, შენარჩუნებულ უნდა იქნას.

ბევრ ქვეყნებში ნაცადი იყო შრომის ანაზღაურების მატებაზე კონტროლის დაწესება. მათი წარმატებები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მოლაპარაკებების ჩატარების ტრადიციებზე მოცემულ ქვეყანაში. ხელფასის დონე ეკონომიკის ერთ სექტორში დიდ გავლენას ახდენს ხელფასების დაწესებაზე სხვა სექტორში; თუ რამდენიმე მსხვილი ფაბრიკანტი იძლევა გარკვეული ოდენობის ხელფასს, ძნელია ისეთი მუშების მოძებნა, რომლებიც დათანხმდებოდნენ გაცილებით დაბალ ანაზღაურებაზე. საერთაშორისო საწარმოები, როდესაც აპირებენ ფილიალების გახსნას ახალ ქვეყანაში, ყოველთვის ჯერ იმას არკვევენ, თუ როგორია შრომის ანაზღაურება ამ ქვეყანაში, რომლის გადახდითაც მათ ადვილად შეეძლებოდათ მოენახათ კარგი მუშაკები. შეუძლებელია გათვალისწინებული არ იყოს შრომის ანაზღაურების სავალდებულო განაკვეთები.

ხდება ხოლმე, რომ მთავრობა ახორციელებს კანონს, რომლის მიზანიცაა ხელფასის ინფლაციის შეჩერება. პოლონეთის მთავრობამ შრომის ანაზღაურების შესაჩერებლად, რაც გამოწვეული იყო ფასების მომატებით, შემოიღო ზენორმატული შრომის ანაზღაურებაზე გადასახადები (ხალხში მას „პოპოვეკს“ უწოდებდნენ), რაც გარკვეულ დონემდე შედეგიანი აღმოჩნდა. მაგრამ სიტუაციაში, რომლის დროსაც მუშა და სამუშაოს მიმცემი ერთმანეთს შორის თანხმდებიან ისეთ ანაზღაურებაზე, რომელიც აღემატება მთავრობის მიერ დაწესებულ

ზღვარს, ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს გზები ამ დაღგენილების გვერდის ასავლელად. მაგალითად, ახლად დაფუძნებულმა ფირმებმა შეიძლება დააღგინონ საკმაოდ დიდი ანაზღაურება, ხოლო უკვე არსებულებმა, შეიძლება თავიანთ მუშაკებს გამოუყონ მატერიალური დახმარებები; მაგალითად, აუტომანქანა, საცხოვრებელი სახლი, ანდა უხვად გასწიონ სხვადასხვა სახის ხარჯები. ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია მთავრობის მიერ ხელფასების კონტროლთან, არის ის, რომ იგი გვეულინება როგორც საბაზრო ურთიერთობებში ჩარევა. როდესაც პროფკავშირები ძლიერია, ხოლო მთავრობა სუსტი, ასეთი კონტროლი შეიძლება აღმოჩნდეს აბსოლუტურად უშედეგო.

ინფლაცია ურთიერთ საწინააღმდეგო შეხედულებების გამომწვევი ეკონომიკური კატეგორიაა. ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ ინფლაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს უმუშევრობა და რეგრესი, შეიძლება იყოს უფრო დიდი, ვიდრე მის მიერ მოტანილი სარგებელი. ამ შეხედულების მომხრეები ეწინააღმდეგებიან ბალცეროვიჩის* გეგმებს, რომლის მიზანიც იყო ინფლაციასთან ბრძოლა მთავრობის ხარჯებსა და ფულის მიწოდებაზე მკაცრი კონტროლის დაწესებით.

1991 წლის მაისში საბჭოთა კავშირში მიმოქცევიდან ამოღებული იყო დიდი ღირებულების ბანკნოტები. ამ მოქმედებით სურდათ ინფლაციის შეჩერება, თუმცა ბევრმა მოქალაქემ ეს მიიღო, როგორც მთავრობის მხრიდან მათი კიდევ ერთხელ მოტყუების მცდელობა. ფულის მიწოდებაზე კონტროლის დაწესების მიზანია ვალუტის კურსის განმტკიცება. თუმცა ბრუნვიდან ფულის ნიშნების ამოღება ნამდვილად არ არის ფულისადმი ხალხის ნდობის დაბრუნების ჭეშმარიტი მეთოდი.

უმუშევრობასთან დაკავშირებული ინფლაცია ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა. უმუშევრობის ლიკვიდაცია მოითხოვს მთავრობის ხარჯების გაზრდას მოთხოვნის ამაღლებისათვის, ანდა პროფესიული მომზადების პროგრამის რეალიზაციისათვის. მაგრამ მთავრობის ამ ღონისძიებებს მოჰყვება ინფლაცია და საქმე მიდის გლობალური მიწოდების დამუხრუჭებამდე. ინფლაციასთან საბრძოლველად საჭიროა მოთხოვნის შემცირება, ამიტომ საწარმოებმა უნდა შეამცირონ ფასები, რასაც თავის მხრივ მივყევართ ინფლაციამდე.

---

* ლ.ბალცეროვიჩი – ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკური რეფორმების ხელმძღვანელი პოლონეთში 1991–1992 წლებში. ე.წ. „შოკური თერაპიის“ მამამთავარი.(მთარგ.)

საპროცენტო განაკვეთი

საპროცენტო განაკვეთი სხვადასხვა გზით ახდენს გაელენას ეკონომიკაზე. მრავალი იმ საკითხის ირგვლივ, რომლებიც საპროცენტო განაკვეთის შედეგებსა და მისი ცვლილებების გამომწვევ მიზეზებს ეხებიან, ეკონომისტები ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებებს გამოსთქვამენ.

საპროცენტო განაკვეთი არის ნასესხები ფულის ფასი. დაზოგილი თანხის პროცენტები არის მფლობელის მიერ ფულის მოხმარებაზე უარის თქმასა და სხვაზე მისი სესხად მიცემის რისკის გაწევისათვის მიცემული ჯილდო. ეს არის ამავე დროს თავის დაზღვევა ინფლაციის შედეგებისაგან. ამიტომ ღირს ყურადღებით გავაანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ ფულის მოთხოვნა-მიწოდებაზე.

საპროცენტო განაკვეთის თეორია

ფულზე მოთხოვნა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის გამოყენებასთან. თავისთავად ფული უსარგებლოა, თუმცა, ცხადია, ღირებულება აქვს. ფულის შესახებ ძველი თეორიის თანახმად, ფულზე მოთხოვნა ფორმირდება იმ ადამიანების მიერ, რომლებიც მას სესხულობენ კაპიტალის ინვენსტირებისათვის,სამაგიეროდ ფულის მიწოდება არის მისი დაზოგვის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების შედეგი. საპროცენტო განაკვეთი უზრუნველყოფს წონასწორობის დაცვას დაზოგვასა და ინვენსტიციებს შორის. ამავე დროს ამ თეორიით გადაუჭრელი რჩება შემდეგი წინააღმდეგობები:

1. ფული ნასესხებია არა მხოლოდ ინვენსტიციების დაფინანსების, არამედ ასევე მოხმარებისათვის, უძრავი ქონების შესაძენად, ფინანსური აქტივების ფორმირებისა და ასევე მთავრობის ხარჯების დასაფინანსებლად. ამიტომ ფინანსებზე მოთხოვნა გაცილებით მეტია, ვიდრე თავად კაპიტალის ინვენსტიციაზე მოთხოვნა.
2. საპროცენტო განაკვეთი არ არის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც გაელენას ახდენს ფონდების მოთხოვნაზე. უფრო არსებითია ის, თუ განვითარების რა ეტაპზე იმყოფება მეურნეობა. მაღალი კონიუნქტურის პირობებში ადამიანები ცდილობენ ნებისმიერ ფასად ისესხონ ფული, სამაგიეროდ რეგრესის დროს თითქმის ყველას უქრება ამის სურვილი. იმის გათვალისწინებით, თუ რა ფასი ექნება გარკვეულ აქტივებს მომავალში, ადამიანები სესხებს იღებენ ასევე აქციებისა თუ უძრავი ქონების შესაძენად.
3. საპროცენტო განაკვეთი არ არის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც

ზემოქმედებს ფულის დაზოგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე; ადამიანების მიერ დანაზოგების გადიდება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს დანაზოგები ავტომატიურად იქცევა ინვენსტიციების წყაროდ. შემოსავალი, სოციალური პირობები და სტაბილური ფინანსიური დაწესებულებების არსებობა ამ პროცესში არსებით როლს თამაშობენ. ფირმები და მთავრობა დროდან—დრომდე ზრდიან დანაზოგებს, თუმცა ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ასეთი გადაწყვეტილების მიღებაზე, უშუალოდ არ არიან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთთან.

კეინსის ფულის თეორია

კეინსმა შენიშნა,—რომ ადამიანებს სჭირდებათ ფული არა იმიტომ, რომ გახარჯონ, არამედ იმიტომ, რომ იგი გამოიყენონ სიმდიდრის დასაგროვებლად. მოთხოვნის სახეები მიუთითებენ აქტივების მოძრაობას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადვილი შესაძლებელია მატერიალური დოვლათის გაცვლა ნაღდ ფულზე. ფულზე შეიძლება გაიცვალოს სახლი ან ავტომანქანა, თუმცა ეს ცოტა რთული საქმეა. სამაგიეროდ ოქრო და აქციები გაცილებით ადვილად იცვლება ფულზე. ფული არის ყველაზე მოხერხებული ფორმა ღირებულებათა შესაძენად; თუკი დავუშვებთ, რომ არსებობს მისი დაცვის რაიმე მეთოდი, ინფლაციის შედეგებისაგან, ქონების შენახვის ასეთი ფორმა სრულიად ურისკოა მაშინ, როდესაც ღირებულება (ფულში გამოსახული) სხვა აქტივებისა შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ მერყეობას*.

აი, სხვა მიზეზებიც ქონების შენახვისა ფულად ფორმაში:

— მოთხოვნა გარიგებაზე, ანუ ფულის შენახვა მიმდინარე ხარჯებისათვის;

— „წინდახედული" მოთხოვნა, ანუ ფულის შენახვა მოულოდნელი ხარჯების დასაფარავად;

მიჩნეულია, რომ ზემოთ გადმოცემული მოთხოვნის სახეები ძირითადად დამოკიდებულია საპროცენტო განაკვეთზე.

არსებობს ფულზე კიდევ ერთი - სპეკულაციური მოთხოვნა. თუ ადამიანები გადაწყვეტენ, რომ ფული არის ყველაზე უსაფრთხო ფორმა

* ადამიანები, რომლებიც ფულს იმაში შეულობენ, რომ სხვებს აინტერესებენ ინვენსტიციების დაბანდებაზე, ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ინვენსტიციების ღირებულება უძრავ ქონებაში, ოქროში, ანტიკვარულ ნივთებში – იზრდება; თუმცა ისეც ხდება, რომ დრო და დრო იგი შეიძლება შემცირდეს.

დანაზოგების შენახვისა, აფასებენ ფულის ღირებულებას სხვა აქტივების უსაფრთხოებასთან შედარებით. როდესაც საპროცენტო განაკვეთი დაბალია, არაფერი არ უბიძგებს ადამიანს ნაღდი ფულის გასესხებისაკენ. სახელმწიფო ობლიგაციების ღირებულება იცვლება უკან საპროცენტო განაკვეთზე. როდესაც საპროცენტო განაკვეთი დაბალია, ობლიგაციების ფასი მაღლა იწევს და მათი შესყიდვა გონივრული არ არის. როდესაც საპროცენტო განაკვეთი მატულობს, სამთავრობო ობლიგაციები იაფდება და ადამიანები დებენ თავიანთ ფულს გრძელვადიან დაბანდებებში ანდა შეისყიდიან ობლიგაციებს.

საბაზრო ეკონომიკის მქონე განვითარებულ ქვეყნებში თანდათან უკეთეს საპროცენტო განაკვეთებს სთავაზობენ ნებისმიერი მიზნებისათვის შეტანილ ანაბრებზე. ამასთან დაკავშირებით იმ ფულის დანახარჯები, რომელიც მიმართავენ მიმდინარე გარიგებებზე და რეზერვები მოულოდნელ ხარჯებზე, არის ძალზე დაბალი და არ ხდება აუცილებელი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებზე სწრაფი რეაგირება.

კეინსიანურსა და კლასიკურ შეხედულებებს შორის მთავარი განსხვავება ემყარება იმას, რომ კლასიკური თეორიის თანახმად შეიძლება საპროცენტო განაკვეთის გავლენა კონიუნქტურაზე, მაშინ როდესაც კეინსიანელებს მიაჩნიათ, რომ სპეკულიაციის ელემენტები ძალზე ართულებენ რაიმე პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას.

შეჯამება:

მაკროეკონომიკა არის მეცნიერება მეურნეობის, როგორც მთლიანის შესახებ.

რეალური გლობალური მოთხოვნა წონასწორობის დროს ყოველთვის გლობალური მიწოდების ტოლია. თუ ასეთი ტოლობა არ არის დამყარებული, ფასების დონესა და შრომის ნაყოფიერებას შორის ურთიერთმიახლოების ტენდენცია შეინიშნება.

გლობალური მოთხოვნა შემდეგი ელემენტებისაგან შედგება: მოხმარება+ინვესტიცია+ (მთავრობის ხარჯები მინუს გადასახადები)+(ექსპორტი მინუს იმპორტი).

შემოსავლების მოცემული ციკლი შეიძლება შედგებოდეს:

- იმ ფულისაგან, რასაც ადამიანები იღებენ საწარმოებში, სადაც ისინი მუშაობენ, და რომელიც უკან ბრუნდება მოხმარებისათვის გაღებული თანხების სახით;
- იმ ფულისაგან, რასაც ხარჯავენ მომხმარებლები და რომელიც ამ უკანასკნელთ უბრუნდებათ შრომის ანაზღაურების სახით;
- იმ ფულისაგან, რაც გაცემულია იმპორტზე და დაბრუნდება ექსპორტის სახით;

– იმ ფულისაგან, რაც გაილება გადასახადების ფორმით და რომელიც უკან ბრუნდება მთავრობის ხარჯების სახით.

მონეტარისტები ამტკიცებენ, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ამა თუ იმ წარმოების ციკლში წონასწორობის დამყარების საშუალებას იძლევა, მაშინ როდესაც კეინსიანელები იმ ფაქტორად, რომლის ამოქმედებითაც შესაძლებელი გახდება წონასწორობის დამყარება, მიიჩნევენ შრომის მწარმოებლურობის ცვლილებას.

მონეტარისტების მტკიცებით, მეურნეობრიობის ყოველ სისტემას შეესაბამება წონასწორობის ბუნებრივი მდგომარეობა, მაშინ როდესაც კეინსიანელების მტკიცებით, მეურნეობაში არსებობს გარკვეული სფერო წონასწორობის მდგომარეობის სხვადასხვა შესაძლებლობებისა.

უმუშევრობა და ინფლაცია ძალზე ძნელად გადასაწყვეტი პრობლემებია. ერთ-ერთ მათგანთან ბრძოლის მცდელობას მიეყვევართ მეორე მათგანის გაღრმავებასთან.

მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობის ნამრავლი მისი ბრუნვის რიცხვთან ტოლია ფასების დონის ნამრავლისა დადებული ხელშეკრულების რაოდენობაზე.

შეკითხვები განსჯისათვის:

9.1. რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს გადასახადების შემცირებასა და ხარჯების გადიდებას პოლონეთში?
დაახასიათეთ ამგვარი გადაწყვეტილების დადებითი და უარყოფითი შედეგები.

9.2. რა ძირითადი განსხვავებაა მონეტარისტებისა და კეინსის მიმდევრების ეკონომიკურ შეხედულებებში?

9.3. რა მეთოდით შეგიძლიათ შეაფასოთ მომხმარებელთა ხარჯები პოლონეთში?

9.4. მოქალაქეთა ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული რომელი ფაქტორებით შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ სტატისტიკური მონაცემები სწორი არაა?

9.5. რა განსხვავებაა რეალურსა და ნომინალურ ეკონომიკურ მატებას შორის?

10

მთავრობა და მეურნეობა

ყოველ სახელმწიფოში მთავრობა ასრულებს არსებით როლს. ზოგიერთი ქვეყნის სიღატაკის მთავარ მიზეზს მისი მთავრობის არაკომპეტენტურობა წარმოადგენს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მხოლოდ ხარჯების გაწევასა და გადასახადების აკრეფასთან. მნიშვნელოვანი პრობლემაა აგრეთვე ღირსეული კანონების შემუშავება და მათი ცხოვრებაში განხორციელება, გარემოს დაცვა, ეკონომიკის შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა, განათლების სისტემის მაღალი დონე და ჯანმრთელობის დაცვის გამართული სამსახური; ხელისუფლების სამოქმედო როლი ასევე იმ დაწესებულებების სტაბილური მუშაობაა, რომლებიც დაკავშირებული არიან სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა ფორმებთან. იმ ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობიდან, რომლებიც უნდა შეასრულოს მთავრობამ, ჩვენ უპირველესად მიგვაჩნია:

მიზანი, რომლისაკენაც მიისწრაფის მეურნეობა — ოთხმოცდაათიან წლებში გაბატონებულია საბაზრო ეკონომიკისაკენ სწრაფვა, თუმცა ყოველთვის როდი იდგა ეკონომიკის წინაშე ასეთი მიზანი. მდიდარ ქვეყნებში გამოიკვეთა ძლიერი ტენდენცია საერთო კეთილდღეობის მიღწევისაკენ. ტრადიციულად დემოკრატიული მთავრობები მიისწრაფიან შეამცირონ უმუშევრობა და ინფლაცია, მიაღწიონ ეკონომიკის სტაბილურ გაღიდებას და უზრუნველყონ გაწონასწორებული საგადამხდელო ბალანსი.

პრიორიტეტები- შეუძლებელია ყველაფრის ერთდროულად მიღწევა; ყოველთვის საჭიროა ზოგიერთ განზრახვაზე დროებით ხელის აღება სხვა საქმეთა უპირატესი აღსრულების მიზნით. თუ მოქალაქეები მოითხოვენ მრავალგვარ საზოგადოებრივ მომსახურებას, მთავრობას შეუძლია ისინი კარგად დაბეგროს, აიღოს სესხები ან გამოუშვას დამატებითი ფული; მაგრამ ყოველი ეს მოქმედება დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან; როდესაც მოქალაქეები მოითხოვენ უმუშევრობის შემცირებას, მაშინ მათ მხარი უნდა დაუჭირონ იმპორტზე კონტროლის დაწესებას, რაც ცხადია გამოიწვევს შესყიდვების დროს ფართო არჩევანის შეზღუდვას. ამას გარდა მთავრობამ შეიძლება

იმოქმედოს მოთხოვნის გადიდების მიმართულებით, თუმცა ამას შესაძლოა მოჰყვეს ინფლაცია.

საშეურნეო პოლიტიკა— საშეურნეო პოლიტიკის მთავარი ბერკეტებია: საგადასახადო სისტემა, მთავრობის ხარჯები, მონეტარული პოლიტიკა და რეგულირება. მაშინაც კი, როდესაც მთავრობა თავის წინაშე ისახავს ამოცანას, შექმნას ისეთი საბაზრო მეურნეობის სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება ეკონომიკის სტაბილური მატება, დასაქმების მაღალი დონე და ინფლაციის მცირე მაჩვენებელი, მაშასადამე, მიაღწიოს სტაბილურ, ღირსეულსა და გონიერულად განვითარებულ ეკონომიკას, მან ანგარიში უნდა გაუწიოს იმას, რომ არ არსებობს ასეთი მდგომარეობის მიღწევის უნიერსალური მეთოდი. პოლონეთში ისეთი ძლიერი მხარდაჭერა აქვს საბაზრო ეკონომიკის სისტემის დამყარებას, რომ ამას ალტერნატივაც კი არ გააჩნია; ამავე დროს ძირითადი ცნებები, რომელიც ეკონომიკას შეაქვს პოლიტიკაში, არის პასუხისმგებლობა და ალტერნატიული დანახარჯები. ეკონომისტები, თუმცა იშვიათად არიან ყველა პრობლემაზე ერთი აზრისანი, რამდენიმე საკითხში მაინც თანხმდებიან ერთმანეთს შორის. ამიტომ ეკონომისტები ურჩევენ პოლიტიკოსებს იმას, თუ რა არის გონიერული და რა—არა. ასევე მნიშვნელოვანია მტკიცება, რომ ყველა გადაწყვეტილება დაკავშირებულია გარკვეულ დანახარჯებთან, და რომ ერთი გადაწყვეტილების მიღება აუცილებლად მიანიშნებს ყველა სხვა გადაწყვეტილებებზე უარის თქმას*.

არგუმენტები საბაზრო ეკონომიკის სასარგებლოდ ძალზე ძლიერია, ვინაიდან ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობა უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია მის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობაზე**. სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა შეფასდეს მისი კულტურის, საზოგადოების და ასევე შეიარაღებისა და ეკონომიკის განვითარებისაკენ მიმართული საქმიანობის საფუძველზე. საერთაშორისო ბაზრის მხრიდან წნეხის გარეშე მას შეექმნება დიდი სიძნელეები საკუთარ

* ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ ეკონომიკური მატების გამომწვევი პროგრამები შესაძლებელია განხორციელდეს თეითდაფინანსების გზით, რომლის საშუალებითაც შეიძლება თავიდან ავიცილოთ რთული არჩევანი. პოლიტიკურ პრაქტიკაში უკეთესია იმის იმედი არ ვიქონიოთ, რომ მატებამ გადაწყვეტოს არჩევანის გაკეთების პრობლემა, თუმცა ზოგჯერ ბედის გამართლების შემთხვევაში, შესაძლოა ასეც მოხდეს.

** თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ამაში, მან უნდა ჩაიხედოს ინკების, ამერიკელი ინდიელების, ანდა თუნდაც კომუნიზმის ისტორიაში. კონკურენტუნარიანობის არ არსებობა ამ შემთხვევებში მოასწავებდა, რომ სისტემას დაკარგული ქონდა გადარჩენის უნარი.

ქვეყანაში დისციპლინისა და ეფექტურობის დამყარების სფეროში, რითაც ხასიათდება საერთაშორისო კაპიტალიზმი. მოკლე პერიოდის მანძილზე ბაზრის უფლებები შეიძლება იყოს მიჩნეული როგორც მტკიცე და აბსოლუტური. დემოკრატიულ სისტემებში გამოიყენება მუდმივი ნუნები დაძაბულობის შესასუსტებლად, რომელიც იქმნება იმ კონკურენციისა და სიღატაკის გამო, რომელიც ხდება მთავარი საფრთხე საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში.

მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორი იყოს ურთიერთკავშირები სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის. ბევრ ქვეყანაში გაბატონებულ მისწრაფებას პრივატიზაციისაკენ ჯერ კიდევ არ გადაუჭრია ეს პრობლემა. ჯერ კიდევ აუცილებელია მთავრობის პოლიტიკის მიზნების დადგენა, ვინაიდან მრეწველობამ, რომ განსაზღვროს თავისი გეგმები, უნდა იცოდეს, თუ როგორია მისი ზრახვანი. ეს ნიშნავს, რომ მთავრობამ უპირატესად უნდა გადაწყვიტოს:

- რა დონეზეა შესაძლებელი კერძო კაპიტალის მიზიდვა მეურნეობის იმ დარგებში, რომლებიც აქამდე ბუნებრივი მონოპოლიის პირობებში მუშაობდნენ, მაგალითად, ტელეკომუნიკაციები, წყალკანალიზაცია, ელექტროქსელი, რკინიგზები და ა.შ.
- რა სახის სამთავრობო ღონისძიებები განხორციელდება პრივატიზირებული მონოპოლიების თუ კერძო სექტორის ფირმების მოქმედებათა კონტროლის მიზნით;
- ეკონომიკის რომელი სექტორები იქცევა მთავრობის ინტერვენციების და მოქმედების არეალად და ასევე როდის განაცხადებს იგი ამის შესახებ.

ამ უკანასკნელი პრობლემის გადაწყვეტა არის განსაკუთრებით აქტუალური ეკონომიკურად განვითარებად ქვეყნებში. იქ მიმდინარეობს ცხარე დისკუსიები იმის შესახებ, თუ რომელ სფეროში შეიძლება ბაზარი იყოს საუკეთესო მეთოდი ცხოვრების ორგანიზაციისა. მრავალი დაწესებულება, ისეთები, როგორიცაა მაგალითად, მრეწველობის სამინისტრო, არსებობენ იმიტომ, რომ მთავრობა იმ აზრზე დგას, რომ მრეწველობა არის ეკონომიკის მეტისმეტად მნიშვნელოვანი დარგი, და არაფრით არ შეიძლება მისი მიტოვება თავისთავის ანაბარა; ამიტომ საჭიროა არსებობდეს სამინისტრო, რომელიც უნდა დაეხმაროს ამ დარგს და აკონტროლებდეს მის მუშაობას. წარუმატებლობა ბაზრისა და წარუმატებლობა მთავრობისა გვეელინება რთულ რეალობად, რომ ისინი შეეგუონ ეკონომიკის არსებულ ფილოსოფიას და თუმცა ხაზგასმით ამბობენ, რომ სუბსიდიები წარმოადგენენ უპირველეს ყოელისა დახმარების გაწევას, და არა კონტროლის გაწევის ბერკეტებს, არსებობს მრავალი ძლიერი არგუმენტი მათი გამოყენების საწინააღმდეგოდ; ისინი უპირველეს ყოელისა უკავშირდება უდიდეს

ადმინისტრაციულ დანახარჯებს. ამავე დროს ისინი საწარმოებს უბიძგებენ არა იმ მიზნების რეალიზაციისაკენ, რომლებსაც მათ მთავრობა უსახავს, არამედ ათასგვარი ეშმაკობის გამოყენებით სუბსიდიების მოზიდვისაკენ. ისინი ასევე ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მომხმარებელთა მოწონების დამსახურება.

მთავრობის ფინანსები

საყოველთაოდ ცნობილია მთავრობაზე ზეწოლა მისი ხარჯების გადიდების მიზნით.პოლონეთში გერეკი ცდილობდა ნასესხები ფულით „ეყიდა" პოპულარობა; ამიტომ იგი უდიდეს პასუხისმგებლობას ანიჭებდა იმ პრობლემებს, რომელთა გამოც უხდება ახლა პოლონეთს ბრძოლა. არსებობს სამი მეთოდი, რომელიც მთავრობას საშუალებას აძლევს თავის გეგმების დასაფინანსებლად სახსრები მოიპოვოს:

— გადასახადები,
— ფულის მიწოდების მომატება,
— სესხები.

საგადასახადო სისტემა ყველაზე ადვილი გასაგებია, თუმცა ყველაზე ნაკლებ პოპულარულიც. ადამიანებს ურჩევიათ 100.000 ზლოტი ედოთ ჯიბეში, ვიდრე იცოდნენ, რომ მთავრობა გახარჯავს ამ თანხებს მათ მაგიერ*. გადასახადები შეიძლება შეგროვდეს ოთხი მთავარი ფორმით:

1. საშემოსავლო გადასახადები შეგროვდება მუშაკების შრომის ანაზღაურებიდან. თუ ეს არის შემოსავლების მყარი პროცენტი, გადასახადი არის ნეიტრალური, ხოლო თუ ისინი განსაზღვრულ ოდენობას შეადგენენ, მაშინ გადასახადები შთანთქამენ ღარიბი მოქალაქეების შემოსავლების გაცილებით მეტ ნაწილს, ვიდრე მდიდრებისას; ასეთი გადასახადი არის რეგრესიული. თუ მისი პროცენტები იზრდება შემოსავლების მატებასთან ერთად, მდიდარი ადამიანები იხდიან თავიანთი შემოსავლების გაცილებით დიდ ნაწილს, ვიდრე ღარიბები; ასეთ შემთხვევაში გადასახადი არის პროგრესული.
2. საერთო მოგებიდან გადასახადები იმ მოგების განსაზღვრული პროცენტია, რომელსაც ფირმები იღებენ.

* არა ყოველთვის — ადამიანები შეიძლება დათანხმდნენ გადახადების გადიდებაზე სოციალური პროგრამებისა თუ სხვა სამუშაოების დაფინანსების მიზნით, რომლებიც უშუალოდ მათ ეხება; ოღონდ ამასთან მათ იხიც აინტერესებთ ხოლმე: გონიერულად კი გამოიყენებს მთავრობა მათ მიერ მიცემულ ფულს.

3. დამატებული ღირებულების გადასახადი (ინგ. value added tax-VAT) გადაიხდება ყოველი სამეურნეო ოპერაციის დროს. დამატებული გადასახადის დარიცხვა და გაღახდა არის ძალიან უბრალო ოპერაცია. ყოველ შემთხვევაში, როდესაც კერძო პირი თუ ფირმა ყიდულობს რაიმე საქონელს, დამატებით იხდის გარკვეულ პროცენტს, ხოლო ამ საქონლის გაყიდვისას დამატებით უნდა აიღოს ფასთან ერთად იგივე პროცენტი. ეს გადასახადი მიდის სახელმწიფო სალაროში - ოღონდ იმ ღირებულებით შემცირებული, რომელიც იყო უკვე გადახდილი საქონლის შესყიდვის დროს.

მაგალითი: დავუშვათ, რომ გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე 10 პროცენტია. ფირმა ყიდულობს 10 ფულის ერთეულის ღირებულების ნედლეულს და დამატებით იხდის ფულის კიდევ ერთ ერთეულს დამატებული ღირებულების სახით. ამ ნედლეულისაგან დამზადებული ნაკეთობა იყიდება 30 ფულად ერთეულად პლიუს დამატებით 3 ფულის ერთეული, დამატებული ღირებულების გადასახადი. საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ დამატებული ღირებულება უდრის (30–10)=20, ხოლო გადასახადი 2–ს.

4. ბაჟი იმპორტზე გადაიხდება როგორც იმპორტული საქონლის ღირებულების დადგენილი ნაწილი.


საგადასახადო სისტემა ადამ სმიტის მიხედვით

1776 წელს გამოცემულ ნაშრომში „ხალხთა სიმდიდრის...“ შესახებ დიდმა ინგლისელმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა შეიმუშავა ოთხი პრინციპი, რომლებიც უნდა გამოეყენებინათ გადასახადების აკრეფისას:

1. გადასახადების გადახდის მეთოდი მოსახერხებელი უნდა იყოს გადამხდელთათვის;
2. გადასახადების აკრეფის ხარჯები უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე;
3. გადასახადები არ უნდა აღემატებოდეს გადამხდელის შესაძლებლობებს. იგი უნდა იყოს კეთილსინდისიერების მაჩვენებელი;
4. გადასახადების ოდენობა მოსახლეობისათვის წინასწარ ცნობილი უნდა იყოს.

მთელ თანამედროვე მსოფლიოში გაურცელებულია გადასახადების შემცირების ტენდენცია. (ეს გააკეთა რეიგანმა აშშ–ში, ქალბატონმა ტეტჩერმა დიდ ბრიტანეთში და ლანგემ ახალ ზელანდიაში). იგი გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ დაბეგვრა აღამიანებს აძლევდა

იმის საბაბს, რომ გაქცეოდნენ მძიმე შრომას, და ამასთან ადამიანებმა მთავრობაზე უკეთ იციან, თუ რაზე უფრო უკეთესია გახარჯონ თავიანთი ფული. ზოგიერთი ისეთი კარგად განვითარებული ქვეყნები, როგორებიცაა შვეიცარია ან პონკონგი, ძალიან დიდი ხნის მანძილზე იცავდნენ მცირე საგადასახადო განაკვეთს. ყველაზე დასაბუთებული არგუმენტი მცირე საგადასახადო განაკვეთების შესახებ მოცემული აქვს ცნობილ ეკონომისტს არტურ ლაფერს. მან შენიშნა, რომ საგადასახადო განაკვეთის 0 და 100 პროცენტი დონის პირობებში გადასახადების გაკლენა წარმოებაზე თითქმის ნულის ტოლია; აქედან გამომდინარე უნდა არსებობდეს მრუდი, რომელზედაც განთავსებული იქნებოდა დაბეგვრის გაკლენის შესაბამისი წერტილები.



r— შემოსავლები დაბეგვრიდან
TR— საგადასახადო დონე

ნახ. 25. ლაფერის მრუდი

მაქსიმალური შემოსავლები დაბეგვრიდან შეესაბამება მრუდის მაქსიმუმს. მისი შესაბამისი საგადასახადო დონე არის ყველაზე მეტად ეფექტური.

დიდი გადასახადების შედეგად წარმოიქმნა გადამხდელთა მიერ თავის არიდების მთელი სისტემა. ეს პროცესი ეყრდნობა ცვლილებებს ქცევაში, რომელთა მიზანიც არის გადასახადების გადახდისათვის თავის არიდება. მაღალი საგადასახადო დონის დროს, რომელიც გამოიყენება მდიდარი ადამიანების მიმართ, ჩნდება ფულის კეთების ისეთი მეთოდების შემუშავების ძლიერი მეთოდები, რომელთა დროსაც გადასახადები მინიმალური იქნება.

■ ეკონომიკის მაღალი ტემპებით ზრდის პერიოდში (70—იანი წლების შუახანებში) შენიშნული იქნა შემდეგი ტენდენცია: ქვეყნებში მდიდარი ადამიანების დასაბეგრად გამოყენებული საგადასახადო განაკვეთების შემცირების შედეგად, მათი შემოსავლებიდან ფულადმა შემოსულებმა სახელმწიფო ბიუჯეტში-იმატა. იმ ადამიანებმა, რომლებიც ბევრ ფულს გამოიმუშავებდნენ, ასეთ პირობებშიც არ დაკარგეს დიდი შემოსავლის მიღების სურვილი და რეალურად აღწევდნენ კიდეც. ეს მოვლენა ნაწილობრივ დამოკიდებულია სწრაფ ეკონომიკურ აღმავლობასთან, ამიტომ სწორი არ იქნებოდა იმ დასკვნის გაკეთება, თითქოს საგადასახადო განაკვეთის შემცირება ყველა პირობებში გამართლებული იყოს.

ყველა ქვეყანა ცდილობს ერთმანეთს მიუახლოვონ თავიანთი საგადასახადო განაკვეთები; ამის მთავარი მიზეზია ის, რომ შეაკავონ ადამიანები და საწარმოები იმ ქვეყნებში მიგრაციისაგან, სადაც საგადასახადო სისტემა გაცილებით შეღავათიანია.

სახელმწიფო სესხები და ფულის ბეჭდვა

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სამთავრობო სესხები ჩვეულებისამებრ ეყრდნობა ობლიგაციების მიყიდვას,როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთული ინვესტორებისათვის.

ობლიგაცია არის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მთავრობა ვალდებულებას ღებულობს გადაიხადოს განსაზღვრული თანხა გარკვეული წლების მანძილზე. მისი რეალიზაციის პერიოდში ეს მაჩვენებელი უნდა იყოს პროცენტის საბაზრო დონის ტოლი, წინააღმდეგ შემთხვევაში არავინ არ მოინდომებს მის შესყიდვას.

მაგალითი: დავუშვათ, რომ იყიდება ობლიგაციები, რომლებიც მყიდველს პპირდებიან 5 დოლარს ყოველ ექვს თვეში უახლესი 25 წლის მანძილზე. თუ ყოველწლიურ საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 10 პროცენტია, ობლიგაციის ღირებულება უდრის 100 დოლარს (მისი ზუსტი ღირებულება დამოკიდებული იქნება მრავალ ფაქტორზე, განსაკუთრებით კი: მისი რეალიზატორის, კერძო პირი იქნება იგი თუ საწარმო, კეთილსაიმედოობაზე და ასევე დოლარის მოსალოდნელ კურსზე); თუ საპროცენტო განაკვეთი აიწევს 20 პროცენტით, ობლიგაციის ღირებულება გაუტოლდება დაახლოებით 50 დოლარს; თუ საპროცენტო განაკვეთი იქნება მხოლოდ 5 პროცენტი, ობლიგაციის ფასი იქნება დაახლოებით 200 დოლარი. უნდა გვახსოვდეს,

რომ ობლიგაციის ღირებულება იცვლება საპროცენტო განაკვეთის უკუპროპორციულად: როდესაც ობლიგაციის ფასი მცირდება, მატულობს საპროცენტო განაკვეთი და პირიქით. ობლიგაციის ფასი შესაძლებელია გამოითვალოს შემდეგი ფორმულით:

- ობლიგაციის მსყიდველისათვის მიცემული ყოველწლიური თანხები, შეფარდებული ობლიგაციის ფასს = საპროცენტო განაკვეთს.

მთავრობის სესხებთან დაკავშირებული პრობლემები

ყველაზე დიდი სიძნელე, რომელიც კი შეიძლება წარმოიშვას სამთავრობო სესხებთან დაკავშირებით, ეს არის ფულის უკან დაბრუნების პრობლემა. არსებობს გარკვეული განსხვავება საზღვარგარეთულ სესხებსა და ადგილობრივ სესხებს შორის: საზღვარგარეთული მევალეებისათვის ვალის გადახდას მოჰყვება უცხოური ვალუტის გადინება ქვეყნის ეკონომიკიდან, მაშინ როდესაც ადგილობრივი მევალეებისათვის ვალების გადახდისათვის ადგილობრივი ფულის ნიშნებია საჭირო, რომელთა დაბეჭდვაც მთავრობას სულ ადვილად შეუძლია. გარდა ამისა, მთავრობას შეუძლია მოახდინოს სხვადასხვა სახის ზეწოლა ადგილობრივ დაწესებულებებზე, ისეთებზე, როგორიცაა მაგალითად, ბანკები, ანდა საპენსიო ფონდები; საზღვარგარეთულ დაწესებულებებზე მას ამის გაკეთება არ ხელეწიფება.

გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები წამოიჭრებიან რეგრესის დროს, როდესაც გადასახადები მცირდება, ხოლო მთავრობის ხარჯები სოციალური მიზნებისათვის – პირიქით. როდესაც საზღვარგარეთელ ბანკირებს ეჭვი იპყრობთ თავიანთი სესხების უკან დაბრუნების თაობაზე რომელიმე ქვეყნიდან, მაშინ აღარავის უჩნდება სურვილი ამ ქვეყნის მთავრობას ფული ასესხოს. ეს კი იმას მიანიშნებს, რომ აღარ არის შესაძლებელი ძველი ვალების დაბრუნება ახალი ვალების აღების გზით. იმ მოვლენებს, რომლებიც იწვევენ ბანკირების შეშფოთებას, მიეკუთვნება:

- იმპორტის გადაჭარბება ექსპორტზე;
- დავალიანების სიდიდის მატება წარმოებულ ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში; მყარი ეკონომიკური მდგომარეობის დროს მთავრობას შეუძლია ისესხოს დიდი თანხები, და ამავე დროს შეინარჩუნოს მტკიცე თანაშეფარდება დავალიანების სიდიდესა და ეროვნული პროდუქტის მოცულობას შორის;
- პოლიტიკური დაწოლა მთავრობაზე, რათა მან ვალების მყისიერად

გადახდის ნაცვლად ფული გამოიყენოს უფრო პოპულარული ღონისძიებების დაფინანსებაზე;

– ეროვნული შემოსავლის ძალიან დაბალი დონე; ქვეყნისა, მაგალითად, იტალიის მნიშვნელოვანი დავალიანება; მაგრამ ამ ქვეყანას მაინც შეუძლია აიღოს სესხები იმის წყალობით, რომ მისი მოქალაქეები საკმაოდ მდიდარი ხალხია, რათა შესძლონ მაღალი გადასახადების გადახდა, რაც ამ ქვეყნის ბიუჯეტის მთავარ წყაროს წარმოადგენს.

მრავალი ეკონომისტი აკრიტიკებს საერთაშორისო ბანკების მიერ სესხების გამოყოფას არა დემოკრატიული ქვეყნებისათვის. რატომ უნდა აიღონ პასუხისმგებლობა ამ ქვეყნის მცხოვრებლებმა მათი ლიდერების მუდმივად მზარდ ვალებზე? მაგრამ საერთაშორისო სამართალი არ აკეთებს დაყოფას დემოკრატიულ და არადემოკრატიულ ქვეყნებად, ამდენად ბანკირებს ყოველთვის აქვთ საშუალება ისარგებლონ ამ შესაძლებლობით.

დავალიანების მოცულობას უდიდესი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასა და სახელმწიფოს რეპუტაციაზე. ის ქვეყანა, რომელსაც სურს მოიხვეჭოს საერთაშორისო ნდობა, აუცილებლად დადგება ანალოგიური არჩევანის წინაშე, როგორც ახლა დგას პოლონეთი: შეწყვიტოს ვალების დაბრუნება, თუ კიდევ უფრო შეამციროს დანახარჯები და გადაიხადოს იგი. ბანკირებმა კარგად იციან, რომ მთავრობის მისწრაფება გადაიხადოს ვალები, აიძულებს მას ხარჯების შემცირებისაკენ, რაც დაკავშირებულია ძალიან არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღებასთან. ასეთი სიტუაცია ჰქმნის ნოყიერ ნიადაგს ისეთი პოლიტიკოსების წარმოსაშობად, როგორიცაა ტიმინსკი*, რომელიც ხალხს სწრაფ გამდიდრებას ჰპირდება, თუმცა ის კი არ უთქვამს – როგორ. ზოგიერთ ეკონომისტს მიაჩნია, რომ კაპიტალის ტრანსფერებისათვის განვითარებად ქვეყნებში ყველაზე კარგი საშუალებაა კერძო ბანკები (სამხრეთ კორეამაც კი, რომელმაც მიაღწია ლეგენდარულ ეკონომიკურ წარმატებას, 1980 წელს განიცადა დავალიანების კრიზისი ბანკებში). ადვილი არ არის ამ პრობლემის გადაწყვეტა. მდიდარი ქვეყნის პოლიტიკოსები, რომელთაც არჩევნებში გამარჯვების სურვილი აქვთ, ნამდვილად ვერ მოიხვეჭენ პოპულარობას, თუკი საგადასახადო განაკვეთებს გაადიდებენ სხვა ქვეყნების წინაშე დავალიანების პრობლემის გადაწყვეტის მიზნით.

* პოლონური წარმოშობის კანადელი მილიონერი, რომელიც მონაწილეობას

ფულის ბეჭდვა

ფულის დაბეჭდვა არ არის ფულის მიწოდების ერთადერთი მეთოდი მთავრობის მიერ ვალების გადახდის მიზნით. ხშირად მთავრობის ფონდის შესაქმნელად გამოიყენება საკუთარი ცენტრალური ბანკიდან ფინანსური სახსრების სესხების მეთოდი. არსებითად ეს იმას ჰგავს, თითქოს ვინმეს ჰქონდეს შესაძლებლობა შეცვალოს იმ ფულის რაოდენობა, რომელიც არსებობს მის ანგარიშზე.

ცენტრალური ბანკები, ფულის მიწოდება და საპროცენტო განაკვეთი

ბევრი ქვეყანა, წარმოების განვითარების მიზნით, მყარ საპროცენტო განაკვეთს იყენებს. ბეერიც თითქმის ყოველ კვირა ობლიგაციებს ყიდის. ყოველივე ეს საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით საბაზრო პროცესებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას ქმნის. თაყისი მონეტარული პოლიტიკის განსახორციელებლად ცენტრალური ბანკი არეგულირებს საპროცენტო განაკვეთს, საფონდო ბირჟებზე ობლიგაციების გაყიდვისა თუ შესყიდვის გზით. მას ასევე შეუძლია კონტროლი დააწესოს ფულის მიწოდებაზე და დაუშვას საპროცენტო განაკვეთის მერყეობა. ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი ისე მოქმედებს, როგორც მონოპოლისტი ფულის ემისიაზე და ამავე დროს როგორც დაწესებულება, რომელსაც შეუძლია გააკონტროლოს მეტი წილი საქონლის მიწოდება და მათი ფასები.

ასეთ დროს ცენტრალური ბანკი გვევლინება ბანკთა ბანკის როლში. სხვა დანარჩენმა ბანკებმა, რომელთაც სურთ რაიმე საქმიანობის ლიცენზიის მიღება, უნდა მიიღონ გარკვეული პირობები, რომლებიც განსაზღვრავს მათ ურთიერთობას ცენტრალურ ბანკთან. ამასთან, ცენტრალური ბანკი სარგებლობს უფლებითაც, რომელიც მას საშუალებას აძლევს აიძულოს მთავრობა, რომ მასთან შეინახოს თავისი ფინანსური სახსრები.

თუ ცენტრალური ბანკი განიზრახავს ბანკების მიერ კრედიტების გაცემის შეზღუდვას, მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბანკებში არსებული ნაღდი ფულის რაოდენობაზე შემდეგი მეთოდებით:

— მოსთხოვოს ბანკებს დავალიანებათა ნაღდი ფულით დაბრუნება;
— მოსთხოვოს მოქალაქეებს დავალიანებათა ნაღდი ფულით დაბრუნება;
— აიძულოს ბანკები ცენტრალურ ბანკში შეიტანონ მათ დეპოზიტებზე არსებული ნაღდი ფული;

– განახორციელოს რეზერვების მაჩვენებლების ცვლილება.

ვინაიდან ბანკებმა წესდების თანახმად, უნდა შეინახონ გარკვეული რეზერვი ნაღდი ფულის სახით, რომლის გამოყენებაც საკრედიტო თუ სხვა ოპერაციებისათვის აკრძალულია, ცენტრალურ ბანკს შეუძლია დროის გარკვეულ მონაკვეთში გააკონტროლოს მათი საკრედიტო საქმიანობა რეზერვის მაჩვენებლის შემოწმებით. ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები შედეგიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკები საქმიანობენ ამ ჩარჩოებში და ინარჩუნებენ რეზერვის მაჩვენებელს.

თუ ცენტრალურ ბანკს განზრახული აქვს ფულის მიწოდების მომატება, მაშინ იგი შეისყიდის სხვა ბანკების ვალებს. თუ ბანკი მოითხოვს გადახდას, ცენტრალური ბანკი უბრალოდ მიუწერს შესაბამის თანხას იმ ანგარიშს, რომელსაც ეს ბანკი ფლობს ცენტრალურ ბანკში. ეს მეთოდი შედეგიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც საეჭრო ბანკებს ყავთ ახალი სესხის აღების მსურველები, რომლებისათვისაც კრედიტების მიცემას აპირებენ.

ერთ-ერთი მიზეზი მონეტარისტების მტრული დამოკიდებულებისა ჯონ მეინარდ კეინსისადმი, არის მისი თეორია, რომლის თანახმადაც უმუშევრობის პრობლემის გადაჭრა ეფუძნება შემდეგს: მთავრობამ მიწაში უნდა ჩაფლას ახალმოჭრილი ფულით შევსებული ბოთლები, ხოლო შემდეგ მოაწყოს აუქციონი მათი მოძებნის უფლების მოსაპოვებლად და ამ მეთოდით დაასაქმოს მოსახლეობა. კეინსს მიაჩნდა, რომ არსებობს გონივრული მეთოდები ახლად დაბეჭდილი ფულის გახარჯვისა, სხვადასხვა სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად, მაგალითად, სახლების, გზების ასაშენებლად და ა.შ.

კეინსიანელები მიუთითებენ ბრწყინვალე ეკონომიკური აღმავლობის ოცდაათწლიან პერიოდზე საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ამის პასუხად მონეტარისტები ყურადღებას აქცევენ 70-იან და 80-იან წლებში არსებულ უმუშევრობასა და ინფლაციას, და კეინსს ბრალს სდებენ იმაში, რომ მთავრობას მისცა ინტელექტუალური დასაბუთება პასუხისმგებლობის მოხსნისათვის.

დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკები

ბევრ ეკონომისტს მიაჩნია, ფულის მოჭრის უფლება ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, რომ პოლიტიკოსებმა, რომელთაც სურთ კვლავ გაიმარჯვონ ახალ არჩევნებში მისგან თავი შეიკავონ. ფულის მოთხოვნასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორც წესი, საგრძნობი ხდება დაახლოებით ერთი წლის გასვლის შემდეგ. ეს იწვევს იმას, რომ პოლიტიკოსები ძალიან ადვილად ემორჩილებიან ფულის უკმარისობის პრობლემის უბრალოდ „გადაჭრის“ ცდუნებას მისი ემისიის გზით. იმ შეზღუდულების მიმდევარნი, რომლებსაც სწამთ, რომ პოლიტიკოსებსა და ამომრჩევლებს არ შეიძლება ენდოს ადამიანი, ხშირად მხარს უჭერენ ცენტრალურ ბანკს, რომელსაც შეუძლია თავი შეაკავებინოს მთავრობას ახალი ფულის მოჭრისაგან. მრავალი მაგალითის შესწავლის საფუძველზე ძნელი არაა იმის შემჩნევა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ცენტრალური ბანკები დამოუკიდებლად მოქმედებენ, მაგალითად, გერმანიაში, ინფლაცია ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე იმ ქვეყნებში, როგორებიც არის, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, სადაც მთავრობას აქვს ცენტრალური ბანკის საქმიანობის გაკონტროლების უფლება. თუ ცენტრალური ბანკი დამოუკიდებელია, მთავრობას შეუძლია დააფინანსოს თავისი ხარჯები მხოლოდ სესხებისა და გადასახადების საფუძველზე. მაგრამ სესხების მოზიდვით მას არა აქვს ბაზრის გადატვირთვის შესაძლებლობა ახლად გამოშვებული ფულით საპროცენტო განაკვეთის შემცირების მიზნით.

კონიუნქტურული პოლიტიკური ციკლი

მემარჯვენე ეკონომისტებს შორის, რომლებსაც ძალიან სწამთ ბაზრის ძალა, გაბატონებულია შეხედულება, რომ პოლიტიკოსები და დემოკრატიული სისტემა მოკლებულნი არიან განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას. ერთ-ერთი არგუმენტი, რომელიც გამოიყენება ამ შეხედულების გასამყარებლად, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ რათა გაიმარჯვოს არჩევნებში, მთავრობა ადიდებს ფულის მიწოდებას და ამცირებს გადასახადებს, რისი საშუალებითაც იწვევს კონიუნქტურის (ასევე ინფლაციის) მატებას და ადამიანებს აძლევს ილუზიორული ცხოვრებისეული კეთილდღეობის საშუალებას. თუ საზოგადოების ეკონომიკური განათლების დონე ოდნავ უფრო მაღალი იქნებოდა, ეს მეთოდი უშედეგო აღმოჩნდებოდა. მაგრამ ვინაიდან ამომრჩეველთა უმეტესობას არავითარი წარმოდგენა არა აქვს მაკროეკონომიკის შესახებ, ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში ფართოდ არის გამოყენებული პოლიტიკით გამართლებული (მოტივირებული) მოკლევადიანი ხარჯების სტრატეგია. დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება შედარდეს ბერძნული მითოლოგიის ერთ

ეპიზოდს, კერძოდ კი ულისესა და სირინოზის ისტორიას. ულისეს ძალზე ეწადა სირინოზებისათვის თვალის შევლება. ისინი ისეთი ლამაზები იყვნენ, რომ ყოველი, ვინც კი მათ დაინახავდა და მათ სიმღერას მოისმენდა, იხიბლებოდა იმათით, გონებას კარგაეღა, ზღვისაკენ გარბოდა და იღუპებოდა. ულისემ ბრძანა მიებათ იგი ხომალდზე, ხოლო თავის მეზღვაურებს კი უბრძანა ყურები ცვილით დაეცვათ, ისე, რომ ვერ გაეგოთ სირინოზების სიმღერა. ამგვარად მან შესძლო მოესმინა სირინოზების ღვთიური გალობა და თანაც გაუძლო მათგან მოხიბლვას.

თუ მთავრობა დაეთანხმება ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობას, ამით იგი აღიარებს, რომ თუმცა ცდუნება ისეთი სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისა, რომელიც მას ინფლაციისაკენ უბიძგებდა, ძალიან დიდია, მაგრამ მას სურს, ულისეს მსგავსად, გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციოს თავისი საქმიანობა.

ფინანსების დერეგულაცია

ოთხმოციან წლებში აღგილი ჰქონდა ფინანსიური ბაზრის დერეგულაციის აშკარა ტენდენციას. ამან საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მათი კონტროლი კიდევ უფრო ძნელი გახდა.

დერეგულაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო სხვადასხვა ქვეყნებს შორის საგადასახადო სისტემაში კონკურენციის ფაქტი. ასეთი ღონისძიებების მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების მიზიდვა. კონკურენციამ, რომელსაც დერეგულაციისაკენ მივყავდით, ის გამოიწვია, რომ ზოგიერთმა ეკონომისტმა შიშიც კი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქმე გექონდა ბანკების საქმიანობაზე კონტროლის შესუსტებასთან და იმავდროულად ვერ ხორციელდებოდა იმ ბანკებისათვის დახმარება, რომლებიც დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდნენ. ცენტრალური ბანკის, როგორც საკრედიტო დაწესებულების როლი, რომელიც დახმარების უკანასკნელ შანსს წარმოადგენდა, კვლავაც რჩებოდა როგორც ბანკირებისათვის ფინანსიური გარანტია. კონკურენციის მატებასთან ერთად ბანკების რენტაბელობის შემცირების პირობებში, – რაც დერეგულაციის შედეგს წარმოადგენს, ბანკებმა სიამოვნებით დაიწყეს გაცილებით სარისკო კრედიტების გამოყოფა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში ისინი მიიღებდნენ დახმარებას ცენტრალური ბანკის მიერ ორგანიზებული ბანკთაშორისო სადაზღვევო სისტემის ჩარჩოებში.

ცენტრალური ბანკის ბანკირები კარგად იცნობენ დიდი ბანკების მმართველებს და აქვთ შესაძლებლობა მათზე კონტროლის გაწევისა ძალზე მარტივი მეთოდით. ტელეფონით დაუკავშირდებიან მათ და

სთხოვენ შეცვალონ თავიანთი მოქმედების ხასიათი. მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებელია მსოფლიო მასშტაბით, რადგან ბანკები ძალზე დაინტერესებული არიან მხოლოდ საკუთარი მოგებით და ხშირ შემთხვევაში სრულიადაც არ იჩენენ არავითარ დაინტერესებას იმ ქვეყნის ფინანსიური სტაბილურობისადმი, სადაც ისინი მოქმედებენ.

ფინანსური ღერეგულაცია ნიშნავს, რომ ფულის მიწოდებაზე კონტროლის მთავარი ბერკეტი არის საპროცენტო განაკვეთი. მაგრამ ეს მეთოდი არ აღმოჩნდა საკმაოდ შედეგიანი უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ არც ბანკები, და არც სესხის ამღებები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ იმ საშიშროებას, რომელიც გამომდინარეობს მაღალი დავალიანებიდან. მათ ვერ განჭვრიტეს რეგრესი, რომელსაც აღგილი ჰქონდა 1989–91 წლებში. იგი ვერ იწინასწარმეტყველეს ასევე იმ ეკონომისტთა უმეტესობამ, რომლებიც მუშაობდნენ მომავლის პროგნოზებზე. გონივრულია იმის გათვალისწინება, რომ საბანკო სესხები განპირობებულია იმით, თუ კონიუნქტურის რომელ ფაზაზე იმყოფებოდა მეურნეობა.

მაღალი კონიუქტურის პერიოდში აზრი აქვს სესხების გაცემას, სამაგიეროდ აბსოლუტური უაზრობაა მისი გაცემა რეგრესის დროს, ვინაიდან ამ პერიოდში საბაზრო ფასები არაშესაფერისია და გამსესხებელმა უნდა მოიცადოს მანამდე, ვიდრე ბაზარი არ შეიცვლება მისი მოლოდინის შესაფერისად.

შეჯამება:

მთავრობამ უკეთ რომ მართოს მეურნეობა, **უნდა ჰქონდეს** ერთიანი შეხედულებები იმ მიზნის შესახებ, რომლის განხორციელებასაც იგი აპირებს. ეს მოითხოვს რთულ არჩევანს. მხოლოდ იშვიათ ეკონომისტს მიაჩნია ამჟამად, რომ შესაძლებელია წარმატების მიღწევა მხოლოდ ფულის ბეჭდის გზით, თუმცა კვლავ მრავალი ეკონომისტი თვლის, რომ გაცილებით უკეთესია გადასახადებისა და ხარჯების გადიდება, ვიდრე მათი შემცირება.

მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, როგორი, – თუკი საერთოდ უნდა განახორციელოს, – პოლიტიკა უნდა გამოიყენოს ფულის მიწოდების, ასევე სამთავრობო ხარჯებისა და გადასახადების სფეროში და ასევე ეკონომიკის რეგულირების როგორ მეთოდებს უნდა მიმართოს.

ოთხმოციან წლებში პოლიტიკოსებმა დაკარგეს იმის რწმენა, რომ ეკონომისტებს ხელეწიფებათ მისცენ მათ პასუხები მრავალი ეკონომიკური ხასიათის შეკითხვებზე. მიუხედავად თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა, უმუშევრობა კვლავაც მწვავე პრობლემად რჩება, ეკონომიკის ზრდაც სტაბილური არ არის.

დიდი სირთულეებია შექმნილი საგადამხდელო ბალანსის სფეროშიც და საერთოდ, სიღატაკე ხდება მნიშვნელოვანი პრობლემა.

საბაზრო ეკონომიკა როდია გზა, რასაც განვითარებისაკენ მივყეყვართ. მისი შედარება უფრო ურთულეს ლაშქრობასთან შეიძლება, როდესაც თვითეული ნაბიჯი უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს; სამაგიეროდ, ლაშქრობის დასასრულს ადამიანები გაცილებით უფრო ჯანმრთელნი იქნებიან, ვიდრე ისინი მის დასაწყისს იყვნენ.

მეურნეობის ომის შემდგომი ისტორიის საფუძველზე ორი მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეიძლება. ამ შემთხვევაში ძალზე ბევრია დამოკიდებული იმ პრიორიტეტებსა და იმ შეხედულებებზე, რომლებიც აქვთ ადამიანებს, ვინც აღნიშნულ ანალიზს აკეთებს. სამხრეთაზიური ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ მოპოვებული საკმაოდ დიდი წარმატებები ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე იყო მიღწეული. ცხოვრების სოციალ–დემოკრატიულმა მოდელმა სკანდინავიის ქვეყნებში საკმაოდ ბევრი პრობლემები წარმოშვა, რომლებიც გამომდინარეობენ ცხოვრების საკმაოდ მაღალი დონიდან. მრავალმა ეკონომიკურმა მოდელმა, რომელმაც საკმაოდ გაამართლა ამა თუ იმ ქვეყანაში, უარყოფითი შედეგები მოიტანა სხვა ქვეყანებში.

ქვეყნებმა, რომლებიც ცხოვრობენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დააგროვეს დიდი სიმდიდრე და საკუთარი მოქალაქეების უმრავლესობას შეუქმნეს საკმაოდ კარგი ყოფა–ცხოვრების სტანდარტები. ეს ძირითადად იმით იყო მიღწეული, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ადამიანები იღებენ მრავალ სტიმულს, რაც მათ უბიძგებს მძიმე შრომა ისე გასწიონ, რომ მთავრობის მხრიდან რაიმე დამატებითი ზემოქმედება არ დასჭირდეთ.

შეკითხვები განსჯისათვის:

10.1. რა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება შეუძლია მიიღოს ხელისუფლებამ ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით?

10.2. რას გააკეთებდით, თუკი შეგეძლებოდათ პოლონეთის ბიუჯეტის გაკონტროლება?

10.3. რამ შეიძლება წაახალისოს უცხოელი ინვესტორები კაპიტალი დააბანდონ პოლონეთში? ამასთან დაკავშირებით რისი გაკეთება შეუძლია პოლონეთის მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას?

10.4. ჩამოთვალეთ გადასახადების გადიდების გამამართლებელი არგუმენტები.

10.5. რამდენს უნდა ხარჯავდეს მთავრობა განათლებაზე?

11

მსოფლიო მეურნეობა

მეურნეობის საგარეო პოლიტიკა

ყოველი ქვეყნის ეკონომიკას გარკვეული კონტაქტები აქვს დანარჩენ მსოფლიოსთან: ქვეყნების უმრავლესობისათვის ამას უდიდესი დადებითი შედეგები მოაქვს. სამაგიეროდ ის ქვეყნები, რომლებსაც სუსტი კავშირები აქვთ სხვა ქვეყნებთან ანდა საერთოდ იზოლირებულნი არიან, როგორც წესი ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყნებია.

- ზოგიერთი ქვეყანა, როგორიცაა ინდოეთი, ტანზანია, ალბანეთი და ჩრდ.კორეა შეეცადა შეემუშავებინა ავტარკიული* სტრატეგია, და გამოეყოთ თავიანთი მეურნეობის სისტემა მათთვის „არასასიამოვნო“ გარე სამყაროსაგან; შედეგად ისინი ძალზე ჩამორჩნენ იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც მიისწრაფოდნენ აქტიურად გამოეყენებინათ მთელი დანარჩენი მსოფლიოს მიღწევები ეკონომიკის სფეროში.

ვაჭრობა და პროტექციონიზმი

საერთაშორისო ვაჭრობას მოსდევს ისეთივე დადებითი შედეგები, როგორც ვაჭრობას კერძო პიროვნებებს შორის. იგი იძლევა შესაძლებლობას მოცემული პიროვნება (ანდა ქვეყანა) დასპეციალდეს იმ საქმიანობაზე, რომელიც მისთვის განსაკუთრებით დადებითი შედეგების მომტანია. ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაზე დასპეციალიზება უფრო ეფექტური მუშაობის შესაძლებლობას უქმნის და ასეთ პირობებში იგი აღწევს შეამციროს თავისი დანახარჯები პროდუქციის** წარმოებისას. საგარეო ვაჭრობის წყალობით იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ შეირჩეს ისეთი სახის საქონელი და შეიძინონ

---

* ავტარკია — (ბერძ. autarkeia- თვითდაკმაყოფილება) — ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ესწრაფვის იზოლიაციას დანარჩენი მსოფლიოსაგან.

** აქაც და შემდეგაც პროდუქციის ქვეშ იგულისხმება ასევე მომსახურებაც.

იგი ისეთ ფასებში, რომლის წარმოებაც ასე იაფად სამამულო მეურნეობას არ შეუძლია. ამისდა მიუხედავად, მრავალი ქვეყანა იმპორტის შეზღუდვის პოლიტიკას ადგა ანდა ადიდებს საბაჟო გადასახადებს შემოტანილ საქონელზე (ე.წ.პროტექციონიზმის პოლიტიკა). ეს კი იმას ნიშნავს, რომ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დადებითი შედეგები ჯერ კიდევ არ აქვთ შეგნებული ყველა ქვეყანაში. იმპორტი შესაძლებელია შეეზღუდოთ შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- იმპორტულ საქონელზე საბაჟო გადასახადების მატებით, რაც გამოიწვევს მათზე ფასების გადიდებას სამამულო პროდუქციის ფასებთან შედარებით;
- იმპორტული პროდუქციის ხარისხობრივი ან რაოდენობრივი შეზღუდვების გზით;
- სავალუტო კონტროლის დაწესებით -ზოგიერთ ქვეყანაში მოქალაქეებს ეკრძალებათ ან შეზღუდული უფლებები აქვთ უცხოური ვალუტის გამოყენების სფეროში (ეს მეთოდი განსაკუთრებით ხშირად იყო გამოყენებული ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში).
- შესყიდვების პოლიტიკით – ხშირია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობები განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენენ სამამულო წარმოების პროდუქციის შეძენაზე.
- სუბსიდიების პოლიტიკა – სამამულო ფირმებისათვის სუბსიდიების მიცემით ქვეყნის მთავრობა ახშობს ქვეყანაში უცხო ფირმების მოღვაწეობას.

პროტექციონიზმის გამტარებელ ქვეყნებს თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკის გასამართლებლად მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები:

1. ქვეყანაში სამუშაო ადგილების გაჩენა ადგილობრივი ფირმების აქტიური მოქმედების შედეგად.
2. მრეწველობის დაცვა მისი განვითარების საწყის ეტაპზე – განვითარებად ქვეყნებში მრეწველობის ახალ საწარმოებს დასაწყისში იცავს ეროვნული მთავრობები. ამით მათ საშუალება ეძლევათ უკონკურენციოდ მიაღწიონ განვითარების გარკვეულ ეტაპს. მხოლოდ მას შემდეგ მიეცემათ უცხოურ ფირმებს მათთვის კონკურენციის გაწევის უფლება.
3. საბიუჯეტო შემოსავლების უზრუნველყოფა. ქვეყნებში, რომელთა მთავრობასაც უჭირს გადასახადების აკრეფა, საბაჟო გადასახადების გადიდებით უზრუნველყოფს ბიუჯეტის მყარ შემოსავლებს.

4. პოლიტიკური შეზღუდულებების შედეგად – მაგალითად, ევროგაერთიანება უკრძალავს თავის წევრ ქვეყნებს შეიძინონ პოლონური ლითონი ან სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ეს უკანასკნელი შედეგია ამ გაერთიანების ფერმერთა პოლიტიკური დაწოლისა გაერთიანების ხელმძღვანელობაზე; ამშ სავაჭრო სანქციებს აერცელებდა კუბის წინააღმდეგ, რაც იმის შედეგი იყო, რომ ამ ქვეყნის მთავრობისათვის კუბის პოლიტიკური კურსი მიუღებლად მიაჩნდათ და ა.შ.
5. მრეწველობის ზოგიერთი დარგის სასარგებლოდ – იარაღის წარმოებას ან ელექტროენერგიის გამომუშავებას ხშირად იცავს სახელმწიფო უცხოური ფირმების კონკურენციისაგან, რადგანაც მთავრობას ეშინია, რომ ქვეყნის მამოძრავებელ ამ მეტად უმნიშვნელოვანესი დარგების კონკურენციაში წარუმატებლობის შედეგად სხვა ქვეყნებზე არ გახდეს დამოკიდებული.
6. საგადამხდელო ბალანსის გამო – თუ ქვეყანა არ ფლობს საკმარისი რაოდენობის ფინანსიურ სახსრებს იმპორტის დასაფარავად, მან შესაძლებელია მის შეზღუდვას მიმართოს.

თითქმის უკლებლივ ყველა მთავრობა მიმართავს ამა თუ იმ ზომით პროტექციონიზმის გარკვეულ ფორმებს. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი ამგვარი მოქმედება მიმართულია საერთაშორისო ვაჭრობის წინააღმდეგ. პროტექციონიზმის პოლიტიკაზე სრულად ხელის აღება ძვირად დაუჯდება სახელმწიფოს. ამდენად ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკოსებისათვის თავისუფალი საბაზრო პრინციპების დაცვაზე უფრო მნიშვნელოვანი მიზნებიც არსებობს. ის მთავრობაც კი, რომელიც ჭეშმარიტი მიმდევარია თავისუფალი ვაჭრობისა, შესაძლებელია იძულებული გახდეს მიმართოს პროტექციონიზმის სხვადასხვა მეთოდებს სხვა ქვეყნების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად.

■ მაგალითად, პოლონეთს შეეძლო საექსპორტოდ გაეტანა სურსათ-სანოვაგე ევროგაერთიანების ქვეყნებში და კონკურენცია გაეწია მისი წევრი ქვეყნებისათვის. მაგრამ ეს ქვეყნები განიცდიან ჭარბწარმოებას და თავადაც უჭირთ საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ თავის მხრივ პოლონეთიც იძულებულია შეზღუდოს ევროგაერთიანების ქვეყნებიდან პროდუქციის იმპორტი, რათა გაუსაღებელი არ დარჩეს სამამულო წარმოების პროდუქცია.

თავისუფალი ბაზრის კანონი რომელიც მოითხოვს ვაჭრობის თავისუფლებას, ეფუძნება შრომის ნაყოფიერების ბუნებრივი ღონის ცნებას.

ამ მაგალითზე ეს იმას ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემცირებას გააწონასწორებს ამჟამად სოფლის მეურნეობაში მოხმარებული სახსრების მიმართვა ეკონომიკის სხვა სექტორებისაკენ. მაგრამ პოლიტიკოსებმა კარგად უწყიან, რომ მას ვინც კოტრდება და უმუშევარი რჩება, ძალზე უჭირს ეკონომიკის სხვა დარგში გადასვლა, განსაკუთრებით დიდი ხნის უმუშევრობის დროს.

ქვემოთ მოყვანილი არგუმენტები, რომლებიც იცავენ თავისუფალ ვაჭრობას და მიმართულია პროტექციონიზმის წინააღმდეგ, ეფუძნება შედარებითი სარგებლიანობისა და აბსოლუტური საგებლიანობის ცნებებს. იგი ახსნილი იქნება ამ თავის შემდგომ პარაგრაფებში.

1. პროტექციონისტული პოლიტიკა იწვევს დანახარჯების ზრდას, რაც ნიშნავს, რომ ცხოვრების ღონე გაცილებით დაბლა ეცემა, ვიდრე იგი უნდა იყოს სხვა ჩვეულებრივ პირობებში.
2. პროტექციონიზმი ბარიერია ღარიბი ქვეყნებისათვის, რის პირობებშიც მათ ძალიან გაუჭირდებათ გამდიდრება — ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ პროტექციონიზმი ხელს უშლის მოგების გადანაწილებას.
3. პროტექციონიზმი იწვევს საპასუხო რეაქციას, რისი შედეგიც არის ეკონომიკის განვითარების შეფერხება. იგივე პოლონეთის მაგალითს თუ მივმართავთ, ვნახავთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელს არ შეუშლიდნენ ამ ქვეყნის სასურსათო პროდუქციის ექსპორტს ევროგაერთიანებაში, მაშინ პოლონეთს გაუჩნდებოდა უფრო მეტი ფინანსური სახსრები ევროგაერთიანების ქვეყნებიდან საქონლის იმპორტისათვის. ყოველი სახელმწიფო, რომელიც ანხორციელებს იმპორტის შეზღუდვას, ეწევა რისკს, რომ ეს გამოიწვევს მისი ექსპორტის შეზღუდვასაც. რადგან სხვა ქვეყნები ამგვარი პოლიტიკის საპასუხოდ წყვეტენ მისი პროდუქციის იმპორტირებას.
4. მსოფლიოში არსებობს ორი სახის ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის სფეროში:
   ა) საერთაშორისო შეთანხმება ბაჟებისა და ვაჭრობის სფეროში (The General Agreement on Tarifs and Trade-GATT)*

*ამჟამად ამ საერთაშორისო ორგანიზაციას ეწოდება ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაცია WTO-World Trade Organization შტაბ–ბინით ჟენევაში. საქართველოც ემზადება მასში შესასვლელად (მთარგმ.).

ეს შეთანხმება დადებულია 1948 წელს ვაჭრობის შეზღუდვებზე კონტროლის გასაუვეად და საბაჟო გადასახადების შემცირების მიზნით. ორგანიზაცია ამჟამად აერთიანებს 90 ქვეყანაზე მეტს. ამგვარი ხელშეკრულების დადების იდეა ნაწილობრივ იმით იყო გამოწვეული, რომ 20—იან და 30—იან წლებში მსოფლიო კრიზისის პერიოდში მოისპო მსოფლიო ვაჭრობის სისტემა, რაც ძირითადად ცალკეული ქვეყნების პროტექციონიზმის შედეგი იყო. ხელშეკრულების დადებას მოჰყვა დიდი წარმატებები გარკვეული დროის მანძილზე, მანამდე, ვიდრე სხვა სავაჭრო ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობაში მოვიდოდა.

საბაჟო კავშირები და უბაჟო ტერიტორიები

საბაჟო კავშირი ან ბაჟისაგან განთავისუფლებული ტერიტორიები სახელმწიფოთა იმ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელთაც გადაწყვიტეს გააუქმონ ყოველგვარი შეზღუდვები ურთიერთ ვაჭრობაში. საბაჟო კავშირმა დაადგინა ერთიანი ბაჟები იმპორტირებულ საქონელზე თავის წევრ -ქვეყნებისათვის და ამ გზით ისინი მიისწრაფიან მომავალში საერთოდ გააუქმონ ბაჟები. ევროპის ეკონომიკური საბჭომ (EWG) შექმნა საბაჟო კავშირი, რომელიც შეთანხმებულ საბაჟო პოლიტიკას ანხორციელებს. ამ საბჭოს ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა არ სარგებლობს პოპულარობით ეკონომისტთა წრეებში, რომლებიც მხარს უჭერენ თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს, რამეთუ ეს იწვევს ვაჭრობის სტრუქტურისა და მისი მიმართულებების შეცვლას. თუ მაგალითად, აშშ ბანანის იმპორტზე აწესებს თითქმის 10 პროცენტიან საბაჟო გადასახადს, ცხადია ვაჭრები ირჩევენ ბანანის რეალიზაციისათვის იმ ქვეყანას, სადაც მასზე საბაჟო გადასახადი გაცილებით მცირეა.

ევროგაერთიანება

ამ გაერთიანებას მსოფლიო ვაჭრობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი შეიქმნა 1957 წელს. თავდაპირველად მისი წევრები იყვნენ. ბელგია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, დასავლეთ გერმანია და იტალია; ამ ქვეყნებს გადაწყვეტილი აქვთ შექმნან ერთიანი საბაჟო კავშირი და განახორციელონ ერთიანი პოლიტიკა, როგორც მრეწველობაში, ისე აგრარულ სექტორში. 1973 წელს ამ ორგანიზაციას შეუერთდნენ დანია, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, 1981 წელს— საბერძნეთი. 1986 წელს— ესპანეთი და პორტუგალია. ამჟამად ეს ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს 12 ქვეყანას. (ახლა მასში უკვე 15 ქვეყანაა. ბოლო წლებში მასში გაერთიანდნენ ფინეთი, შვეცია და ავსტრია). (მთარგმნ.).

80—იან წლებში ამ ორგანიზაციის სამოქმედო არეალი მნიშვნელოვნად გადიდდა იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა ხელმძღვანელობამ

მიიღო გადაწყვეტილება 1992 წლამდე გადასულიყო თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებზე, რაც დაფიქსირდა რომის ხელშეკრულებაში, ევროპის ეკონომიკური საბჭოს პირველ კონსტიტუციაში. მის ძირითად პრინციპებად აღიარებულია:

– მოგზაურობის თავისუფლება*.

– ნებისმიერი საქონლის და მომსახურების თავისუფალი გაცვლის შესაძლებლობა.

– უმეტესი პროფესიების (დიპლომების) ურთიერთცნობა.

– ყველა წევრი ქვეყნისათვის კონკურენციის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების აკრძალვა.

ამასთან ერთად ევროპის ეკონომიკური საბჭოს მუშაობა ხასიათდება გარკვეული ნაკლოვანებებით. კერძოდ:

1. ეეს ერთიანი აგრარული პოლიტიკა (Common Agricultural Policy-CAP) მისი ძირითადი პრინციპია სურსათზე ფასების გადიდება ეეს–ის ქვეყნებში, რაც განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს ამ ქვეყნების მოსახლეობის უღარიბეს ფენებზე და აგრეთვე გაელენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე ფასების შემცირებაზე. ეს არის ერთ–ერთი მიზეზი განვითარებად ქვეყნებში გლეხების სიღატაკისა.
2. პროტექციონიზმი – ეეს წინააღმდეგია, რომ მის ბაზრებში არაწევრმა ქვეყნებმა პროდუქცია შეიტანონ სარეალიზაციოდ. ამ მიზნის მისაღწევად როგორც საბაჟო, ისე ბევრ სხვა ღონისძიებას ანხორციელებენ.
3. ბიუროკრატია – საბჭოს თანამშრომელთა დიდი ხელფასები ევროპელთა გაღიზიანებას იწვევს. მართლაც ძნელია ახსნა, თუ რითია ეს გამოწვეული, და რით იმსახურებენ მისი თანამშრომლები ასეთ დიდ ხელფასებს,** ამასთან ისინი განიცდიან შედარებით ნაკლებ კონტროლს, ვინაიდან ექვემდებარებიან მხოლოდ ევროპარლამენტს, რომელსაც თავადაც ძალზე შეზღუდული ხელისუფლება აქვს.
4. ინტერვენციონიზმი – მრავალი პრობლემის გადაწყვეტის მეთოდად .ეეს მიაჩნია ინტერვენციონალიზმი,*** რაც უდიდეს დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

---

* ამ პრინციპმა განსაკუთრებით გაუთქვა სახელი ევროსაბჭოს, რადგან მისი წევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საზღვრების თავისუფლად გადაკვეთის შესაძლებლობა.

** ევროგაერთიანების თანამშრომელთა ხელფასები რამდენიმე ათეული ათასი აშშ დოლარია, გარდა ამისა, ისინი ხელფასებზე იღებენ სხვადასხვა სახის დამატებებს. (მთარგ.).

*** ინტერვენციონალიზმი – (ლათ interwentus ჩარევა) ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ძალისმიერი ჩარევა სხვა სახელმწიფოს შინაგან საქმეებში.

არგუმენტები თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლოდ შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად - აბსოლიტური და კომპარატიული (შედარებითი).

აბსოლუტური სარგებლიანობა

მცნება თავისუფალი ვაჭრობის აბსოლიტური სარგებლიანობის შესახებ შეეხება ისეთ სიტუაციას, რომლის დროსაც გარკვეული პროდუქციის წარმოებისას რომელიღაც ქვეყანა აღწევს უკეთეს შედეგებს სხვებთან შედარებით. ამის საილუსტრაციოდ გავაანალიზოთ ქვემოთ მოტანილი ცხრილი.

აბსოლუტური სარგებლიანობა		
ერთი მუშაკის გამომუშავება	ტყავის ქურთუკი	ლუდი(ლიტრებში)
პოლონეთი	10	5
გერმანია	5	8

ასეთ შემთხვევაში პოლონეთისათვის უკეთესი იყო, რომ დასპეციალიზებულიყო ტყავის ქურთუკების, ხოლო გერმანია- ლუდის წარმოებაზე. მაშინ ორივე ქვეყანას შეეძლო ერთმანეთს შორის ამ პროდუქტებით ევაჭრა. დავუშვათ, რომ ორივე ქვეყანაში არის 2 მუშაკი. თუკი არ იარსებებდა არავითარი ვაჭრობა პოლონეთსა და გერმანიას შორის, ორი მუშაკი აწარმოებდა 5 ქურთუკს და 8 ლიტრ ლუდს გერმანიაში, ხოლო 10 ქურთუკს და 5 ლიტრ ლუდს–პოლონეთში. სულ წარმოებული იქნებოდა 13 ლიტრი ლუდი და 15 ქურთუკი.

ახლა დავუშვათ, რომ არსებობს საქონელგაცვლა ამ ორ ქვეყანას შორის. ორი მუშაკი პოლონეთში დასპეციალიზებულია ქურთუკების წარმოებაზე და აწარმოებენ ღღეში 20 ცალს, ხოლო გერმანელი მუშები 16 ლიტრ ლუდს. თუ პოლონეთი შესთავაზებდა გერმანიას სავაჭრო გარიგებას-ლიტრა ლუდი ნაცვლად ერთი ქურთუკისა და მოისურვებდა ჰქონოდა იმდენივე ლუდი, რამდენიც ჰქონდა ამ სავაჭრო გარიგებამდე, მას უნდა გაეგზავნა გერმანელებისათვის 5 ქურთუკი. თუ გერმანელები წავიდოდნენ ამ შეთანხმებაზე, მათ ექნებოდათ 11 ლიტრა ლუდი და 5 ქურთუკი, მაშინ როდესაც პოლონეთს ექნებოდა 15 ქურთუკი და 5 ლიტრა ლუდი. შედეგად ორივე ქვეყანა აღმოჩნდებოდა გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე მაშინ, როდესაც მათ შორის არ არსებობდა ურთიერთ ვაჭრობა. თუკი არსებობს აბსოლუტური სარგებლიანობა, მაშინ შესაძლებელია მოვაწყოთ ვაჭრობა სხვადასხვა ფასების გამოყენებით, რის შედეგადაც ორივე ქვეყანა მდიდარი გახდება.

კომპარატიული სარგებლიანობა

კომპარატიული სარგებლიანობა		
ერთი მუშაკის გამომუშავება	ტყავის ქურთუკი	ლუდი(ლიტრებში)
პოლონეთი	10	20
გერმანია	8	8

კომპარატიული ანუ შედარებითი სარგებლიანობის ცნება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სავაჭრო გარიგებები სასარგებლოა იმ სიტუაციაში, როდესაც ერთი ქვეყანა უფრო მეტადაა ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაში დასპეციალებული. ზემოთ აღწერილ სიტუაციაში პოლონეთი აწარმოებს გაცილებით მეტ ქურთუკსა და მეტ ლუდს, მაგრამ ვაჭრობა ამ ორ ქვეყანას შორის მაინც სასარგებლოა მათ საწარმოებლად გაწეული დანახარჯების სხვადასხვაობის გამო. თუკი შევადარებთ ლუდისა და ქურთუკების წარმოებას (იმ სიტუაციაში, როდესაც ვუშვებთ, რომ მუშაობს ორი მუშაკი) ვხედავთ, რომ პოლონეთში ერთი ლიტრი ლუდი ღირს ნახევარი ქურთუკი, მაშინ როდესაც გერმანიაში ლიტრი ლუდი ღირს იმდენივე, რამდენიც ქურთუკი. ასეთი განსხვავების მიზეზი არის თვითეულ ამ ქვეყანაში წარმოების შედარებითი ეფექტიანობა. ვინაიდან გერმანელები შედარებით „უარესნი“ არიან ქურთუკების წარმოებში, ვიდრე ლუდის წარმოებაში, ხოლო პოლონეთი არის შედარებით კარგი მწარმოებელი ლუდისა, კვლავ ორივე ქვეყნისათვის სასარგებლოა წარმოების სპეციალიზაცია და ურთიერთ ვაჭრობა.

დავუშვათ, რომ პოლონეთში ოთხმა ქურთუკების წარმოებაზე დასპეციალებულმა მუშაკმა უნდა გადაცვალონ თავიანთი პროდუქცია ლუდზე. ისინი მართალია დაკარგავენ 40 ქურთუკს, მაგრამ შეიძენენ 80 ლიტრ ლუდს ყოველდღიურად. თუ გერმანიაში ათი მუშაკი, რომლებიც აწარმოებენ ლუდს, თავის პროდუქციას გაცვლიან ქურთუკებზე, ისინი დათმობენ 80 ლიტრ ლუდს, მაგრამ შეიძენენ 80 ქურთუკს. შედეგად წარმოებული ლუდის რაოდენობა იქნება იგივე, მაგრამ სავაჭრო გარიგებების შედეგად დამატებით წარმოებული იქნება 40 ქურთუკი.

ალბათ ძნელი არ იქნებოდა ისეთი მაგალითების მოყვანაც, რომლებიც გვიჩვენებდნენ, რომ საგარეო ვაჭრობის კომპარტიული სარგებლიანობა არის უარყოფითი; მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებლად დაშვებული იქნებოდა შეცდომა; კერძოდ კი ის, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნისათვის საჭიროა მეტი ძალისხმევის

გამოჩენა ვაჭრობისას ექვივალენტური პროდუქციის შესაძენად, ვიდრე მაღალგანვითარებულ ქვეყნისათვის. თუ დავუშვებთ, რომ გატარებული იქნება აუცილებელი ქმედებები წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად, ყოველთვის შეიძლება დავამტკიცოთ, რომ ამგვარი ვაჭრობისას ყოველი ქვეყანა მოგებას ნახულობს, ყოველ შემთხვევაში, დაკარგვით მაინც არაფერს არ კარგავს.

ვალუტის გადაცვლის კურსი

თითქმის ყველა ქვეყანას თავისი ვალუტა გააჩნია, რაც უცხო ქვეყნის საქონლის შეძენისას ქმნის იმის აუცილებლობას, რომ ვიცოდეთ, თუ აღნიშნული ვალუტა როგორ შესაბამისობაშია სხვა ქვეყნის ფულად ერთეულთან. ამას პქვია ვალუტის გაცვლის კურსი. არსებობს ვალუტის კურსის დადგენის მრავალი მეთოდი. მაგრამ იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მეთოდითაა დადგენილი ვალუტის კურსი, ეკონომისტისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა სურათს იძლევა ვალუტის მიწოდება-მოთხოვნილება.

ვალუტის* კურსი საგარეო ვაჭრობის ბანკში** 1992 წ. 22. VII—თვის

ვალუტა	ქვეყანა	დევიზები***		ფული	
		შესყიდვა	გაყიდვა	შესყიდვა	გაყიდვა
დოლარი	აშშ	13.493	13725	13344	13888
მარკა	გფრ	8996	9151	8888	9250
ფრანკი	საფრანგეთი	2656	2710	2629	2737
გირვან. სტერ.	დ. ბრიტანეთი	25534	26050	25276	26308
100 ლირა	იტალია	1179	1203	1167	1215
100 იენი	იაპონია	10766	11036	10604	11036
ეკიუ		18130	18870	18130	18130

* მილიონ ზლოტებში

** იგულისხმება პოლონეთის საგარეო ვაჭრობის ბანკი(მთარგმნელი).

*** დევიზები — გადახაყვანი ვექსილი, ქვითარი ან ხაგადახახადო დავალება, გამოწერილი უცხოურ ვალუტაში და რომელიც ექვემდებარება გადახდას ხაზღვარგარეთ; გამოიყენება საერთაშორისო გადახდებში.

თუ რომელიმე ქვეყანაში ექსპორტი გაცილებით მეტია, ვიდრე იმპორტი, მაშინ სხვა ქვეყნები იძულებულები გახდებიან შეისყიდონ დიდი რაოდენობით მისი ვალუტა, ვიდრე იგი შეისყიდის სხვა ქვეყნების ვალუტას. აღნიშნულ მოვლენას ეწოდება საგადამხდელო ბალანსის დადებითი სალდო და გაელენას ახდენს აღნიშნული ქვეყნის ვალუტის კურსზე. კერძოდ, სისტემატიური ხასიათი დადებითი სალდოსი საგადამხდელო ბალანსში იწვევს ამ ქვეყნის ვალუტის კურსის გაზრდას.

და პირიქით: თუ ქვეყანა ეწევა უფრო მეტი რაოდენობით იმპორტს, ვიდრე ექსპორტს, მაშინ იგი იძულებულია იყიდოს სხვა ქვეყნის ვალუტა უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე სხვა ქვეყნები შეისყიდიან მის ვალუტას. ამ მოვლენას ეწოდება საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი და შედეგად იწვევს ვალუტის კურსის დაცემას.

ვალუტის კურსზე მოქმედი ფაქტორები

ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ვალუტის გაცვლაზე ძალიან ბევრია. მთავარი მართალია მათ შორის ექსპორტ-იმპორტის ბალანსია, მაგრამ მასზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებენ.

მთავრობის პოლიტიკა: მაგალითად, პოლონეთის მთავრობამ ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამის საფუძველზე 17 თვის განმავლობაში შესძლო ზლოტის კურსი დოლართან მიმართებაში შეენარჩუნებინა 9300 (ერთ დოლართან). აღნიშნულის შედეგად თავდაპირველად იმპორტული საქონელი ძალზე ძვირი იყო. მთავრობის ეს ღონისძიება ვალუტის გაცვლის სფეროში შეიძლება განვიხილოთ როგორც მისი ეკონომიკური პოლიტიკა. თუკი მხედველობაში არ მივიღებდით ექსპორტ—იმპორტის ბალანსს, ამ ღონისძიების შედეგი იქნებოდა იმის ანალოგიური, რასაც ადგილი აქვს მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანაში. მთავრობები ადგენენ რუბლის, კრონის თუ ფორინტის კურსს გაცილებით მაღალ დონეზე, ვიდრე იგი უღირთ უცხოელებს. ამ მოვლენას მრავალგვარი შედეგები ახლდა თან, კერძოდ:

- მემარცხენე დასავლეთელი ეკონომისტები თვლიდნენ, რომ კომუნისტური ქვეყნები იყვნენ გაცილებით უფრო მდიდარნი, ვიდრე სინამდვილეში, რადგანაც ისინი სსრკ სიმდიდრეს დოლარებში ითვლიდნენ იმ კურსით, რა კურსიც რუბლს მინიჭებული ჰქონდა დოლართან შედარებით მთავრობის მიერ.
- იმპორტი იყო ძალზე იაფი, მაგრამ მხოლოდ მათთვის, ვისაც შეეძლო ეშოვა ძვირფასი მყარი ვალუტა ოფიციალური, დაბალი კურსით.
- კომუნისტური ქვეყნების ბევრ მოქალაქესაც მიაჩნდა, რომ ამ სისტემას გაცილებით მეტი წარმატებები მოჰქონდა, ვიდრე ეს იყო სინამდვილეში.

– კომუნისტებს შეეძლოთ მოეხდინათ უდიდესი გავლენა მოსახლეობაზე იმითაც, რომ დაწესებული ჰქონდათ კონტროლი უცხო ვალუტის მოძრაობაზე.

არსებობს საყურადღებო არგუმენტები იმ პოლიტიკის სასარგებლოდ, რომელიც მოითხოვს, რომ დადგინდეს (გაჩერდეს) ვალუტის გადაცვლის კურსი მყარ ღონეზე – იმის გათვალისწინებით, რომ იგი მიახლოვებული იქნება საბაზრო კურსთან, ხოლო ადამიანებს შეეძლებათ თავისუფლად იყიდონ და გაყიდონ ვალუტა. ვალუტის გაცვლისას მისი მყარი კურსის მომხრეებს მიეკუთვნებიან:

– ბიზნესმენები, რომლებიც დაკავებულნი არიან იმპორტ-ექსპორტით, რომლებიც ამის საფუძველზე ადვილად გათვლიან, თუ რა ფასებით შეეძლებათ გაყიდონ თავისი საქონელი;
– ინვესტორები, რომლებიც შეისყიდიან უცხო ქვეყნის აქციებს და არ ექნებათ იმის შიში, რომ მოხდება ვალუტის დევალვაცია.
– პოლიტიკოსები, რომლებიც ცდილობენ თავი დააღწიონ ინფლაციას. ვალუტის დევალვაციას მოჰყვება როგორც დანახარჯების, ისე მიწოდების გადიდება, ვინაიდან ზეგავლენას მოახდენს ექსპორტის ფასების დაცემაზე. თუ ვალუტის გადაცვლის კურსი არის მუდმივი, მწარმოებლებს გაუჭირდებათ დანახარჯების კლიენტებზე გადაკისრება და ამიტომ იძულებულები იქნებიან მოძებნონ სხვა გამოსავალი.

საპროცენტო განაკვეთი. რეალური საპროცენტო განაკვეთი (მცოცავ საპროცენტო განაკვეთს გამოკლებული ინფლაციის მაჩვენებელი) გვევლინება როგორც ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ვალუტის კურსზე. ერთ–ერთი მიზეზი, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა ზლოტის სტაბილურობაზე იყო ის, რომ დადგინდა გაცილებით მაღალი საპროცენტო განაკვეთი ზლოტებზე, ვიდრე დოლარებზე, რამაც შემდეგი გამოიწვია: ხალხმა დაიწყო თავიანთი დოლარის დანაზოგების ზლოტებზე გადახურდავება და შეჰქონდათ იგი ბანკში, რათა მიეღოთ მაღალი პროცენტები. ესეც არის ერთ–ერთი ხერხი ვალუტაზე მოთხოვნილების გაზრდისა, რომელიც გამოწვეულია არა იმდენად სავაჭრო გარიგებებიდან, რამდენადაც ინვესტორების მოქმედებებიდან.

მოლოდინი და სპეკულაცია. მიზეზი ვალუტის კურსის ასეთი ხშირი ცვლილებებისა საზღვარგარეთის ბაზრებზე არის უზარმაზარი რაოდენობა ე.წ. „ცხელი ფულისა“, რომელიც გამოყენებულ იქნება ნებისმიერ წამს, იმის და მიხედვით, თუ რა ჭორი გავრცელდება მოსალოდნელი კურსის ცვლილების შესახებ. ხშირად უდიდეს როლს ამ მოვლენების განვითარებაში ასრულებს ზოგიერთი მომხდარი

პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენა. მაგალითად, 1991 წლის აგვისტოს მოსკოვის პუჩტის დროს ძალზე სწრაფად აიწია დოლარის კურსმა, რადგან ხალხს უკვე შემუშავებული აქვს გამოცდილება, რომ ასეთი კრიზისების დროს უნდა შეიძინო დოლარი.

თუ მემარცხენე ეკონომისტები ებრძვიან ვალუტის სპეკულაციას, მათ მემარჯვენე კოლეგებს პგონიათ, რომ იგი ძალზე დადებითად მოქმედებს ვალუტის სტაბილიზაციაზე. მემარჯვენეები სთვლიან, რომ ადამიანები ყიდულობენ ვალუტას, როდესაც მისი ღირებულება ნაკლებია და ყიდიან მაშინ, როდესაც იგი მატულობს. მთავარი პრობლემა ისაა, რომ არასოდეს არ არის ცნობილი, თუ როდისაა იგი ყველაზე დიდი, ანდა ყველაზე მცირე. ცხადია, ბევრ ადამიანს ხელეწიფება გათვალოს, თუ როდის იქნება ვალუტის ფასი დიდი და როდის — მცირე. მისი კურსის დადგენისას გადამწყვეტი ამ შემთხვევაში არის ადამიანების მოლოდინი და ის, თუ რა წარმოდგენას უქმნის მათ მოცემული სიტუაცია (პოლიტიკური, ეკონომიკური და ა.შ.) ბაზარზე ვალუტის კურსის ჩამოყალიბების შესახებ. თუ მოლოდინი „ელასტიურია", ეს იმას ნიშნავს, რომ იგი იცვლება ისევე სწრაფად, როგორი ტემპებითაც იცვლება ვალუტის გადაცვლის კურსი. თუ ვალუტის ღირებულება სწრაფად ქვეითდება, ეს პროცესი ლოდინის შესაბამისად მომავალშიც გაგრძელდება.

მსყიდველობითი უნარის პარიტეტი — ყოველი ტურისტი გეტყვით, თუ რომელი ქვეყნებია ძვირი, და რომელი იაფი. მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის მიხედვით, ძვირად მიჩნეული ქვეყნის ვალუტაც ასევე მიჩნეულია ძვირად, ხოლო იმ ქვეყნის ვალუტა, რომელი ქვეყანაც მიჩნეულია იაფად — შეფასებულია იაფი კურსით. ეს ადვილად შეიძლება პრაქტიკულად შემოწმდეს. აღნიშნული თეორიის საშუალებით შესაძლებელი ხდება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ძვირ ქვეყნებში ექსპორტი არ ამართლებს დიდი ადგილობრივი ფასების გამო, მაგრამ სამაგიეროდ სასარგებლოა იმპორტი. სამაგიეროდ ღარიბი ქვეყნებისათვის მისაღები და ხელსაყრელია საქონლის ექსპორტი და ამ გზით საგადამხდელო ბალანსის გაწონასწორება, რაც შედეგად იწვევს ასევე ამ ქვეყნის ვალუტის კურსის აწევას. თუ მსყიდველობითი უნარი ორ ქვეყანაში თანაბარია, მაშინ მათი ვალუტის კურსიც თანაბარი იქნება.

ვაჭრობის მემარცხენე თეორია

შეხედულება, რომ კაპიტალისტური ქვეყნები თავიანთი პროდუქციისათვის ბაზრების მოსაპოვებლად და ასევე სამამულო მრეწველობისათვის ნედლეულის საშოვად იყენებენ იმპერიალისტურ პოლიტიკას, შემუშავებული იყო მარქსის მიერ. როდესაც მარქსისტებმა შეწყვიტეს

ლაპარაკი იმპერიალიზმზე, მათ ყურადღება გაამახვილეს ორ ფაქტზე, რომელიც ეხება საერთაშორისო მეურნეობას:

1. საქონელგაცვლის პირობები – ეს არის კავშირი საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ფასებს შორის. თუ ექსპორტზე ფასები დიდია იმპორტის ფასებთან შედარებით, მაშინ საქონლის ექსპორტი გაცილებით გაძნელებულია. მემარცხენე ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ღარიბი ქვეყნები ეწევიან თავიანთი სიმდიდრის ექსპორტს მცირე ფასებში, რის სამაგიეროდაც იღებენ ძვირად ღირებულ სამრეწველო საქონელს. ეს მტკიცება ძალზე ახლოსაა მარქსის თეორიასთან. ოღონდ ამ შემთხვევაში საქმე ეხება გადაწყვეტილების თავისი ნებით მიღებას და არა იმპერიალისტების მიერ სამხედრო ჩარევას. არავინ არ აიძულებს გერმანელებს შეიძინონ სამხრეთამერიკული ბანანი და არც მდიდარ სამხრეთ ამერიკელებს აიძულებენ იყიდონ გერმანული ავტომანქანები. მაგრამ მარქსისტები ამტკიცებენ, რომ ასეთი სიტუაცია ცუდია, ვინაიდან ფასები ნედლეულსა და სასოფლო პროდუქციაზე კლების ტენდენციით ხასიათდება, მაშინ როდესაც ფასები სამრეწველო პროდუქციაზე იზრდება; ამდენად საქონელგაცვლის პირობები მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის თანდათან უარესი ხდება. მარქსისტები ამტკიცებენ, რომ ღარიბი ქვეყნები თავის პროდუქციას ყიდიან კონკურენციულ ფასებში და ამ გზით იღებენ ძალზე მცირე მოგებას, მაშინ როდესაც მდიდარი ქვეყნები, სადაც მოქმედებენ მონოპოლისტური ფირმები, თავიანთ საქონელს ყიდიან არაკონკურენტულ ფასებში (მონოპოლისტური ფასები) და ამგვარად იღებენ ძალზე დიდ მოგებას. შედეგად მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები ღარიბდებიან.
2. საერთაშორისო ფირმები – მარქსისტები განსაკუთრებით ვერ იტანენ საერთაშორისო ფირმებს, რომლთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საერთაშორისო საქონელგაცვლისათვის. საერთაშორისო ფირმები იყენებენ გაცილებით უფრო გავლენიანები, ვიდრე სახელმწიფო ფირმები, რომლებსაც მარქსისტების მხარდაჭერა ჰქონდათ და დასაბუთებული არგუმენტების საფუძველზე ერიდებოდნენ ინვესტირებას იმ ქვეყნებში, სადაც არ მალავდნენ, რომ ანტიპატიურად არიან განწყობილნი საზღვარგარეთის კაპიტალის მიმართ. ეს აღიზიანებდათ მარქსისტებს, რამეთუ ასეთ ფირმებს შეეძლოთ შეექმნათ ახალი სამუშაო ადგილები, ფული და ტექნოლოგია. პრაქტიკა ღარიბი ქვეყნების პოლიტიკოსების მოსყიდვისა მდიდარი ფირმების მიერ იყო და

არის გამოყენებული მეთოდი, რაც აშკარად არ სიამოვნებდათ მარქსისტებს და ცხადია, ამ შემთხვევაში შეიძლება მათი გაგება.

ამასთან, ვაჭრობის მარქსისტულ თეორიას საქმე აქვს რამდენიმე პრობლემასთან:

1. უპირველეს ყოვლისა, მარქსისტულ თეორიას ეწინააღმდეგება ფაქტები – ნედლეულის ფასები სრულიადაც არ მცირდება, თუმცა 1991 წელს იგი მართლაც ძალზე დაბალი იყო.
2. სამრეწველო ქვეყნებს არ შეუძლიათ თავიანთი საქონლის ექსპორტირება უკონკურენციოდ, ხოლო ექსპორტირებული საქონელი ხშირ შემთხვევაში იწვევს მწარმოებლურობის გადიდებას იმ ქვეყანაში, სადაც ეს საქონელი შეაქვთ.
3. საერთაშორისო ფირმები შესაძლოა იყვნენ კარგი ან ცუდი და მხოლოდ მარქსისტები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ისინი წარმოადგენენ ცუდ სისტემას, ყოველთვის ეწინააღმდეგებიან მათ.
4. ვაჭრობისა და ეკონომიკის მიმართ მემარცხენე პოზიციებზე მდგარი ეკონომისტები კაპიტალიზმს აწერენ ყველა იმ ცოდვებს, რომლებიც უფრო საგრძნობი იყვნენ იმ ქვეყნებში, სადაც მემარცხენეებს გაცილებით დიდი გავლენა ჰქონდათ, ვიდრე იმ ქვეყნებში, რომლებიც ესწრაფოდნენ მსოფლიო მეურნეობისაკენ ინტეგრაციას. მართალია ზოგჯერ „სოციალისტურ“ ქვეყნებს შეუძლიათ მიიწერონ დიდი მიღწევები საზოგადოების განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, მაგრამ ფაქტიურად ესეც მემარცხენე მითებია.

განვითარებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები

„ტვინების გადინება“ არის საყოველთაოდ გავრცელებული პრობლემა კომუნისტურ ქვეყნებში, სადაც ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ინტელიგენციითა და განათლებით, ხშირად ვერ უძლებენ ცდუნებას და სამუშაოდ საზღვარგარეთ მიდიან. ეს არის აგრეთვე პრობლემა ღარიბი კაპიტალისტური ქვეყნებისათვის და ასევე საკმაოდ მდიდარი ქვეყნებისათვისაც. ცხადია, ასეთი სიტუაცია იწვევს სოციალურსა და ფსიქოლოგიურ სტრესებს. ეკონომიკური თვალსაზრისით ეს არ არის სარგებლობას მოკლებული მოვლენა. პრინციპში იგი მოგვაგონებს საქონლის ექსპორტს. ამჟამად პოლონეთში არ არის მეტისმეტად ბევრი სამუშაო აღგილი, ხოლო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ამ ქვეყანაში კერძო ინვესტიციები ასეთ აღმავლობას განიცდის, არის იგივე ტვინების გადინება, რომელთაც საკმაო დანაზოგები გააკეთეს საზღვარგარეთ და ახლა ამ ფულს პოლონეთში აბანდებენ.

კაპიტალის საერთაშორისო ბაზარი – დავალიანებათა კრიზისი, რომელიც განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ღარიბი ქვეყნებისათვის, წარმოსდგა 70–იან წლებში მათთვის დიდი რაოდენობის კრედიტების მცირე პროცენტებით გამოყოფის შედეგად; შემდეგ 80–იან წლებში მოხდა მისი გადიდება. სპეციალისტების უმრავლესობა თვლის, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის კრედიტების გამოყოფის მექანიზმი სამართლიანი არ არის.

ეკონომიკის გარე მიზეზები – დასავლეთში მრავალი ადამიანია აღშფოთებული იმის გამო, რომ მოსახლეობის უმრავლესობა თანდათან უკუაგდებს ძველ, ტრადიციულ მეთოდებს და მათ ამჯობინებენ ათასგვარ დასავლეთის საოცრებებს, როგორებიცაა, ვიდეო, ჰჟრნოგრაფია და ა.შ. ისინი მართალი არიან, როდესაც ამტკიცებენ რომ დასავლეთი არ არის ყველაფერში მიბაძვის ნიმუში. ეკონომისტებს, ისევე როგორც სხვა მრავალთ, აქვთ ასეთი შეფასების უფლება, ოღონდ მათ არ შესწევთ ძალა თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება ეკონომიკურ არგუმენ-ტებს დააფუძნონ.

საგადამხდელო ბალანსი

საგადამხდელო ბალანსი წარმოადგენს მოცემული პერიოდისათვის, უმეტესად ერთი წლის მანძილზე, ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებების შედარებას. ბალანსში გამოხატულობას პოულობს შემდეგი პოზიციები:

– საქონელბრუნვის ანგარიში – სავაჭრო ბალანსი;
– არასაქონელბრუნვითი (ფარული) ბრუნვები – მაგალითად, ისეთ მომსახურებაზე, როგორიცაა ტურიზმი, საბანკო მომსახურება, ტრანსფერები* სხვა ქვეყნებისათვის და ასევე მოგება და პროცენტები უცხოური ინვესტიციებიდან.
– მიმდინარე სალდო – ეს გამოიყვანება როგორც სავაჭრო და არასავაჭრო საქონელბრუნვების ჯამი.

სახელდობრ ეს სალდო აქვთ ხოლმე მხედველობაში პოლიტიკოსებს, როდესაც ლაპარაკობენ საგადამხდელო ბალანსის დეფიციტსა თუ გადაჭარბებაზე. თუ საგადამხდელო სალდო დიდი ხნის განმავლობაში რჩება დეფიციტური, ქვეყანას დიდი წინააღმდეგობები ხვდება იმპორტის ღირებულების გადასახდელად ფინანსიური სახსრების მოსაპოვებლად.

საგადამხდელო ბალანსი ყოველთვის გაწონასწორებულია – იმ აზრით, რომ მიმდინარე ანგარიშების დეფიციტი ყოველთვის კომპენსირდება სესხების ანდა საზღვარეთული ინვესტიციების

* ტრანსფერები (ფრ. transfent)– ფულის გადაგზავნა სხვა ქვეყნისათვის.

საშუალებით და პირიქით; ეს იმის მსგავსი სიტუაციაა, რომლის დროსაც საოჯახო მეურნეობა წლის განმავლობაში ხარჯავს მხოლოდ იმდენს, რამდენსაც იღებს აქტივების გაყიდვით, დანაზოგის პროცენტიდან, ასევე სესხულობს და გამოიმუშავებს. თუ ხარჯები აჭარბებს შემოსავალს, საოჯახო მეურნეობამ უნდა იშოვოს სესხი ანდა გაყიდოს რაღაც და პირიქით. ის ქვეყანა რომელსაც მიმდინარე ანგარიშებზე გაუჩნდება დადებითი სალდო, გააღიდებს საზღვარგარეთულ აქტივებს და გასცემს კრედიტებს; სამაგიეროდ, ის ქვეყანა, რომელსაც დეფიციტი გააჩნია, მოახდენს კაპიტალის იმპორტირებას და ისესხებს ფულად სახსრებს სხვა ქვეყნებიდან.

ტიპიური საგადასახადო ბალანსი შედგება შემდეგი პოზიციებისაგან:

მიმდინარე ანგარიში (მილიონ დოლარებში)	
1. სავაჭრო ბალანსი	
ექსპორტი	1000
იმპორტი	1200
დადებითი სალდო / (დეფიციტი)	(200)
2. არასასაქონლო (ფარული) ბრუნვები	
ექსპორტი	200
იმპორტი	100
დადებითი სალდო / (დეფიციტი)	100
მიმდინარე ანგარიში	(100)
3. კაპიტალის ანგარიში	
საზღვარგარეთული ინვესტიციები ნეტო	(300)
საზღვარეთ აღებული კრედიტები	400
კაპიტალის ანგარიში	100

მოტანილ მაგალითზე საგადამხდელო ბალანსი გაწონასწორდება, ვინაიდან საზღვარგარეთიდან მოზიდული სესხები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმპორტზე დანახარჯების გასასტუმრებლად.

საგადამხდელო ბალანსის ზოგიერთი მონაცემების, მაგალითად დეფიციტის და დადებითი სალდოს შეფარდება ქვეყნის ეროვნულ შემოსავალთან, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, თუ ლიტვის საგადამხდელო ბალანსში დეფიციტი ტოლი იქნება 500 მილიონი დოლარისა თვიურად, მისი მეურნეობა გაცილებით მეტი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდებოდა, ვიდრე იგივე დეფიციტი რომ ჰქონოდა აშშ—ს.

ბევრი ეკონომისტი ხაზს უსვამს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი კონკურენციულობის არის ვაჭრობა. ის ქვეყანა, რომელიც

ვერ შესძლებს სასარგებლო ექსპორტს, განწირულია ჩამორჩენილობისათვის, ზუსტად ისევე, როგორც ქვეყანა, რომელსაც არ შეუძლია საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა. განვითარებული ქვეყნები, როგორებიცაა შვეცია, გერმანია, თუ აშშ აწარმოებენ საქონლის ექსპორტს არა იმიტომ, რომ მათი საქონელი იაფია, არამედ იმიტომ, რომ ფლობენ მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიას და მათი პროდუქცია ძალზე კარგადაა დაპროექტებული.

ვალუტის გაცვლის კურსის ისტორია

ვალუტის გაცვლის კურსი ოქროსთან მიმართებაში დადგენილი იყო პირველ მსოფლიო ომამდე. ეს სისტემა, რომელსაც ეწოდებოდა ოქრო—სავალუტო სისტემა, ეფუძნებოდა იმას, რომ მასში გაერთიანებული სახელმწიფოები დებდნენ ხელშეკრულებას, რის საფუძველზეც მათი ვალუტის გადაცვლა თავისუფლად შეიძლება ოქროზე დადგენილი პროპორციებით. ასეთ შემთხვევაში თუ ქვეყანა მიაღწევს საგადამხდელო ბალანსის ნამატს, მაშინ მისკენ გაემართება დიდი რაოდენობის ოქრო, რაც გამოიწვევს ეკონომიკურ აქტიობას. გაიზრდება ასევე ფასებიც იმ მომენტამდე, რომლის დროსაც ცხადი გახდება,რომ ან ქვეყნის ეკონომიკას არ ძალუძს დააკმაყოფილოს მოთხოვნილება, მაშინ იმპორტი გაიზრდებოდა - ანდა ექსპორტის ფასები გახდებიან არაკონკურენტუნარიანი. დეფიციტი გამოიწვევდა საწინააღმდეგო ეფექტს -შემცირდებოდა პროდუქციაც და ფასებიც. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში მრავალმა სახელმწიფომ ვერ შეძლო შეენარჩუნებინა თავისი ვალუტის კონვენტირებადობა ოქროზე, რაც გამოწვეული იყო უმუშევრობის მაღალი დონითა და ეკონომიკური დაქვეითებით.

1944 წლის შემდგომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში შემოიღეს ვალუტის გადაცვლის ახალი სისტემა, რომელსაც ეწოდა ბრეტონ - ვუდსის ხელშეკრულება. ამავე დროს შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდიც (ინგ. International Monetari Fund-IMF) ამ ფონდის შექმნამ უზრუნველყო კონტროლი ვალუტის გადაცვლის კურსზე და ასევე უკეთესი პირობები ვალუტის მიმოქცევისათვის. ყოველ ქვეყანას განესაზღვრა კურსი ვალუტის გადაცვლისა დოლართან მიმართებაში, ასევე შესაძლებელი გახდა დოლარის გადაცვლა ოქროზე. თუ რომელიმე ქვეყანას აღმოაჩნდებოდა სავაჭრო დეფიციტი, მის ცენტრალურ ბანკს შეეძლო გამოეყენებინა უცხოური ვალუტის არსებული რეზერვები, საკუთარი ვალუტის ბაზარზე შესასყიდად ანდა შეეცვალა თავისი შინაგანი ეკონომიკური პოლიტიკა იმ მიზნით, რომ შეემცირებინა მოთხოვნა იმპორტულ საქონელზე. უცხოური ვალუტის შესყიდვასა

და გაყიდვაზე დაწესებული კონტროლის სისტემა უნდა უზრუნველყო სპეკულაციას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ სისტემამ დადებითი შედეგები ვერ გამოიღო, რამაც გამოიწვია სისტემის შეცვლა. შეთანხმება შეიცვალა გაფრთხილებით, რომ კურსის ყოველგვარი ცვლილებები შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ამ საკითხის საგულდაგულოდ განხილვის შემდეგ AMF—ში, რომელიც გამოდიოდა მსოფლიოში არსებული ყველა სახელმწიფო ბანკის (ცენტრალური ბანკის) ბანკირის როლში. ისეთი ქვეყნები, მაგალითად, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, რომელსაც უკვე წლების მანძილზე საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი ჰქონდა, იყო ნამდვილი კანდიდატი მისი ვალუტის დევალვაციისა. ეს ნიშნავდა, რომ ყველას, ვისაც შეეძლო შეესყიდა უცხოური ვალუტა, შეეძლო ძალზე ადვილად გამდიდრება, — კერძოდ იყიდიდა დოლარს გირვანქა სტერლინგებზე დევალვაციამდე, ხოლო შემდეგ გადაცვლიდა მას უფრო მეტ გირვანქა სტერლინგებზე. სპეკულანტების ამგვარმა მოქმედებამ დააჩქარა კურსების გათანაბრების პროცესი, რაც ცენტრალური ბანკისათვის ნიშნავდა ყველა დოლარის გაყიდვის პერსპექტივას და შედეგად საქმარის დანაკარგებს. უკმაყოფილებამ ვალუტის გაცვლის მყარი კურსის სისტემის მიმართ ბოლოს გამოიწვია მთელი სისტემის შეცვლა. ეს იყო შედეგი ხარჯების გაწევის ამერიკული გეგმისა სოციალურ პროგრამაზე და ვიეტნამში ანტიკომუნისტური ომის გაჩაღებაზე. აშშ-დან მიედინებოდა დიდი რაოდენობის დოლარები (იმპორტის ანაზღაურების ფორმით), რომელთა დეპონირებაც ხდებოდა ევროპაში, სადაც მათი პროცენტი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე აშშ-ში. ამერიკის ცენტრალურმა ბანკმა გადაწყვიტა 1971 წელს შეეწყვიტა დოლარის გადაცვლა ოქროზე. ამრიგად, შეწყვიტა არსებობა ყოველგვარმა გარანტიებმა დოლარის ოქროზე გადაცვლისა მთელ მსოფლიოში. შემდგომ წლებში უკვე აღარა ყოფილა ვალუტის გადაცვლის მტკიცე კურსის დამყარების მნიშვნელოვანი მცდელობები.

ვალუტის გადაცვლის დადგენილი მყარი კურსის სისტემის შეცვლის შემდეგ დადგა მათი კურსების ხშირი რყევების პერიოდი. ამის მიზეზი იყო ნაწილობრივ დიდი ცვლილებები სხვადასხვა საქონლისა მსოფლიო ფასებში, რომელიც დაიწყო კარტელ „ოპეკი“-ის (OPEC) მიერ 1973 და 1979 წლებში და ნაწილობრივ მსოფლიო მეურნეობის მერყეობა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები. ვალუტის გადაცვლის კურსი მართალია მთლად ზუსტ კონტროლს არ ექვემდებარება, მაგრამ მთავრობები ხშირად ცდილობენ, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ იმ დონეზე, რომ ხელი შეუწყონ ქვეყნის შინაგანი პოლიტიკის მიზნების მიღწევას.

1979 წლიდან ევროკავშირში (EWG)-ში არსებობს ვალუტის გაცვლის კურსის სტაბილიზაციის ნაკლებამბიციური, მაგრამ სამაგიეროდ შედეგიანი სისტემა, - ევროპის სავალუტო სისტემა. თავისი ძირითადი პრინციპით იგი მსგავსია ბრეტონ-ვუდსის შეთანხმების ლოკალური ვერსიისა -მისი წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ იმაზე, რომ თავიანთი ვალუტის კურსი გააჩერონ იმ დონეზე, რომელიც ყველა მათგანისთვის მისაღები იქნება. ეს ხდება ვალუტის შესყიდვის ანდა გაყიდვის გზით სავალუტო ბაზარზე; არსებობს აგრეთვე გარკვეული რეგულირების მექანიზმი, რომელიც ეხება უპირველეს ყოვლისა ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებს. მთავარ როლს ვალუტის ევროპულ სისტემაში ასრულებენ გერმანელები, ხოლო მათი ვალუტა - ყველაზე დიდ შემადგენელი ნაწილია ევროპის საანგარიშსწორებო ვალუტის - ეკიუსი.

არსებობს გეგმა, რომლის მიხედვითაც ევროპაში უნდა შემოიღონ ერთიანი ვალუტა, რომლის ემისიასაც მოახდენს ერთი ცენტრალური ბანკი*. გერმანელები ამასთან დაკავშირებით გამოთქვამენ შიშს, რომ თუმცა ევროპული ვალუტა არ იქნება ისეთი ძლიერი, როგორიცაა გერმანული მარკა, მაგრამ ემს-ის ღარიბი ქვეყნებისა და რეგიონებისათვის ეს ვალუტა შესაძლოა მეტად ძლიერიც იყოს.

ვალუტის გადაცვლის მყარი თუ მცოცავი კურსი?

ეკონომისტებს შორის არ არსებობს ერთიანი შეხედულება იმის თაობაზე, თუ ამ ალტერნატივიდან რომელი უკეთესია. არსებობს არგუმენტები ამ შეხედულების, როგორც სასარგებლოდ, ასევე საწინააღმდეგოდ.

მყარი კურსის სასარგებლოდ მეტყველებენ შემდეგი არგუმენტები:

- ქვეყნები, რომელთაც სურთ შეინარჩუნონ გადაცვლის მყარი კურსი, შესძლებენ თავიდან აიცილონ ინფლაცია.
- მყარი კურსის არსებობისას დაცული იქნებოდა მკაცრი დისციპლინა, რომელსაც დაემორჩილებოდა საწარმო, და ვერ შესძლებდა თავის ნებაზე აეწია ფასები და ხელფასები; იგი საერთაშორისო კონკურენციის მოთხოვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში უპასუხებდა, თუ გაზრდიდა შრომის მწარმოებლურობას;
- შესაძლებელი გახდებოდა იმპორტზე ფასების სტაბილურობა;
- საწარმოებს უზრუნველყოფილი ექნებოდათ მოქმედების სტაბილური პირობები;

ცვალებადი კურსის სასარგებლოდ ლაპარაკობენ შემდეგი არგუმენტები:

* ეს ბანკი უკვე შექმნილია და მისი შტაბ-ბინაა ქ. ფრანკფურტში (მთარგმ.).

– ვალუტის გადაცვლის მყარი კურსის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება; გამონაკლისი შეიძლება იყოს ევროპის სავალუტო სისტემა;
– პოლიტიკოსებს არა აქვთ იმდენი პასუხისმგებლობა, რომ მათ შეძლონ შეინარჩუნონ მყარი კურსის პოლიტიკა;
– ცვალებადი კურსი მთავრობას ინტერვენციის საშუალებას ართმევს;
– ვალუტის ცვალებადი კურსი უზრუნველყოფს ექსპორტის კონკურენტულობას ინფლაციის მაღალი დონის პირობებშიც კი -დევალვაციის საშუალებით;

კამათის ორივე მხარე თავის არგუმენტებს მიიჩნევს სწორედ, ოღონდ არ არის მათ შორის შეთანხმება იმაში, თუ რამდენად საზიანო შეიძლება იყოს ცვალებადი კურსი. კამათის ერთ მხარეს მიაჩნია, რომ თუ ვალუტის გადაცვლის კურსი მცირეა, ეს ქმნის სასარგებლო კონიუნქტურას ინვესტიციებისათვის, სამაგიეროდ მეორე მხარე თელის, რომ ასეთი სიტუაცია მწარმოებლებს რწმენას უკარგავს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საერთაშორისო სავალუტო ფონდი ასრულებს ბანკის როლს მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის და ცდილობს მათ დარწმუნებას, რათა გაატარონ სწორი სამეურნეო რეფორმა, თუმცა ეს რეფორმები ხშირად არაპოპულარულია. მაგალითად, რეფორმა მოითხოვს მთავრობის ხარჯების შეკვეცას ანდა გადასახადების გაზრდას. ბალცეროვიჩის გეგმა არის ტიპიური მაგალითი ისეთი პროგრამისა, რომელსაც მხარი დაუჭირა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და ამ ქვეყნის საზოგადოებას უყენებს საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს. ქვეყნები, რომლებიც ასრულებენ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მითითებებსა და რეკომენდაციებს, სამაგიეროდ ღებულობენ ამ ბანკის კრედიტებს.

მსოფლიო ბანკი და განვითარების მხარდაჭერის პროგრამა

მსოფლიო ბანკი შეიქმნა 1944 წელს ბრეტონ–ვუდსის ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ორგანიზაციის ძირითადი მიზანი ღარიბი ქვეყნებისათვის დახმარებაა. თუმცა ბანკის მიერ გაღებულ დაფინანსებებს კრედიტები ეწოდება, მაგრამ ისინი ხშირად სუბსიდიების ხასიათს ღებულობენ, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტების დასაფინანსებლად – მაგალითად, სარკინიგზო ქსელის გასანვითარებლად, რომელიც ისეთ მასშტაბებს ღებულობს, რომლის დასაფინანსებლად კერძო კაპიტალი საკმარისი არ აღმოჩნდება.

არსებობენ აგრეთვე სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსიურ დახმარებას ეწევიან (მრავალი მათგანი მუშაობს გაეროს მეთვალყურეობის ქვეშ). ანალოგიური ორგანიზაციები აქვთ აგრეთვე მდიდარ ქვეყნებსაც. აღნიშნული ფონდები ღარიბ ქვეყნებს უწევენ არამხოლოდ ფინანსიურ, არამედ კონსულტაციურ დახმარებასაც.

■ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პოლონეთს ამ სახის ორგანიზაციის მრავალი წარმომადგენელი ესტუმრა. მაგრამ ხშირად დახმარების გაწევის სისტემას უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს კონსულტატებისათვის (ისეთებისათვის, მაგალითად, როგორიც ამ წიგნის ავტორია) და ამ ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის, ვიდრე ხალხისათვის, ვისადმიც არის მიმართული ეს დახმარება. დახმარების პროგრამების ეფექტურობა შეფასდება არა მხოლოდ ამ მიზნისათვის გაღებული ფულით, არამედ იმითაც, თუ რისი მიღწევა გახდა ამ ფულით შესაძლებელი.

შეჯამება:

ვალუტის გადაცვლის კურსი განსაზღვრავს ამ ქვეყანაში საქონელთა ფასებსაც, რის შედეგადაც სხვა ქვეყნებს აქვთ საშუალება დაადგინონ, თუ რა დაუჯდებათ თანხების ტრანსაქცია. ვალუტის გადაცვლის კურსი აუცილებელია საგარეო ვაჭრობისას. ვალუტის დევალვაცია იმის მიმანიშნებელია, რომ უცხოელებს შეუძლიათ მისი მეტი რაოდენობით შესყიდვა საკუთარი ვალუტით. თუ ვალუტა დევალვაციას განიცდის, ადვილია საქონლის ექსპორტირება, და სამაგიეროდ ძნელია იმპორტირება, რადგანაც იმპორტზე დანახარჯები იზრდება. ამრიგად, დევალვაციისას იზრდება მოთხოვნილება და ასევე დანახარჯები. დევალვაცია ხდება მიზეზი ინფლაციისა და ასევე იწვევს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტს, ვინაიდან ასეთ სიტუაციაში იმპორტის ღირებულება აჭარბებს ექსპორტის ღირებულებას.

ვალუტის აპრეციაცია ნიშნავს, რომ ვალუტის ერთი და იგივე რაოდენობით შესაძლებელია გაცილებით მეტი უცხოური ვალუტის შესყიდვა. მაშინ ექსპორტი ხდება ძვირი, ხოლო იმპორტი—იაფი. ჩვეულებრივ აპრეციაციას იმ სიტუაციაში აქვს ადგილი, როდესაც საგადასახადო ბალანსში მიღწეულია დადებითი სალდო.

ცვლილებები საგადამხდელო ბალანსში იწვევენ ვალუტის გადინებას ერთი ქვეყნიდან მეორეში.

ვალუტის გადაცვლის კურსი ადგენს მოცემულ ქვეყანაში საქონლის ფასებს, რომლის მიხედვითაც სხვა ქვეყნებს შესაძლე-

ბლობა ექნებათ გააფორმონ ხელშეკრულებები. ვალუტის გადაცვლის კურსის დადგენა აუცილებელი მომენტია საერთაშორისო ვაჭრობაში. ვალუტის დევალვაცია ანუ მისი გაუფასურება იმის მიმანიშნებელია, რომ უცხოელებს შეუძლიათ ამ ვალუტის უფრო და უფრო მეტი რაოდენობით შესყიდვა საკუთარი ფულის ნიშნებით. თუ ვალუტის დევალვაცია ხდება, გაცილებით მომგებიანია საქონლის ექსპორტირება, მაგრამ სამაგიეროდ ძნელდება საქონლის იმპორტი, რადგან იგი თანდათან ძვირდება. მაშასადამე, დევალვაცია იწვევს როგორც მოთხოვნის, ავრეთვე დანახარჯების მატებასაც, დევალვაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც იწვევს ინფლაციას და იგი ძირითადად წარმოიქმნება საგადმხდელო ბალანსის დეფიციტის დროს, ანუ მაშინ, როდესაც იმპორტის ღირებულება აჭარბებს ექსპორტისას.

ვალუტის აპრეციაციის დროს ამ ვალუტის ერთი და იგივე რაოდენობით შეიძლება გაცილებით მეტი უცხოური ვალუტის შეძენა. ამ დროს ექსპორტი ძვირდება, ხოლო იმპორტი იაფდება. აპრეციაციასთან უმთავრესად მაშინ გვაქვს საქმე, როცა საგადამხდელო ბალანსში დადებითი სალდოა.

ზლოტის დევალვაცია ნიშნავს იგივეს, რაც დოლარის აპრეციაცია. დევალვაციამდე ერთი დოლარით შეიძლებოდა 9,300 ზლოტის ყიდვა; დევალვაციის შემდეგ შესაძლებელია 12,000 ზლოტის შესყიდვა.

ზლოტის აპრეციაცია ნიშნავს იგივეს, რასაც გირვანქა სტერლინტის დევალვაცია. აპრეციაციამდე ერთი გირვანქა სტერლინგით შესაძლებელი იყო 18,000 ზლოტის შეძენა, აპრეციაციის შემდეგ ერთი გირვანქით შეიძლება მხოლოდ 15,000 ზლოტის ყიდვა. (მაჩვენებლები მოძველებულია — მთარგ.).

საგადამხდელო ბალანსი მიუთითებს ფულის როგორც შედინებას მოცემულ ქვეყანაში, ასევე მის გადინებას ამ ქვეყნიდან.

ვალუტის გადაცვლის კურსის პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყნებში მეტად განსხვავებულია. ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა, მაგალითად აშშ, შეუძლია თავს უფლება მისცეს და დააწესოს ვალუტის ისეთი გადაცვლის კურსი, რომელიც შეესაბამება მისი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიზნებს. ბევრი ქვეყანა, და მათ შორის, საკმაოდ ძლიერნიც, მოკლებული არიან ამგვარ შესაძლებლობას. მაგალითად, ევროპის სავალუტო კავშირში გაერთიანებულ ქვეყნებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად სავალუტო კურსის შეცვლა, რადგან მათ შეთანხმება აქვთ დადებული საკუთარი ვალუტის კურსის გარკვეულ ჩარჩოებში შენარჩუნების შესახებ.

შეკითხვები განსჯისათვის:

11.1. თუკი ხელისუფლება აგიკრძალავდათ დოლარების შესყიდვას, რას მოიმოქმედებდით და რატომ? რა მიზეზით შეიძლება მთავრობამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღოს?

11.2. მოიყვანეთ თავისუფალი ვაჭრობის სასარგებლო და საწინააღმდეგო არგუმენტები. რომელი მათგანი უფრო სწორია?

11.3. პოლონეთის მრეწველობისა და საერთოდ ეკონომიკის რომელი დარგების აღორძინება მიგაჩნიათ პრიორიტეტულად და რატომ?

11.4. რა ახდენს გავლენას რუბლის კურსზე მისი გადაცვლის დროს?

12

პოლონეთის ეკონომიკა

დღევანდელი პოლონეთის ეკონომიკის გაგება შეუძლებელია იმის გაუთვალისწინებლად, თუ რა ხდებოდა ამ ქვეყანაში ადრე. ახლა პოლონეთი ებრძვის კომუნიზმის მემკვიდრეობას. ბევრი მათგანის გადაჭრას მრავალი წელი დასჭირდება. შეიძლება აქ დავასახელოთ ზოგიერთი:

- საბაზრო დაწესებულებების არარსებობა -თუმცა არსებობს ბირჟა*, მაგრამ იგი დიდი არაა, ხოლო კაპიტალის წყარო, რომელიც ინვესტირებულია განვითარებული ქვეყნების ბირჟებზე, პოლონეთში ჯერ კიდევ არ მოქმედებს.
- უდიდესი რიცხვი სახელმწიფო საწარმოებისა, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან განსაკუთრებით კრიტიკულ სიტუაციაში;**
- ძალიან დაბალი დონე ინფრასტრუქტურის, კერძოდ საავტომობილო და სარკინიგზო გზების, სატელეფონო ქსელის, საბაჟოებისა და პორტების;
- გარემოს დაბინძურება;
- სულ უფრო მზარდი კორუფცია;
- სწავლების მოუქნელი მეთოდები;***
- მჭიდრო კავშირები სხვა კომუნისტური ქვეყნების სამეურნეო სისტემებთან, რომლებიც ამჟამად დიდ სიძნელეებს განიცდიან; ეს განსაკუთრებით ეხება საბჭოთა კავშირს.

---

*პარადოქსალურია, რომ პოლონეთის უმთავრესი ბირჟა მოთავსებულია ვარშავის ცენტრში, სახელდობრ იმ შენობაში, სადაც ადრე კომპარტიის ცკ იყო და რომელიც საბჭოელებმა აუშენეს საჩუქრად ომისაგან განადგურებულ პოლონეთს (მთარგმ.).

**ეს საწარმოები არიან ზარალიანი, დიდად აბინძურებენ გარემოს, ზოგჯერ კი უკიდურესი საშიშროების წყაროსაც კი წარმოადგენენ; ისინი ფლობენ მოძველებულ ტექნოლოგიას, აწარმოებენ ძალზე უხარისხო პროდუქციას, მათში დასაქმებულია მეტისმეტად დიდი რიცხვი მუშაკებისა, ხოლო მათი დირექტორები ხშირად ინიშნებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ იყვნენ კომუნისტები, თუმცა მათ არავითარი კომპეტენცია არ გააჩნდათ.

***ბევრ ადამიანს მიაჩნდა, რომ განათლების კომუნისტური სისტემა წარმატებული იყო. მაგრამ მათგან მხოლოდ მცირეს ჰქონია შემთხვევა სინამდვილეში გახცნობოდა პოლონეთის სკოლებსა და უნივერსიტეტებს.

— ჰიპერინფლაცია;
— ძირითადი მოხმარების საგნების ქრონიკული დეფიციტი;
— საგარეო ვალი, რომელიც ამჟამად 40 მილიარდ დოლარს აღწევს*.
— პროფკავშირების დიდი აქტიურობა;
— საცხოვრებელი ბინების საგრძნობი უკმარისობა;
— უღიდესი საბიუჯეტო დეფიციტი.

გარდა კომუნისტების მიერ დატოვებული პრობლემებისა, პოლონეთი დამატებით უნდა ებრძოლოს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულებას მისდამი, რომლებიც სიტყვით გამოთქვამენ სურვილს პოლონეთისათვის დახმარების აღმოჩენისა, სინამდვილეში კი არ თანხმდებიან პოლონეთის სურსათის ექსპორტს, რომელიც მისთვის ასე მნიშვნელოვანია და არ უშვებენ ამ ქვეყნის პროდუქციას თავის ბაზრებზე.

კომუნისტების მიერ ხელისუფლების დაკარგვასთან ერთად ფასები განთავისუფლდა, რასაც მოჰყვა მათი მყისიერი მატება საბაზრო დონემდე და ამ გზით დეფიციტის პრობლემის გადაჭრა. ახლა ინფლაცია გაცილებით საგრძნობია, ვიდრე ადრე იყო.

სამაგიეროდ, გაჩნდა ახალი პრობლემები, ისეთები, როგორებიცაა უმუშევრობა, დანაშაულებათა მატება და საყოველთაო უკმაყოფილება შრომის საშუალო ანაზღაურებით.

თუმცა პოლონეთი სტარტს იღებს ძალიან არახელსაყრელი პოზიციიდან, მაგრამ მის ეკონომიკურ სიტუაციაში არსებობს გარკვეული სასარგებლო მომენტებიც.

მოსახლეობის რაოდენობა არის დიდი და მუდმივადმზარდი. პოლონელები კარგად იცნობენ დასავლეთს. ბევრი მათგანი მოგზაურობდა და ნამყოფია ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ნორმალურ პირობებში ეკონომიკა, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, მითუმეტეს თუ ამას შევუდარებთ იმ სიტუაციას, რომელიც შეიქმნა აღმოსავლეთ გერმანიას თუ ჩეხოსლოვაკიაში, სადაც მცხოვრებთა უმეტესობას არა ჰქონდა საშუალება ემოგზაურა. პოლონეთში დაგროვილია ძალზე ბევრი კერძო ფული,** რომელიც ხდება წარმოებაში დასაბანდებელი კაპიტალის წყარო.

---

* პოლონეთის საგარეო ვალებმა თითქმის 80 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. ზემოთ აღნიშნული ძველი მონაცემია. (მთარგმნ.).

** ეს ფული შემოდის ხაზღვარგარეთელი ნათესავებისაგან, დასავლეთ ევროპაში მომუშავე ადამიანთაგან, შავი ბაზრიდან, ხოლო ამჟამად, სამეურნეო საქმიანობის შედეგად.

პოლონელებს აქვთ კარგი განათლება და აზროვნების ფართო ჰორიზონტი. თუმცა განათლების მოუქნელი სისტემა პოლონეთში წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, მაგრამ წერა—კითხვის უნარის სტანდარტული ტესტები მათ კარგ პერსპექტივებს უქადის. ამასთან შრომის საშუალო ანაზღაურება პოლონეთში, რომელიც ამჟამად 150 დოლარია, მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით მცირეა.

პოლონეთის მდებარეობა რუსეთსა და გერმანიას შორის იყო მრავალი ისტორიული კატასტროფების მიზეზი წარსულში, მაგრამ ამჟამად, პყავს რა მდიდარი მეზობლები დასავლეთში, ჩრდილოეთში და ასევე ძალზე ღარიბები აღმოსავლეთში, პოლონეთი იმყოფება კარგ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში და შეუძლია იეაჭროს ორივე მიმართულებით.

პოლონეთის მეურნეობის სტრუქტურა არ არის სტაბილური. სტაბილურობის მაჩვენებლის განსასაზღვრავად ჩვეულებისამებრ იღებენ პროპორციას მრეწველობას, მომსახურებასა და სოფლის მეურნეობას შორის.

მრეწველობა

მრეწველობა ამჟამად იმყოფება კრიზისულ სიტუაციაში. პრობლემა უბრალოა, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი. უმეტესობა საწარმოების დანახარჯები ძალიან დიდია და კლიენტები არ არიან დაინტერესებული მათი ნაწარმის შესყიდვით. ამ მოვლენის მიზეზი ნათელია; ბალცეროვიჩის გეგმის ცხოვრებაში განხორციელებამდე, სამრეწველო საწარმოების მთავარი ამოცანა იმ საშუალებების მოპოვებაა, რომლებიც აუცილებელი იყო საწარმოო გეგმების რეალიზაციისათვის, რაც ყველაფრის ნაკლებობის პირობებში არ იყო ადვილი. მაგრამ ამ სიტუაციას ის დადებითი მხარეები აქვს, რომ კლიენტების მოძებნაც არ იყო არავითარი პრობლემა; ისე, რომ ხარისხისა და ფასის თვალსაზრისით პროდუქციის კონკურენტუნარიანობა იყო მეორეხარისხოვანი საქმე. ბალცეროვიჩის გეგმის გატარების შემდეგ ბევრმა საწარმომ მოუმატა თავისი პროდუქციის ფასები, რათა დაეფარა წარმოების დანახარჯები. ვინაიდან ეს ხარჯები იყო ძალიან დიდი (ამის მიზეზი იყო წარმოების არაეფექტურობა, შრომის მცირე ანაზღაურების მიუხედავად), ადამიანებმა შეწყვიტეს სამამულო პროდუქციის შესყიდვა. თუკი საბანკო და საწარმოების მართვის სისტემა კარგი იქნებოდა, მაშინ შესაძლებელი შეიქმნებოდა ინვენსტიციებისათვის საჭირო კრედიტების მოპოვება და ასევე ახალი ტექნოლოგიების შეძენა,

რისი წყალობითაც პოლონური საქონელი შესაძლოა ყოფილიყო უფრო კონკურენტუნარიანი. მაგრამ საპროცენტო განაკვეთი იყო დიდი, ხოლო სახელმწიფოს დიდი საწარმოების ნომენკლატურული დირექტორები ვერ ახერხებდნენ მათთვის გამოყოფილი სესხების ეფექტიან გამოყენებას. ბევრ შემთხვევაში საწარმოები სესხულობდნენ ფულს არა მომავალი განვითარებისათვის, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ დაეფარათ მიმდინარე დანახარჯები;

სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან ცხადია, რომ ბალცეროვიჩის გეგმის ცხოვრებაში განხორციელების მომენტიდან წარმოების დონე დაეცა 30 პროცენტით; რაც დემართება პოლონეთის მრეწველობას, ამას მოკლე ხანში შევიტყობთ; ბევრი საწარმო გაკოტრდება და მოხდება მათი ლიკვიდაცია, თუმცა ბევრი მათგანი ალბათ მთავრობისაგან მიიღებს დამატებით დაფინანსებას და გაიხანგრძლივებენ არსებობას. იმავდროულად პრივატიზაციის მეშვეობით საკუთრების გარკვეული ნაწილი შესაძლოა გადავიდეს პოლონელი მოქალაქეების ხელში .

პრივატიზაცია

პოლონეთში პრივატიზაცია მიდის ნელი ტემპებით, რადგანაც:

- მცირეა იმ საწარმოების რიცხვი, რომლებიც უნდა იწვეველეს მყიდველთა დაინტერესებას;
- კაპიტალის კერძო ბაზარზე მომქმედი დაწესებულებები მხოლოდ ახლა იქმნება;
- არსებობდა შიში სახალხო ქონების საზღვარგარეთელი ინვესტორების მიერ შეძენისა, რაც ხშირად მკვეთრი ურთიერთდაპირისპირების ხასიათს იღებდა.

საზღვარგარეთელი კაპიტალის მიმართ ანტიპატია გახდა მნიშვნელოვანი შეცდომა, ვინაიდან სახალხო დოვლათის ღირებულება ამჟამად გაცილებით მცირეა, ვიდრე კონიუნქტურის წლებში - 1988-1990. გარდა ამისა, საზღვარგარეთელი მენეჯერები არ იქნებოდნენ ასე სკანდალურად კორუპირებულნი, როგორც ბევრი პოლონელი „ბოსი" მაღალ თანამდებობებზე, რომლებიც ძარცვავდნენ სახელმწიფო საწარმოებს, აფუძნებდნენ რა საკუთარ ფირმებს სახელმწიფო დოვლათის უფასოდ გამოყენებით*.

* დასავლეთში წარმოუდგენელია ის ამბავი, რომ გემთხაშენის დირექტორმა დააფუძნოს მსგავსი კერძო ფირმა და არ გაანთავისუფლონ სამუშაოდან ან ციხეში არ დაიჭირონ. მაგრამ როდესაც ნათელი არ არის, თუ ვინ არის ქონების მესაკუთრე, შესაძლებელია ამგვარი თაღლითობა.

ბევრ ადამიანს მიაჩნია, პრივატიზაციის დაბალი ტემპები გამოწვეულია სამამულო კაპიტალის უკმარისობით. სინამდვილეში სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ძალიან ცოტაა ისეთი ფირმა, რომელთა შესყიდვაც ღირდეს. რეალური ღირებულება ბევრი სახელმწიფო საწარმოსი საკმაოდ მცირეა, რათა შეიძლებოდეს ფიქრი, რომ მათი შესყიდვა არ იქნებოდა მეტისმეტად ძვირი, მაგრამ პოლონელებმა ფული კარგ საქმეში უნდა დააბანდონ. ალბათ არ იქნებოდა გონიერული, თუ მდიდარნი თავიანთ ფულს ისეთ ფირმაში დააბანდებდნენ, როგორიცაა მაგ. „ურსუსი".*

სოფლის მეურნეობა

პოლონეთის საზოგადოების დაახლოებით 30 პროცენტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. პოლონეთის სოფლის მეურნეობამ 1990 წელს აწარმოა 28 მილიონი ტონა მარცვალი, 2.4 მილიონი ტონა ხორცი და 2,1 მილიონი ტონა შაქრის ჭარხალი. სურსათის ექსპორტი 1990 წელს 1.200 მილიონი დოლარით მეტი იყო, ვიდრე იმპორტი. არსებობს ძალიან დიდი რაოდენობა მცირე სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა, რომელთაგან 24 პროცენტი 2 ჰა—ზე ნაკლებია. პოლონეთის სოფლის მეურნეობას აქვს ზოგიერთი დადებითი მხარეები:

- უფრო ადვილია მცირე მეურნეობის მართვა, რომელიც აწარმოებს პროდუქციას და რომელთა გაყიდვაც შეიძლება ახლო მდებარე ქალაქებში;
- კერძო მფლობელები არ არიან ისე დამოკიდებული სახელმწიფოსაგან, როგორც მსხვილი კოლექტიური საწარმოები სხვა სოციალისტურ ქვეყნებში;
- კერძო მფლობელს შეუძლია სწრაფად მოახდინოს რეაგირება იმ შესაძლებლობებზე, რომელსაც ჰქმნის ბაზარი;

ამავე დროს პოლონეთის სოფლის მეურნეობა ხასიათდება შემდეგი ნაკლოვანებებით:

- მცირე ზომების გამო მეურნეობები ვერ აღწევენ ისეთ ეფექტურობას, როგორც ჩრდილო ამერიკაში პრერიებზე განლაგებული ფერმები;
- წარსულში ძალიან დიდი რაოდენობის სურსათის ექსპორტირება ხდებოდა საბჭოთა კავშირში; ამჟამად ასეთი ექსპორტი შეფერხებულია, ვინაიდან საბჭოთა კავშირს არ შეუძლია მისი გადახდა, ხოლო აშშ და ევროსაბჭო მას უფასოდ ეხმარებიან სურსათით.

* დიდი სახელმწიფო სატრაქტორო ქარხანა ვარშავაში; ეს საწარმო წლების მანძილზე დაბალრენტაბელური და ზარალიანი იყო. (მთარგ.).

— ევროსაბჭოს აგრარული პოლიტიკა არის ძალზე არახელსაყრელი პოლონეთისათვის, ვინაიდან უკრძალავს მას კონკურენციას საკუთარ გლეხებთან და იწვევს სურსათზე ფასების დაქვეითებას ქვეყნებში, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ევროსაბჭოს.*

პოლონელ გლეხებს აქვთ დიდი პოლიტიკური გავლენა, ვინაიდან მათ ჰყავთ მრავალი დეპუტატი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში. სხვათა შორის ამ პოლიტიკოსების აქტიობის შედეგია შემზღუდავი ბაჟის დაწესება იმპორტულ სურსათზე, რომელმაც ევროსაბჭოს ქვეყნებიდან იაფი სურსათის შემოტანისაგან უნდა დაიცვას პოლონელი გლეხები.

სურსათით ვაჭრობისა და მათი განაწილების სტრუქტურა პოლონეთში არის სადაო საკითხი. ბევრი გლეხი უკმაყოფილოა იმით, რომ მსხვილ სახელმწიფო საეკრო ფირმებს აქვთ მონოპოლია, რაც წამგებიანია მცირე ზომის მეურნეობების მქონე გლეხებისათვის.

მომსახურება

ძალიან ძნელია მომსახურების სექტორის შეფასება პოლონეთის ეკონომიკაში, ვინაიდან კომუნისტური ეკონომიკა არ ითვალისწინებდა მეურნეობაში მომსახურების ადგილს. ის კი ცხადია, რომ 1990 წელს რეფორმების დაწყებამდე ქვეყნის მეურნეობის მომსახურება ძალზე სუსტად განვითარებული სფერო იყო.

ბალცეროვიჩის გეგმა

1990 წელს დაწყებული ეს სადისკუსიო გეგმა თავის წინაშე ისახავს შემდეგ მიზნებს:

— ზლოტის შიდა კონვერტირება** (რაც პრაქტიკულად ნიშნავდა ქვეყნის შიგნით ეროვნულ ვალუტაზე ყველა საქონლის თავისუფლად შესყიდვას);

— უმეტესი სუბსიდების მოხსნას, როგორც მომხმარებლისათვის, ისე მწარმოებელთათვის;

— სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებას და მკაცრად კონტროლირებული მონეტარული პოლიტიკის განხორციელებას — რაც ნიშნავს გადასახადების ისეთ დონეზე დაწესებას, რითაც შესაძლებელი იქნება სახელმწიფოს ხარჯების დაფარვა და დამატებითი ფულის გამოშვებაზე უარის თქმა;

* ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული ექსპერტები, რომლებიც ცდილობენ აიძულონ პოლონეთი შეამციროს ხურსათის წარმოება და ექსპორტი; ისინი ყურადღებას არ აქცევენ იმ ფაქტს, რომ სახოფლო—სამეურნეო პროდუქცია პოლონეთში გაცილებით იაფია, ვიდრე ევროსაბჭოს ქვეყნებში.

** ეს მიზანი ამჟამად მიღწეულია. (მთარგ.)

– ვალუტის გადაცვლის სტაბილური კურსის დაწესება;
– ინფლაციასთან ბრძოლა;
– სწრაფი პრივატიზაცია.

მოქმედების ასეთი სტრატეგია შეთანხმებული იყო პოლონეთის მთავრობასა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მიზნებს, რომელთაც ისახავდა ბალცეროვიჩის გეგმა, შეგვეძლება შევნიშნოთ, რომ მან მრავალ სფეროში წარმატებას მიაღწია, ხოლო სამაგიეროდ ბევრში წარუმატებლობა განიცადა.

ბალცეროვიჩის გეგმის წარმატება არის ვალუტის გადაცვლის კურსის სტაბილიზაცია და ფასების განთავისუფლება, რამაც შექმნა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები პოლონეთში.

სამაგიეროდ არ განხორციელდა სწრაფი პრივატიზაცია, კვლავ არსებობს ბიუჯეტის დეფიციტი, გრძელდება ზარალიანი სახელმწიფო საწარმოებისათვის კრედიტების გამოყოფის პრაქტიკა, ასევე დრამატულად გადიდდა ხელფასები.

მაგრამ ეს წარუმატებლობები როდია ამ გეგმის კრიტიკის მთავარი ობიექტი. გეგმას აკრიტიკებენ ის პიროვნებანი, ვისაც ვერ შეუგნიათ, თუ რა რთულია პოლონეთის ეკონომიკური სიტუაცია ან რომლებიც საერთოდ არ იზიარებენ გეგმის მოთხოვნებს, შენიშვნები ძირითადად შემდეგი სახისაა:

ქვეყანა დანგრევამდე მიიყვანეს. ეს არის სრულიად აბსურდული შენიშვნა, ვინაიდან პოლონეთი ცხოვრობდა ნასესხები ფულით და იმყოფებოდა ისეთ კრიტიკულ სიტუაციაში, რომ მხოლოდ ამ გეგმის განხორციელების შედეგად შეეძლო გადარჩენა, რაც მან ჯერჯერობით მოახერხა.

კორუფცია. ეს არის საშინელი პრობლემა პოლონეთისათვის, მაგრამ მასზე პასუხისმგებელია არა ბალცეროვიჩის გეგმა, არამედ კომუნისტური იდეოლოგია. მან კორუფცია ცხოვრების წესად აქცია, რომლისგან ბევრი ადამიანის განთავისუფლება ძალზე ძნელი საქმე იქნება.

პრივატიზაცია მიმდინარეობს მეტად ნელი ტემპებით და გაცილებით დაბალი ფასებით, ვიდრე საბაზრო ფასებია. ჭეშმარიტად, შეიძლება მთავრობის მოქმედების გაკრიტიკება ამ სფეროში, თუმცა ერთადერთ სწრაფ მეთოდად ქონების გაყიდვისა იქნებოდა აუქციონები. ღია აუქციონები, სადაც სახელმწიფო საწარმო მიეყიდებოდა ყველას, ვინც მისთვის გაიღებდა უმაღლეს* ფასს. ეს ნამდვილად მიგვიყვანდა იქამდე,

* საჭიროა მივაქციოთ ყურადღება, რომ აუქციონზე საქონელი არასოდეს არ იყიდება საბაზრო ფასებზე ნაკლებ, ვინაიდან სახელდობრ ის ფასი, რომელიც აუქციონზე დაედება საქონელს, არის საბაზრო ფასი.

რომ მრავალი პოლონური სახელმწიფო საწარმოს მესაკუთრე გახდებოდა უცხოელი, რომლებიც მიიღებდნენ პრინციპულ გაღაწყვეტილებას და გაანთავისუფლებდნენ მუშაკებს.

შეფასებების პრობლემა. ბევრი ადამიანი მოითხოვს, რომ პრივატიზაციამდე მოხდეს ობიექტების შეფასება. ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ გადაუხადო ვინმეს, ვინც შეასრულებდა ობიექტების საბაზრო ღირებულების განსაზღვრას. საწარმოთა შეფასება მათ პრივატიზაციამდე მოითხოვს უდიდეს ნდობას. ნორმალური საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამგვარი შეფასება შემდეგი მეთოდებით ხდება:

1. ნაღდი ფულის მოდინებისა და საწარმოს რენტაბელობის განსაზღვრა უახლოესი ათი წლის განმავლობაში, რათა გამოიანგარიშონ ღირებულება ფულად ფორმაში და შეადარონ იგი იმ მოგებას, რაც შეიძლება მიიღონ ამ ფულის დაბანდებით სამეურნეო საქმიანობის სხვა სფეროში. ამ მიზნით აუცილებელია საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა მომავალში, ვინაიდან მისი ცოდნა საჭიროა ობიექტის ღირებულების განსასაზღვრავად სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში.
2. მსგავსი ობიექტის სარეალიზაციო ფასთან შედარება, რათა განისაზღვროს მისი მიმდინარე ღირებულება.
3. საბოლოო ღირებულების დადგენა: ფირმის ლიკვიდაციის დროს მისი ღირებულების, ასევე უძრავი ქონებისა და სხვა აქტივების გაყიდვის შემთხვევაში ღირებულების დადგენა.

პოლონეთის შემთხვევაში ფულისა და მოგების შემოდინების წინასწარ განსაზღვრა არის გაცილებით ძნელი, ვიდრე ნორმალური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანაში. არავინ არ იცის სინამდვილეში, თუ როგორი იქნება არენდის ღირებულება, ხელფასები, გადასახადები და ფასები უახლოეს ორ წელიწადში, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რა იქნება ისინი 20 წლის შემდეგ. ეს ანალიზი დაეყრდნობა ვარაუდს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს. არ არსებობს არავითარი გამოცდილება წარსულში ტრანსაქციებისა, რომლებიც შეიძლებოდა რომ გამხდარიყო საფუძველი ასეთი შედარებებისათვის, ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის სისტემა იმდენად ახალია, რომ ჯერ კიდევ არ არის ასეთი ინფორმაცია.

ფასები არის ძალიან დიდი, ხოლო ხელფასები— ძალიან მცირე.

ამ მოვლენის წინასწარ განჭვრეტა გეგმის შედგენისას იყო ძალზე ადვილი, მაგრამ მცირე ხელფასებსა და დიდ ფასებს მოაქვთ გაცილებით უკეთესი შედეგები, ვიდრე იმ სიტუაციას, როგორიც იყო მანამდე. გაცილებით უკეთესია იმუშაო ერთი საათის განმავლობაში, რათა

შეგეძლოს იყიდო კილოგრამი ბანანი, ვიდრე გქონდეს შესაძლებლობა ერთი კილოგრამი ბანანის ყიდვისა ათი წუთის მუშაობის ფასად, მაგრამ მისი სამ-ოთხი კვირის მანძილზე ძებნის შემდეგ და რამდენიმე საათი რიგში დგომის შედეგად. იმის მტკიცება, რომ საქონელი უნდა იყოს იაფი და ადვილად ხელმისაწვდომი, ისეთივე უაზრობაა, როგორც მთავრობის კრიტიკა ცუდი ამინდის გამო. მთავრობას არ შეუძლია შეცვალოს საქონლის დანახარჯები, მოთხოვნა—მიწოდების სისტემა ისეთნაირად, რომ ყველა პოლონელი ამით კმაყოფილი იყოს. პოლონელების სიღატაკე სწორედ იმითაა გარკვეულწილად გამოწვეული, რომ ისინი ღარიბულები იყვნენ ამის შესაძლებლობაში.

დიდი გადასახადები და საპროცენტო განაკვეთი წარმოების განვითარების შესაძლებლობას არ იძლევა. ეს არის გეგმის ყველაზე რთული ასპექტი. ამაში დანაშაული მიუძღვის გერეკს.* მთავრობის დავალიანება იყო და კვლავაც დიდია, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი ისეთია, რომ აუცილებელი ხდება უფრო მეტი გადასახადების დაწესება მის დასაფარავად. ეკონომიკის რეგრესისას გადასახადების გავლენა მცირდება, ვინაიდან მცირდება შემოსავლები და მოგება, ხოლო უმუშევრობაზე გასაცემი ხარჯები ხდება სერიოზული პრობლემა, რომელთანაც საქმე აქვს პოლონეთის მთავრობას. საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს მეტი, ვიდრე ინფლაციის მაჩვენებელია, ვინაიდან მხოლოდ ამგვარად შეიძლება სტიმული მიეცეს ადამიანებს, რათა მათ დაზოგონ ფული მისი გახარჯვის ნაცვლად.

ნომენკლატურას აქვს შესაძლებლობა სამეურნეო საქმიანობის შედეგად გამოიმუშაოს დიდი ფული. შეიძლება მაზოვეცკის** დადანაშაულება იმაში, რომ იგი ითმენდა ნომენკლატურული მუშაკების მიერ კერძო ფირმების გახსნას, მაგრამ ეს არაფრით არ იყო ბალცეროვიჩის ბრალი. ნამდვილად აღმაშფოთებელი საქმეა კორუფცია, რომელიც იმაზეა დამყარებული, რომ საწარმოთა დირექტორები ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ თავიანთი კერძო ინტერესებით და არაფერს აკეთებდნენ თავიანთი საწარმოს წინსვლისათვის. ერთადერთი ყველაზე საუკეთესო მეთოდი ნომენკლატურული მუშაკების ამგვარი

---

* პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცკ გენერალური მდივანი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის თავმჯდომარე 1971 – 1979 წლებში. (მთარგ.).

** დემოკრატიული პოლონეთის პირველი პრემიერ—მინისტრი 1990—1991 წლებში, პროფგაერთიანება „სოლიდარობის“ ერთ—ერთი აქტიური მოღვაწე. გაზეთ „სოლიდარობის“ მთავარი რედაქტორი (მთარგ.).

საქმიანობის აღკვეთის იქნებოდა ამ საწარმოთა ნამდვილი ბიზნესმენებისათვის გაღატაკება, ხოლო ამ მიზნის მიღწევა კი შესაძლებელი გახდებოდა საწარმოთა ჯერჯო პირებისათვის მიყიდვით; ადგილობრივი იქნებოდნენ ისინი თუ საზღვარგარეთელები. ჯერჯო მესაკუთრე კი არ დასჯიდა ნომენკლატურულ მუშაკს იმისათვის, რომ ისინი კომუნისტები იყვნენ, არამედ უბრალოდ გაანთავისუფლებდა სამუშაოდან არაკომპეტენტურობის გამო.

თუმცა ძნელია, რომ მღიდრებს უფრო მეტი შანსი აქვთ წამოიწყონ სამეურნეო საქმიანობა, ვიდრე ღარიბებს, მაგრამ რას იზამ, ასეთია ცხოვრება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. როგორც წესი, ბანკები არ აძლევენ კრედიტებს მათ, ვისაც ფული არა აქვთ.

უმუშევრობის პრობლემა საგანგაშოა და შეუძლებელია მისი მოწონება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მოხუცებულებს, რომლებსაც „ყავლ გასული“ ცოდნა– გამოცდილება და უნარი აქვთ. თუმცა უმუშევრობა ხდება სერიოზული პრობლემა, მაგრამ პოლონეთის შემთხვევაში იგი გარდაუვალია, პოლონეთის ეკონომიკა იყო და არის უჩვეულოდ ძნელ სიტუაციაში და იმის მოლოდინი, რომ საბაზრო სისტემაზე გადასვლა იქნება ადვილი, არის უდიდესი გაუგებრობა. საბაზრო ეკონომიკას იმიტომ მოაქვს წარმატება, რომ არის ძალზე მკაცრი მათ მიმართ, ვისაც არ უმართლებს. კომუნიზმმა პოლონეთში ღატოვა აუარება ზარალიანი საწარმოები. საბაზრო სისტემის პრინციპები გვკარნახობენ, რომ საჭიროა მათი დახურვა, თუმცაღა ეს უდიდეს უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში.

საქმე იქამდე შიდის, რომ იხურება კარგად მომუშავე და მოგების შანსის მქონე საწარმოები. ამ საყვედურზე შეუძლებელია უპასუხო კონკრეტული საწარმოს შესახებ არსებული ინფორმაციის გარეშე; ყოველი თავისუფალი ბაზრის პრინციპების დამცველი ეკონომისტის ზოგადი პასუხი კი ასეთი იქნებოდა: კარგად მომუშავე საწარმოს დახურვა შეუძლებელი გახდებოდა, ვინაიდან მას თავის განკარგულებაში ექნებოდა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ბევრი ფული, რაც შეაძლებინებდა კეთილად გაეგრძელებინა არსებობა; ხოლო თუ საწარმო ვერ ახერხებს თავისი პროდუქციის რეალიზაციას, საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით იგი არ არის კარგი საწარმო.

დემოგრაფიული სიტუაცია

პოლონეთში ცხოვრობს 37.9 მილიონი ადამიანი* ანუ გაცილებით მეტი, ვიდრე ნებისმიერ აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტურ ქვეყანაში. ბუნებრივი ნამატის მხრივ პოლონეთს მეორე ადგილი უკავია

* ამჟამად პოლონეთში 40 მილიონი ადამიანი ცხოვრობს (მთარგ.).

ევროპაში. ეს არის ერთ—ერთი მიზეზი საცხოვრებელი ბინებით მოსახლეობის დაკმაყოფილების პრობლემისა, ვინაიდან თანდათან უფრო მეტი ადამიანი მოითხოვს ბინას.

დადებითი მხარე ამ მოვლენისა ის არის, რომ ყოველ ფირმას შეუძლია იპოვოს პოლონეთში კლიენტთა დიდი რიცხვი. ერთ—ერთი მიზეზიც, რომლის გამოც ეს წიგნი დაიწერა, სახელდობრ პოლონეთის შესახებ, არის ის ფაქტი, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრობს გაცილებით მეტი პოტენციალური კლიენტი, ვიდრე სადმე სხვაგან. (სსრკ-ს გამოკლებით, მაგრამ სამაგიეროდ იქ ადამიანებს არა აქვთ ფული).

ყოველი ფირმა, რომელიც მოქმედებს პოლონეთში, ამ ქვეყნის ბაზარზე ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და ზრდის წარმოებული ეროვნული პროდუქციის მოცულობას.

მრავალ სხვა ქვეყანაში ახლად დაბადებულთა დაბალი მაჩვენებლის გამო ცხოვრობს მრავალი საპენსიო ადამიანი, ან მოზარდია, რომლებიც დამოკიდებული არიან მოსახლეობის მწარმოებელ ნაწილზე. პოლონეთში ეს პრობლემა არ დგას.

ვაჭრობა

ვაჭრობა არსებითად წარმოადგენს არასაბაზრო ეკონომიკურ კავშირებს ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან; ამიტომ იგი ამჟამად გარდაქმნას მოითხოვს. სსრკ იყო მთავარი იმპორტიორი პოლონეთისათვის (უპირველეს ყოვლისა, ნავთობის) და მისი ექსპორტის მთავარი გამსაღებელი (25 პროცენტი). მაგრამ იმის გამო,რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს პოლონეთიდან იმპორტირებული საქონლის ღირებულების გადასახდელად ფული არა აქვთ, პოლონელი ექსპორტიორები ძალიან ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. ზლოტის სტაბილური კურსი ნიშნავს, რომ ინფლაცია ქვეყანაში პრობლემას უქმნის უპირველეს ყოვლისა ექსპორტიორებს, რომელთა დანახარჯებიც იზრდება მაშინ, როდესაც ფასები უნდა დარჩეს უცვლელ დონეზე.

საიმპორტო—საექსპორტო ფირმების დიდი რაოდენობა პოლონეთში იმაზე მეტყველებს, რომ თუკი საზღვარგარეთ იარსებებდა მოთხოვნილება რომელიმე პოლონურ საქონელზე, ვინმე მას ნამდვილად იპოვიდა. მრავალ მნიშვნელოვან სფეროებში ევროსაბჭოს ბაზრები დაკეტილია პოლონელი ექსპორტიორებისათვის, მაგრამ არის ისეთი ქვეყნებიც, სადაც შეიძლებოდა პოლონური საქონლის გაყიდვა, თუკი ისინი იქნებოდნენ კარგი ხარისხის და იაფი.

მომავალი

მომავალი გაურკვეველია.

თუ მთავრობა შეინარჩუნებს სამეურნეო პოლიტიკის აღებულ კურსს, მაშინ უნდა ველოდოთ უმუშევრობის შემდგომ მატებას, ხელფასებისა და ფასების სტაბილიზაციას და ასევე წარმოების საშუალებების გადანაცვლებას კერძო მწარმოებელთა ხელში, რათა მათი გამოყენება უფრო ეფექტიანი გახდეს. ასეთ სიტუაციაში შესაძლოა ეკონომიკა აღმავლობის გზით წავიდეს.

თუ მთავრობა შეაფერხებს მტკიცე სამეურნეო პოლიტიკას და გამოუყოფს მეტ ფინანსურ სახსრებს სკოლებს, საავადმყოფოებს, სუბსიდირებას აღმოუჩენს სახელმწიფო საწარმოებს და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკაში ადგილი ექნება პერმანენტულ ინფლაციას. ეს არის ყველაზე შემაშფოთებელ პერსპექტივა, ვინაიდან ინფლაცია ვნებს ყველაზე უწინ საზოგადოების ყველაზე სუსტი ფენების ინტერესებს, რომლებსაც არ შეუძლიათ დაიცვან თავიანთი შემოსავლები მისი შედეგებისაგან. ამგვარი სიტუაცია გაართულებდა აგრეთვე სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვან დაგეგმვას.

ევროსაბჭოში გაწევრიანება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემაა პოლონეთის ეკონომიკის მომავლისათვის. თუ პოლონეთი მიიღებს გარანტიებს ევროსაბჭოს ქვეყნების ბაზრებზე თავისი პროდუქციის გატანაზე, მაშინ უდიდესი სტიმულები მიეცემა ინვენსტიციების განვითარებას ამ ქვეყანაში, ხოლო ამგვარი სიტუაცია მოიტანს დიდ სარგებლობას დასაქმების მატებისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. როდესაც ეს წიგნი იწერებოდა, ჯერ კიდევ არ იყო ნათელი, თუ რა შედეგით დამთავრდებოდა ამგვარი მოლაპარაკებები ევროსაბჭოში. სამაგიეროდ ცხადი იყო, რომ მთავრობის იმჟამინდელი პოლიტიკა ნამდვილად შეესაბამებოდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს.

წიგნის დასასრულს საჭიროდ მიგვაჩნია გამოვთქვათ ორი მოსაზრება:

მთავრობის გაველენა მოელენების მსველელობაზე შეზღუდულია. ზოგჯერ მთავრობის ინიციატივას შეუძლია აშკარა ზეგავლენა მოახდინოს სიტუაციაზე, მაგრამ სერიოზული სამეურნეო ცვლილებები მაინც ცალკეული პიროვნებებისა თუ საზოგადოებრივი ჯგუფების ნებისა და მცდელობის საქმეა. მისცა რა ადამიანებს შესაძლებლობა ემოქმედათ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მთავრობამ გააკეთა ის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო განვითარებისათვის. სამეურნეო სიტუაცია მსოფლიოში, უპირველეს ყოვლისა კი დასავლეთ

ევროპის ბაზრებზე, გახდება საფუძველი პოლონეთის აღორძინებისა.

მრავალი წლის მანძილზე პოლონეთისა და პოლონელების მიმართ ბარბაროსული დამოკიდებულების მიუხედავად, ის ფაქტი, რომ ამ ხალხმა დღემდე მოაღწია, უკვე დიდი ყურადღების ღირსია. როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან ტრაღიციული მუქარის სიტუაციაში, რომელიც ამჟამად შედარებით შესუსტებულია, ვიდრე იგი იყო ორმოცდაათი წლის წინ, 1991 წლის ოქტომბერში გამართული არჩევნები იქცა პოლონეთში უკანასკნელ ნაბიჯად თავისი მოწოდების განხორციელების რთულ გზაზე. პოლონეთმა გადაიტანა გაცილებით უარესი პირობები, ვიდრე ის, რომელშიც ცხოვრობდნენ ადამიანები, როდესაც ეს წიგნი იწერებოდა. იმის მტკიცება, რომ შესაძლებელია უარესიც ყოფილიყო, ნამდვილად სწორია. ამჟამინდელი სიტუაცია პოლონეთში მისთვის პროგრესს მოასწავებს.

შეკითხვები განსჯისათვის:

12.1. როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს პოლონეთის ეკონომიკა 50 წლის შემდეგ და რატომ?

12.2. როგორი სახის კორუფციას ამჩნევთ თქვენს ირგვლივ? რა ვნების მოტანა შეუძლია მას ქვეყნის ეკონომიკისათვის?

12.3. რა სახის საფრთხეს შეიცავს ქაოსი აღმოსავლეთში? (იგულისხმება ყოფილი სსრკ. მთარგ.).

12.4. როგორ შეაფასებდით ამ წიგნის ღირებულებას, შეფასების სამი მეთოდის გამოყენებით?

12.5. რა მეთოდებით უნდა ებრძოლოს ხელისუფლება უმუშევრობას?

პასუხები შეკითხვებზე

1.1. იკითხავ ფასებს.
1.2. ძალზე ძნელი იქნებოდა თავისუფალი ადგილის პოვნა, რესტორნები იზარალებდნენ, გაჩნდებოდა გრძელი რიგები, ოფიციანტები დაიწყებდნენ ქრთამის აღებას ადგილის დაჯავშნისათვის, ხოლო როგორც მომსახურების დონე, აგრეთვე კერძების ხარისხი ძალიან გააურესდებოდა.
1.3. სხვას არავის შეუძლია ამის გაკეთება მიუკერძოებლად; სხვას აგრეთვე არავის არა აქვს იმის ძალა, რომ დაიცვას საკუთრების უფლება.
1.4. მათ ხშირად მოქალაქენი ანადგურებენ. შენობების უპატრონოდ დარჩენა მრავალი მიზეზის გამო შეიძლება იყოს: მათი მფლობელები შესაძლოა დაიღუპნენ ომში, ხოლო მათი საბუთები კი განადგურდა. შესაძლოა ემიგრაციაში წავიდნენ და არ დატოვეს რაიმე დოკუმენტი. როდესაც შენობა-ნაგებობა უპატრონოდ არის დატოვებული, მასზე არავინ იჩენს მზრუნველობას. (ხომ ნათქვამია -უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო, მთარგ.).
1.5. კომუნისტებს.
2.1. მოთხოვნის მრუდის დაქვეითების მიზეზია შემოსავლებისა და აგრეთვე შენაცვლების ეფექტი. ის საქონელი, რომელიც სნობების ყურადღებას იქცევს, შაინც კარგად იყიდება, თუმცა ძვირია.
2.2. პურზე და არაყზე მოთხოვნა არაელასტურია, ვინაიდან პური იაფია და კვების ძირითადი პროდუქტია; აგრეთვე არყის ბევრი მომხმარებელი გამოუსწორებელი ლოთია. მოთხოვნა იმპორტულ ელექტრონულ მტვერსასრუტზე ელასტურია, ვინაიდან მასზე ფასების შემცირების შემთხვევაში, იგი შეიძლება შეიძინოს მრავალმა ადამიანმა.
2.3. თუ, მაგალითად, ფასები ელექტრონულ ქურებზე შემცირდება, დაქვეითდება მოთხოვნა მათ სუბტიტუტებზე, (მაგალითად, გაზქურებზე). სამაგიეროდ, თუ თვითმფრინავის ბილეთების ფასი მკვეთრად გაძვირდება, შემცირდება მოთხოვნა ტრანსპორტის იმ სახეობაზე, რითაც აეროპორტამდე მიჰყავთ მგზავრები.

2.4. ბიუჯეტის ხაზი გვიჩვენებს, თუ რა შესაძლებლობები აქვს კლიენტს. სამაგიეროდ ნეიტრალური მრუდი გვიჩვენებს, თუ საქონლის როგორი კომბინაცია დააკმაყოფილებდა მას. ამ კითხვაზე პასუხმა უნდა დაგვანახოს ის, თუ როგორ შეიცვლება მრუდი; თუ იგი სახეს იცვლის საქონლის ფასების ცვლილების მიხედვით, კლიენტის შემოსავლები შემცირდება ან გაიზრდება.

2.5. თუ საქონლის ფასი ვერტიკალურ ღერძზე შეიცვლება, ბიუჯეტის ხაზი გახდება გაცილებით ნაკლებ დახრილი. ეს ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელი შეიძენს შედარებით ნაკლები რაოდენობის ორივე საქონელს, ამასთან შესყიდვების რაოდენობის შემცირება გაცილებით დაეტყობა იმ საქონელს, რომლის ფასმაც მოიმატა, ვიდრე იმ საქონელს რომლის ფასიც უცვლელი დარჩა.

2.6. ადამიანთა პრეფერენცია დამოკიდებულია მათ ხასიათსა და აღზრდაზე. ეკონომისტები ძალიან დიდი სიამოვნებით განმარტავენ პრეფერენციას სარგებლობის კატეგორიებით. თუმცა ეს მთლად უშეცდომო განმარტება როდია, ვინაიდან სარგებლობა განსაზღვრულია ადამიანთა ჭკუებზე დაკვირვებით.

2.7. ფასების ასეთი სტრუქტურა კომუნისტების ინტერესებს შეესაბამება, რადგან იგი უზრუნველყოფს მათ კონტროლს ადამიანებზე. ამასთან, დასავლეთელ ტურისტებთან კონტაქტი ჰქონდათ მხოლოდ მდიდარ ადამიანებს, რომლებიც პასუხობდნენ დასავლეთის საზოგადოების სტერეოტიპებს. იმის აღთქმას, რომ დასავლეთის ქვეყნების ყველა ტურისტი საკმაოდ მდიდარი იყო, შედეგად მოსდევდა ნაკლებშეძლებული დასავლეთის მოქალაქეთა უგულვებელყოფა, რომლებიც სიამოვნებით გაიღებდნენ ფულს, თუკი ამგვარი ტურიზმი ცოტა იაფი იქნებოდა.

3.1. მწარმოებელი მიისწრაფვის დაფაროს ხარჯები და მოგება მიიღოს. თუ ფასები შემცირდება, ძალზე მოსალოდნელია, რომ მოგების მარჟა დაეცემა და საწარმო დაიწყებს ფულის ხარჯვას, რამდენადაც მას არ შეუძლია შეამციროს წარმოების დანახარჯები.

3.2. მოკლე დროის მანძილზე ზღვრული დანახარჯები მატულობს, ვინაიდან წარმოების მოცულობების გასადიდებლად საჭიროა თანდათან მეტი სახსრების გაღება. როდესაც წარმოების ერთ–ერთი ფაქტორის სიდიდე მუდმივია, მოგების მატების ტემპები კლებულობს. თუ გვინდა, რომ მოიმატოს მცირე წარმოების ფაბრიკის მოცულობებმა მისი მასშტაბების შეუცვლელად, საჭიროა დავასაქმოთ დამატებითი მუშახელი. მაგრამ დამატებითი მუშაკების დატვირთვის კვალობაზე წარმოებული

პროდუქციის მოცულობა ერთ მუშაკზე გაანგარიშებით შემცირებას დაიწყებს, მით უმეტეს იმ ფაბრიკაში, რომელიც გაუჩერებლივ მუშაობს.

3.3. მოკლე დროის განმავლობაში შეუძლებელი იქნება წარმოების მასშტაბების გაზრდა, არადა წარმოების მასშტაბების მატება გამოიწვევს ასევე დანახარჯების გაზრდასაც. თუმცა გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელია მიწოდების მრუდის დაცემა, რაც გამოწვეული იქნება ტექნოლოგიური პროგრესითა და წარმოების მასშტაბების ცვლილების შესაძლებლობებით.

3.4. წესისამებრ ადამიანები დაინტერესებულნი არიან მაღალი გამომუშავებით. თუ მათ კარგად უხდიან, ადამიანები ცდილობენ უკეთესად იმუშაონ. მაგრამ ფული არ არის მუშაობის ერთადერთი სტიმული. მუშაკს შეიძლება სიამოვნება მიჰგვაროს მუშაობის კარგმა პირობებმა, საინტერესო სამუშაომ. ცხადია, ბევრი ადამიანი იძულებულია აიტანოს მუშაობის ცუდი პირობები და მცირე ანაზღაურება.

4.1. ბალის გაფუჭებამ შესაძლებელია გამოიწვიოს მიწოდების მრუდის მარცხნივ გადახრა და შედეგად მივიღოთ ვაშლზე ფასების მომატება. შეიძლება აგრეთვე გაიზარდოს მოთხოვნა ვაშლის სუბსტიტუტებზე, ანუ სხვა ხილზე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მათზე მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადახრას. ცხადია, არსებობს აგრეთვე ვაშლის გარკვეული კომპლემენტარული საქონელიც.

4.2. მოთხოვნის გასწვრივ გადანაცვლება მიუთითებს ფაქტზე, რომ საქონელზე ფასების ზრდისას ადამიანები მას სულ უფრო ნაკლები რაოდენობით შეიძენენ. მთელი მრუდის გადანაცვლება კი იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანებს უფრო მეტი (ან ნაკლები) საქონლის შეძენის სურვილი უჩნდებათ აღნიშნულ ფასად.

4.3. ახალი ტექნოლოგიები გამოიწვევს მიწოდების მრუდის გადაწევას მარჯვნივ (რაც გამომდინარეობს წარმოების დანახარჯების შემცირებით ერთეულ პროდუქციაზე) ან გამოიწვევს ახალი ბაზრების წარმოშობას (როდესაც სარეალიზაციოდ გამოტანილია ახალი სახის საქონელი). სწორ პასუხში გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე პროდუქტის სიცოცხლის ხანგრძლივობა.

4.4. ფასები ითვალისწინებენ ცვლილებებს, როდესაც იცვლება მოთხოვნა ან მიწოდება, აგრეთვე ინფლაციის დონის ცვლილებებსაც.

4.5. მოამზადეთ და დაურიგეთ მოქალაქეებს კითხვარები, სადაც მათ შეეკითხებით, არიან თუ არა ისინი დაინტერესებული, რომ

ამ კაფეში შეიძინონ სხვადასხვა სახის საქონელი, კვირაში რამდენჯერ შევიდოდნენ ისინი ამ კაფეში. შეეკითხეთ ასევე, რამდენი ფულის დახარჯვა შეუძლიათ მათ ამ კაფეში და რაზე. დაინტერესდით იმითაც, ისარგებლებდნენ თუ არა ისინი კაფეს მომსახურებით, თუკი ის სკოლის შენობაში გაიხსნებოდა. გამოკითხვის შედეგები წარმოადგინეთ ცხრილის სახით, და მის საფუძველზე შეეცადეთ შეაფასო, რამდენი ადამიანი იყიდიდა ჩაის ან ყავას მათზე სხვადასხვა ფასების შემთხვევაში.

5.1. ა) მეწარმეები ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს: 1) ისინი არიან წარმოების ორგანიზატორები, 2) ეწევიან რისკს; 3) ატარებენ კვლევებსა და ექსპერიმენტებს, თუ როგორი იქნება მოთხოვნა ახალ მომსახურებასა და პროდუქტზე.

ბ) ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში ნამდვილ მეწარმეებს შეუძლიათ იმოქმედონ მხოლოდ შავ ბაზარზე. ამიტომ კომუნიზმი შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც მონოპოლისტური არაპროგრესული წარმოებითი სისტემა, რომელიც იყენებს სამართალსა და მრავალ სხვა საშუალებებს კონკურენციასთან საბრძოლოდ. იგი ნახულობს უდიდეს მოგებას იმ სისტემიდან, რომელმაც სრულად შესცვალა ბაზარი.

5.2. ეს შეკითხვა მოითხოვს საკმაოდ ვრცელ პასუხს და იგი დამოკიდებულია მკითხველის ბიზნესის შესახებ მიღებულ გამოცდილებაზე. მრავალი დასაწყებელი ბიზნესმენი სრულიადაც არ მიიჩნევს სრულყოფილ კონკურენციას როგორც ფაქტორს, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მათ ყოველდღიურ მუშაობაზე.

5.3. კონკურენტული ბაზრებისათვის დამახასიათებელია ბრწყინვალე მაღაზიები, გაკაშკაშებული რეკლამები, დიდი მარჟები (გამყიდველთან შევაჭრების საშუალება— მთარგ.), სამაგიეროდ არაკონკურენტულ ბაზარზე ფასი გამოხატავს საქონლის მთელ რეკლამას. ამ წიგნის დაბეჭდვამდე შესაძლოა სიტუაცია შეიცვალოს, მაგრამ მისი წერისას თუ კომპიუტერების ბაზარზე დიდი კონკურენცია იყო, სამაგიეროდ არავითარი კონკურენცია არ არსებობდა ჩემი წიგნის ბაზარზე (ავტორს მხედველობაში აქვს წიგნები, სადაც განხილული იქნებოდა პოსტკომუნისტური და მ.შ. პოლონეთის ეკონომიკური პრობლემები და მათი დაძლევის გზები — მთარგ.).

5.4. ლამაზად შეფუთული საქონელი გაცილებით კარგად გამოიყურება და მალე იყიდება. თუმცა ამას ხშირად მოსდევს დიდი მფლანგველობა, რადგან შეფუთვა არავითარ გავლენას არ ახდენს

საქონლის რეალურ ხარისხზე, სამაგიეროდ იწვევს მასზე ღანახარჯების ზრდას. მაგრამ ფირმები, რომელთაც დიდი პრობლემები აქვთ, პროდუქციის კარგად შეფუთვასთან დაკავშირებით, დიდ ყურადღებას უთმობენ მხოლოდ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ზოგჯერ სწორედ ამბობენ, რომ პოლონეთს აქვს სამი ძირითადი პრობლემა, რომელიც უკავშირდება ექსპორტს: პროდუქციის კარგად შეფუთვა, კარგად შეფუთვა და კიდევ ერთხელ—კარგად შეფუთვა!

6.1. ეს არის პრინციპული საკითხი, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკასთან. სწორმა პასუხმა უნდა განასხვაოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტები.

6.2. არსებობს ამ კითხვაზე პასუხის მრავალი შესაძლებლობა. წარმოვიდგინოთ მაგალითად, რომ არ არსებობს არავითარი კონტროლი ავტომანქანების მფლობელებისა და მათ მძღოლთა ასაკზე. ასეთ დროს ალბად ძალზე ძნელი იქნება გზებზე უსაფრთხოების დამყარება; ანდა, ვთქვათ, წარმოვიდგინოთ, რომ არ არსებობს არავითარი კონტროლი გარემოს დაცვაზე. მაშინ ქალაქის ზოგიერთი რაიონი უაღრესად დაბინძურდებოდა, სხვები კი მაღალი ტემპებით განავითარებდნენ წარმოებას, იმისდა მიუხედავად, ექნებოდათ ასევე განვითარებული კომუნიკაციები, ინფრასტრუქტურა და ა.შ. თუ არა?

6.3. დედანში ამ კითხვაზე პასუხი რატომღაც გამოტოვებულია (მთარგ.).

6.4. თუ ხელისუფლება ვერ შესძლებდა, რომ მის მიერ განხორციელებული რეგულირების ღონისძიებებს ხელი არ შეეშალა კონკურენციისათვის, მაშინ შესაძლებელია ამას უარყოფითად ემოქმედა საზღვარგარეთული ინვენსტიციების მოზიდვისათვის ქვეყანაში.

6.5. კოსმოსური კვლევების ღონისძიებები შეიძლება დასაბუთდეს პუმანისტური თვალსაზრისით — ადამიანების შეხედულებების გაფართოების აუცილებლობით გარე სამყაროზე, ან ეკონომიკური თვალსაზრისით — ტექნოლოგიის განვითარების მოთხოვნილებით, ან მილიტარისტული შეხედულებებით. ამასთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები ისიც, თუ რამდენი სხვა რამის გაკეთება შეიძლებოდა ამ მიზნით გაბარჯული უზარმაზარი სახსრებით.

სკოლებში უფასო საჭმელის სასარგებლოდ შეიძლება მორალური არგუმენტების მოშველება; რომ ეს წარმოადგენს ღარიბებზე და ეკონომიკის ეფექტურობის მატებაზე ზრუნვის გამოხატულებას. ამას შედეგად მოჰყვება ასევე საზოგადოების სულიერი გაჯანსაღება. სამაგიეროდ ამის საწინააღმდეგო არგუმენტებს წარმოადგენს ამგვარი

ღონისძიების განხორციელებით გამოწვეული დიდი დანახარჯები და მფლანგველობა, რომელიც იმას ემყარება, რომ სკოლაში გაცემული ამგვარი საღილები ხშირად ძალიან ძვირია და ამასთან, არც მაინცდამაინც გემრიელი.

სხვა ქვეყნებისათვის პუმანიტარული დახმარებაც აგრეთვე მნიშვნელოვანწილად მორალური არგუმენტებით დასაბუთდება. პუმანიტარული დახმარების აღმომჩენმა ქვეყანამ იმ ქვეყანაში, რომელსაც ეხმარება, შეიძლება იპოვოს არც თუ ისე მცირე ბაზარი თავისი ნაწარმის გასასაღებლად. მაშასადამე, თავადაც შეიძლება არა ნაკლები სარგებლობა ნახოს, ვიდრე იმ ქვეყანამ, რომელსაც ეხმარება. ხშირად ხდება, რომ ყველაზე მეტ სარგებლობას ამგვარი დახმარებიდან იღებენ დამხმარე ქვეყნის წარმომადგენელი კონსულტანტები.

უფასო განათლება შეიძლება იმით იყოს დასაბუთებული, რომ ყველა ადამიანს ცხოვრების დაწყების თანაბარი შანსები მიეცეს და აგრეთვე ეკონომიკური თვალსაზრისითაც, რადგან უფასო განათლება შეიძლება განვიხილოთ როგორც გარკვეული ინვესტიციები ადამიანებში, რომლებიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ. ამის საწინააღმდეგო არგუმენტები ეხება უპირველეს ყოვლისა დანახარჯებს. არსებობს იმის საშიშროებაც, რომ ხელისუფლება, რომელიც თავის თავზე იღებს სკოლებისა და უნივერსიტეტების ხარჯებს, ამით მოიპოვებს მეტისმეტად დიდ გავლენას ინტელიგენციაზე.

ასევე დასაბუთებულია უფასო ჯანმრთელობის დაცვა, რადგან არ იქნებოდა მორალურად გამართლებული, რომ ღარიბი ადამიანები დარჩენილიყვნენ ექიმების მხრიდან მზრუნველობის გარეშე. ავადმყოფი ადამიანები ვერ შესძლებდნენ ეფექტიურად მუშაობას, და ამავე დროს გახდებოდნენ ათასგვარი გადამდები ვირუსების გამავრცელებელნი. ისიც ფაქტია აგრეთვე, რომ კერძო სამედიცინო მომსახურება ხშირად აღმოჩნდება ხოლმე უშედეგო კლიენტების უგულვებელყოფისა და ბევრ კერძო ექიმზე ცრუმორწმუნეობის დიდი გავლენის გამო. უფასო ჯანმრთელობის დაცვის საწინააღმდეგოდ უმრავლეს შემთხვევაში მოჰყავთ მისი დიდი ხარჯები.

7.1. საბანკო კრედიტის პროცენტი შეადგენს 2—ს, ხოლო სესხების, სესხებისა და დეპოზიტების საბოლოო რაოდენობა —200—ს. ამასთან ერთად დაცული უნდა იყოს ის პირობა, რომ მთელი ნაღდი ფული ყოველთვის დეპონირებულია ბანკში და ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომელთაც ესაჭიროებათ კრედიტები.

7.2. ბანკები განსაკუთრებით უკეთებენ რეკლამას მაღალ პროცენტებს დეპოზიტებზე, ანაბრების უსაფრთხოებას, დეპოზიტების განთავსების შესაძლებლობას და სხვ.

7.3. ფული წარმოადგენს ღირებულების შენახვის საშუალებას, გაცვლის საშუალებას, ანგარიშსწორების საშუალებას და გადახდის საშუალებას. იგი უნდა იყოს მტკიცე, ადვილად დანაწევრებადი, მას არ უნდა უშვებდნენ მეტისმეტად დიდი რაოდენობით. უნდა არსებობდეს აგრეთვე მის უტყუარობაში დარწმუნების მარტივი შესაძლებლობა. პოლონეთში დოლარს აქვს ყველა ეს თვისება, თუმცა იგი თანდათან კარგავს ღირებულების შენახვის საშუალების ფუნქციას, ვინაიდან ანაბრებისათვის ზლოტებზე დაწესებულია გაცილებით მეტი პროცენტები, ვიდრე დოლარზე და ბოლო ხანებში არ მიუმართავთ ზლოტის დევალვაციისათვის ინფლაციის დასაფარავად. სტაბილიზაციის პროგრამის დასაწყისისათვის ზლოტი სწორედ იყო მიჩნეული როგორც მცირე ღირებულების მქონე ვალუტა. ამჟამად კი იგი საკმაოდ აქტიურად გამოიყენება. ამგვარად, ზლოტი გახდა ნორმალური ვალუტა.

8.1. ბირჟა საშუალებას აძლევს ფირმებს მოიპოვონ საკმარისი სახსრები აქციების გაყიდვის გზით, ინვესტორებს უადვილებს ფულის ინვესტირებას წარმოებაში, ადამიანებისათვის ჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილები და ა.შ. ბირჟა ორივე მხარეს ეხმარება კონტრაქტის გაფორმებაში.

8.2. პრივატიზაცია იწვევს მთავრობის ძალაუფლების შესუსტების, წინასწარმეტყველებს პოლიტიკური ჩარევის საშიშროებას ფასწარმოქმნის პროცესში, ხელისუფლებას აძლევს ფინანსური სახსრების მობილიზაციის საშუალებას, ამძაფრებს კონკურენციას ფირმებს შორის, რათა მათ გაუმჯობესონ მომსახურების ხარისხი, რადგან არ არსებობს არავითარი გარანტიები გაკოტრების თავიდან ასაცილებლად. პრივატიზაცია დადებითად მოქმედებს აგრეთვე წარმოების ეფექტურობის მატებაზე, ამცირებს მთავრობის სუბსიდიების მოცულობებს იმ საწარმოებისათვის, რომელთაც მცირე რენტაბელობა ჰქონდათ. პრივატიზაცია ძალზე ძვირადღირებული ღონისძიებაა. განსაკუთრებით დიდია კონსულტანტთა პონორარები. ამავე დროს, მას შედეგად შეიძლება მოჰყვეს მონოპოლიების გაკონტროლების სირთულეები, რათა მდიდრებმა ამით უზომო მოგება არ ნახონ ღარიბთა ხარჯზე (როდესაც სახელმწიფო ფირმის ქონება გაიყიდება მეტისმეტად მცირე ფასებში). პრივატიზაციის შედეგად შესაძლოა მთავრობამ მოიპოვოს ამომრჩეველთა ხმები.

8.3. როდესაც ფირმა კოტრდება, მასზე კონტროლს აწესებენ კრედიტორები. მათ საკუთარი ფულის უკან დასაბრუნებლად

შეიძლება გაყიდონ მთელი თავისი ქონება ან უხელმძღვანელონ მის საქმიანობას და შეეცადონ იპოვონ მთლიანად ამ ქონების შემსყიდველი.

8.4. დიახ. მრეწველობას ემყარება საერთაშორისო ვაჭრობა, ამდენად იგი ხდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საუკეთესო საზომი. მომსახურების მრავალი სახე, თუმცა არა ყველა, აკმაყოფილებს მხოლოდ ამ ქვეყნის მოთხოვნებს და არ გამოხატავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. მრეწველობის დარგებს ხშირად აქვთ საშუალება მიაღწიონ მასშტაბების ეკონომიას, რაც ნიშნავს, რომ დიდ ფირმებს აქვთ მსოფლიო ბაზრებზე გასვლის შანსი. მთავრობების უმეტესობა მიისწრაფის მრეწველობა თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს.

8.5. თუ ფირმის მმართველობა ცუდი და სუსტია, პროფკავშირები შეიძლება იყოს ძალზე შედეგიანი ფაქტორი მათზე ზემოქმედებისათვის. თუ არის ბოროტი და ძლიერი, მაშინ გახდება ფიზიკურად საშიში, დამქირავებელნი ზოგჯერ მოაწყობენ თავდასხმებს პროფკავშირებზე. თუ სამუშაოთა მიმცემნი წესიერი და კეთილი ხალხია, პროფკავშირების წევრობა იშვიათად ხდება სასარგებლო, თუმცა ზოგჯერ დამქირავებელნი ამჯობინებენ ხელშეკრულება დადონ ერთ რომელიმე პროფკავშირთან და მოსთხოვონ მას, რომ ფირმის ყოველი მუშაკი გახდეს მისი წევრი. ამ სახის კონტრაქტით ისინი თავს იცავენ სხვა პროფკავშირებისაგან. როდესაც უმუშევრობის დონე დაბალია, პროფკავშირები დიდ ძალას იკრებენ, სამაგიეროდ უმუშევრობის მაღალი დონის დროს პროფკავშირების წევრობას შეუძლია ადამიანი დაიხსნას სამუშაოდან დათხოვნისაგან.

8.6. კაპიტალის და ინვესტიციების არარსებობა, რომელთაც შეუძლიათ მოძრაობაში მოიყვანოს აქციების ბრუნვა, ფირმების დიდი რაოდენობა, რომელთა შესყიდვასაც აზრი არა აქვს, ანტიპათიები საზღვარგარეთელ მესაკუთრეთა მიმართ, დაუხვეწელი საკანონმდებლო ბაზა და ა.შ.

9.1. გადასახადების შემცირება და ხარჯების გაზრდა გამოიწვევდა სახელმწიფოს ბიუჯეტის დეფიციტს. ასეთ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს არ ექნება სხვა დამატებითი შემოსავლები, მან დეფიციტის დასაფარავად შეიძლება მიმართოს ფულის ემისიას, რაც თავის მხრივ ინფლაციის მიზეზი გახდება. შესაძლებელია მან აიღოს კრედიტები, რაც გაზრდიდა საპროცენტო განაკვეთს. მთავრობის ასეთ პოლიტიკას დადებით შედეგად შეიძლება მოჰყოლოდა ის, რომ იმატებდა წარმოების მოცულობები და დასაქმების

დონე, ხოლო მოკლე დროის მანძილზე – ხელისუფლების პოპულარობაც. ცხადია, რომ ბევრი რამის გაკეთება შეიძლება ასეთი ეკონომიკური პოლიტიკით. მაგრამ ხელისუფლების ასეთ ღონისძიებებს მოპყვებოდა ინფლაცია და აგრეთვე ამ ქვეყნის მთავრობისადმი ნდობის შერყევა საერთაშორისო არენაზე; განსაკუთრებით უარყოფით შედეგებს გამოიწვევდა იმ მხრივ, რომ ასეთი პოლიტიკის გამო ქვეყანა დაკარგავდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერას. ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა შეერთებული შტატები ან გერმანია, შეუძლიათ თავს უფლება მისცენ, რომ მრავალი წლის მანძილზე მათ ბიუჯეტს ღიდი დეფიციტი ჰქონდეს; პოლონეთი არ არის ისეთი მდიდარი, რომ გრძელვადიანი დავალიანების შემთხვევაში ნდობა მოიპოვოს. ღიდი საპროცენტო განაკვეთი პოლონეთში საკმაო ზიანს მიაყენებს კერძო ფირმებს და შეამცირებს მათ მოგებასა და ინვესტიციებს.

9.2. კეინსიანელებს მიაჩნდათ, რომ ეკონომიკაში არ არსებობს წონასწორობის ბუნებრივი მდგომარეობა, რის გამოც მთავრობას შეუძლია გრძელვადიან პერიოდში გლობალური მოთხოვნის მანიპულირების გზით გავლენა მოახდინოს მთელს მეურნეობაზე.

სამაგიეროდ მონეტარისტები თვლიან, რომ ყოველ სამეურნეო სისტემას შეესაბამება საკუთარი წონასწორობის მდგომარეობა და მთავრობის ყოველი მცდელობა, რომელიც მიმართული იქნება მისი შეცვლისაკენ, მარცხით დასრულდება. მათვე მიაჩნიათ აგრეთვე, რომ სახელმწიფო შემოსავლები და გასავლები წონასწორობაში მოჰყავს კრედიტზე პროცენტის ცვლილებას. მონეტარისტები გამოღიან აგრეთვე ფულის მიწოდების სტაბილიზაციის მოთხოვნით.

9.3. ერთ-ერთი მეთოდია სტატისტიკური დაწესებულებებიდან აღნიშნულის შესახებ ციფრების აღება და მათი ანალიზი. სხვა მეთოდი შეიძლება იყოს საკვლევ სამუშაოთა შესრულება ამ სფეროში, რის შედეგადაც შეიძლება დადგინდეს, თუ ყოველთვიურად მათი შემოსავლიდან რამდენ ფულს გაიღებენ ადამიანები. როდესაც მრავალრიცხოვანი დასაკვირვებელი ობიექტების ამ მხრივ შესწავლის საფუძველზე დასკვნებს გავაკეთებთ, შემდეგ ეს დასკვნა ჩვენ შეგვიძლია გავავრცელოთ მთელი ქვეყანაში.

9.4. ისეთი არაეკონომიკური ფაქტორებით, როგორიცაა მაგალითად, გარემოს მდგომარეობა. ხშირ შემთხვევაში ასეთი ფაქტორები მცხოვრებთან ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრის დროს მხედველობაში არ მიიღება; მხედველობაში არ მიიღება აგრეთვე ადამიანების ისეთი საქმიანობის შედეგები, რომლებსაც თუმცა ღირებულება აქვთ, მაგრამ მათ არავინ არ ყიდის; მაგალითად,

ოჯახში კონსერვების დამზადება ან საკუთარი ავტომანქანის შეკეთება, ასევე შავ ბაზარზე არსებით მნიშვნელობას იძენს თაღლითობა საგადასახადო ორგანოების მიმართ, ანდა გარკვეული ადამიანების კრიმინალური საქმიანობა. ყოველივე ამას სტატისტიკური ორგანოები მხედველობაში არ იღებენ.

9.5. ნომინალური ეკონომიკური მატება არის გლობალური მოთხოვნისა და მთლიანი პროდუქციის წარმოების საერთო გადიდება: რაც შეეხება ეკონომიკის რეალურ ზრდას, ეს არის ნომინალური გადიდება ინფლაციის გათვალისწინებით. თუ, მაგალითად, ადგილი ჰქონდა ნომინალურ მატებას 200 მილიარდი დოლარიდან 250 მილიარდამდე, ხოლო ამავე პერიოდში ინფლაცია 25 პროცენტია, ამ პერიოდში ეკონომიკის რეალური მატება ნულის ტოლი ყოფილა.

10.1. მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მეურნეობრიობის რომელ ტიპს აღმოუჩინოს მხარდაჭერა. შემდეგ მან უნდა დაადგინოს მიზანი და შეიმუშაოს მისი მიღწევის გზები. მანვე უნდა მიიღოს პროგრამა, რომელიც შეეხება ეკონომიკის რეგულირებას, გადასახადებს, სუბსიდიებსა და გეგმიურ ხარჯებს. მრავალი ქვეყნის მთავრობა ცდილობს გვერდი აუაროს რთულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს იმ იმედით, რომ ამ გზით შესძლებს პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას. როგორც ჩანს, ეს მცდარი გადაწყვეტილება გახლავთ.

10.2. ეს ისეთი შეკითხვაა, რაზეც სწორი პასუხი თითქმის არ არსებობს. ყოველი სწორი პასუხი ამ შეკითხვაზე იქნება მიღებული გადაწყვეტილების შედეგების რაციონალიზაციის ცდა. ყოველი გეგმის მიღებამდე, რაც დაკავშირებული იქნება ხარჯების მატებასთან, ან გადასახადების შემცირებასთან, საჭიროა ჯერ განისაზღვროს, თუ როგორ მოვიპოვოთ ამისათვის საჭირო სახსრები.

10.3. არსებობს გარკვეული პოლიტიკური, ფიზიკური და ეკონომიკური ფაქტორები. პოლიტიკური ფაქტორებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სამართლებრივი სფეროს მოწესრიგება, სააქციო საზოგადოებების შექმნის შესაძლებლობები, საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც საშუალებას მისცემს მიიღონ მოგება თაეიანთი ინვესტორებიდან და აგრეთვე აღსანიშნავია სახელმწიფო მოხელეთა კეთილგანწყობა და კომპეტენტურობა.

ფიზიკური ფაქტორებიდან უპირველესად უნდა აღინიშნოს მოსახლეობის რაოდენობა და წიაღისეული საბადოების მოცულობები, ასევე სასოფლო—სამეურნეო წარმოების პირობები და ტურიზმის

განვითარებისათვის შესაფერისი ატმოსფერო. ძალზე მნიშვნელოვანია ასევე ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, საგზაო სისტემა, პორტებისა და სარკინიგზო ქსელის მდგომარეობა, აეროპორტების არსებობა, ტელეკომუნიკაციისა და ელექტრიფიკაციის სათანადო განვითარება და ა.შ. მთავარი ეკონომიკურ პრობლემაა აგრეთვე იმის შესაძლებლობა, რომ საზღვარგარეთელმა ფირმებმა შესძლონ მოგების მიღება გაღებულ ინვესტიციებზე, აგრეთვე მათთვის იმის საშუალების მიცემა, რომ დაიცვან საკუთარი სტრატეგიული პოზიციები. არსებითი მნიშვნელობა აქვს მათი პროდუქციის სარეალიზაციოდ შესაბამისი ბაზრების არსებობას, ამ პროდუქციაზე ჩამოყალიბებულ ფასებს და ა.შ. არსებითია აგრეთვე ისიც, თუ რამდენად რთულია ამ ქვეყანაში ერთობლივი საწარმოს თუ სააქციო საზოგადოების ფორმირება და ხომ არ არის ეს დაკავშირებული დიდ ხარჯებთან.

მთავრობამ შეიძლება დააწესოს სამართლებრივი ნორმები, რომლის საფუძველზეც გაადვილდება უცხოური ინვესტიციების შემოსვლა და აგრეთვე ის, რომ ადგილობრივმა სახელმწიფო მოხელეებმა რჩევითა და კონსულტაციებით დახმარება აღმოუჩინონ უცხოელ ინვესტორებს. უცხოელი ინვესტორებისათვის დახმარების გაწევა შეუძლიათ ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს, ვთქვათ, ქარხნის აშენებისათვის ადგილის შერჩევა, ინფორმაციის მიწოდებით იმის თაობაზე, თუ რომელმა ადგილობრივმა ფირმამ შეიძლება მათთან ითანამშრომლოს და ა.შ.

10.4. გადასახადების გადიდება ხდება შემოსავლების მატების ერთერთი გამოხატულება და ხელისუფლებას საშუალებას აძლევს ხარჯების სახით გაიღოს დიდი რაოდენობის ფული. კარგი ეკონომიკური კონიუნქტურის შემთხვევაში გადასახადების ამაღლებამ შეიძლება კარგი როლი ითამაშოს ინფლაციის განსაჭერეტად. როდესაც მთავრობას შემუშავებული აქვს პროგრამა, რომელიც მოითხოვს სასწრაფო განხორციელებას, მაგრამ არ არსებობს მისთვის საჭირო ფინანსები, გადასახადების გადიდება სიტუაციიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა. თუ არსებობს სამეურნეო საქმიანობის სფერო, რომელშიც აშკარად შეიმჩნევა ბაზრის წარუმატებლობა, გადასახადებისა და ხარჯების რეგულირების საშუალებით პრობლემის გადაჭრა საკმაოდ გონივრული გზაა, თუმცა ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოიშვას იმის საფრთხე, რომ ბაზრის წარუმატებლობა უფრო ნაკლებ ბოროტებად აღმოჩნდეს, ვიდრე ხელისუფლების წარუმატებლობა.

10.5. ეს არის ნორმატიული შეკითხვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტორის პასუხი გამოხატავს მის საკუთარ შეხედულებას ღირებულებებზე. გარდა ამისა არსებობს აგრეთვე სამეურნეო და საზოგადოებრივი ეფექტურობის პრობლემა. განათლება კარგი ინვესტიციაა, ვინაიდან განათლებული ადამიანები კარგი მუშაკები არიან და მეტ გადასახადსაც იხდიან. თუ ყველაფრიდან ჩანს, რომ ადამიანებს სრულად არ შეუძლიათ გაიღონ ის თანხები, რომელიც საჭიროა საკუთარი თავისა თუ შვილებისათვის სწავლა— განათლების მისაცემად, მთავრობამ ეს საქმე თავად უნდა დააფინანსოს. ფირმებმა შეიძლება მიიღონ გადაწყვეტილება, რომ უფრო მომგებიანი იქნება დაასაქმოს სხვა ფირმების კვალიფიციური მუშაკები, ვიდრე თანხები გაიღოთ თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ეს საკმარისი არგუმენტია იმისათვის, რომ მთავრობა ჩაერიოს ამ პერსპექტიულ ხარჯებში.

11.1. თუ ადამიანებს ჩამოერთმევათ უცხოური ვალუტის შესყიდვის უფლება, მათ ეკარგებათ საკუთარი ვალუტისადმი რწმენა. შედეგად ვითარდება შავი ბაზარი, რადგანაც ადამიანები ცდილობენ თავიანთი დანაზოგები გადაცვალონ მყარ ვალუტაზე. ასეთ შემთხვევაში მთავრობას უჩნდება სურვილი აკრძალოს უცხოური საქონლის ადვილი იმპორტი.

11.2. თავისუფალი ვაჭრობა ხელს უწყობს საბსრების გონიერულ გადანაწილებას ეფექტურ მწარმოებელთა შორის მთელს მსოფლიოში. ეს კი მომხმარებელს საშუალებას აძლევს იაფად შეიძინოს მაღალხარისხოვანი საქონელი. თავისუფალი ვაჭრობის შედეგია აგრეთვე კონკურენციის მნიშვნელოვანი განვითარება. თავისუფალმა ვაჭრობამ ზოგჯერ შეიძლება გამოიწვიოს ფირმების გაკოტრება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზოგიერთ ქვეყანას სუბსიდიების გამოყოფის შესაძლებლობა აქვს, მაშინ როდესაც სხვებს ამის გაკეთება არ შეუძლიათ. აქედან გამომდინარე სინამდვილეში თავისუფალი ვაჭრობა არ არსებობს, არ შეიძლება სავაჭრო პოლიტიკა დავაფუძნოთ მხოლოდ მკაცრი თავისუფალი ვაჭრობის პრინციპზე.

11.3. პროტექციონიზმის მიზეზი შეიძლება იყოს არასწორი სავაჭრო პრაქტიკა, რომელსაც მიმართავენ კონკურენციული ფირმები, სტრატეგიული შეხედულებები ან მრეწველობის წარუმატებლობის შედეგად წარმოშობილი მოსახლეობის უკმაყოფილება. პოლონეთისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ არასწორ სავაჭრო პოლიტიკას, რომელსაც ევროკავშირი პოლონეთის

სურსათის იმპორტის მიმართ წარმართავს. ამდენად, არსებობს დასაბუთებული მიზეზი პოლონელი ფერმერების დასაცავად სუბსიდირებული სურსათის იმპორტისა და გაკოტრებისაგან დასაცავად.

პოლონელი ფერმერების გაკოტრების შედეგები ამ ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგებზე ძალზე სერიოზული იქნება. საბაჟო გადასახადები, რომლებიც შემოღებულია სამამულო მრეწველობის დასაცავად, ხანმოკლე დროის განმავლობაში ძალზე სასურველიც არის ასეთ შემთხვევაში, მაგრამ თუკი ერთხელ შემოიღებენ, შემდეგ საკმაოდ ძნელია მათი გაუქმება. არადა, ამგვარ პროტექციონიზმს საკმაოდ დიდი უარყოფითი შედეგები მოჰყვება, განსაკუთრებით კი ის, რომ გვიანდება ნამდვილად კონკურენციული გარემოს შექმნა.

11.4. არსებობდა რამდენიმე სხვადასხვა კურსი რუბლის გადასაცვლელად, დაწყებული მისი კომერციული კურსიდან, რომლის მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი ფულის ამოქაჩვა იმ პირებისა და დაწესებულებებისაგან, რომლებიც იძულებული იყვნენ მოსკოვში ჩასულიყვნენ და დამთავრებული შავი ბაზრის კურსით, რომელიც გამოხატავდა მიწოდება-მოთხოვნილების ნამდვილ მდგომარეობას. ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი იყო ლოგიკას მოკლებული სურვილი და სიამაყის გრძნობა, რომ რუბლის ღირებულება შეენარჩუნებინათ გირვანქა სტერლინგის დონეზე. ამ შემთხვევაში ვალუტის ოფიციალურ ბაზარზე არავითარ გავლენას არ ახდენდა საბაზრო ეკონომიკის მდგომარეობა, მაშინ, როდესაც შავი ბაზრის კურსი ყალიბდებოდა მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე. რუბლის ბიუჯეტი არ ექვემდებარებოდა არავითარ კონტროლს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი ღირებულება სულ უფრო მზარდი მოთხოვნის გამო გამუდმებით ქვეითდებოდა. რუბლზე მოთხოვნას წარმართავდნენ ის ადამიანები, რომლებიც დრო და დრო იყენებდნენ მას ტურისტული მიზნებისათვის თუ შავ ბაზარზე. ის რუსი ვაჭრები, რომლებიც პოლონეთში საქმიანობენ, ჩვეულებისამებრ ზლოტს ცვლიან დოლარზე, რადგანაც მათთვის დოლარია დანაზოგების შენახვის ყველაზე საიმედო საშუალება. დოლარზე მოთხოვნა სსრკ—ში უდიდესია, რადგანაც ხალხს რუბლის იმედი ძალზე ცოტა აქვს.

12.1. ეს შეკითხვა განკუთვნილია მდიდარი წარმოსახვის მქონე ადამიანებისათვის. პასუხის გაცემისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ეროვნული ხასიათი, ფიზიკური და ბუნებრივი

სიმდიდრეები, ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობა და ასევე პოლონეთის ისტორიული მემკვიდრეობა. შეიძლება დავასაბუთოთ პოლონეთის მომავლის, როგორც ოპტიმისტური, აგრეთვე პესიმისტური ცნობებით. შეიძლება შესრულდეს აგრეთვე ცხოვრებისა და მუშაობის ანალიზი პოლონეთში როგორც წინათ, ისე ამჟამად. საინტერესო იქნება შევადაროთ ეს მაჩვენებლები საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

12.2. კორუფცია ძირს უთხრის იმ დაწესებულებებისადმი რწმენას, სადაც იგი არის ფესვმოკიდებული, მიუხედავად იმისა, ეს არის უნივერსიტეტი, სასამართლო, საგადასახადო დაწესებულება და ა.შ. კორუფციას მიმართავენ შეძლებული და გავლენიანი ადამიანები მთელი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. კორუფცია კიდევ უფრო აღრმავებს უთანასწორობას საზოგადოებაში და ადამიანებს ყოველგვარ ნდობას უკარგავს. ასეთ პირობებში მკვეთრად მცირდება როგორც ხელისუფლების, ისე კერძო ფირმების საქმიანობის ეფექტურობა. კორუფციის დროს ცხოვრებისა და მუშაობის კარგი პირობები ექმნებათ უღირსებს და ხდება ღირეულთა დისკრიმინაცია. კორუფციის მიზეზია კომუნიზმის მემკვიდრეობა, მისი ამორალურობა, სახელმწიფო მოხელეთა დაბალი ხელფასები. კორუფციის მიზეზი ხდება აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ყოველ საზოგადოებაში არსებობს საქონელი და მომსახურება, რომლებიც კარგაენ თავიანთ ღირებულებას, თუკი შესაძლებელი იქნება ამით აშკარად ვაჭრობა (მაგალითად, მაღალი ნიშნები გამოცდებზე), მაგრამ რომლებსაც აქვთ საბაზრო ღირებულება.

12.3. ქაოსი აღმოსავლეთში პოლონეთს აძლევს გარკვეულ შანსს. არსებობს უდიდესი შესაძლებლობები სავაჭრო სფეროში, რომელსაც გამოიყენებენ ისინი, ვინც შესძლებს მიხვდეს, თუ როგორ, რა მეთოდებით შეიძლება მოქმედება პოსტკომუნისტურ სივრცეში. არსებობს ძალზე იაფად საქონლის შეძენის შესაძლებლობა. პოლონეთის ექსპორტისა და იმპორტის შუამავლობით შეიძლება აგრეთვე პოლონეთის კაპიტალის ინვენსტირება მოგების მიღების მიზნით ისეთივე ხერხებით, როგორც ეს კეთდება პოლონეთში. როდესაც იქ ეკონომიკა ნორმალურ მოქმედებას დაიწყებს, ეს ქვეყანა იქნება უდიდესი ბაზარი პოლონეთისათვის. ამავე დროს ქაოსი აღმოსავლეთში შეიცავს ამ უზარმაზარ სივრცეზე შიმშილობის, სამოქალაქო ომის და პოლონეთისათვის სტაბილურობის დაკარგვის

საშიშროებას, რაც გამოწვეული იქნება ლტოლვილთა პრობლემებით.

12.4. ამ წიგნის რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განსაზღვრავს კარგად მომზადებული ეკონომისტის შემოსავლები. მისი უკიდურესი ფასი ის არის, რა ფასადაც გაიყიდება ეს წიგნი ანტიკვარული წიგნების მალაზიაში ან ჩაბარდება მაკულატურაში. იმ წიგნებზე ამჟამად არსებული ფასები პოლონეთში, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ ანალოგიური მოთხოვნილებები, დაგეგხმარება ამ წიგნზე ფასის დადგენაშიც.

12.5. ზოგიერთი მთავრობა, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული, გამოყოფს გარკვეულ თანხებს უმუშევართა გადასამზადებლად, სხვები არაფერს არ აკეთებენ. ზუსტმა პასუხმა უნდა გაითვალისწინოს უმუშევრობის მიზეზები; მთავრობის შესაძლებლობები გამოჰყოს სუბსიდიები ამ მიზნით, ასეთი პროგრამის განხორციელების ღირებულება და აგრეთვე ასეთი დახმარების შედეგები უმუშევრებზე. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე მთავრობის პოლიტიკური მიზნებიც.

შინაარსი

მთარგმნელის წინათქმა 5
1. რას წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკა? 9
სიმდიდრის განაწილება, წარმოება და დეფიციტი 9
წარმოება 10
კონკურენცია 11
ხარჯები 13
ალტერნატიული ხარჯები 14
კერძო საკუთრება 14
ტექნიკური პროგრესი 16
ფასები 16
მთავრობა 16
არჩევანის თავისუფლება 18
არგუმენტები ცენტრალიზებული
დაგეგმვის სასარგებლოდ 19
შეჯამება 20
შეკითხვები განსჯისათვის 21
2. მოთხოვნა 22
შესავალი 22
მოთხოვნის მრუდი 24
ინდივიდუალური და საბაზრო მოთხოვნის მრუდი 25
მოთხოვნის მრუდის ადგილგადანაცვლება 26
პრეფერენცია და სარგებლიანობა 27
სარგებლიანობის ცნებასთან დაკავშირებული
პრობლემები 28
შემოსავლების ეფექტი 29
Cateris paribus 30
შემცვლელები და კომპლემენტარული საქონელი 30
ჩანაცვლების ეფექტი 30
მოთხოვნაზე ფასის ელასტიურობა 31
ნეიტრალური მრუდი და ბიუჯეტის ხაზი 32
ცენტრალიზებულ დაგეგმვასთან შედარება 35
შეჯამება 35
შეკითხვები განსჯისათვის 36
3. მიწოდება და წარმოების ხარჯები 37
შესავალი 37
რა მეთოდებით ადგენენ ფირმები
წარმოების მოცულობებს? 38
მიწოდების მრუდის ადგილგადანაცვლება 40
წარმოების ფაქტორები 40

დანახარჯები 42
მიწოდების ელასტიურობა 46
მასშტაბების ეკონომია 46
მასშტაბების დისეკონომია 48
მრეწველობის დარგების მიწოდების მრუდები 49
პროდუქტის სიცოცხლის ციკლი 51
შეჯამება 52
შეკითხვები განსჯისათვის 52
4. მიწოდება, მოთხოვნა და ფასების მექანიზმი 53
შესავალი 53
უმნიშვნელოვანესი დიაგრამა ეკონომიკაში 54
უჩინარი ხელი 57
ბაზრის დამოკიდებულება ცვლილებებისადმი 57
ცენტრალიზებული დაგეგმვა 58
მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების გამოყენება 58
საქონლის მისაწვდომობა 61
ერთიანი აგრარული პოლიტიკა 63
ცვლილებათა დინამიკა 64
მოთხოვნა-მიწოდების მრუდთა ბადე 65
საბაზრო მეურნეობის შესაძლებლობანი 65
რა არ შეუძლია საბაზრო მეურნეობას 65
შეჯამება 66
შეკითხვები განსჯისათვის 66
5. ფირმების როლი და სრულყოფილი კონკურენცია 67
ინვესტიციური შესაძლებლობების გამოყენება 67
სრულყოფილი კონკურენცია და მონოპოლია 68
საშუალო მოგება 73
მონოპოლია 75
არგუმენტები მონოპოლიის სასარგებლოდ 78
შუმპეტერის შეხედულება კონკურენციაზე 79
დისკრიმინაციული ფასები 80
არასრულყოფილი კონკურენცია და ოლიგოპოლია 80
შეჯამება 82
შეკითხვები განსჯისათვის 82
6. მთავრობის როლი 83
მთავრობის ამოცანა 83
ხელისუფლების ინტერვენცია 84
ბაზრის წარუმატებლობა 85
ბაზრის წარმატება და წარუმატებლობა 85
პატერნალიზმი 88
პრობლემები დაკავშირებული ძირითად და
მაუნე დოლათთან 90

თანმდევი ეფექტი 91
თანმდევი ეფექტი ხელისუფლების თვალსაზრისით 92
საკითხისადმი მიდგომა საკუთრების უფლებების
დაცვის თვალსაზრისით 94
ბაზრის წარუმატებლობის შედეგები 95
ხელისუფლების წარუმატებლობა 97
შეჯამება 99
შეკითხვები განსჯისათვის 99
7. ფული და საბანკო საქმე 100
ფულის წარმოშობის ისტორია და მისი ფუნქციები 100
ქაღალდის ფული 101
ოქრომჭედელი 101
ფულის მნიშვნელობა 102
ფულის ფუნქციები 103
ფულის თვისებები 104
ფული და ინფლაცია 105
საბანკო სისტემა 105
ბანკები და დანაზოგები 106
საბანკო ანგარიშსწორება 107
ბანკების სესხები საწარმოებისათვის 108
საბანკო კრედიტის წარმოშობა 109
ოქრომჭედელი (2) 109
როგორ წარმოსდგება რეალურად საბანკო კრედიტი 112
წონასწორობა თუ რენტაბელობა 112
ბანკები პოლონეთში 115
გაფრთხილების სიტყვა 115
შეკითხვები განსჯისათვის 116
8. საბაზრო ინსტიტუტები 117
ბირჟები, აქციები და პრივატიზაცია 117
აქციების ემისია 117
რატომ ყიდულობენ ადამიანები აქციებს? 118
რა ღირს აქცია? 118
მოლოდინი 119
ბირჟების როლი 120
ინვესტიციის სხვა არხები 120
დივიდენდები და ინვესტიციები 121
პრივატიზაცია 123
არგუმენტები პრივატიზაციის სასარგებლოდ 123
პრივატიზაციის პრობლემები ყოფილ
სოციალისტურ ქვეყნებში 124
პრივატიზაციის სახეები 126

კონტრაქტების გაფორმება 126
კონტრაქტების კონტროლი 127
საინვესტიციო ბანკები 128
დაზღვევა 130
ლიკვიდატორები და იძულებითი მმართველები 130
მრეწველობა 131
პროფკავშირები და ურთიერთობანი მუშებსა და ადმინისტრაციას შორის 132
გაფიცვები 132
შრომითი მოწყობის დაწესებულებები 133
უმუშევრობა 133
მთავრობის ინსპექტორები 135
ნებაყოფლობითი ორგანიზაციები 136
შეკითხვები განსჯისათვის 137
9. მაკროეკონომიკა 138
მაკროეკონომიკის ისტორია 138
შემოსავალთა წრებრუნვა 139
შემოსავლების მოქცევა და უკუქცევა 140
ერთობლივი პროდუქციის გაზომვა 141
ეროვნული შემოსავლის გამოთვლა 144
გლობალური მოთხოვნა 144
მოხმარება 145
სტაბილიზაციის ავტომატური ფაქტორები 150
ინვესტიციები 151
ექსპორტ-იმპორტი 152
წარმოების აღმავლობა და კონიუნქტურული ციკლები 153
ზრდა 155
გლობალური მიწოდება 157
უმუშევრობა და ინფლაცია 158
უმუშევრობის მიზეზები 159
ინფლაცია 160
მონეტარისტული შეხედულება 162
ფულის რაოდენობითი თეორია 163
კეინსის შეხედულება 164
ინფლაციის შედეგები 165
ინფლაციის შეკავება 166
საპროცენტო განაკვეთი 168
საპროცენტო განაკვეთის თეორია 168
კეინსის ფულის თეორია 169
შეჯამება 170
შეკითხვები განსჯისათვის 171

10. მთავრობა და მეურნეობა 172
მთავრობის ფინანსები 175
საგადასახადო სისტემა ადამ სმიტის მიხედვით 176
სახელმწიფო სესხები და ფულის ბეჭდვა 178
მთავრობის სესხებთან დაკავშირებული პრობლემები 179
ფულის ბეჭდვა 181
ცენტრალური ბანკები, ფულის მიწოდება
და საპროცენტო განაკვეთი 181
დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკები 183
კონიუნქტურული პოლიტიკური ციკლი 183
ფინანსების დერეგულაცია 184
შეჯამება 185
შეკითხვები განსჯისათვის 186
11. მსოფლიო მეურნეობა 187
მეურნეობის საგარეო პოლიტიკა 187
ვაჭრობა და პროტექციონიზმი 187
საბაჟო კავშირები და უბაჟო ტერიტორიები 191
ევროგაერთიანება 191
აბსოლუტური სარგებლიანობა 193
კომპარატიული სარგებლიანობა 194
ვალუტის გადაცვლის კურსი 195
ვალუტის კურსზე მოქმედი ფაქტორები 196
ვაჭრობის მემარცხენე თეორია 198
განვითარებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები 200
საგადამხდელო ბალანსი 201
ვალუტის გადაცვლის კურსის ისტორია 203
ვალუტის გადაცვლის მყარი თუ მცოცავი კურსი 205
საერთაშორისო სავალუტო ფონდი 206
მსოფლიო ბანკი და განვითარების
მხარდაჭერის პროგრამა 206
შეჯამება 207
შეკითხვები განსჯისათვის 209
12. პოლონეთის ეკონომიკა 210
მრეწველობა 212
პრივატიზაცია 213
სოფლის მეურნეობა 214
მომსახურება 215
ბალცეროვიჩის გეგმა 215
დემოგრაფიული სიტუაცია 219
ვაჭრობა 220
მომავალი 221

შეკითხვები განსჯისათვის 222
პასუხები შეკითხვებზე 223
შინაარსი 238

რობერტ ლუკასი

საბაზრო ეკონომიკა

თარგმნილი პოლონურიდან

რედაქტორი-ე.გოზალიშვილი

მხატვარი-ნ.დარბუაშვილი

ტექნიკური რედაქტორი-მ. წიკლაური

Robert lucas

Market Economi

Translated from Poland

ფასი – სახელშეკრულებო

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს
გამომცემლობა,მისამართი:გუდიაშვილის ქუჩა №7